

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

მაცნე

ისტორიის
არქეოლოგიის
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

1 . 1988

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის მაცნე

ИЗВЕСТИЯ АКАДЕМИИ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР

ისტორიის, არქეოლოგიის,
ეთნოგრაფიისა და
ხელოვნების ისტორიის
სერია

СЕРИЯ
ИСТОРИИ, АРХЕОЛОГИИ,
ЭТНОГРАФИИ И
ИСТОРИИ ИСКУССТВА



თბილისი
ТБИЛИСИ

1. 1988

ქურნალი დაარსებულია 1971 წელს
Журнал основан в 1971 году

გამოდის 3 თვეში ერთხელ
Выходит раз в 3 месяца

ს ა რ ე დ ა კ ტ ი ო კ ო ლ ე ზ ი ა : ა. აფაქიძე, ვ. ბერიძე, ო. გიგინეი-
შვილი, ვ. ითონიშვილი, ი. კაჭარავა (რედაქტორის მოადგილე), რ. კიკნაძე
(რედაქტორის მოადგილე), გ. მელიქიშვილი (რედაქტორი), ა. რობაქიძე,
ლ. ჭილაშვილი.

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: А. М. Апакидзе, В. В. Беридзе, В. Д. Итони-
швили, О. И. Гигинейшвили, Ю. М. Качарава (зам. редактора), Р. К. Кикнадзе
(зам. редактора), Г. А. Меликишвили (редактор), А. И. Робакидзе, Л. А. Чилашвили,

პასუხისმგებელი მდივანი გ. ლორთქიფანიძე.
Ответственный секретарь Г. Г. Лордкипанидзе

რ ე დ ა კ ტ ი ა ს მ ი ს ა მ ა რ თ ი : თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-85-50 Телефон

გადაეცა წარმოებას 30.I. 1988; ხელმოწერა დასაბეჭდად 21. III. 1988;
ანაწეობის ზომა 7×12; ქაღალდის ზომა 70×108¹/₁₆; პირობ. ნაბეჭდი 15,8;
პირ. სალ. გატარება 16.3; სააღრიცხვო-საგამომცემლო თაბახი 13,2;

უე 04279

შეკ. 327;

ტირაჟი 1000;

ფასი 1 მან. 30 კაპ.

•

გამომცემლობა „მეცნიერება“, თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

•

საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სტამბა, თბილისი 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

შინაარსი

წერილები

წ. ხონელიძე, ბ. დარჯანიძე, სახალხო მეურნეობის მართვის მეცნიერული სა- ფუძვლებისა და მისი სისტემის შემდგომი სრულყოფის ზოგიერთი საკითხი	5
ბ. ნაცვლიშვილი, აგრარული საკითხი გაზეთების „გლეხისა“ და „მინის“ ფურ- ცლებზე	17
ს. მარლიშვილი, ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მდიდრულ სამარხთა სოციალური დიფერენციაციისათვის	35
თ. ღუნდუა, იბერიისა და პონტოს სამეფოს ურთიერთობა მითრიდატე ევპატორის ეპოქაში ნუმიზმატიკური მასალების მიხედვით	50

ცნობები და შენიშვნები

ლ. ჯიშია, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ქალთა შორის საქართველოში სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში	61
ბ. ტაჩინაძე, ქართველი სამოციანელები	73
ბ. ტულუში, ლეჩხუმი XVII საუკუნის მეორე ნახევარში	79
ბ. სარჯველიძე, მფარველობა-ბატონობისა და დაქვემდებარების აღმნიშვნელი აღ- რეფოდალური ხანის სოციალური ტერმინები	87
ზ. ჯამბურია, მცხეთის XI საუკუნის საბუთისა და სვეტიცხოვლის მშენებლობის თა- რილისათვის	105
ბ. გამსახურდია, ვერუთარგანა, თრეტაონა და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“	113
ბ. გამყრელიძე, ადიაბენის როლი რომისა და პართიის ურთიერთობაში	121
ბ. შამთარია, ტიბერიუს გრაქუსის და ბლოსიუს კუმელი	129
ნ. ბრეზაძე, ხორბლის ლექსიკასთან დაკავშირებით, VII	141
თ. კაპანაძე, ნოქალაქევის „მისარონის“ ეკლესია	151

პრეტიკა და ბიბლიოგრაფია

შ. ძიმიტოვი, მ. ჩხარტიშვილი, უამთაღმწერელი, ასწლოვანი მატიაზე ტექსტი გა- მოსაცემად მოამზადა, გამოკვლევა, შენიშვნები და ლექსიკონი დაურთო რევაზ კიკნაძემ	162
თ. მენთეშაშვილი, ინგლისის ისტორია, თანამედროვე ინგლისურ ისტორიოგრაფიაში ნელი ზაქარაიას ასული მუხიგულაშვილი	164
ნელი ზაქარაიას ასული მუხიგულაშვილი	180

СОДЕРЖАНИЕ

СТАТЬИ

З. Ш. ХОНЕЛИДЗЕ, Г. Г. ДАРДЖАНИЯ, Научные основы управления народным хозяйством и некоторые вопросы его дальнейшего совершенствования	5
А. В. НАЦВЛИШВИЛИ, Аграрный вопрос на страницах газет «Глехи» («Крестьянин») и «Мица» («Земля»)	17
С. Г. МАРГИШВИЛИ, К социальной дифференциации богатых погребений античной эпохи Восточной Грузии	35
Т. Г. ДУНДУА, Взаимоотношения Иберии с Понтийским царством в эпоху Митридата Евпатора по нумизматическим материалам	50

СООБЩЕНИЯ И ЗАМЕТКИ

Л. В. ДЖИКИЯ, Культурно-просветительная работа среди женщин в Грузии в период строительства социализма	61
П. С. ТКАЧЕНКО, Грузинские шестидесятники	73
А. Г. ТУГУШИ, Лечхуми во второй половине XVII века	79
А. З. САРДЖВЕЛАДЗЕ, Грузинские раннефеодальные социальные термины, обозначающие покровительство-господство и подчинение	87
З. Г. ДЖАМБУРИЯ, О датировке мцхетского документа XI века и строительства Светицховели	105
К. З. ГАМСАХУРДИА, Вэрэтрагна, Тразтаона и «Жизнь Вахтанга Горгасала»	113
А. Ш. ГАМКРЕЛИДЗЕ, К вопросу о роли Адиабены в римско-парфянских взаимоотношениях	121
Г. Е. КАВТАРИЯ, Тиберий Грахх и Блоссий Куманский	129
Н. А. БРЕГАДЗЕ, О связанной с пшеницей лексике, VII	141
Т. В. КАПАНАДЗЕ, Нокалакеская церковь «Мисарони»	151

КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

Ш. В. ДЗИДЗИГУРИ, М. С. ЧХАРТИШВИЛИ, Грузинский анонимный историк XIV века, Столетняя летопись. Критический текст, исследование, примечания Р. К. Кикнадзе	162
И. Ш. МЕНТЕШАШВИЛИ, История Англии в освещении современной английской историографии	164
Н. З. Мухигулашвили (некролог)	180

წერილები

ზურაბ ჟონელიძე, გიორგი ღარჯანიძე

სახალხო მეურნეობის მართვის მაცნეიარული საფუძვლებისა და მისი სისტემის შემდგომი სრულყოფის ზოგადიარტი საკითხი

საბჭოთა საზოგადოების განვითარების თანამედროვე ეტაპზე დიდი ცვლილებები ხდება ჩვენი ქვეყნის ეკონომიკის მართვის სტრუქტურაში. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას მიაპყრობს გარდაქმნის ერთ-ერთ კარდინალურ საკითხს — სახალხო მეურნეობის მართვის რადიკალურ რეფორმას, თვისებრივ ცვლილებებს სამეურნეო მექანიზმის სტრუქტურაში, ცვლილებებს, რომლებიც სოციალისტური წყობილების უპირობატესობათა გამოყენების ახალ შესაძლებლობებს გვისახავს¹.

პარტია სამართლიანად მიიჩნევს, რომ გარდაქმნის საკვანძო ამოცანა, სოციალურ-ეკონომიკური განვითარების დაჩქარების უმნიშვნელოვანესი პირობა სახალხო მეურნეობის მართვის რადიკალური რეფორმაა. აქ წინა პლანზე დგება ახალი მთლიანი სისტემის შექმნის საკითხი, რომელმაც გამარეოლუციონერებელი ზეგავლენა უნდა მოახდინოს საბჭოთა ადამიანების შრომისა და ცხოვრების ყველა მხარეზე, სოციალიზმს მიანიჭოს ახალი თვისება, აიყვანოს იგი განვითარების ახალ საფეხურზე.

მასშტაბურობა და სირთულე სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფის მიღწევის ამოცანებისა, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობამ დასახა, მოითხოვს ეკონომიკის მართვის თეორიის შემდგომ შემოქმედებით განვითარებას იმ საფუძველზე, რომ ყოველმხრივ იქნეს გააზრებული მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსთა დიადი მემკვიდრეობა, შესწავლილ იქნეს ახალი მოვლენები. სოციალისტურ და კომუნისტურ მშენებლობაში მისი პრაქტიკა და დიგროვილი გამოცდილება.

ისტორიული გარდატეხები, თვისობრივი ძვრები სახალხო მეურნეობის მართვის განვითარების ობიექტურ ტენდენციებში განუწყვეტლივ აისახება და თეორიულ დასაბუთებას პოვებს მარქსიზმ-ლენინიზმში.

ეკონომიკის მართვა საზოგადოების განვითარების უმნიშვნელოვანესი პირობაა. იგი ისტორიული კატეგორიაა. სახალხო მეურნეობის მართვა — ესაა საზოგადოებრივი წარმოების სფეროთა (ცალკეულ დარგთა) შორის მატერიალური რესურსების განაწილების სპეციალური სოციალისტური მეთოდი, მათ შორის მუდმივი პროპორციულობის დადგენის მეთოდი. მართვა, როგორც ადამიანთა მოღვაწეობის სფერო, განსაზღვრავს ამ უკანასკნელის ცხოვრებისა და

¹ პარტიის ამოცანები ეკონიკის მართვის ძირეულ გარდაქმნის საქმეში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1987 წლის 25 ივნისს (გაზ. „კომუნისტა“, 1987 წლის 28 ივნისი).

განვითარების მრავალ მხარეს, მართალია, მართვასთან დაკავშირებული პრობლემები ყოველთვის იყო ჩვენი საზოგადოების ყურადღების ცენტრში და, ამდენად, ახალი არაა, მაგრამ როგორც მეცნიერება იგი შედარებით ახალგაზრდაა და მხოლოდ გასული საუკუნის უკანასკნელი მეოთხედიდან (ძირითადად საპროფწველო წარმოების პირობებში) იწყებს ჩამოყალიბებას, მის დამოუკიდებელ დარგად ფორმირება კი მსხვილი, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პერიოდს ემთხვევა.

ეკონომიკის მართვა გულისხმობს მიზანდასახულ შრომით საქმიანობას, ზემოქმედებას რომელიმე სისტემაზე ერთი მდგომარეობიდან მეორეში მის გადასაყვანად და მიმართულია ადამიანთა შეთანხმებულ, ეფექტური მუშაობის უზრუნველყოფისაკენ დასახულ ამოცანათა შესრულების მიზნით.

დიდი ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე ეკონომიკის მართვის გარკვეული პროგრამა უკვე არსებობდა, ეს პროგრამა შეიმუშავეს ჯერ კიდევ კ. მარქსმა და ფ. ენგელსმა. მართალია, მათ ამ საკითხისადმი სპეციალური გამოკვლევა არ მიუძღვნიათ, მაგრამ რიგ შრომებში ნათლად ჩამოაყალიბეს საზოგადოებრივი წარმოების მართვის არსი, რაც უპირველეს ყოვლისა, მართვის სისტემის წინაშე დასახული მიზნის მოსაღწევად მისი ორგანიზმის ცალკეული ნაწილების ურთიერთქმედების მკაცრ კოორდინაციას და ურთიერთშეთანხმებულ მოქმედებას ითვალისწინებს².

კ. მარქსი და ფ. ენგელსი თვლიდნენ, რომ მეურნეობის მართვის მიზნები და ამოცანები ზორციელდება მხოლოდ სამმართველო საქმიანობის პროცესში, ყოველგვარი დიდი შრომა კი მართვას საჭიროებს. — „ყოველი, უშუალოდ საზოგადოებრივ, ანუ კოლექტიური შრომა, — აღნიშნავდა კ. მარქსი, — რომელიც დიდი მასშტაბით წარმოებს, მეტად თუ ნაკლებად მმართველობას საჭიროებს; ეს უკანასკნელი ამყარებს ინდივიდუალურ მოქმედებათა ჰარმონიას და ასრულებს საერთო ფუნქციებს, რომლებიც მთელი საწარმოო სხეულის მოძრაობიდან გამომდინარეობენ მისი დამოუკიდებელი მოძრაობისაგან განსხვავებით“³.

სახალხო მეურნეობის მმართველობის მასშტაბები განსაზღვრულია შრომისა და წარმოების განზოგადების დონით, მისი სოციალური მართვის მეცნიერება კი კლასობრივი შინაარსისაა, მართვა, როგორც განსაკუთრებული ფუნქცია, თვალსაჩინო ადგილს იკავებს ყველა საზოგადოებაში, მაგრამ მისი მიზანი, პრინციპები და საზღვრები დამოკიდებულია ამა თუ იმ საზოგადოებრივ ფორმაციის ეკონომიკურ და პოლიტიკურ საფუძვლებზე.

კ. მარქსი კაპიტალისტური წარმოების მართვას შემდეგნაირად ახასიათებდა: კაპიტალისტის ხელმძღვანელობა, მართვა (ამ შემთხვევაში ეს ორი მცნება გაიგივებულია) არის არა მარტო საზოგადოებრივი შრომითი პროცესის ბუნებიდან გამომდინარე, ამ პროცესის კუთვნილი განსაკუთრებული ფუნქცია, არამედ იგი იმავე დროს არის ამ საზოგადოებრივი შრომითი პროცესის ექს-

2 კ. მარქსი, ფ. ენგელსი, კომუნისტური პარტიის მანიფესტი, თბ., 1974; კ. მარქსი, ფ. ენგელსი, თვრამეტი ბრიუმერი ლუი ბონაპარტისა, რჩეული ნაწერები ორ ტომად, ტ. 1, თბ., 1950; კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1—4, თბ., 195—1975; კ. მარქსი, ფ. ენგელსი, გოთას პროგრამის კრიტიკა, რჩეული ნაწერები ორ ტომად, 11, თბ., 1953; ფ. ენგელსი, ანტი-დიურიზმი, თბ., 1952.

3 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 420.

პლუტაციის ფუნქცია და ამიტომ განპირობებულია გარდუვალი ანტაგონიზმით ექსპლუატატორთა და ექსპლუატირებულთა შორის⁴.

კაპიტალისტურ საზოგადოებაში ეკონომიკის მართვას კლასობრივი ხასიათი აქვს, მისი ყველა ფუნქცია ემორჩილება რაც შეიძლება მაღალი მოგების ინტერესებისათვის ექსპლუატაციის ობიექტთა გაძარცვას. ჩაგვრის გაძლიერებას. „თავისი შინაარსით კაპიტალისტური ხელმძღვანელობა ორადი ხასიათისაა — განმარტავდა კ. მარქსი, — რადგან ასეთივე, ორადი ხასიათისაა თვით წარმოების პროცესი, რომელსაც ხელმძღვანელობა უნდა გაეწიოს და რომელიც ერთი მხრივ, საზოგადოებრივი შრომითი პროცესია და მიზნად გარკვეული პროდუქტის დამზადებას ისახავს, ხოლო მეორე მხრივ, კაპიტალის ღირებულების ზრდის პროცესია. — სამაგიეროდ თავისი ფორმით კაპიტალისტური ხელმძღვანელობა დესპოტურია“⁵. სწორედ ამიტომ კაპიტალისტურ სამყაროში შრომის საზოგადოებრივი პროცესი უღრმესი კლასობრივი წინააღმდეგობის მატარებელია, სახალხო მეურნეობის მართვის მთელი სისტემა დაქვემდებარებულია და განპირობებულია მისი ძირითადი ეკონომიკური კანონის — ზედმეტი ღირებულების წარმოების — მოთხოვნით. რაც შეიძლება მაღალი მოგების მიღება — აი, კაპიტალისტური წარმოების ორგანიზაციისა და მართვის მთავარი არსი, „ზედმეტი ღირებულების წარმოება, ე. ი. მოგების მიღება — ასეთია წარმოების წესის ებსოლუტური კანონი — აღნიშნავს კ. მარქსი⁶. ეს კანონი განსაზღვრავს კიდევ კაპიტალისტური წარმოების მართვის მთავარ მიმართულებებს, მისი ორგანიზაციასა და მოძრაობას.

კაპიტალიზმის განვითარების უმაღლესი სტადიის, მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში, არა თუ შეიცვალა მართვის ხასიათი, არამედ კიდევ უფრო გაძლიერდა და გაღრმავდა იგი. თანამედროვე ამერიკელი „ბიზნესმენი“⁷ ორგანულად აერთიანებს მუშათა გაძლიერებულ ექსპლუატაციას მეცნიერებასა და ტექნიკის მიღწევებთან. ეს სისტემა წარმოადგენს მშრომელთა ექსპლუატაციის იარაღს, კაპიტალის ზრდის საშუალებას, რომელიც უპირისპირდება მშრომელებს, როგორც მათი ძარცვის ძალა.

ამავე დროს შეცდომა იქნებოდა საკითხი მხოლოდ ასე დაგვეყენებინა, მაგ. — „ტელიორიზმი“⁸ თავის თავში აერთიანებს მშრომელთა კაპიტალისტურ ექსპლუატაციას მდიდარ მეცნიერულ მონაპოვართან. რაც გამოიხატება შრომის დროის მართვის მექანიკურ მოძრაობათა ანალიზში. ზედმეტ და მოუქნელ მოძრაობათა თავიდან აცილებაში, მუშაობის მართვის სწორი მეთოდების გამოუმუშავებაში, აღრიცხვისა და კონტროლის საუკეთესო სისტემის შემუშავებაში და სხვ. ამ მომენტებს ვ. ი. ლენინი ახასიათებდა, როგორც ტექნიკის საუკეთესო ნიმუშს, რომელიც სოცალიზმის დროს გამოყენებული უნდა იქნეს. ხაზს უსვამდა მართვის ბურჟუაზიული მეცნიერებისადმი სწორი პოზიციის განსაზღვრის, მისი კრიტიკული ანალიზისა და სასარგებლო გამოცდილების სოციალისტური მშენებლობის პრაქტიკაში გამოყენების საჭიროებას. „საბჭოთა რესპუბლიკამ — გვასწავლიდა ბელადი, — რადაც უნდა დაჯდეს უნდა გად-

4 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 421.

5 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 422.

6 კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. 1, თბ., 1954, გვ. 780.

7 კაპიტალისტური სამრეწველო წარმოების მართვის სისტემა.

8 ბურჟუაზიული თეორიების ერთ-ერთი ყველაზე დიდი სკოლის „მეცნიერული მენეჯმენტის“ ფუძემდებელი ფ. ტელიორი. მიმდინარეობა — ტელიორიზმი.

მოიღოს ყოველივე ღირებული მეცნიერებისა და ტექნიკის მონაპოვართაგან ამ დარგში⁹.

შეიძლება ითქვას, რომ ვ. ი. ლენინი ეკონომიკის მართვის საკითხებს აშუშავებდა მთელი თავისი ცხოვრების მანძილზე, მან სოციალისტური წარმოების მართვის არა მარტო თეორიული პრობლემები დამუშავა, არამედ, ამასთან ერთად, პირველმა დაიწყო მისი პრაქტიკული განხორციელება, მის სახელს უკავშირდება აგრეთვე სოციალისტური სახალხო მეურნეობის მართვის პირველი აპარატის ჩამოყალიბებაც. ტერმინი „ეკონომიკის მართვა“ ვ. ი. ლენინის შემოღებულია.

სოციალიზმის ეკონომიკური თეორიის, სამეურნეო მშენებლობის საკითხების დამუშავებისას, ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ ეკონომიკის უკეთ მართვისათვის საჭიროა კომპეტენტურობა, ცოდნა მთლიანად ღია სიზუსტემდე წარმოების ყველა პირობისა, წარმოების ტექნიკისა მის თანამედროვე სიმაღლეზე, საჭიროა მეცნიერული განათლება, ყოველგვარი პოლიტიკა კი აგებული უნდა იქნას სამეურნეო მშენებლობის პოლიტიკურ გამოცდილებაზე.

ვ. ი. ლენინის შრომებში ჩამოყალიბებული და დასაბუთებულია სოციალიზმის პირობებში სახალხო მეურნეობის მართვის ძირითადი მიზნები, პრინციპები, კანონზომიერებები და ორგანიზაციული ფორმები, გამოკვეთილად მოჩანს აზრი იმის შესახებ, რომ სოციალიზმი რადიკალურად ცვლის საზოგადოებრივი წარმოების განვითარების სოციალურ ბუნებასა და მიზნებს, იწვევს მისი მართვის ხარისხობრივად ახალი მექანიზმების ჩამოყალიბების აუცილებლობას¹⁰.

სოციალისტური წარმოების მართვა კოოპერირებული შრომის ჰარმონიული განვითარების საშუალებას იძლევა, წარმოების განზოგადების ფართო მასშტაბები უსაზღვროდ აფართოებს უშუალო საზოგადოებრივი შრომის სფეროს და კავშირებს, არა მარტო მწარმოებლებს შორის, არამედ მთელი სახალხო მეურნეობის მიხედვით. ამით კი ხელსაყრელი პირობები იქმნება კვლავწარმოების პროცესისა და არსებული რესურსების რაციონალურად გამოყენების, მეცნიერული მართვის ორგანიზაციისათვის. რადგან წარმოების მართვის სოციალური სისტემა მშრომელთა ძირეულ ეკონომიკურ ინტერესებს გამოხატავს, ამდენად, იგი მთლიანად სპობს კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი მართვის სოციალურ-ეკონომიკურ და ორგანიზაციულ ტექნიკურ მხარეებს შორის წინააღმდეგობებს.

მართალია, დღეს სხვა ისტორიულ პირობებში ვცხოვრობთ, მაგრამ ჩვენ შეგვიძლია და კიდევაც უნდა გამოვიყენოთ მარქსიზმ-ლენინიზმის ფუძემდებლების იდეები და გამოცდილება სახალხო მეურნეობის მართვისა და საერთოდ გარდაქმნის ორგანიზაციაში.

9 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 27, გვ. 305.

10 ვ. ი. ლენინი, კაპიტალიზმის განვითარება რუსეთში, თხზულებანი, ტ. 3, გვ. 1—79; მისივე, სახელმწიფო და რევოლუცია, თხზულებანი, ტ. 25, გვ. 465—615; მისივე, საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები, თხზ., ტ. 27, გვ. 275—329; მისივე, საბჭოთა დაწესებულების მართვის წესების მონახაზი, თხზულებანი, ტ. 28, გვ. 423—432; მისივე, მეცნიერულ-ტექნიკურ სამუშაოთა გეგმის მონახაზი, თხზ., ტ. 27, გვ. 282—383; მისივე, ეკონომიკა და პოლიტიკა პროლეტარიატის ეპოქაში, თხზულებანი, ტ. 30, გვ. 109—122; მისივე, ერთიანი სამეურნეო გეგმის შესახებ, თხზულებანი, ტ. 32, გვ. 159—170; მისივე, ვარიანტი სტატიისა „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, თხზულებანი, ტ. 41, გვ. 40—62.

წარსულის გაკვეთილები, კავშირი თანამედროვეობასთან და მემკვიდრეობითობა პარტიის მოღვაწეობაში სრულიად კანონზომიერია. მას დიდი მნიშვნელობა ენიჭება სახალხო მეურნეობის მართვის, სოციალისტური მშენებლობის საკითხებზე მარქსის, ენგელსისა და ლენინის იდეურ-თეორიული მემკვიდრეობის შემოქმედებითი გამოყენებისათვის.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსებმა ნათლად დაგვანახეს ეკონომიკის მართვის სისტემური გაუმჯობესების აუცილებლობა. რომლის გამოყენებაც თანამედროვე ეტაპზე მოასწავებს სახალხო მეურნეობაში მიმდინარე პროცესების, ფაქტების ფხიზელ ანალიზს, ხელმძღვანელობს ცხოვრების ობიექტური ლოგიკით და არა გამოგონილი დოგმებით, სამეურნეო მართვის არა ნაწილობრივ, არამედ რადიკალური გაუმჯობესების მიზნებით, — აი, სკკპ XXVII ყრილობის ძირითადი მოთხოვნა, რომლის არსიც იმაში მდგომარეობს „...რომ ნამდვილად დაუქვემდებაროთ მთელი ჩვენი წარმოება საზოგადოებრივ მოთხოვნილებებს, ადამიანთა საჭიროების დაკმაყოფილებას, მართვას მიზნად დაუვსახოთ ეფექტიანობისა და ხარისხის ამაღლება, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, შრომის შედეგებით მუშაკთა დაინტერესების, სახალხო მეურნეობის თითოეულ რგოლში და უწინარეს ყოვლისა, შრომითს კოლექტივებში ინიციატივისა და სოციალისტური გერგისიანობის განვითარება“¹¹.

სახალხო მეურნეობის მართვის ნამდვილ სრულყოფას საერთო არა აქვს რა დაუსაბუთებელ, ნაჩქარევ გარდაქმნასთან (რომლებიც მოწყვეტილია რეალურ სამეურნეო ცხოვრებას და ეწინააღმდეგება ობიექტური ეკონომიკური კანონების მოთხოვნებს), იგი ხანგრძლივი და რთული პროცესია. მოითხოვს განვითარების გარკვეული საფეხურების, ეტაპების გავლას.

თანამედროვე ეტაპზე ჩვენს ქვეყანაში მიმდინარეობს ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნა. საერთოდ კი უნდა ითქვას, რომ ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციიდან მოყოლებული დღემდე ჩვენმა პარტიამ განახორციელა სახალხო მეურნეობის მართვის დიდი რეორგანიზაცია. ასე მაგალითად. 1917—1932 და 1957—1965 წლებში. სახალხო მეურნეობის ცალკეული დარგების მართვას ახორციელებდნენ სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები. რომლებმაც 1923 წლიდან მიიღეს გაერთიანებული სახალხო კომისარიატის სტატუსი: მის უშუალო გამგებლობაში დარჩა საკავშირო დაქვემდებარების საწარმოები. 1932 წ. საბჭოს ბაზაზე იქმნება მძიმე, მსუბუქი და ხე-ტყის მრეწველობის სახალხო კომისარიატები. ამრიგად, სახალხო მეურნეობის დარგები გადავიდნენ მართვის დარგობრივ პრინციპზე. სპეციალიზებულმა დარგობრივმა სახალხო კომისარიატებმა, შემდგომში სამინისტროებმა, რომელთა რიცხვი სამრეწველო წარმოების ზრდასთან ერთად მატულობდა, მართალია, დადებითი როლი შეასრულეს ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში, მაგრამ ამასთან უნდა ითქვას, რომ სამინისტროები მართავდნენ სახალხო მეურნეობის არა მსხვილ დარგებს, არამედ ქვედარგებს. მართვის ცენტრების გამრავლება კი ასუსტებდა დარგთა საქმიანობის კოოპერაციას, იწვევდა მართვის აპარატის გაბერვას, პროდუქციის წარმოებაზე დანახარჯების ზრდას.

¹¹ საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 50.

1957 წლის თებერვლის პლენუმის შემდეგ პარტია სახალხო მეურნეობაში დაადგა მართვის ტერიტორიულ პრინციპს, კვლავ შექმნა სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოები, გააუქმა საკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური სამრეწველო და სამშენებლო სამინისტროები, მის ნაცვლად სსრ კავშირში შეიქმნა 105 ეკონომიკურ-ადმინისტრაციული რაიონი. 1962 წელს მოხდა სახალხო მეურნეობის საბჭოების გამსხვილება, შეიქმნა სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის საბჭო, მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტები და ა. შ.

ახალი ღონისძიებების შედეგად, მართალია, ამალდა სამეურნეო ცხოვრებაში ადგილობრივი პარტიული ორგანოების პასუხისმგებლობა და ინიციატივა, ეკონომიკური რაიონების ფარგლებში გაფართოვდა სამრეწველო წარმოების სპეციალიზაციის. კოოპერაციის, სამეურნეო და სოციალური პრობლემების კომპლექსურად გადაწყვეტის შესაძლებლობანი, მაგრამ ამასთან გამოვლინდა სერიოზული ნაკლოვანებები, რაც გამოწვეული იყო გაუმართლებელი გარდაქმნით: ეკონომიკური კანონების მოთხოვნათა გაუთვალისწინებლობით, ხელმძღვანელი კადრების კვალიფიკაციის დაბალი დონით, ცალკეულ დარგთა მიხედვით განვითარების ობიექტური ტენდენციებისა და მართვის ტერიტორიულ პრინციპს შორის წინააღმდეგობათა გამწვავებითა და სხვ.

1962 წლის ნოემბრის პლენუმის შემდეგ განხორციელდა პარტიული ორგანოების გარდაქმნა საწარმოო პრინციპის მიხედვით, შეიცვალა პარტიული და სახელმწიფოებრივი ორგანოების სტრუქტურა, რამაც ადრე შეასუსტა მრეწველობისადმი ცენტრალური ხელმძღვანელობა და მნიშვნელოვნად დააბრკოლა სახალხო მეურნეობის განვითარება.

პრაქტიკამ ცხადყო, რომ არ შეიძლებოდა სამრეწველო და სასოფლო-პარტიული ორგანიზაციების საქმიანობის სფეროთა გამიჯვნა. რეორგანიზაციის შედეგად რაიონი აღმოჩნდა ცალ-ცალკე დაყოფილი, რაც ხელს უშლიდა პარტიულ, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოებს შეთანხმებულად მიზანსწრაფულად ემოქმედათ პოლიტიკური და ეკონომიკური ნაკითხების გადაჭრისას. შესუსტდა წარმოებასთან და მასებთან ყველაზე ახლომდგომი რაიონული რგოლი. თვით ცხოვრებამ მოითხოვა დავბრუნებოდით სახალხო მეურნეობისადმი დარგობრივ მართვას.

სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1964 წლის ოქტომბრის პლენუმის შემდეგ კვლავ აღსდგა ერთიანი საოლქო, სამხარეო პარტიული ორგანიზაციები, პარტიის რაიონული კომიტეტები. პარტიულ ორგანოებთან ერთად გარდაიქმნენ საბჭოთა, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანოები.

ჩვენი ქვეყნის სახალხო მეურნეობის მართვის განვითარების გზაზე მნიშვნელოვანი როლი შეასრულა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1965 წლის მარტისა და სექტემბრის პლენუმებმა. პლენუმთა გადაწყვეტილებების მნიშვნელობა გასცდა სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის მართვის ფარგლებს. მათი ძირითადი აზრი ის იყო, რომ ეკონომიკის მართვაში უფრო სრულად ყოფილიყო გათვალისწინებული და გამოყენებული სოციალიზმის ეკონომიკური კანონები, აემალლებინათ ეკონომიკური ბერკეტების როლი და გაეთვალისწინებინათ მშრომელთა მატერიალური დაინტერესება თავიანთი შრომის შედეგებით, სრულყოფით დაგეგმვის სისტემა და გაეფართოებინათ საწარმოო კოლექტივების ოპერატიულ-სამეურნეო დამოუკიდებლობა.

სახალხო მეურნეობის მართვის გარდაქმნამ აამალა მართვისადმი პარტიული ხელმძღვანელობის როლი. განსაკუთრებით გაიზარდა მოკავშირე რეს-

პუბლიკების კომპარტიათა ცენტრალური კომიტეტების, პარტიის სამხარეო და საოლქო კომიტეტების პასუხისმგებლობა იმისათვის, რომ განეხორციელებინათ ეკონომიკისადმი მეცნიერული ხელმძღვანელობა, რომელიც თავისუფალი იქნებოდა კუთხურობისა და უწყებრიობის ყოველგვარი გავლენისაგან, რაც შეიძლება სრულად გამოეყენებინათ სოციალისტური მრეწველობის შესაძლებლობანი და რეზერვები. პლენუმებზე „შემუშავებულ იქნა ასალი მიდგომა ეკონომიკის ხელმძღვანელობისადმი, განისაზღვრა ჩვენი განვითარების თანამედროვე ეტაპზე პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის პრინციპები“¹².

60-იანი წლების მეორე ნახევრიდან მოყოლებული ჩვენს ქვეყანაში სახალხო მეურნეობის მართვა ხორციელდება ტერიტორიულ-დარგობრივი პრინციპით. მართვის უმაღლესი განმკარგულებელი და აღმასრულებელი ორგანოა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭო, რომელიც ორგანიზაციას უკეთებს და წარმართავს წაკავშირო და საკავშირო-რესპუბლიკური დაქვემდებარების სამინისტროებისა და უწყებების მუშაობას.

1965—1975 წლებში არსებითად გარდაიქმნა სამინისტროების ურთიერთობა საწარმოებთან. მართვის ადმინისტრაციულ მეთოდებთან ერთად გამოიყენებოდა ისეთი ეკონომიკური საშუალებები, როგორიცაა მოგება, რენტაბელობა ეკონომიკური სტიმულირების ფონდები, კრედიტი, მაგრამ 1965 წელს სამეურნეო რეფორმა არ შეხებია მართვას დარგობრივ (ვერტიკალურ) ჭრილში, თავი იჩინა და იმატა სიძნელებმა, რაც გამოიხატა ეკონომიკური ზრდის ტემპის შენელებაში. ამის შედეგად ვერ შესრულდა სკკპ პროგრამით და პარტიის XXIV და XXV ყრილობებზე დასახული ეკონომიკური ამოცანები.

იმის ცდება, რომ ეკონომიკის მართვის მტკივნეული საკითხები ახალი მშენებლობის ხარჯზე გადაეწყვიტათ. კიდევ უფრო გაამწვავა შეწონასწორების პრობლემა. სახალხო მეურნეობა, რომელსაც უზარმაზარი რესურსები აქვს, მათ ნაკლებობას წააწყდა. წარმოიქმნა სხვაობა საზოგადოებრივ მოთხოვნილებასა და წარმოების მიღწეულ ღონეს შორის, გადახდისუნარიან მოთხოვნასა და მის მატერიალურ უზრუნველყოფას, შორის გარკვეულ ღონისძიებათა მიუხედავად მთლიანად ეკონომიკა ინერციით ვითარდებოდა ექსტენსიურ საფუძველზე, უპირატესად იმ გზით, რომ წარმოებაში აბამდნენ დამატებით შრომითსა და მატერიალურ რესურსებს.

ეს ნეგატიური მოვლენები განაპირობა გარკვეულ ობიექტურ სიძნელებებთან ერთად უმთავრესად სუბიექტური ხასიათის ფაქტორებმა. კერძოდ, სახალხო მეურნეობის მართვის მნიშვნელოვანწილად ექსტენსიურ საფუძველზე განვითარებამ. აგრეთვე შრომის ნაყოფიერებისა და წარმოების ეფექტიანობის ამაღლებისათვის ბრძოლის შესუსტებამ, ნაკლოვანებებმა ტექნიკურ და საინვენტარო პოლიტიკაში და ა. შ.¹³. ამ ფაქტორების ძალა იმდენად დიდი იყო, რომ მიუხედავად ბოლო წლებში მათ აღმოსაფხვრელად განხორციელებული ღონისძიებებისა, მდგომარეობის მთლიანად გამოსწორება ვერ მოხერხდა უაპიტიომ მეთორმეტე ხუთწლედში მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის მეტ სახეობათა პროდუქციის წარმოებამ ვერ მიაღწია სკკპ XXVI ყრილობის მიერ დასახულ მიზნებს.

¹² სკკპ XXIII ყრილობის მასალები, თბ., 1966, გვ. 47.

¹³ იხ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის XXVII ყრილობის მასალები, თბ., 1986, გვ. 34.

ობიექტურად სახალხო მეურნეობის მართვაში და სხვა სფეროებშიც თანდათან მწიფდებოდა ცვლილებათა საჭიროება, მაგრამ პარტიისა და სახელმწიფოს პოლიტიკურ და პრაქტიკულ საქმიანობაში იგი ვერ პოულობდა ხორც-შესხმას.

ამ რთული წინააღმდეგობრივი სიტუაციის მთავარი მიზეზი ის იყო, რომ სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა, ქვეყნის ხელმძღვანელობამ, უწინარესად სუბიექტური მიზეზების გამო, ვერ შეძლეს დროულად და სრულად შეეფასებინათ ცვლილებათა საჭიროება, საზოგადოებაში კრიზისული მოვლენების მოძალების საფრთხე, შეემუშავებინათ მათი დაძლევის, სოციალისტურ წყობილებაში ჩაქსოვილ შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენების გეზი. პოლიტიკის შემუშავებისას და პრაქტიკულ საქმიანობაშიც ჭარბობდა კონსერვატიულ განწყობილებათა ინერცია, მისწრაფება — თავი აერიდებიათ ყველაფრისათვის, რაც ვერ ეტეოდა ჩვეულ სქემებში, უნდობლობა — გადაეწყვიტათ მომწიფებული სოციალურ-ეკონომიკური საკითხები¹⁴:

სახალხო მეურნეობის მართვის შემდგომი სრულყოფის, მისი პრობლემებისა და წინააღმდეგობების, ტენდენციებისა და პერსპექტივების გაცნობიერების დონე დიდად იყო დამოკიდებული თეორიული აზრის მდგომარეობასა და განვითარებაზე, თეორიულ ფრონტზე არსებულ ატმოსფეროზე. მაგრამ აღნიშნულ პერიოდში, გარკვეულ გარემოებათა გამო თეორიასა და საზოგადოებამცოდნეობაში გაქრა ცოცხალი დისკუსია და შემოქმედებითი აზროვნება, ხოლო ავტორიტეტული შეფასებანი და დასკვნები გადაიქცა უცილობელ ჭეშმარიტებად, რომელთა მხოლოდ კომენტირება შეიძლებოდა.

თეორიისადმი ასეთმა დამოკიდებულებამ დაღი დაასვა საზოგადოებრივ მეცნიერებებს, მათს როლს საზოგადოებაში, რამაც ნეგატიური გავლენა მოახდინა პრაქტიკული საკითხების გადაწყვეტაზეც. წლების მანძილზე მეურნეობის გაძლიერებისა და მართვის პრაქტიკაში აკონსერვებდნენ მოძველებულ მეთოდებს და, პირაქით, ხელაღებით უარყოფდნენ ზოგიერთ ეფექტურ ეკონომიკურ ფორმას. ამასთან წარმოებასა და განაწილებაში ინერგებოდა საზოგადოების რეალური მოწიფულობის შეუსაბამო ურთიერთობა, რომელიც ხშირად ეწინააღმდეგება მის ბუნებას. წარმოება და შრომის სტიმულირება არსებითად რაოდენობრივი, ექსტენსიური განვითარების გეზით იყო ორიენტირებული.

არა მარტო ეკონომიკის მართვაში, არამედ საზოგადოებაში და თვით პარტიაშიც დიდხანს იგრძნობოდა იმ რთული მდგომარეობის გარკვეული გაუგებლობა, რომელშიც ჩვენი ქვეყანა აღმოჩნდა. მაგრამ როგორც სკკპ XXVII ყრილობაზე აღინიშნა, პარტია მოვალეა ხედავდეს ცხოვრებას მთელი მისი სისრულითა და სირთულით, ვერავითარი მიღწევა ვერ უნდა ჩრდილავდეს ვერც სახალხო მეურნეობის მართვის, მთლიანად საზოგადოების განვითარების წინააღმდეგობებს და ვერც შეცდომებსა და ხარვეზებს.

წარსულის გაკვეთილები, მთელი გამოცდილება მიგვითითებს იმაზე, რომ სახალხო მეურნეობაში ნეგატიური ტენდენციების აღმოსაფხვრელად არ არის საკმარისი ეკონომიკის მართვაში ცალკეული ღონისძიებები. სახალხო მეურნეობის სტაბილური და დინამიკური ზრდის გზაზე გადასაყვანად საჭიროა ძირეული ცვლილებები, ღრმა გარდაქმნები, რომელსაც ამჟამად კომუნისტური პარტია ახორციელებს ჩვენს ქვეყანაში.

14. იხ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27—28 იანვარი, თბ., 1987, გვ. 101.

აღნიშნული მოწმობს, თუ რაოდენ სერიოზული აღმოჩნდა მდგომარეობა ეკონომიკისა და საზოგადოების სხვადასხვა სფეროში, რაოდენ აუცილებელი გახდა ღრმა ცვლილებები. სწორედ ასეთ ვითარებაში სკკპ ცენტრალურმა კომიტეტმა 1985 წლის პლენუმზე შეიმუშავა ქვეყნის სოციალურ ეკონომიკური განვითარების დაჩქარების, გარდაქმნის კურსი, რომლის უმნიშვნელოვანესი რგოლია ეკონომიკური მართვის რეფორმა. არსებითად საქმე ეხება რევოლუციური ხასიათის შემოპრუნებას. პლენუმის მიერ წამოყენებული დებულება, უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენის სკკპ XXVII ყრილობის გადაწყვეტილებით სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის სრულყოფის გზაზე მომავალ გარდაქმნათა საფუძველი გახდა. დასახულ სტრატეგიულ ამოცანათა გადაწყვეტის მასშტაბურობამ და სირთულემ მოითხოვა თვისებრივი ცვლილებები, ცხადყო ეკონომიკის მართვის სტრატეგიისა და ტაქტიკის იმ მიზნებზე-შედეგობრივი კავშირების შინაარსობრივი ასპექტები, რომელთაც ადრეულ წარსულში ფარული ხასიათი ჰქონდათ და მუხრუჭებადაც კი გადაიქცნენ.

ყოველთვის, როდესაც ქვეყნის წინაშე ახალი ამოცანები დგება, პარტია სახავს მათი გადაჭრის გზებს, გარდაქმნის, ხელმძღვანელობის სრულყოფის მეთოდებს. სკკპ XXVII ყრილობამ, რომელიც ლენინურ ორგანიზაციულ პრინციპებს ემყარებოდა, ღიმი ადგილი დაუთმო სახალხო მეურნეობის მართვის თეორიასა და პრაქტიკას, გააღრმავა და წინ წასწია ეკონომიკის მართვისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ფორმებისა და მეთოდების გაუმჯობესების საკითხები, გაამდიდრა იგი ახალი დასკვნებითა და დებულებებით.

განსხვავებით აღიონდელი წარმოდგენებისაგან, რომლებიც მიჯნების მიღწევას შორეულ ამოცანად სახავდნენ და შორეულ პერსპექტივად მიიჩნევდნენ, სკკპ XXVII ყრილობამ, დაადგინა რა გარდაქმნის ამოცანები და დაჩქარების სტრატეგია ეკონომიკის მართვის გზაზე, პარტიას მისცა არა მარტო ვადებისა და მეთოდების, არამედ უფრო მეტად ამოცანების ახალი ორიენტაცია.

ყრილობამ მიღწეული ღონის გათვალისწინებით მეცნიერულად დაასაბუთა და განსაზღვრა სამეურნეო რეფორმის განვითარების კონკრეტული მიმართულებანი, რომლებიც წარმოადგენს არა ერთდროულ ღონისძიებას, არამედ თანმიმდევრული მუშაობის უწყვეტ პროცესს, მიმართულს სახალხო მეურნეობის მართვის სისტემის შემდგომი სრულყოფისაკენ.

აღსანიშნავია, რომ ყრილობის შემდეგ სახალხო მეურნეობის მართვის-კომპლექსურ სისტემაზე გადასვლის მიზნით ჩამოყალიბდა სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს მუდმივმოქმედი ორგანოები ურთიერთდაკავშირებულ დარგთა ჯგუფების სამართავად და ა. შ.¹⁵

გარდაქმნა ეკონომიკის მართვაში, მთლიანად საზოგადოებაში ღრმავდება და ძლიერდება. სახალხო მეურნეობის მართვის განახლების პროცესი სულ უფრო კონკრეტულ ფორმებს იძენს, ისისხლბორცებს სამეურნეო მექანიზმის ფართო წრის პრობლემებს, მოიცავს საზოგადოებრივი ცხოვრების ახალ-ახალ ფენებს. უწინარეს ყოვლისა, იგი მიზნად ისახავს იმ წინააღმდეგობათა დაძლევის, რომლებიც დამუხრუჭების მექანიზმის მთავარ რგოლებს ქმნიან, და ამის შედეგად საზოგადოებრივი განვითარების დაჩქარებისათვის მძლავრი იმპულსის მინიჭებას გულისხმობს.

¹⁵ იხ. საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის მასალები, 1987 წლის 27—28 იანვარი, თბ., 1987, გვ. 23—24.

ცვლილებები, რომლებიც სკკპ XXVII ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის მომდევნო პლენუმების შემდეგ მიმდინარეობს სახალხო მეურნეობის მართვაში, განსაკუთრებით ნათლად მოწმობს, რომ ქვეყნის ჯანსაღი ძალები, მშრომელები მტკიცედ ემხრობიან გარდაქმნას. დაჩქარებას, მომწიფებული პრობლემების დაუყოვნებლივ გადაწყვეტს, უძრაობისა და კონსერვატიზმის უცილობელ დაძლევას.

ყოველი პლენუმი, რომელიც საფუძვლიანად იმსჯელებს საზოგადოებრივი ცხოვრებისა და საქმიანობის ამა თუ იმ დარგში არსებულ მდგომარეობაზე, ნაკლოვანებათა გამოსწორებისათვის, უკეთ მუშაობისა და ახალ წარმატებათა მოპოვებისათვის რაზმავს ადამიანებს, თავისებურად გამორჩეული მოვლენაა ჩვენი ქვეყნის პარტიული ორგანიზაციის ცხოვრებაში. მაგრამ გარდაქმნის გზაზე სკკპ ცენტრალური კომიტეტის ივნისის (1987) პლენუმი, რომელმაც განიხილა საკითხი „პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში“, მაინც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია.

„პლენუმი თითქმის ამთავრებს გარდაქმნის მთლიანი კონცეფციის შემუშავებას, — აღნიშნავს მ. ს. გორბაჩოვი, — მაგრამ მთავარი მართოდენ თეორიული მხარე ზომ არ არის მთელი მისი მნიშვნელობის მიუხედავად. ახლანდელი პლენუმის პოლიტიკური მნიშვნელობა ის არის, რომ მას პრაქტიკულ სიბრტყეში გადმოჰყავს გარდაქმნის იდეები, თანაც გადამწყვეტ საზოგადოებრივ სფეროში — ეკონომიკურში, რომელიც ხალხის ცხოვრების საფუძველთა საფუძველს ეხება“¹⁶.

მ. ს. გორბაჩოვის მიერ პლენუმზე გაკეთებულ მოხსენებაში მარქისტულ-ლენინურად არის გაანალიზებული დღევანდელ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესები, მკაფიოდ და დამაჯერებლად არის ნაჩვენები, რომ საჭიროა სახალხო მეურნეობის მართვის სრულყოფა, სოციალიზმის შესაძლებლობათა უფრო სრული გამოყენება. შეჯამდა მართვის მთლიანი სისტემის პოლიტიკური, ეკონომიკური და სამართლებრივი საფუძვლების შექმნისათვის გაწეული უდიდესი მუშაობის შედეგი. პლენუმის ღრმა აზრი, დასკვნებისა და დებულებების არსია მართვის დემოკრატიზაციის, როგორც ქვეყნის სახალხო მეურნეობის დინამიკური განვითარების გადამწყვეტი პირობის, ყოველმხრივი დასაბუთება.

პლენუმზე მიღებული ეკონომიკის მართვის რადიკალური რეფორმის პროგრამით განსაზღვრულია მართვის სისტემის სრულყოფის ძირითადი მიმართულებები:

— ეკონომიკური ზრდის ორიენტაციის შეცვლა შუალედურიდან საბოლოო, სოციალურად მნიშვნელოვანი შედეგების მისაღწევად საზოგადოებრივ მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად;

— საზოგადოების, კოლექტივისა და თითოეული მუშაკის ინტერესების ორგანული შეხამება, ადამიანის ყოველმხრივი განვითარება, საბჭოთა ხალხის კეთილდღეობისთვის ბრძოლად ახალი დონის მიღწევა.

— მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გადაქცევა ეკონომიკური ზრდის მთავარ ფაქტორად;

¹⁶ სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის საბოლოო სიტყვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე 1987 წლის 26 ივნისს (გაზ. „კომუნისტა“, 1987 წლის 28 ივნისი).

— შეწონასწორების უზრუნველყოფა, მატერიალური რესურსებისა და სამომხმარებლო დოვლათის იმ დეფიციტურობის დაძლევა, რომელიც აბრკოლებს მეურნეობის ეფექტიან გაძლიერებას.

— მომხმარებლისათვის სამეურნეო ურთიერთობაში. პრიორიტეტის, ეკონომიკური არჩევანის უფლებებისა და შესაძლებლობების მინიჭება.

— სახალხო მეურნეობის და, უწინარეს ყოვლისა, მისი ძირითადი რგოლის — საწარმოს (გაერთიანების) ფუნქციონირების საიმედოდ მოქმედი ხარჯთსაწინააღმდეგო მექანიზმის შექმნა.

ქვეყნის ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის დედაარსია ყველა დონეზე გადავიდეთ ხელმძღვანელობის უპირატესად ადმინისტრაციული მეთოდებიდან ეკონომიკურ მეთოდებზე, ინტერესების მართვასა და ინტერესების მეშვეობით მართვაზე. მმართველობის ფართო დემოკრატიზაციაზე, ადამიანის ფაქტორის ყოველმხრივ გააქტიურებაზე¹⁷.

პარტია ჭეშმარიტად ლენინური პოზიციებიდან მიუდგა და შეიმუშავა მართვის თვისებრივად ახალი მთლიანი სისტემა, როგორია მისი ყველა დამახასიათებელი ნიშნები?

— ჯერ ერთი, ეს არის საწარმოთა (გაერთიანებათა) დამოუკიდებლობის საზღვრების მკვეთრი გაფართოება. მათი გადაყვანა სრულ სამეურნეო ანგარიშსა და თვითდაფინანსებაზე, უმაღლესი საბოლოო შედეგებისათვის, მომხმარებელთა წინაშე ნაკისრ ვალდებულებათა შესრულებისათვის პასუხისმგებლობის ამაღლება.

— მეორე, ეკონომიკის ცენტრალიზებული ხელმძღვანელობის ძირეული გარდაქმნა, სახალხო მეურნეობის განვითარების სტრატეგიის, ტემპისა და პროპორციების, მისი შეწონასწორების განმსაზღვრელი მთავარი პროცესების ცალკე გამოყოფა და იმავდროულად ცენტრის საბოლოო განთავისუფლება ქვემდგომი სამეურნეო რგოლების ოპერატიულ საქმიანობაში ჩარევისაგან.

— მესამე, დაგეგმვის, ფასწარმოქმნის, საფინანსო-საკრედიტო მექანიზმის კარდინალური რეფორმა. გადასვლა წარმოების საშუალებათა საბითუმო ვაჭრობაზე და მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის, საგარეო-ეკონომიკური ურთიერთობის, შრომისა და სოციალური პროცესების მართვის გარდაქმნა.

— მეოთხე, ახალი ორგანიზაციული სტრუქტურების შექმნა, რომლებიც უზრუნველყოფენ საპეციალიზაციის გაღრმავებას და კოოპერაციული ურთიერთობის საიმედოობის განმტკიცებას, აგრეთვე მეცნიერების უშუალო ჩართვას წარმოებაში.

— მეხუთე, გადასვლა მმართველობის მეტისმეტად ცენტრალიზებული სისტემიდან დემოკრატიულ სისტემაზე, თვითმმართველობის განვითარება, ადამიანის პიროვნების პოტენციალის გააქტიურების მექანიზმის შექმნა, პარტიული, საბჭოთა, საზოგადოებრივი და სამეურნეო ორგანიზაციების ფუნქციების მტკიცე გამიჯვნა და მათი საქმიანობის სტილისა და მეთოდების ძირეული შეცვლა.

აღნიშნულ პლენუმზე ხაზგასმით აღინიშნა, რომ სახალხო მეურნეობის

17 იხ. საინფორმაციო ცნობა საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის შესახებ, ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის ძირითადი დებულებანი, გაზ. „კომუნისტი“, 1987 წლის 27 ივნისი.

მართვის, მთლიანად სამეურნეო მექანიზმის გარდაქმნა ახლა ცენტრალური ამოცანაა, რომელიც განსაზღვრავს დაჩქარების მთელი სტრატეგიის წარმატებას. მისი განხორციელება უმნიშვნელოვანესი საერთო-პარტიული, საერთო-სახალხო საქმეა, ქვეყნის მთელი ცხოვრების განახლების პროცესის განუყოფელი შემადგენელი ნაწილია, პირდაპირი განგრძობა, თანმიმდევრული განხორციელება ოქტომბრის საქმისა.

მიუხედავად დიდი წინააღმდეგობებისა ჩვენი პარტია და საბჭოთა ხალხი ოპტიმისტურად არის განწყობილი, ვინაიდან „გარდაქმნა — ეს არის პასუხი დროის ისტორიულ გამოწვევაზე, — აღნიშნავს მ. ს. გორბაჩოვი, — ჩვენი პარტია, ჩვენი ხალხი შეძლებენ ისე უპასუხონ მას, როგორც უპასუხეს თავის დროზე, როდესაც მოახდინეს უდიდესი სოციალური რევოლუცია, ააშენეს სოციალიზმი, მოიპოვეს მსოფლიო-ისტორიული გამარჯვება დიდ სამამულო ომში. ასე იყო მუდამ, როდესაც ჩვენ წინაშე ისტორიული არჩევანის ამოცანები დგებოდა. ასე იქნება ახლაც“¹⁸.

З. Ш. ХОНЕЛИДЗЕ, Г. Г. ДАРДЖАНИЯ

НАУЧНЫЕ ОСНОВЫ УПРАВЛЕНИЯ НАРОДНЫМ ХОЗЯЙСТВОМ И НЕКОТОРЫЕ ВОПРОСЫ ЕГО ДАЛЬНЕЙШЕГО СОВЕРШЕНСТВОВАНИЯ

Резюме

На пути развития советского общества большие изменения происходят в структуре управления народным хозяйством. Исходя из этого, КПСС особое внимание обращает на совершенствование форм и методов управления народным хозяйством. Такой подход основывается на марксистско-ленинском учении о характере общественного производства.

Вместе с тем, на XXVII съезде КПСС было отмечено, что «...мы находимся лишь в начале пути. Для перестройки хозяйственного механизма в условиях нашей страны с ее огромной и сложной экономикой требуются время и энергичные усилия. Могут быть трудности, не гарантированы мы и от просчетов, но все же главное сейчас — целеустремленно, шаг за шагом двигаться в избранном направлении, дополняя и совершенствуя хозяйственный механизм на основе накопленного опыта, устраняя все отжившее или не оправдавшее себя».

Таким образом, наша партия решительно перестраивает то, что устарело, изжило себя. Глубокое понимание этой задачи партийным активом, всеми кадрами, ее осознание широкими массами — необходимое условие успеха, отправной пункт в исключительно ответственном деле совершенствования системы управления народным хозяйством на современном этапе.

¹⁸ პარტიის ამოცანები ეკონომიკის მართვის ძირეული გარდაქმნის საქმეში, სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის მ. ს. გორბაჩოვის მოხსენება სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1987 წლის 25 ივნისს, გაზ. „კომუნისტი“, 1987 წლის 28 ივნისი.

აგრარული საკითხი გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე

მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების მიხედვით, ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს საკითხს აგრარული საკითხი წარმოადგენს.

აგრარული პრობლემა მოიცავს შემდეგ ძირითად საკითხებს: 1. მიწის-მფლობელობის და მიწაზე საკუთრების ფორმების; 2. მიწათმოქმედთა, ანუ გლეხური მეურნეობის, გლეხთა მდგომარეობის; 3. აგროკულტურის განვითარებისა და მისი დონის და 4. სოფლისა და ქალაქის ურთიერთობის საკითხება. ისინი მჭიდროდაა ერთმანეთთან დაკავშირებული. მაგრამ, ამა თუ იმ ჭეყანაში, ამა თუ იმ ეპოქაში ხან ერთი საკითხი დომინირებს, ხან მეორე, ხან კიდევ რამდენიმე ერთად.

მიწის საკითხი უძველესი საკითხია. რუსეთში იგი განსაკუთრებული სიმძაფრით 1861 წლის საგლეხო რეფორმის შემდეგ წარმოიშვა (საქართველოში 1864 წლიდან). საგლეხო რეფორმამ ვერ გადაწყვიტა ეს საკითხი. ფეოდალური მიწათმფლობელობა რუსეთში დიდხანს შემორჩა, ბატონყმობის გადმონაშთები სერიოზულად აფერხებდნენ რუსეთის სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებას. კიდევ მეტი, ჩამონატყრების სახით გლეხობამ მიწის ფართობის თითქმის 1/5 დაკარგა და მიწის სიმცირეს მწვავედ განიცდიდა.

ჭეყენის ეკონომიკური ჩამორჩენილობა, ფეოდალიზმის გადმონაშთების არსებობა აგრარულ საკითხს განსაკუთრებულ, თავისებურ ხასიათს ანიჭებდა 1905—1907 წლების ბურჟუაზიულ-დემოკრატიულ რევოლუციაში.

XX საუკუნის დასაწყისისათვის თვალსაჩინო გახდა რუსეთში სოციალურ-ეკონომიკური წინააღმდეგობების უკიდურესი გამწვავება. ძირეული წინააღმდეგობა მდგომარეობდა მრეწველობაში უაღრესად განვითარებულ, მიწათმოქმედებაში მნიშვნელოვნად განვითარებულ კაპიტალიზმსა და მიწათმფლობელობის ძველ, შუასაუკუნეობრივ ფორმებს შორის. ამ მდგომარეობიდან გამოსავალი შეიძლებოდა ყოფილიყო მხოლოდ ძველი მიწათმფლობელობის მძაფრი მსხვერვა. ვ. ი. ლენინი წერდა: „აგრარული საკითხი რუსეთში არის საკითხი ძველი, შუასაუკუნეობრივი, როგორც მემამულური. ისე ნაღვლიური გლეხური მიწათმფლობელობის მძაფრი დამსხვრევისა, რაც აბსოლუტურად აუცილებელი გახდა ამ მიწათმფლობელობის უკიდურესი ჩამორჩენილობის გამო, იმის გამო, რომ იგი და მთელი სისტემა სახალხო მეურნეობისა, რომელიც კაპიტალისტური გახდა, სრულებით აღარ შეესაბამებია ერთმანეთს“¹.

¹ Трапезников С. П., Ленинизм и аграрно-крестьянский вопрос, I, М., „Мысль“, 1965, გვ. 5.

2. ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 77.

2. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1988, № 1

საქართველოში უფრო ჰარბად შემორჩა ბატონყმური ურთიერთობის გადმონაშთები, ვიდრე რუსეთში. ამის გამო საქართველოს სოფელში კაპიტალისტური ურთიერთობები ძალზე ნელი ტემპით ვითარდებოდა. საქართველოში, ისევე როგორც რუსეთის სხვა განაპირა მხარეებში, არ ვრცელდებოდა მრავალი კანონი და დებულება, რომლებიც რეფორმების შედეგად მოქმედებდნენ რუსეთის შიდა გუბერნიებში. მაგალითად, საქართველოში არ შემოიღეს ერობა (თვითმმართველობა), არ იყო ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, იდეენებოდა ქართული ენა როგორც სახელმწიფო დაწესებულებებში, ასევე სკოლებში და ა. შ. რუსეთის მთავრობა საქართველოს მართავდა მოძველებული კანონებით და საგანგებო დებულებებით.

რეფორმის შემდეგ ფეოდალურ-ბატონყმური ჩაგვრა კიდევ უფრო გაძლიერდა. დროებით გადებული საბატონყმო ვალდებულებათა გასტუმრებას გულისხმობდა, ამას ემატებოდა მიწის გამოსყიდვის გადასახადები. ახალი კაპიტალისტური ურთიერთობები ნელი ტემპით იკავადნენ გზას. საქართველოს გლეხობა, ისე როგორც მთელი რუსეთის გლეხობა, მტკიცედ იბრძოდა ფეოდალიზმის გადმონაშთების წინააღმდეგ.

ქართველი გლეხობა რეფორმის შემდგომ პერიოდში სოციალური დიფერენციაციის პროცესს განიცდიდა. საშუალო გლეხობა იშლებოდა სოფლის ბურჟუაზიად და სოფლის პროლეტარებად. ეს გახდა იმის საფუძველი, რომ საქართველოში, ისევე როგორც რუსეთში, გლეხთა საკითხის გადაწყვეტის მრავალგვარი თვალსაზრისი და პროგრამა იქნა შემუშავებული.

გლეხთა ინტერესების დაცვას ცდილობდნენ რევოლუციური დემოკრატები, ხალხოსნები (ნაროდნიკები). ესერები, სოციალისტ-ფედერალისტები და სხვ. მაგრამ, მათი კონცეფციები და იდეები უტოპიური და მცდარი იყო, გლეხთა ინტერესების დაკმაყოფილების რეალურ გზას ისინი ვერ ხედავდნენ და საკითხის მეცნიერულ გადაწყვეტას ვერ იძლეოდნენ.

ერთადერთი თეორია, ერთადერთი რეალური პროგრამა გლეხთა საკითხის გადაწყვეტისა ეს იყო მარქსისტული, სოციალ-დემოკრატიული პროგრამა, შემუშავებული ვ. ი. ლენინის მიერ. ვ. ი. ლენინმა აგრარულ-გლეხური საკითხის გადაწყვეტა დაუკავშირა პროლეტარიატის რევოლუციურ ბრძოლას, პროლეტარული რევოლუციის გამარჯვების ამოცანებს და ამით პერსპექტიულ, რეალურ საფუძველზე დააყენა იგი.

ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა მემარცხენე მიმდინარეობის იდეები აგრარულ საკითხში მკაფიოდაა ასახული გაზეთების „გლეხისა“ (1906) და „მიწის“ (1906—1907) ფურცლებზე. იმისათვის, რომ მკითხველმა ნათლად წარმოიდგინოს საქართველოს გლეხური დემოკრატიის იდეები აგრარულ საკითხში, ფართოდ განვიხილავთ აღნიშნულ გაზეთებში მოტანილ მასალას.

საგლეხო რეფორმა ანუ ბატონყმობის გაუქმება რუსეთში მეტად თავისებურ პირობებში მოხდა. არსებითად ეს იყო ბურჟუაზიული ხასიათის რეფორმა, მაგრამ იგი მეფემ და მემამულეებმა გაატარეს. აქედან ცხადია, ამ რეფორმას არ შეიძლებოდა ჰქონოდა (და არც ჰქონდა) ბოლომდე ბურჟუაზიული ხასიათი. იგი გატარდა არა „ამერიკული გზით“, რომელიც ერთბაშად და საფუძვლიანად ანგრევს ფეოდალურ-ბატონყმურ წყობილებას, ფართო გზას უხსნის ფერმერულ, კაპიტალისტურ მეურნეობათა განვითარებას, არამედ „პრუსიული გზით“, რაც გულისხმობს რეფორმის ნახევრულობას, ფეოდა-

ლიზმის გადმონაშთების შენარჩუნებას და კაპიტალიზმის შემაფერხებელი ფაქტორების დატოვებას.

საგლეხო რეფორმა წინააღმდეგობრივი და რთული მოვლენა იყო. მისი ისტორიული შეფასება გულისხმობს დადებითი და უარყოფითი მხარეების წარმოჩენას, მისი რეალური ხასიათის განსაზღვრას.

გაზეთები „გლეხი“ და „მიწა“ არა ერთხელ ახსენებენ მკითხველს ამ მოვლენას. კიდევ მეტი, მათ ფურცლებზე გამოქვეყნებულია სპეციალურად ამ მოვლენისადმი მიძღვნილი სტატიები: „გლეხების განთავისუფლება (ცხრამეტი თებერვალი)“, „როგორ მოატყუეს ხალხი ცხრამეტ თებერვალს“. „ბატონყმობის გადავარდნა“. „ჩვენი დედინაცვალი“ და სხვ.

გაზეთები კარგად ხედავენ საგლეხო რეფორმის დადებით მხარეს. ისინი თვლიან, რომ „ამ დღეს მოისპო რუსეთში ბატონყმობა და განთავისუფლდნენ გლეხები მონობისაგან. დაიმსხავრა ბორკილები, გლეხმა მოიხსნა მძიმე უღელი და თავისუფლათ მოითქვა სული“³.

სტატიაში „გლეხების განთავისუფლება“ ავტორი რეფორმის მნიშვნელობას ხედავს გლეხის პიროვნული მდგომარეობის გაუმჯობესებაში. გლეხი ადამიანად იქცა, გამოფხიზლდა, ამოძრავდა. „მართალია, დღეს გლეხს არა აქვს სრული თავისუფლება, მაგრამ ცხრამეტს თებერვალს იმის თავისუფლება მაინც მოიპოვა, რომ აღარ არის სხვისი მონა და ყმა“⁴.

ავტორი გატაცებულია 19 თებერვლის ქება-დიდებათ: „მაშინ გაგვიტენდა თავისუფლების პირველი დღე!“ აცხადებს იგი, მაშინ „დაედვა საძირკველი ჩვენს თავისუფალ ცხოვრებას“.

ავტორი თვლის, რომ მისი დროის გლეხთა მძლავრი მოძრაობა, ბრძოლა მიწისა და თავისუფლებისათვის არ იქნებოდა, „რომ ცხრამეტ თებერვალს არ დამსხვრეულიყო ბატონყმობის ბორკილი და გლეხებს არ გადაეგდოთ კისრიდან ბატონების უღელი“. ახლა, მისი აზრით, საჭიროა ბრძოლა სრული თავისუფლებისათვის, მთელი მიწისათვის.

საგულისხმოა, რომ სტატიის ავტორი რეფორმის მიზეზად გლეხთა მღელვარებას, მათ ანტიბატონყმურ ბრძოლას თვლის და ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ მთავრობა სწორედ გლეხთა კლასობრივი ბრძოლის გაძლიერებამ გახადა იძულებული გაეუქმებინა ბატონყმობა.

„გლეხების უკმაყოფილებამ რომ უფრო და უფრო იმატა და გამწარებულს გლეხებს დიდი არეულობა რომ უნდა მოეხთინათ, მთავრობა შეშინდა და გამოაცხადა ბატონყმობის მოსპობა“⁵.

რა შეიძლება ითქვას აქ მოტანილი შეხედულების შესახებ?

ბატონყმობის გაუქმებას რომ დადებითი მნიშვნელობა ჰქონდა ამის უარყოფა არ შეიძლება. ამ აქტმა ხელი წეუწყო ახალი წყობილების. კაპიტალისტურ ურთიერთობათა განვითარების გარკვეულ დაჩქარებას, მოხსნა ამ პროცესის წინაშე აღმართული არაერთი დაბრკოლება.

ის რაც აღნიშნულია გაზეთში არსებითად სწორია, მაგრამ, რა თქმა უნდა, არასაკმარისია. გაზეთის კორესპონდენტებს არა აქვთ ღრმად და საფუძვლიანად შეფასებული საგლეხო რეფორმის სოციალურ-ეკონომიკური მნიშვნელო-

3 გაზ. „მიწა“, 1907 წ., № 8.

4 იქვე.

5 იქვე.

ბა. ისინი კმაყოფილებიან გლეხთა პიროვნული თავისუფლების აღნიშვნით, იმ დროს, როცა გარდა ამ ჰუმანური შედეგისა, რეფორმამ დიდი როლი შეასრულა ქვეყნის სოციალური და ეკონომიკური განვითარების დაჩქარებაში (ხელი შეუწყო დაქირავებული შრომის ბაზრის შექმნას, ფერმერულ მეურნეობათა განვითარებას და ა. შ.). ყუთადღებას იქცევს ისიც, რომ სტატიის ავტორი გადაჭარბებით აფასებს მეფის მანიფესტის „განმათავისუფლებელ“ მისიას. თვლის მას თავისუფლების პირველ დღედ. გლეხთა თანამედროვე ბრძოლის დასაწყისად და ა. შ. როგორც ქვემოთ დავინახავთ, ეს არც ისე არსებითი ხასიათის „განთავისუფლება“ იყო, რომ მას ასეთი დიდი მნიშვნელობა მიენიჭოს, როგორც სტატიის ავტორი მიიჩნევს.

კახეთ „მიწის“ იმავე ნომერში, სადაც გამოქვეყნებულია ზემოხსენებული წერილი — „გლეხების განთავისუფლება (ცხრაშეტი თებერვალი)“, მოთავსებულია მეორე წერილი საგულისხმო სათაურით: „როგორ მოატყუეს ხალხი ცხრაშეტი თებერვალს“. ეს სტატია ეძღვნება საგლეხო რეფორმის უარყოფით შედეგებს, მის მანკიერ მხარეებს.

რაში ხედავს ავტორი (დ. ნახუცრიშვილი — ა. ნ.) რეფორმის უარყოფით შედეგებს? უპირველეს ყოვლისა იმაში, რომ რეფორმის დროს გლეხს „...არ მისცეს მიწა, მისივე საკუთარი მიწა: გაისტუმრეს უმიწოთ თითქმის; ვისაც მისცეს, ისე ცოტა მისცეს, რომ სათქმელად არა ღირდა... განთავისუფლების შემდეგ კი ისე მოხდა, რომ მიწა ბატონებს დარჩათ და გლეხები კი ცარიელ-ტარიელები დარჩნენ“⁶.

აქ მართებულადაა მითითებული საგლეხო რეფორმის ყველაზე მძიმე, უარყოფითი შედეგი — მიწის დატოვება მემამულეთა საკუთრებაში, მემამულური მიწათმფლობელობის, როგორც ფეოდალურ-ბატონყმური ეპოქის ერთ-ერთი გადმონაშთის დატოვება.

ავტორი ამის მიზეზსაც ასახელებს. მიზეზი ის არის, რომ ბატონყმობის გაუქმება მოხდა ზემოდან, მთავრობისა და მემამულეების მიერ. ამასთანავე ეს ავტორიც მიუთითებს, რომ მთავრობა და თავადაზნაურობა გლეხთა მედგარმა ბრძოლამ აიძულა გადაედგა ეს ნაბიჯი, მაგრამ ამას გლეხებისათვის სასურველი შედეგი არ მოჰყოლია.

ავტორი ეხება იმ შიდაწოდებრივ ბრძოლას, რომელიც გაიმართა რუსეთის თავადაზნაურობაში რეფორმის განხორციელების ფორმისა და შინაარსის საკითხზე. იგი მიუთითებს, რომ თავადაზნაურობის ერთი ნაწილი გლეხთა სრულიად უმიწოდ განთავისუფლებას ითხოვდა, ამასთან გარკვეული ფულადი კომპენსაციით. მეორენი კი, „უფრო გონიერები“ შენიშნავს ავტორი, თვლიდნენ, რომ გლეხებს ცოტაოდენი მიწა უნდა მიეცესო. ჯერ ერთი იმიტომ, რომ თავიდან აეცილებინათ გლეხების საყოველთაო აჯანყება „ხალხი ხომ ყველას ამოგვეკლეთავს, აღარც მიწას დაგვანებებს და საქმეც უფრო აიწეწება“ და მეორე იმიტომ, რომ გლეხს შეძლებოდა გადასახადის გადახდა ხაზინისათვის — „ხალხს თუ მიწა არ ექნება, გადასახადი როგორღა გადაიხადოს ხაზინის სასარგებლოდ“⁷.

გლეხს მიწა მისცეს („ნადელი“), მაგრამ არა საკუთრებაში, არამედ სარგებლობაში და დაავალეს გამოეყიდა იგი, ფასიც მებატონეებმა და მთავრო-

6 გაზ. „მიწა“, 1907 წ., № 8.

7 იქვე.

ბამ განსაზღვრეს. ამ გზით გლეხის განთავისუფლება თანდათანობით მოხდებოდა. „მანამდის კი მოვალენი იყვენენ, ჩვენი ბრძანებაც აღასრულონ ხოლმე — ვუწოდოთ — დროებით ვალდებულნი“. ამასთან, მიწა ისე ცოტა უნდა მიეცეთ, რომ „გლეხს მუდამ აკლდებოდეს დასამუშავებლად მიწა და ჩვენგან მოუხდეს ღალით აღებაო“⁸.

ამრიგად, ასკენის ავტორი, „თუმცა გლეხი ბატონს მოაშორა ამ მანიფესტმა, მაგრამ სამაგიეროდ გლეხს მიწა ჩამოაშორა. ასე რომ თუმცა ბატონი უგლებით დარჩა, გლეხი კიდევ უმეწოთ დასტოვეს“⁹.

აქედან გამომდინარე, რეფორმამ ვერ უზრუნველყო აგრარული საკითხის გადაჭრა, ვერ მოხსნა ის წინააღმდეგობა. რომელიც წარმოიშვა რუსეთში საწარმოო ძალებსა და წარმოებით ურთიერთობებს შორის.

„ბატონყმობა მოისპო ქალაღზე, — წერდა ამავე საკითხთან დაკავშირებით გაზეთ „გლეხში“ ს. ფირცხალავა; — ნამდვილათ კი არსებობდა და გლეხი ისევ ყმა იყო მემამულისა...“¹⁰.

რატომ ვერ გადაჭრა რეფორმამ აგრარული საკითხი? დ. ნახუცრიშვილის აზრით, ამის მიზეზი გლეხების შეუგნებლობა იყო. გაუნათლებელი. შეუგნებელი გლეხი ენდობოდა მთავრობას (მეფეს) და მოტყუებული დარჩა. რეფორმის წინადროის ხალხის უკმაყოფილება არ გადაიზარდა აჯანყებაში. ხალხმა არ დაამხო მეფის ხელისუფლება და არ დაამყარა დემოკრატიული თავისუფლება ისევე, როგორც ეს. მაგალითად, საფრანგეთში მოხდა.

„განთავისუფლების წინა წლებში გლეხკაცობაში მოძრაობა დაიწყო ბატონების წინააღმდეგ.... ამ მოძრაობამ ბატონებიც და მთავრობაც ისე შეაშინა, რომ იფიქრეს: მოდი ჩვენვე მივცეთ თავისუფლება, რასაც თხოულობდნ. თორემ თუ მოთმინების ძაფი გაუწყდათ და აგვიჯანყდნენ ყმები... მეტსაც წავუგვლეჩავენო...“ და მართლაც ასე მოხდა. ხაფანგი იყო დაგებული 19 თებერვლის მანიფესტში“ და გლეხი გაება მასში. „ვინ იცის ჯერ კიდევ სანამდის დასტანჯავს და დაბეჩავენულად ატარებს რუსეთის და მასთან ჩვენს გლეხკაცობას ის მანიფესტი, თუ ხალხი ფხიზლად არ იქნება მუდამ და არ განავრძობს ბრძოლას“¹¹.

ამრიგად, გაზეთის მასალებში სწორადაა მითვითებული გლეხების უმიწოდ განთავისუფლების მთელი უსამართლობა და მძიმე შედეგები. საკითხის ეს მხარე, უნდა ითქვას, სწორადაა დაზუსტებული და შეფასებული. სწორადაა შენიშნული აგრეთვე დროებითვალდებულების დაწესების ანტიგლეხური სასიათი და მნიშვნელობა. გლეხი არსებითად ძველებურად, ყმურად ემსახურებოდა ბატონს და უხდიდა მას გადასახადებს, სანამ ნადელის გამოსყიდვას არ მოახერხებდა.

საგულისხმოა ის ფაქტი, რომ 1861 წლის საგლეხო რეფორმაზე მასალების ავტორები ამასთანავე გლეხობის მოსარჩლე მოღვაწეთა საქმიანობას გამოგვეცემენ რეფორმის მომზადებისა და გატარების პერიოდში. აი, რას წერს დ. ნახუცრიშვილი: „თუმცა მაშინდელმა განათლებულმა კაცებმა, სოციალისტებმა ბევრი სწერეს, ბევრი აურზაური ასტეხეს, ხალხს ატყუილებდნო. გლეხს

⁸ გაზ. „მიწა“ 1907 წ., № 8.

⁹ იქვე.

¹⁰ გაზ. „გლეხი“, 1906 წ., № 3.

¹¹ გაზ. „მიწა“, 1907 წ., № 8.

მიწას არ აძლევენ. თუმცა მიწა სულ გლეხისა არისო, მაგრამ გამგონი არავენ იყო, ხალხი შეუგნებელი იყო, მეფე ისე სწამდა როგორც ღმერთი. ენდობოდა კიდევ მას და ამიტომ საბრალო თავგამოდებული მაშინდელი სოციალისტების წერა და სიტყვა ტყუილად დაიკარგა, თვითონაც თან გადაჰყენენ თავიანთ აზრებს, თავი შესწირეს გმირულად ხალხისათვის კეთილის სურვილს¹². ამ სიტყვებში ჩვენ ვხედავთ დიდი რევოლუციური-დემოკრატიების. სოციალისტ-უტოპისტების ღვაწლის შეფასებას, მათი ბრძოლის დიდი მნიშვნელობის აღნიშვნას. მათი მარცხის მიზეზების სწორ მითითებას. გლეხებმა, მართლაც, ვერ გაუგეს რევოლუციონერ-დემოკრატებს. არ გაჰყენენ მათ, სწამდათ მეფის და მოტყუებულნი დარჩნენ.

ამრიგად, გაზეთები ნათელ წარმოდგენას გვიქმნიან რეფორმის დადებით და უარყოფით მხარეებზე. აგრარულ საკითხში ძირითადად სწორ აზრებს გვაწვდიან რეფორმის შესახებ. საგლეხო რეფორმა მათ მიაჩნიათ 60-იანი წლების წინა ხანების რევოლუციური სიტუაციით გამოწვეულ მნიშვნელოვან პოლიტიკურ მოვლენად. ამასთან, რეფორმა შეფასებულია როგორც ხალხის მოტყუების ფაქტი. რეფორმამ ვერ გაამართლა გლეხობის იმედები, რადგან იგი გატარდა ზემოდან, მეფის ხელისუფლებისა და მემამულეთა მიერ, იგი ბატონყმურ ხასიათს ატარებდა. გაზეთების აზრით, მართალია, ყმა-გლეხი პირადად განთავისუფლდა ბატონყმური უფლისაგან. მაგრამ ის თითქმის ყველგან უმიწოდ დარჩა, რის გამოც კიდევ უფრო მძიმე ეკონომიკურ მდგომარეობაში ჩავარდა, ვიდრე მანამდე იყო. რეფორმამ არსებითად ხელუხლებელი დატოვა მემამულეთა მიწათმფლობელობა და სწორედ ამან განაპირობა 1905--1907 წლების რევოლუციაში გლეხობის მისწრაფება — რევოლუციურად გადაეწყვიტა რეფორმის მიერ გადაუჭრელი აგრარული საკითხი. გაზეთები მახედნენ იმ დიდ აზრს, რომ 1861 წლის შედეგად წარმოიშვა 1905 წელი.

საინტერესოა აღინიშნოს, რომ გაზეთები უყურადღებოდ არ ტოვებენ სხვა ბურჟუაზიულ რეფორმებსაც, რომლებიც გატარდა 60-იანი წლებში, და, რაც განსაკუთრებით საყურადღებოა. განიხილავენ მათ საქართველოს მიმართ, კერძოდ, მათ გაუტარებლობას საქართველოში.

წერილში „ჩვენი დედინაცვალი“ ამ საკითხზე საგანგებო მსჯელობას ვხვდებით და მიზანშეწონილია ეს ადგილი მოვიტანოთ მთლიანად.

„ამ ორმოციოდე წლის წინათ რუსეთში ბატონყმობა გადავარდა და რუსის გლეხი ბატონისაგან თითქმის სრულიად განთავისუფლდა. ამ წყალობამ საქართველომდისაც ჩამოახწია. მაგრამ იმას წყალობისა აღარა ეცხორა: რუსეთის მთავრობამ ჩვენი გლეხისთვის სრული თავისუფლება არ გაიმეტა, ერთი ხელი გაუხსნა, მეორე კი ისევ ბატონს შერჩა. მას აქეთ გლეხი ნახევრად ისევ ყმა არის და ძველებურად — ჩვენებურად ისევ ათასნაირ ბეგარას აძლევს თავის „ბატონს“. ბევრჯელ სთხოვა ქართველმა ხალხმა სრული თავისუფლება, ბატონ-ყმობის კვალის აღმოფხვრა. მაგრამ ჩვენმა დედინაცვალმა ჩვენთვის არ მოიცალა და ისევ ჩვენ კისრიდან ამოდებული ორიოდ გროში არ გაიმეტა სანადელო მიწების გამოსასყიდათ.

იმავე ხანებში მთავრობამ რუსეთისთვის შემოიღო ერობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო, ჩვენ კი ისევ ხახა მშრალები დაგვტოვა... მართალია, არც ერობა და არც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო ქვეყანას არ იხსნის, მაგრამ

სულ არარაობას... ჩვენ გაოხრებულ და აკლებულ ქვეყნისთვის ამასაც არა უშავდარა...“¹³.

„რუსეთში შემოდებულია ერობა. ესე იგი, ხალხს ნება აქვს თვითონვე განავოს თავისი შინაური საქმეები. მართალია, მთავრობა ამ ერობას ძალიან აჭერს ხელს და თავისუფლად განძრევის ნებას არ აძლევს. მაგრამ ხალხის არჩეული კაცები მაინც მუშაობენ და სოფელს ეხმარებიან. ერობას სოფელში გზები ვაჰყავს. ხალხს წამლობაში და ექიმობაში ეხმარება. სკოლებსა ხსნიან, გლეხებს კარგ ვუთნებსა და იარაღს ურიგებს და მიწის შეგუშავენას ასწავლის... ერობამ ბევრი სარგებლობა მოუტანა რუსის გლეხეცაცობას“...¹⁴.

„ჯერჯერობით კი სხვათა შორის მთავრობას პირში ჩაუვდგეთ და ვკითხოთ: სად არის მისი დაპირება? სად არის მისი სიტყვა? სად არის ერობა და ნაფიც მსაჯულთა სასამართლო? სად არის ეროვნებათა თავისუფლება და აპრობს თუ არა მთავრობა დედინაცვლობაზე ხელის აღებას და ჩვენი უფლებების დამოშლას?“

წინააწინვე ვიცით მისი პასუხი: დაიცადეთ და ყველაფერი იქნებაო, მაგრამ ას წელიწადში ჩვენ კარგად დავაფასეთ მისი სიტყვა — პირობა და ვიცით, რომ ცარიელა დაპირებიდან არაფერი გამოვა. გვეყო სხვის ხელებში ცქერა და სხვის იმედით ყოფნა. სხვა ჩვენ არაფერს მოგვცემს და მოლოდინი და იმედო სულ ტყუილია...

...ჩვენივე ხელით უნდა მოვიპოვოთ ყველაფერი, რაც გვინდა. რაც ჩვენს უფლებას შეადგენს და ურომლისოდაც გაძლება არ შეგვიძლიან“¹⁵.

ამ მასალებში აღნიშნულია და განხილულია ის განსხვავება, რომელიც არსებობდა რუსეთისა და საქართველოს საგლეხო და სხვა ბურჟუაზიულ რეფორმებს შორის, მოცემულია საქართველოში მეფის რუსეთის პოლიტიკის დახასიათება. სტატიის „ჩვენი დედინაცვალი“ ავტორი მოითხოვს ეროვნულ თავისუფლებას და თვითმმართველობას (ერობას) საქართველოში. დაპირებებისა მას აღარ სჯერა და ფიქრობს, რომ ბრძოლით უნდა იქნეს ეს ყველაფერი მოპოვებული. აქ ავტორი გამოხატავს არა მარტო ქართველი გლეხების, არამედ მთელი ქართველი ხალხის მისწრაფებას — ბოლო მოუღოს მეფის მთავრობის რუსიფიკატორულ რეჟიმს საქართველოში.

ამრიგად, 1861 წლის საგლეხო რეფორმის ისტორიული მნიშვნელობის შეფასებაში გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ მესვეურები არსებითად სწორ პოზიციებზე იდგნენ და მიუხედავად იმისა, რომ მათი მსჯელობა ზოგჯერ ზედაპირულია. ზოგჯერ მცდარიც, მთლიანობაში მათი თვალსაზრისი მართებულია და ანგარიშგასაწევი.

სავსებით დაბეჭდებით შეიძლება ითქვას, რომ ქართული დემოკრატიული აზრი 900-იანი წლებში სწორად აფასებდა საგლეხო რეფორმის ისტორიულ მნიშვნელობას, ცხადად ხედავდა მასში იმ უსამართლობათა სათავეს, რომელთა გამო რუსეთის დიდ იმპერიაში. განსაკუთრებით, მის სოფელში, გამართული იყო მძაფრი აგრარული ბრძოლა.

აგრარულ პრობლემად იგულისხმება ის სახელმძღვანელო პრინციპები და დებულებები, რომლებსაც მისდევს და ახორციელებს ესა თუ ის საზოგადო-

¹³ გაზ. „მიწა“, 1907 წ., № 13.

¹⁴ გაზ. „გლეხი“, 1906 წ., № 2.

¹⁵ გაზ. „მიწა“, 1907 წ., № 13.

ებრივ-პოლიტიკური მიმდინარეობა სოფლის მეურნეობის, სოფლის მოსახლეობის სხვადასხვა კლასის, ფენისა და ჯგუფის მიმართ.

აგრარული თეორიები (და პროგრამები) გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ჩნდება რუსეთში. ისინი რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების ბაზაზე აღმოცენდნენ და ლიბერალურ-ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული გზით განვითარდნენ. ამასთან დაკავშირებით ს. ტრაპეზნიკოვი წერს, რომ „წარმოიშვნენ რა რევოლუციურ-დემოკრატიული იდეების საფუძველზე, აგრარულმა თეორიებმა, ისტორიული განვითარების პროცესში დიდი ცვლილებები განიცადეს და გარკვეულ ეტაპზე საკმაოდ ძლიერი ლიბერალური --- ბურჟუაზიული და წვრილბურჟუაზიული გავლენის ქვეშ იყვნენ“¹⁶.

რუსეთის განვითარების ისტორიული თავისებურებების გამო აგრარულ-გლეხურმა საკითხმა ქვეყნის საზოგადოებრივ ცხოვრებაში განსაკუთრებით დიდი ადგილი დაიკავა. რუსმა ხალხოსნებმა ამ საკითხზე უზარმაზარი ლიტერატურა შექმნეს და მრავალი თვალსაზრისი წამოაყენეს. თვალსაზრისების ეს მრავალფეროვნება ძირითადად ორ კონცეფციაზე დაიყვანება: ლიბერალურ-დემოკრატიულზე და რევოლუციურ-დემოკრატიულზე. ამ კონცეფციებს ბევრი რამ ჰქონდათ საერთო და ჰქონდათ განსხვავებული დებულებებიც. საერთო იყო მიწის კერძო საკუთრების მოსპობის მოთხოვნა. მიწა არავისი არ უნდა იყოს. იგი უნდა ეკუთვნოდეს ხალხს, საზოგადოებას.

ასევე საერთო იყო მიწათმფლობელობის თემური ფორმის შენარჩუნებას მოთხოვნა. კიდევ მეტი. თემური მიწის მფლობელობის განმტკიცებისა და ფართოების მოთხოვნა.

საკითხის ლიბერალური და რევოლუციურ-დემოკრატიული გადაწყვეტა ერთმანეთისაგან კარდინალურად განსხვავდებოდა ამ მიზნების მიღწევის გზებისა და მეთოდების საკითხში. ლიბერალები ფიქრობდნენ, რომ ეს ამოცანები შეიძლება განხორციელდეს რეფორმების გზით, მეფისა და მემამულეების მხრივ დათმობების გზით. მემამულეებისათვის სათანადო ანაზღაურების პირობით. რევოლუციურ-დემოკრატები კი ამ ამოცანების შესრულებას უკავშირებდნენ მონარქიული წყობილების დამხობას მშრომელი მასების აჯანყების შედეგად. კონსტიტუციურ-დემოკრატიული წყობილების დამყარებას. ძალაუფლების გადასვლას მშრომელი მასების ხელში.

ცხადია, არც ერთი და არც მეორე გზა რეალური არ იყო. მაგრამ თუ რუსეთის ბურჟუაზიული განვითარების ინტერესებს გავითვალისწინებთ რევოლუციურ-დემოკრატთა მოთხოვნები უფრო შეესაბამებოდა ამ ინტერესებს.

აგრარული საკითხის ნამდვილი მეცნიერული გადაწყვეტა შესაძლებელი იყო მხოლოდ მარქსისტული თეორიის საფუძველზე. ვ. ი. ლენინმა რუსეთში კაპიტალიზმის განვითარების ღრმა და მეცნიერული ანალიზის საფუძველზე გლეხთა კლასობრივი დიფერენციაციის გათვალისწინებით და მეცნიერული სოციალიზმის პრინციპების მომარჯვებით მოგვცა რუსეთის პირობებში აგრარულ-გლეხური საკითხის გადაწყვეტის ერთადერთი სწორი პროგრამა. „დაუკავშირა რა აგრარული პროგრამა პროლეტარიატის კლასობრივ და პოლიტიკურ ბრძოლას ვ. ი. ლენინმა გვიჩვენა გლეხობის რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის მუშათა კლასის სოციალისტურ მოძრაობასთან შეერთების გზები“¹⁷ — წერს ს. ტრაპეზნიკოვი.

¹⁶ Трапезников С. П., დასახ. ნაშრომი, გვ. 9.

¹⁷ იქვე, გვ. 12.

მაგრამ წვრილბურჟუაზიული (ლიბერალურ-ხალხოსნური) იდეები, ისეთ აგრარულ ქვეყანაში, როგორც რუსეთი იყო, მეტად სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდნენ. რუსეთში სოციალ-დემოკრატიული, პროლეტარული განმათავისუფლებელი მოძრაობის დაწყების შემდეგაც, ისინი საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდნენ გლეხობაში. ამ პოპულარობის საფუძველი იყო მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა, რომელიც წვრილბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულების აგრარული პროგრამის ქვაკუთხედს წარმოადგენდა.

როგორც ცნობილია, მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა 1906 წელს თავიანთ პროგრამაში შეიტანეს ესერებმა, სწორედ იმის გამო, რომ ეს მოთხოვნა გლეხობის მხარდაჭერით სარგებლობდა. მიწის სოციალიზაციის იდეა შეტანილი იქნა აგრეთვე ქართველ სოციალისტ-ფედერალისტების პარტიის პროგრამაშიც. საქარველოში ამ საკითხის უფრო რევოლუციურად გადაწყვეტას მოითხოვდა სოციალისტ-ფედერალისტთა მემარცხენე ფრთა ს. ფირცხალავას მეთაურობით.

გაზეთები „გლეხი“ და „მიწა“ თავიანთ ფურცლებზე მიწის სოციალიზაციის იდეას უჭერდნენ მხარს. ეს ლოზუნგი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის ეტაპისათვის რევოლუციური იყო, რამდენადაც იგი ხელს უწყობდა გლეხთა ფართო მასების ჩაბმას რევოლუციურ მოძრაობაში.

გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე გამოქვეყნებულ მასალათა ავტორების აზრით. აუცილებელია მოისპოს მემამულური მიწის საკუთრება, მოისპოს, საერთოდ, მიწის კერძო საკუთრება. მიწა უნდა გადაეცეს გლეხებს, მიწის მუშებს.

„...პირველი საქმე გლეხისათვის მიწაა. როგორც თევზს არ შეუძლია უწყლოთ ყოფნა და ადამიანს უჭაფროთ, ისე არ შეუძლია გლეხს ცხოვრება უმიწოთ“¹⁸.

მიწაზე კერძო საკუთრება ს. ფირცხალავას ბუნებრივ უკანონობად მიაჩნია. „მიწა ქვეყნის გაჩენიდან არსებობს. მიწა არავის არ გაუყეუებია. მიწა გაჩენილია ისე, როგორც მზე, მთვარე, ჰაერი. მთელი ქვეყანა. ქვეყანა არავისი საკუთრება არაა: ჩვენ მოვსულვართ, ვცხოვრობთ, ვსარგებლობთ; მოვკვდებით, წავალთ, ქვეყანა — მიწა, მზე, ჰაერი, ისევ აქ რჩება. არავის შეუძლია სთქვას: ჩემია მზე, ჩემია ჰაერიო. ასე არავის არ შეუძლია სთქვას: მიწა ჩემი საკუთრებააო. როგორც ყველას შეუძლია გათბეს მზის სხივებით, იცხოვროს ჰაერში. ისარგებლოს ჰაერით, ისე ყველას შეუძლია ისარგებლოს მიწით, სახლი დაიდგას მიწაზე. მოჰრას ტყე, დაამუშაოს მიწა, მოხნას და დასთესოს“¹⁹.

პუბლიცისტის ამ სიტყვებში გამოსჭვივის „ბუნებითი სამართლის“ მოძღვრების გავლენა. რომლის მიხედვით, ადამიანებს ბუნებით მინიჭებული აქვთ უფლება მიწაზე, ისევე, როგორც ჰაერზე, მზეზე და ა. შ.

„ბუნებითი სამართლის მოძღვრება“ მიმართული იყო ხელისუფლებათა თვითნებობის, ძალადობისა და საერთოდ რეაქციული რეჟიმის წინააღმდეგ. ამ თეორიის მიხედვით, ადამიანებს აქვთ ბუნებისაგან მინიჭებული მთელი რიგი თანდაყოლილი უფლებები და მათი ხელყოფის უფლება არა აქვს სახელმწიფო ხელისუფლებას.

¹⁸ გაზ. „გლეხი“, 1906 წ., № 2.

¹⁹ იქვე.

ს. ფირცხალავა კონკრეტულად ასახელებს მიწის მესაკუთრეებს — მეფეს, მეფის ოჯახს, ხაზინას, ეკლესია-მონასტრებს, მემამულეებს და მოითხოვს, რომ მათ მიწა ჩამოერთვათ.

„მიწა უნდა ჩამოერთვას მეფეს და მის ნათესავენს და მემამულეებს. იმათ, რომელნიც თვითონ არ მუშაობენ მიწაზე, არ ხნავენ და არ სთესავენ. მიწა იმას უნდა ჰქონდეს, ვინც თვითონ საკუთარის მარჯვენით მუშაობს მიწაზე... სამართალი მოითხოვს, რომ მიწით უნდა სარგებლობდეს ის, ვინც მიწას დაამუშავებს, ვინც მიწაზე მუშაობს. მიწის მთელი შემოსავალიც მისი უნდა იყოს“²⁰.

მაგრამ როგორი სტატუსით უნდა გადავიდეს მიწა მიწის მუშის ხელში? აქ სტატიის ავტორი (ს. ფირცხალავა) ასე მსჯელობს: „მაგრამ მიწები საკუთრებად კი არ გადაეცემა, კი არ დაურიგდება მიწის მუშა გლეხებს. დღეს რომ გლეხებს მიწები გადავსცეთ და უთხრათ: ეს სრული თქვენი საკუთრებაა, გინდათ გაყიდეთ, გინდათ დააგირავეთ, გინდათ დაამუშავეთ, — მაშინ მალე ისეთივე უსამართლობა გაჩნდება, როგორიც დღეს არის“²¹.

ამრიგად, ყოველგვარი საკუთრება მიწაზე, არა მარტო მემამულური არამედ გლეხურიც (სანადელო) უსამართლობის წყაროდ შეიძლება იქცეს. „სოფელში ყოველთვის ერთი უფრო ღონიერია, მეორე უფრო სუსტი; ერთი უფრო მოხერხებულია, მეორე — არა. ერთს ბევრი ყავს შვილი. მეორეს — ცოტა. ხშირად რამე უბედურება შეემთხვევა გლეხს — სეტყვა მოვა, ან ჭირი გაუჩნდება საქონელს, ან ვინმე მოუკვდება, — გაჭირვებული გლეხი მაშინვე მირბის მდიდართან, თხოვს დახმარებას და უგირავენს, ან მთლად ყიდის თავის მიწას. ამას მალე ის მოყვება, რომ ზოგს სრულიად დეკარგება მიწა და ზოგი კი ბევრს შეიძენს და ვისაც მიწა ექნება, ის აუცილებლივ დაჩაგრავს უმიწო გლეხს, დაჩაგრავს ისე, როგორც მემამულეები ჩაგრავენ დღეს გლეხებს“²².

მაშასადამე, თავიდან რომ ავიცილოთ ასეთი უსამართლობა, სამუდამოდ უნდა მოისპოს მიწის საკუთრება: არ უნდა შეიძლებოდეს მისი არც გაყიდვა, არც ყიდვა. არც მემკვიდრეობით გადაცემა და არც დაგირავენა. მიწა უნდა იყოს საზოგადო კუთვნილება მთელი მუშა ხალხისა და ყველას უნდა შეეძლოს ისარგებლოს მიწით. „ამას მოითხოვს სამართალი: — ამთავრებს სტატიის ავტორი. — მიწა უნდა ჩამოერთვას ყველას, ვინც თვითონ არ მუშაობს მიწაზე, მიწა უნდა იყოს საზოგადო, მიწით უნდა სარგებლობდეს მხოლოდ ის, ვინც თვითონ საკუთარის შრომით დაამუშავებს მიწას“²³.

ამ ამონაწერში სრული სიცხადითაა გადმოცემული მიწის სოციალიზაციის მოთხოვნები, სოციალიზაციის ძირითადი დებულებები.

გაზეთები ამას მიწის გასაზოგადოებას უწოდებენ და მასზე დიდ იმედებს ამყარებენ. „...ეს დაიხსნის მხოლოდ გაჭირებულ, გაღატაკებულ მიწის მუშა გლეხობას სიღარიბისა და სიმშვილისაგან“²⁴.

²⁰ გაზ. „გლეხი“, 1906 წ., № 2.

²¹ იქვე.

²² იქვე.

²³ იქვე.

²⁴ გაზ. „მიწა“, 1906 წ., № 12.

გაზეთებში გადმოცემული ეს შეხედულებები თითქმის სიტყვასიტყვით ემთხვევა ესერთა ერთ-ერთი ლიდერის ვ. ჩერნოვის ნათქვამს მიწის სოციალისტებისა და კავშირებით²⁵.

გაზეთ „გლეხის“ № 4-ის მოწინავეში განხილულია მიწის განსაზოგადოების შედეგები.

„არავის არ შეუძლია დაესაყუთროს მიწას, ვერავინ იყიდის მიწას, ვერც გაყიდის, ვერც დააგირაუვებს, ვერც გადასცემს თავის მემკვიდრეს; ვერავინ დაეპატრონება მიწას თავის ნებით. მიწა მთელი ხალხისა იქნება. მიწა იქნება საზოგადო. საერთო საკუთრება და მხოლოდ ხალხს, საზოგადოებას, შეუძლია გადასცეს მიწა ამა თუ იმ კაცს სასარგებლოთ და დასამუშაველად...

ვის აქვს ნება ისარგებლოს მიწით? ყოველს სრულ წლოვანს ადამიანს, იქნება იგი ქალი თუ კაცი. სულ ერთია. — შეუძლია მოითხოვოს საზოგადოებისაგან მიწა დასამუშაველად იმდენი, რამდენიც საჭიროა მისი ოჯახის სარჩენად. თუ მას სხვა შემოსავალიც აქვს, მაშინ მიწა მიეცემა ნაკლები. არავის არ შეუძლია მიიღოს იმაზე მეტი მიწა, რამდენის დამუშავებას ვერ მოახერხებს თვითონ, საკუთარის ძალობით, ან თავის ოჯახის შემწეობით. მიწა შეუძლია მოითხოვოს როგორც ცალკე ადამიანს, ისე მთელს ოჯახს, ამხანაგობას, სოფელს ერთად“²⁶. შემდეგ განაგრძობს ავტორი. — მიწა შეიძლება მოითხოვონ: სახლის დასადგმელად, სხვა შენობისათვის (სახელოსნო და ა. შ.). „მიწა არავის არ გადაეცემა სამუდამოდ. მიწა მიეცემა მშრომელებს მართო დროებით. ათი თორმეტი წლის შემდეგ ყოველთვის მოხდება ხელახალი გადანაწილება. დაყოფა მიწებისა...

ვინ უნდა მოაწყოს მიწის საქმე, ვინ უნდა გაანაწილოს მიწები და ადევნოს თვალყური, რომ ყველას მიეცეს მიწა იმდენი. რამდენიც საჭიროა და რამდენის დამუშავება შეუძლია? რასაკვირველია, მიწის პატრონი და მომწესრიგებელი უნდა იყოს ის ხალხი. ვინც სარგებლობს მიწით. ვინც მუშაობს. მიწის საქმეს მოაწყობს ის, ვინც მიწაზე მუშაობს. ყოველი თემის (სოფლის) მიწას მეშები უნდა განაგებდნენ იმ მიწებს, რომლებიც მიწერილი იქნება თემზე. სოფლის ყრილობა გამოიძიებს. ვის რამდენი დასჭირდება მიწა და ისე დაურიგებს ყველას: უპატრონებს, რომ არავინ გააოხროს საზოგადო მიწა, არავინ გააფუჭოს ტყე. სოფელი შეატყობინებს სამამასახლისოს. თუ არ ეყოფა ის მიწა, რომელიც სოფელზეა მიწერილი. სამამასახლისოს მიწის მეშებმა პირადად და თავის არჩეულ რწმუნებულების შემწეობით უნდა უპატრონონ და განაგონ ის მიწები. რომლებიც მიზომილი იქნება სამამასახლისოს საჭიროებისათვის. რამდენიმე სამამასახლისო შეადგენს ერთ მაზრას და მაზრის მიწების საქმეს მოაწყობენ პირადად, ან რწმუნებულების შემწეობით მთელის მაზრის მიწის მეშები. რაც გუბერნიაში მიწებია, ამას უპატრონებენ გუბერნიის მეშები. მთელი საქართველოს მიწები უნდა განაგონ მთელი საქართველოს მეშა ხალხის არჩეულმა კაცებმა და მთელი რუსეთის მიწებს უნდა უპატრონონ მთელი რუსეთის ხალხის მიერ არჩეულმა რწმუნებულებმა.

ამგვარად, თვითონ მიწის მეშა ხალხი პირადად ან რწმუნებულების შემწეობით გაუძღვება და მოაწყობს მიწის საქმეს. აღწერს თუ სად რამდენი და როგორი მიწაა, რომელ თემს, სამამასახლისოს, მაზრას და გუბერნიას რამდენი

²⁵ იხ. Чернов В., Земля и право, 1917, вып. 1/2, გვ. 130.

²⁶ ვაზ. „გლეხი“, 1906 წ., № 4.

სკირია სახნავი მიწა, საძოვარი თუ ტყე, განაწილებს მიწებს საჭიროების დაგეგმვად, უპატრონებს საზოგადო ქონებას, ეცდება და თვალყურს ადევნებს, რომ არავინ არ დაიჩაგროს და ყოველთვის ჰქონდეს მიწა იმას, ვისაც უნდა მიწის მუშაობა“²⁷.

მოყვანილი მაგალითებიდან კარგად ჩანს, თუ როგორ წარმოედგინათ გაზეთების მესვეურებს ის აგრარული ურთიერთობები, რომლებიც უნდა წარმოქმნილიყო მესაკუთრეთაგან მიწის ჩამორთმევისა და საზოგადო. საერთო, სახალხო კუთვნილებად მისი გამოცხადების შემდეგ.

გაზეთების ფურცლებზე გამოტანილი ეს იდეები ყველაზე არსებითადაა გამოხატავენ გლეხობისა და წვრილი ბურჟუაზიის ფართო მასების ინტერესებს აგრარულ საკითხში, გადაჭრით გამოდიან მემამულური მიწათმფლობელობის წინააღმდეგ და ცდილობენ თანმიმდევრულად გაატარონ დემოკრატიზმი აღნიშნულ საკითხში.

სანამ ამ შეხედულების კრიტიკულ განხილვასა და შეფასებას შევუდგებოდეთ, საჭიროდ მიგვაჩნია, კიდევ მოვიტანოთ ერთი მასალა გაზეთიდან, რომელიც მიწის გათანაბრებითი განაწილების პრინციპს გადმოსცემს.

გაზეთ „მიწის“ № 2-ში (1906 წ.) დაიბეჭდა დ. ნახუცრიშვილის („გლეხის-შვილის“ ფსევდონიმით — ა. ნ.) წერილი, რომელშიც განიხილავს მიწათსარგებლობის რამდენიმე ფორმას — სათემოს, სანადელოს და გათანაბრებითს. ავტორი პირველი ორი ფორმის შესახებ უარყოფითი აზრისაა. ვინაიდან თვლის, რომ ერთიცა და მეორეც „...სასარგებლოა შეძლებულებისათვის და საზარალოა ღარიბი გლეხებისათვის“²⁸.

ავტორი მხარს უჭერს მიწების გათანაბრებით განაწილებას. მას მოჰყავს კახეთის რამდენიმე სოფლის მაგალითი, სადაც „ჩვიდმეტი-თვრამეტი წლის წინად დაადგინეს განაჩენები. რომლის ძალითაც სახელმწიფო მიწები სოფლის ფარგალში საერთო უნდა გამხდარიყო და ყველა კომლს თანასწორად მისცემოდა სახნავი მიწა.

ვისაც ორმოცი დღისა ჰქონდა. გინდა სულ შესყიდული ყოფილიყო, ჩამოართვეს და საერთოდ დადეს. შეძლებული გლეხები ძალიან წინააღმდეგნი იყვნენ. მაგრამ ერთობის ძალამ და მთელი სოფლის სურვილმა დასძლია, მიწები გააერთიანეს...

მიწები სასოფლოაო, გამოაცხადეს. აირჩიეს კაცები. გაზომეს. სულ რამდენი დღისა იყო. გაუნაწილეს კომლზედ და შეჰხვდა თითო კომლს ზოგს სოფელში ცხრა დღიური, მეორეში რვა დღიური და სხვა.

წინად ვისაც ოცდაათი და მეტი დღიური ჰქონდა, ახლა იმასაც ცხრა მისცეს, ვისაც ორი ჰქონდა იმასაც ცხრა. ამ მხრივ გაათანასწორეს ერთმანეთი ზემოხსენებულმა სოფლებმა.

განაწილების შემდეგ მთელი სოფელი გავიდა მინდვრად და კენჭის ყრით ღარიგდა მიწები. ვისაც რომელი მიწა ერგებოდა. იქ უნდა დამდგარიყო. კაი მიწის პატრონს რომ ხრიოკი შეხვედროდა, ხმას ვერ ამოიღებდა. ასე და ამგვარად დამყარდა ზოგიერთ გარეკახეთის სოფლებში მიწის თანასწორი სარგებლობა“²⁹.

27 გაზ. „გლეხი“, 1906 წ., № 4.

28 გაზ. „მიწა“, 1906 წ., № 2.

29 იქვე.

ყოველ ცხრა წელიწადში ხდებოდა მიწის გადანაწილება.

აი, მიწის ასეთი დანაწილება მიაჩნია პუბლიცისტის მისაღებ ფორმად მიწათსარგებლობის სფეროში. მაგრამ მიწის სოციალიზაციის მოთხოვნა არ იყო მეცნიერული, ნამდვილი სოციალისტური იდეა. ეს იყო უტოპიური, ხალხოსნური სოციალიზმის იდეა, რომელიც გამოხატავდა ქალაქისა და სოფლის წვრთი ბურჟუაზიის ფსიქოლოგიას. ამ ფსიქოლოგიის მიხედვით სოციალიზმისათვის მებრძოლი მთავარი ძალა გლეხობაა, ვინაიდან იგი ყველაზე გაჭირვებულია და ქვეყნის მოსახლეობის ყველაზე მეტ ნაწილს შეადგენს. „რას წარმოადგენს ის (გლეხი— ა. ნ.) დღეს?“ — კითხულობს გაზეთ „გლეხში“ გამოქვეყნებული ერთ-ერთი წერილის ავტორი („ბოგანო“ — ფსევდონიმი — ა. ნ.) და პასუხობს: „დღეს ის რევოლუციის დედაბოძია, დღეს მან ძირიანად უნდა შესცვალოს მთელი წესწყობილება და დაამყაროს ახალი ცხოვრება“³⁰. ეს დებულება მცდარია.

ვ. ი. ლენინი და ბოლშევიკები, როგორც ცნობილია. კრიტიკულად განიხილავდნენ მიწის სოციალიზაციის პროგრამას. ვ. ი. ლენინის აზრით, მიწის კერძო საკუთრების მოსპობა და მიწის გლეხობაში თანაბრად განაწილება ვერ შექმნის სოფლად სოციალისტურ ურთიერთობას. სასაქონლო მეურნეობის პირობებში, თუნდაც რომ გლეხები საერთო მიწაზე შრომობდნენ, კაპიტალიზმის განვითარება გარდუვალია. გლეხებისათვის წარმოების საშუალებების და იარაღების ფლობა კაპიტალიზმის ამოსავალი წერტილია. ვ. ი. ლენინი წერს: „წარმოების იარაღების ეს ფლობა გლეხობის მიერ — ისტორიულადაც და ლოგიკურადაც — სწორედ კაპიტალისტური წარმოების გამოსავალი წერტილია“³¹.

მიწის სოციალიზაციის გატარება განამტკიცებდა წვრილ გლეხურ მეურნეობას. წვრილ კაპიტალისტურ ურთიერთობებს და დაბრკოლებად იქცეოდა სოციალიზმის განხორციელების გზაზე.

ვ. ი. ლენინი სტატიაში — „სოციალიზმი და გლეხობა“ აკრიტიკებდა რა სოციალისტ-რევოლუციონერების (ესერების) და პოლონეთის სოციალისტური პარტიის (პპს) აგრარულ პროგრამებს, მიუთითებს, რომ ამ პარტიათა შეხედულებების საფუძველს წარმოადგენს რუსეთის ძველი ნაროდნიკობა, რომ ისინი ცდილობენ ნაროდნიკობის გაცვეთილი ადგილები“ მარქსიზმის მოღუტრი ოპორტუნიტული „კრიტიკის“ საკერებლებით გაამთელონ“. ვ. ი. ლენინის აზრით, ესერების აგრარული პროგრამა „შინაგანად წინააღმდეგურია, რაც რუსეთის სოციალიზმის ისტორიაში მხოლოდ ერთ-ერთ ეტაპს გამოხატავს ბატონყმური რუსეთიდან ბურჟუაზიული რუსეთისაკენ მიმავალ გზაზე „ნაროდნიკობიდან მარქსიზმზე“ გადასვლის გზაზე“³².

მაგრამ ამასთან, ეს აგრარული პროგრამა, ვ. ი. ლენინის აზრით, პროგრესული და რევოლუციურია ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. „...ახლა რუსეთი ჯერ კიდევ განიცდის თავისი ბურჟუაზიული, და არა პროლეტარული გარდაქმნის ეპოქას, — წერს ვ. ი. ლენინი, — პროლეტარიატის ეკონომიური განთავისუფლების საკითხი კი არ მომწიფდა ბოლომდე,

30 გაზ. „გლეხი“, 1906 წ., № 5.

31 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 2, გვ. 250 (სქოლო).

32 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 9, გვ. 381.

არამედ პოლიტიკური თავისუფლების, ესე იგი (არსებითად) სრული ბურჟუაზიული თავისუფლების საკითხი.

ამ უკანასკნელ საკითხშიც ნაროდნიკების უტოპია თავისებურ ისტორიულ როლს ასრულებს. იგი უტოპიაა იმ საკითხში, თუ როგორი უნდა იყოს (და იქნება) მიწების ახალი განაწილების ეკონომიური შედეგები, ხოლო ამავე დროს თანამგზავრი და ა ს ი მ პ ტ ო მ ი ა გლახა მასების დიადი, მასობრივი დემოკრატიული აღმავლობისა, ე. ი. იმ მასებისა, რომლებიც მოსახლეობის უმრავლესობას შეადგენენ ბურჟუაზიულ-ბატონყმურ. თანამედროვე რუსეთში. (წმინდა ბურჟუაზიულ რუსეთში. ისევე როგორც წმინდა ბურჟუაზიულ ევროპაში. გლახობა მოსახლეობის უმრავლესობა არ იქნება).

...ნაროდნიკების უტოპია რყენის მათს სოციალისტურ შეგნებას. ღოლო ამავე დროს თანამგზავრი, სიმპტომი, ნაწილობრივ გამომხატველიც არის მათი დემოკრატიული აღმავლობისა.

ისტორიის დიალექტიკა ისეთია, — განაგრძობს ვ. ი. ლენინი, — რომ ანტიკაპიტალისტურ საშუალებად ნაროდნიკები და ტრუდოვიკები აყენებენ და ახორციელებენ მაქსიმალურად თანმიმდევრულ და ვადამწყვეტ კაპიტალისტურ ღონისძიებას რუსეთში აგრარული საკითხის დარგში. მიწების ახალი განაწილების „გათანაბრებითობა“ უტოპიაა. მაგრამ ყოველივე ძველთან. როგორც მემამულურ, ისე ნადელურ, ისე „სახაზინო“ მიწათმფლობელობასთან კავშირის სავსებით გაწყვეტა, რაც აუცილებელია ახალი განაწილებისათვის. არის ყველაზე საჭირო, ეკონომიურად პროგრესული. ისეთი სახელმწიფოსათვის. როგორიც რუსეთია. ყველაზე აუცილებლად საჭირო ღონისძიება ბურჟუაზიულ-დემოკრატიული მიმართულებით“³³.

სხვა წერილში ვ. ი. ლენინი კიდევ უფრო დაბეჯითებით უსვამს ხაზს წვრილბურჟუაზიული „გათანაბრებითი მიწათსარგებლობის“ იდეების პროგრესულ როლს ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის პერიოდში. სტატიაში „სტოლიპინისა და ნაროდნიკების აგრარული პროგრამების შედარება“, ვ. ი. ლენინი წერს: „...მიწის გათანაბრებითი განაწილებაც“ და მისი „სოციალიზაციაც“ კაპიტალიზმის დროს შეუძლებელია. ეს უტოპიაა.

...ასეთი განაწილება კაპიტალიზმის დროს უდიდესი უაზრობაა. იგი წელიწადსაც ვერ გაძლებდა, ვერასგზით ვერ გაძლებდა კაპიტალიზმის დროს. მაგრამ ნიშნავს თუ არა ეს იმას, რომ მისი შედეგები ნული ან მინუსი იქნებოდა?

სულაც არა! მისი შედეგები უდიდესი პლუსი იქნებოდა — სრულებითაც არა ის პლუსი, რომელსაც მემარცხენე ნაროდნიკები მოელიან. მაგრამ სავსებით რეალური პლუსი. ეს პლუსი ის იქნებოდა, რომ დაიმსხვრეოდა ყოველნაირი განსხვავებანი მიწათმფლობელობის ახლანდელ წოდებრივ და თანრიგობრივ ფორმებს შორის. ეს უდიდესი მოგება იქნებოდა მთელი სახალხო მეურნეობისათვის, კაპიტალიზმისათვის, პროლეტარიატისათვის, ვინაიდან რუსეთის განვითარებისათვის იმაზე უფრო მავნე არაფერია. ვიდრე ჩვენი ძველი, ახლანდელი, მიწათმფლობელობა. როგორც მემამულური ისე. სანადელო მიწათმფლობელობა — თავიდან ბოლომდე ბატონყმური ფორმებია მიწათმფლობელობისა... ნაროდნიკების აღმშენებლობითი გეგმები უტოპიაა. მაგრამ მათი აღმშენებლობითი გეგმები შეიცავენ ნგრევის ელემენტს შუასაუკუნეობრიობის მიმართ. ეს ელემენტი კი სრულებითაც არ არის უტოპია. ეს სავ-

სებით ცოცხალი რეალობაა. ეს ყველაზე თანმიმდევრული და პროგრესული რეალობაა კაპიტალიზმისა და პროლეტარიატის თვალსაზრისით“³⁴.

დაბოლოს, იმის ნათელსაყოფად, თუ როგორ ისტორიულად და დიალექტიკურად აფასებდა ვ. ი. ლენინი გლეხობისა და გლეხური დემოკრატიის როლს, შეიძლებოდა დაგვემოწმებია მისი კაპიტალური ნაშრომი — „სოციალ-დემოკრატიის აგრარული პროგრამა რუსეთში 1905—1907 წლების პირველ რევოლუციაში“, რომელშიც ამომწურავადაა განსაზღვრული როგორც წვრილ-ბურჟუაზიულ-ნაროდნიკული მიმართულების მოაზროვნეთა, ისე ზოგიერთი მარქსისტის შეცდომების არსი. ვ. ი. ლენინი დაუფარავად ააშკარავებს იმ ზოგიერთი მარქსისტის შეზღუდულობას და თეორიულ მოუმწიფებლობას, რომლებიც სამართლიანად აკრიტიკებენ რა წვრილბურჟუაზიული შეხედულებების სოციალისტურ საფარველს, ამავე დროს ვერ ამჩნევენ ამ შეზღუდულობათა უდიდეს პროგრესულ როლს ბატონყმური წყობილებისა და მისი ნაშთების წინააღმდეგ ისტორიულ ბრძოლაში.

„ზოგიერთი მარქსისტის შეცდომა ის არის — წერს ვ. ი. ლენინი. — რომ ნაროდნიკობის თეორიის გაკრიტიკების დროს ვერ ამჩნევენ მის ისტორიულ-რეალურ და ისტორიულ-გეგმაშეწონილ შინაარსს ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში. აკრიტიკებენ და სამართლიანადაც აკრიტიკებენ „შრომითს საწყისს“ და „გათანაბრებულობას“. როგორც ჩამორჩენილ, რეაქციულ, წვრილბურჟუაზიულ სოციალიზმს, და ივიწყებენ, რომ ეს თეორიები გამოხატავენ მოწინავე, რევოლუციურ წვრილბურჟუაზიულ დემოკრატიზმს, რომ ეს თეორიები ძველი, ბატონყმური რუსეთის წინააღმდეგ უაღრესად გაბედული ბრძოლის დროშას წარმოადგენენ. თანასწორობის იდეა — უაღრესად რევოლუციური იდეაა საერთოდ აბსოლუტიზმის ძველი წესწყობილების და განსაკუთრებით ძველი ბატონყმური, მსხვილმეტყულო მიწათმფლობელობის წინააღმდეგ ბრძოლაში. თანასწორობის იდეა კანონიერი და პროგრესულია, როდესაც მას წვრილი ბურჟუა-გლეხი აყენებს. რამდენადაც ის ფეოდალური, ბატონყმური ურთიერთობის წინააღმდეგ ბრძოლას გამოხატავს... და ცუდი იქნებოდა ის მარქსისტი, რომელიც გააკრიტიკებდა ბურჟუაზიული ლოზუნგების სოციალისტური საფარველის სიყალბეს და ამავე დროს ვერ შეაფასებდა მათ ისტორიულ-პროგრესულ მნიშვნელობას. როგორც უაღრესად გაბედული ბურჟუაზიული ლოზუნგებისას ბატონყმობის წინააღმდეგ ბრძოლაში“³⁵.

ვ. ი. ლენინის ამ სიტყვებიდან ნათელია, რომ გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე წარმოდგენილი წვრილბურჟუაზიულ-გლეხური იდეოლოგია, რომელიც, რა თქმა უნდა, არ არის სოციალისტური იდეოლოგია და მეცნიერულ სოციალიზმთან შედარებით ჩამორჩენილი მსოფლმხედველობაა, მაგრამ იგი პროგრესული და რევოლუციურია ფეოდალურ-ბატონყმური წყობილების წინააღმდეგ ბრძოლაში. ასევე შეიძლება ითქვას გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე გადმოცემული მიწის სოციალიზაციის პროგრამის მნიშვნელობაზე.

ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ აღნიშნული გაზეთების მესვეურები არ მიიჩნევენ საკმარისად მიწის განსაზოგადოებას. „როგორ დაამუშა-

34 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 18, გვ. 166—168.

35 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 13, გვ. 289—290.

ვებს ღარიბი გლეხი მიწას, თუ იარაღი არ ექნა, ხარი არ ეყოლა? — აყენებს კითხვას ერთ-ერთ წერილში ს. ფირცხალავა და იქვე პასუხობს: „მიწის მუშა გლეხობა დღეს რომ მიწის გასაზოგადოებას მოითხოვს, ამასთან ერთად, რასაკვირველია, მოითხოვს იმასაც, რომ დღევანდელი მიწის მეპატრონეების — ხაზინის, ეკლესიის, უფლისწულების და კერძო მემამულეების იარაღები, ხარები, ცხენები და სხვა მოწყობილობა — გადაეცეს მშრომელ გლეხობას: გლეხობა კი გადასცემს იმას, ვისაც ესაჭიროება“³⁶.

როგორც ვხედავთ, წერილის ავტორის აზრით, განსაზოგადოებას (კონფისკაციას) მიწის გარდა სხვა საწარმოო საშუალებებიც უნდა დაქვემდებარებოდა: შრომის იარაღი, გამწევი ძალა და სხვ. ჩანს, წერილის ავტორი მიზანშეწონილად თვლის გლეხის ხელში წარმოების ყველა საშუალების თავმოყრას და ვერ ამჩნევს, რომ ამით იგი სოფლად აგრარული კაპიტალიზმის გაშლას უწყობს ხელს და არა სოციალიზმისათვის ბრძოლას. ამ შეხედულების თეორიული უსუსურობა ნათელი გახდება, თუ გავიხსენებთ ვ. ი. ლენინის სიტყვებს, რომლებიც ზემოთ უკვე დავიმოწმეთ: წარმოების საშუალებათა ფლობა გლეხის მიერ წარმოადგენს ისტორიულადაც და ლოგიკურადაც მხოლოდ კაპიტალიზმის და არა სოციალიზმის ამოსავალ წერტილს.

აღნიშნული გაზეთების მესვეურთ გლეხობაში მიმდინარე ქონებრივი (და სოციალური) დიფერენციაცია არ გამოპარვიათ. აი, რას წერდა, მაგალითად, მიხეილ ჭავჭავაძე: „გლეხებს სჩაგრავს და იბრძოვებს პოლიცია, მთავრობა, მემამულე და ძალიან ხშირად ისეთი გლეხებიც, რომლებსაც ჯიბე გაუსქელებიათ და თავის სუსტ მოძმეს სულს უხუთავენ“³⁷.

სოფლად ბობოლა გლეხების (კულაკების) არსებობას და მათ როლს გაზეთ „გლეხში“ სპეციალური წერილი აქვს მიძღვნილი. მასში ნათქვამია: „სოფელს ბატონობს და ეპატრონება რამდენიმე გლეხი, მაგრამ უბრალო გლეხი კი არა, არამედ შეძლებული, ჯიბე გასუქებული, დედულ--მამულის პატრონი, მყვირალა, ფულის სარგებლით მიმცემი. ეს შეძლებული გლეხები, ანუ, როგორც ჩვენში ეძახიან — „პატიოსანი ხალხი“ — განაგებს მთელი სოფლის ბედ-იღბალს; საითაც უნდათ, სოფელს იქით უზამენ თავს. თითონ ძალიან ცოტას მუშაობენ. სამაგიეროდ სულ სხვისი ხელით აკეთებენ საქმეს“³⁸. და ავტორი ხატავს იმის კონკრეტულ სურათებს, თუ როგორ ავიწროებს და ჩაგრავს ეს „პატიოსანი ხალხი“ სოფლის გლეხობას. იგი მათ უწოდებს „აფთარს და სისხლის მსმელ წურბელებს“.

ავტორი აღნიშნავს, რომ ასეთი ბობოლა გლეხები სარგებლობენ ადმინისტრაციის მხრივ მხარდაჭერით. „ისე ხდება, რომ ბატონი მამასახლისი იმ ბობოლას მომხრეა, ბობოლას ინტერესი და მამასახლისისა ერთმანეთს ეთანხმებიან, ამიტომაც ერთმანეთს მხარს უჭერენ“³⁹.

ამრიგად, გაზეთების ხელმძღვანელები ამჩნევენ გლეხთა დიფერენციაციას. კულაკური ზედაფენის გამოყოფას, მის ექსპლუატატორულ როლს, მაგრამ რა დასკვნა გამოაქვთ აქედან? როგორ უნდა მოექცეს გლეხობა სოფლის კულაკურ ზედაფენას? პასუხი ასეთია: მათი იზოლირება, მათთვის ფრთების შე-

36 გაზ. „მიწა“, 1906 წ., № 12.

37 იქვე.

38 გაზ. „გლეხი“, 1906 წ., № 3.

39 იქვე, № 4.

40 იქვე.

კვეცა — აი, საით მოუწოდებენ ისინი მშრომელ გლეხობას. მათ „...ფრთები უნდა შეეჭრას. ისინი უნდა სამართლიანობის გზას დაადგენ...“⁴¹. ღარიბები უნდა შეერთდნენ და კრიკაში ჩაუდგნენ ბობოლებს, თავიანთი არ უნდა გაატანინონ.

გაზეთების ფურცლებზე ვრცელადაა საუბარი გლეხთა გაერთიანების აუცილებლობაზე. ამასთან დაკავშირებით არაერთხელაა მითითებული, რომ ასეთ გაერთიანებაში ბობოლა და კულაკი გლეხი არ უნდა იქნეს მიღებული. საუბრობს რა გლეხთა კავშირების შექმნის აუცილებლობაზე ს. ფირცხალავა შენიშნავს: „...ჩვენ ვამბობთ ღარიბ მუშა გლეხებზე, რასაკვირველია, და ათა მდიდარ, გაბურჯულებულ გლეხების შესახებ“⁴².

სტატიაში „როგორ მოვაწყოთ საგლეხო კავშირი“ ნათქვამია. რომ „სავლეთო კავშირის წევრი არ შეიძლება იყოს გამდიდრებული გლეხი, რომელიც ღარიბი გლეხების მყველფელია და ერთობის მტერი“⁴³.

ამრიგად, კულაკები მშრომელი გლეხობის კლასობრივი მტერი იყო, მისი ექსპლუატატორი. ეს იყო სოფლის ბურჟუაზია და მის წინააღმდეგ საჭირო იყო დაუნდობელი კლასობრივი ბრძოლის გაჩაღება და არა პასიური პროტესტი, მათი იზოლაცია. რა თქმა უნდა, ამ საკითხში გაზეთების მესვეურების წვრილბურჟუაზიული ფსიქოლოგია იჩენდა თავს.

ამრიგად, გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ ფურცლებზე წარმოდგენილი აგრარული საკითხის განხილვას მივყავართ იმ დასკვნამდე, რომ ჩვენ საქმე გვაქვს გლეხური დემოკრატიის პრესის ორგანოებთან, რომლებიც თავიანთი იდეური მიმართულებით, რევოლუციური სულისკვეთებით, სოციალ-დემოკრატიული პრესის შემდეგ ყველაზე რევოლუციურ, დემოკრატიულ და პროგრესულ ორგანოებს წარმოადგენდნენ. ეს ორგანოები იწოდებოდნენ საგლეხო (სახალხო) გაზეთებად და სრულად გამოხატავდნენ ქართველი მშრომელი ხალხის — მშრომელი გლეხობის ფართო ფენების ინტერესებსა და მისწრაფებებს. გაზეთი „გლეხი“ სწორედ რევოლუციური სულისკვეთებისა და მიმართულების გამო იქნა დახურული ხელისუფლების მიერ, ხოლო „მიწა“ — რეაქციის გაძლიერებისთანავე წვეცტს არსებობას.

გაზეთების ფურცლებზე ყველაზე დიდი ადგილი დაეთმო აგრარულ-გლეხურ საკითხს, გლეხთა ინტერესების დაცვას. გაზეთები აგრარულ საკითხში იცავდნენ მიწის სოციალიზაციის იდეას, რომლის მიხედვითაც მიწაზე ყოველგვარი საკუთრება უნდა გაუქმებულიყო და მშრომელ გლეხობას სარგებლობაში უნდა მიეღო იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებასაც საკუთარი ძალებით შეძლებდა.

ამასთან, მიწის სოციალიზაციის იდეა სოციალისტურ იდეად იყო გამოცხადებული. ეს აშკარა შეცდომაა, რადგან მიწის სოციალიზაციის განხორციელება-განმატყეება წვრილ-გლეხურ მეურნეობას წვრილ-ბურჟუაზიულ სექტორს სახალხო მეურნეობაში და მომავალში სოციალისტურ გარდაქმნებს შეუქმნიდა დაბრკოლებას.

⁴¹ გაზ. „გლეხი“, 1906 წ., № 4.

⁴² გაზ. „მიწა“, 1906 წ., № 4.

⁴³ იქვე, 1906 წ., № 6.

მიუხედავად ამისა, გაზეთების ფურცლებზე წარმოდგენილი აგრარული საკითხის შეფასებას უნდა მიუვდგეთ ისტორიული პირობების გათვალისწინებით.

რუსეთის პირველი ბურჟუაზიულ-დემოკრატიული რევოლუციის დროს ეს აგრარული პროგრამა უდავოდ პროგრესული იყო, ვინაიდან მიზნად ისახავდა ფეოდალიზმის ერთ-ერთი დიდი გადმონაშთის — მემამულური მიწათმფლობელობის რევოლუციურ მოსპობას. სწორედ ამაშია გაზეთების „გლეხისა“ და „მიწის“ და, საერთოდ, გლეხური დემოკრატიული აზროვნების დადებითი ისტორიული მნიშვნელობა.

А. В. НАЦВЛИШВИЛИ

АГРАРНЫЙ ВОПРОС НА СТРАНИЦАХ ГАЗЕТ «ГЛЕХИ» («КРЕСТЬЯНИН») И «МИЦА» («ЗЕМЛЯ»)

Р е з ю м е

В первой русской буржуазно-демократической революции одной из важнейших задач было решение аграрно-крестьянского вопроса.

В работе анализируются взгляды руководителей газет (С. Пирцхалава, М. Джавахишвили, Д. Нахуцришвили и др.) на решение аграрно-крестьянского вопроса в Грузии. Газеты поддерживали программу социализации земли, которая, как известно, на буржуазно-демократическом этапе революционной борьбы была прогрессивной программой. Газеты требовали отмены дворянской и всякой частной собственности на землю. Земля никому не должна принадлежать, трудящиеся крестьяне должны были получить столько земли, сколько они могли обработать своими силами. Крестьяне получали эти земли не в собственность, а в пользование. Руководители газет требовали также обобществления и других средств производства, орудий труда.

В результате рассматриваемого аграрного вопроса газеты «Гле-хи» и «Мица» представляются нам органами крестьянской демократической прессы, которые по своей идейной направленности являлись после социал-демократической прессы самыми революционными, демократическими и прогрессивными органами.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ისტორიული მეცნიერებისა და საზოგადოებრივი აზრის ისტორიის განყოფილებამ

სოსლან მარლიშვილი

ანტიკური ხანის აღმოსავლეთ საქართველოს მდიდრულ სამარხთა სოციალური დიფერენციაციისათვის

აღმოსავლეთ საქართველოს ტერიტორიაზე შემთხვევითი მონაპოვრებისა თუ არქეოლოგიური გათხრების წყალობით ცნობილი გახდა მდიდრული კომპლექსების შემცველ სამარხთა აღმოჩენის საკმაოდ მრავალი შემთხვევა (ბორი¹, ახალგორი², ალგეთის წინწყარო³, არმაზი⁴, კლდეეთი⁵, ბაგინეთი⁶, ყანაეთი⁷, ზღუდერი⁸, ერწოს ველი⁹, ახალი ქინვალი¹⁰, არაგვისპირი¹¹ და სხვ.). მდიდრულ კომპლექსთა გამოვლენა-შესწავლის საქმეში გადამწყვეტი მნიშვნელობა ჰქონდა არმაზისხევის ბრწყინვალე აღმოჩენებს, სადაც როგორც ცნობილია, გამოვლენილი იქნა სიმდიდრით გამორჩეული მთელი რიგი სამარხები, რომლებიც იმთავითვე იქ აღმოჩენილი წარწერების საფუძველზე II—III საუკუნეების იბერიის პიტიანშთა კუთვნილებად იქნა მიჩნეული¹². ამ აღმოჩენების შემდეგ არქეოლოგიურ ლიტერატურაში შეიმჩნევა ტენდენცია ანტიკური ხანის მდიდრულ კომპლექსთა პიტიანშების ან მათი რანგის დიდებულების კუთვნილებად გამოცხადებისა¹³. მაგრამ არა გვგონია, რომ ყველა კომპლექსი, რომელიც ამ უამდ პიტიანშების ან მათი რანგის დიდებულების კუთვნილებადაა მიჩნეული, სინამდვილეშიც მათი ყოფილიყო. ჯერ ერთი ასეთ კომპლექსებზე დაკვირვება ნათლად გვიჩვენებს, რომ თითქმის ყოველთვის ისინი დიდად განსხვავდებიან

¹ Придик, Новые Кавказские клады, МАР, вып. 34, 1914.

² Я. Смирнов, Ахалгоринский клад, Тб., 1934.

³ Б. А. Куфтин Археологические раскопки в Тrialeti, I, Тб., 1941.

⁴ ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, არმაზის ხევის არქეოლოგიური ძეგლები, მცხეთა I, თბ., 1955.

⁵ გ. ლომთათიძე, კლდეეთის სამაროვანი, თბ., 1957.

⁶ გ. აფაქიძე, ბაგინეთის კლდეკარის სარკოფაგი, „ძეგლის მეგობარი“, 33, თბ., 1973, გვ. 59—65.

⁷ ი. გაგოშიძე, ადრეანტიკური ხანის ძეგლები, ქსნის ხეობიდან, თბ., 1964.

⁸ გ. ნემსაძე, ზღუდრის არქეოლოგიური ექსპედიციის მიერ 1965—1966 წწ. ჩატარებული მუშაობის შედეგები; სსმე, I, თბ., 1969.

⁹ რ. რამიშვილი, ერწოს ველი გვიანარმაზულ ხანაში, თბ., 1979.

¹⁰ რ. რამიშვილი, ახალი ქინვალის სამაროვანი და ნამოსახლარი 1971—1973 წწ. განთხარის მიხედვით, „ქინვალი I“, თბ., 1983.

¹¹ Р. Рамшвили, Новые открытия на новостройках Арагвского ущелья, Краткие сообщения, № 151, М., 1977.

¹² ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 22—104 და შმდ.

¹³ ი. გაგოშიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 79; გ. ნემსაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 47; რ. რამიშვილი, ერწოს ველი..., გვ. 95; მისივე, ახალი ქინვალის სამაროვანი..., გვ. 121; მისივე: Новые открытия..., გვ. 121; ჯ. ნადირაძე, ყვირილის ხეობის არქეოლოგიური ძეგლები, თბ., 1975, გვ. 76 და სხვა.

ერთმანეთისაგან ინვენტარის როგორც ხასიათით, ასევე რაოდენობრივადაც, მათში საერთო ძირითადად ის არის, რომ მდიდრულ კომპლექსებში როგორც წესი ჭარბობს ოქრო-ვერცხლის ნაკეთობანი, რაც მათი პიტიახშობის საფუძველი ხდება ამასთან არა გვეგონია პიტიახშოთა წრე მაშინდელ იბერიაში იმდენად მრავალრიცხოვანი ყოფილიყო, რომ არისტოკრატთაგან სხვადასხვა კუთხეში არსებობის კვალი უმეტესწილად მათ დაეტოვებინათ. რასაკვირველია, მტკიცება არ ჭირდება იმ ფაქტს, რომ ანტიკურ ხანაში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს (იბერიის) არსებობის პირობებში გარდა პიტიახშ-ერისთავებისა უნდა არსებულიყვნენ არისტოკრატიული ფენას სხვადასხვა საფეხურზე მდგომი წარჩინებულებიც. წერილობითი წყაროები და არქეოლოგიური მონაცემები ნათლად გვიჩვენებენ, რომ ანტიკულ ხანაში თუ რა ღრმად არის წასული საზოგადოებაში არა მარტო არისტოკრატიული ზედაფენის გამოყოფის, არამედ თვით ამ ზედაფენის დიფერენციაციის პროცესიც. ვფიქრობთ, როგორც წერილობითი, ასევე არქეოლოგიური მონაცემების გამოყენების საშუალებით გარკვეული სახით შესაძლებელია წარმოვიდგინოთ იბერიული არისტოკრატიის ღრმად დიფერენცირებული სახე.

ამ პრობლემაში გასარკვევად საყურადღებო ცნობებს იძლევა ლეონტი მროველი. განსაკუთრებულ ყურადღებას იმსახურებს ცნობა ფარნავაზის მიერ სახელმწიფო რეფორმების გატარების შესახებ. როგორც ცნობილია, გამეფებისთანავე ფარნავაზმა, მთელი ქვეყანა რვა საერისთავოდ დაყო და მათ სათავეში ერისთავები ჩაუყენა. ერისთავებზე იერარქიულად მაღლა იდგა სპასპეტი, რომელშიც მეფის შემდეგ უმაღლესი სამხედრო ხელისუფალიც შეიძლება დაეინახოთ. საკუთრივ საერისთავების შიგნით არსებული უფრო მცირე ადმინისტრაციული ერთეულები კი სპასალარებს და ათასისთავებს ჰქონდათ ჩაბარებული¹⁴. სწორედ ასეთი ადმინისტრაციული დაყოფის წყალობით იკრიბებოდა „ხარკი სამეფო და საერისთავო“. გარდა ამისა, ჩანს, ადვილად ხერხდებოდა სამხედრო საქმის ორგანიზებაც¹⁵. ამ მხრივ ნიშანდობლივია, რომ ტერმინება (მართალია გვიანდელნი): სპასპეტი, სპასალარი, ათასისთავი, უფრო სამხედრო ხელისუფლების მატარებელი პირების აღმნიშვნელნი არიან. ამგვარად, ლეონტისთან დაცულ ცნობაში უკვე ნათლად ჩანს გაბატონებულ კლასში არსებული სოციალური კიბე (მეფე, სპასპეტი, ერისთავი, სპასალარი, ათასისთავი), სადაც სხვადასხვა პირს სხვადასხვა საფეხური უკავია. ლეონტის ეს ცნობა პირდაპირ დადასტურებას პოულობს სერაფიტის ცნობილი წარწერის შინაარსშიც, სადაც ასევე ნათლადაა მოცემული გაბატონებული კლასის იერარქიული სახე: მეფე, ეზოსმოდვარი, პიტიახში¹⁶. ამასთანავე გარკვეული საფუძველი გვაქვს, რომ ეზოსმოდვარში იგივე სპასპეტი დაეინახოთ¹⁷. ფარნავაზის მიერ ანტიკური ხანის იბერიაში ამგვარი ადმინისტრაციულ-ტერიტორი-

14 ქართლის ცხოვრება, ტ. I, ტექსტი დადგენილი ყველა ძირითადი ხელნაწერის მიხედვით ს. ყაუხჩიშვილის მიერ, თბ., 1955, გვ. 24—25.

15 ი. ლორთქიფანიძე, ანტიკური სამყარო და ქართლის სამეფო (იბერია), თბ., 1968, გვ. 22, 41.

16 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. კალანდაძე, გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 61.

17 ა. აფაქიძე, მეცხთა ქართლის სამეფოს ძველი დედაქალაქი, თბ., 1959, გვ. 109. გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის კულტურა და ყოფა I—XIII სს., თბ., 1977, გვ. 51.

ული დაყოფა თავისთავად გულისხმობს სხვადასხვა მსხვილი თუ პატარა ად-
მინისტრაციული ერთეულების არსებობას თავიანთი პოლიტიკურ-ეკონომიური
ცენტრებითურთ, ამიტომ არქეოლოგიურ ლიტერატურაში მიღებულია იმის
აღნიშვნა, რომ: ის ადგილები, სადაც მდიდრული კომპლექსებია მიკვლეული
უნდა ჩაითვალოს იქ არსებული მიკროპოლიტიკური ერთეულების ცენტრად¹⁸.
ვფიქრობთ, ასეთ შემთხვევაში ჯერ უნდა განისაზღვროს თვით „ცენტრის“
მცნება, ე. ი. თუ რა იგულისხმება ამა თუ იმ ერთეულების ცენტრის
ქვეშ. თუ ჩვენ ასეთად მივიჩნევთ ნებისმიერი წარჩინებული პირის სამყო-
ფელს, პირისა, ვისაც თავისთავად ჰქონდა მეტ-ნაკლები ეკონომიური ძალა-
უფლება მაშინ ეს განსაზღვრა ზუსტი იქნება. მაგრამ თუ ცენტრად მივიჩნევთ
ისეთ ადგილს, სადაც ეკონომიკურის გვერდით უნდა არსებულიყო პოლიტიკუ-
რი (ე. ი. ადმინისტრაციული) ძალაუფლებაც, მაშინ ცენტრის ეს განსაზღვრა
ბოლომდის მართებულად არ გვეჩვენება, რადგანაც შეუძლებელია ყველა
წარჩინებულ პირს, რომელსაც ეკონომიკური შეძლება ჰქონდა და მდიდრულად
დამარხვა შეეძლო, ჰქონოდათ პოლიტიკური ძალაუფლებაც. ამიტომ მხოლოდ
მდიდრული სამარხეული მასალის საფუძველზე ამა თუ იმ ადგილის რომელი-
მე რეგიონის ცენტრად მიჩნევა, თუ ხელთ არ გვაქვს ამ მოსაზრების მხარის
დამკვირ სხვა სახის არგუმენტები მაინცდამაინც დამაჯერებელი არ უნდა იყოს.
ამასთანავე არა გვგონია, რომ ყველა წარჩინებული პირი, ვისაც კი მდიდრუ-
ლად დამარხვა შეეძლო, ხელისუფლების წარმომადგენელი ან ამა თუ იმ რეგი-
ონის ცენტრის მკვიდრი ყოფილიყო. ამ თვალსაზრისით ყურადღებას იმსახუ-
რებს ლეონტის შემდეგი ცნობა: ფარნავაზმა „ჰრომნი ათასნი მხედარნი, რო-
მელნი აზონისგან მოერთნეს ფარნავაზს... განყვნა ხევთა და ქუეყანათა შინა.
იპყრნა ივინი კეთილად, რამეთუ ბრძოლასა მას აზონისსა მხნედ იყვნეს. და
უწოდა სახელად აზნაურნი“¹⁹ ტერმინი „აზნაური“, მართალია, გვიანდელი
სიტყვაა, მაგრამ ლეონტი ამით იმდროინდელი არისტოკრატიის საშუალო ფე-
ნას უნდა აღნიშნავდეს, რადგანაც იგი სხვა შემთხვევაში ხშირად ხმარობს
ტერმინ „ერისთავს“, როგორც გაბატონებული კლასის უმაღლესი ზედაფენის
აღმნიშვნელ სიტყვას²⁰. ლეონტისეული მხედრები, რომ მეომრებს წარმოად-
გენენ ეს თვით ცნობიდანვე აშკარაა (ისინი ფარნავაზის მხარეს იარაღით ხელ-
ში იბრძვიან და მხედრობითაც იწოდებიან), საგანგებო ყურადღებას იმსახუ-
რებს ის ფაქტი, რომ ფარნავაზმა ეს მხედრები („აზნაურები“) „განყვნა ხევთა
და ქუეყანათა შინა და იპყრნა კეთილად“ რაც სხვა არა უნდა იყოს რა. თუ
არა მათ ამათუ იმ სახის მფლობელობაში მიწების (სამფლობელოების) გადას-
ვლა მეფის წყალობის სახით. გამოდის რომ მეფე ამ მხედრებს უბოძებს მამუ-
ლებს, ხოლო ისინი ვალდებული არიან იარაღით ხელში ემსახურონ მეფეს. ე.
ი. ამ შემთხვევაში ჩვენ საქმე უნდა გვქონდეს იბერიაში არსებულ სამხედ-
რო არისტოკრატიასთან, რომლის მოვალეობასაც ძირითადად სამხედრო სამსა-
ხური შეადგენდა. თითქოსდა ამ ვითარებას ეხმაურება იმდროინდელი არქე-
ოლოგიური სიტუაციაც. მხედველობაში გვაქვს ელინისტური ხანის რიგით სა-
მარხში საბრძოლო იარაღის შემცირებისა თუ გაქრობის ფაქტი, რაც ჯერ კიდევ

¹⁸ Р. Рам и ш в и л и, Новые открытия..., გვ. 121; მ-ს-ი-ვე, Картлинское царство
в первой половине I тысячелетия нашей эры, автореферат диссертации на соискание уче-
ной степени доктора исторических наук, 1983, გვ. 13; Г. М. Н е м с а д з е, Погребения
иберийской знати из Згудери, Краткие сообщения, 151, М., 1977, გვ. 108.

¹⁹ ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 26.

²⁰ იხ. იქვე, გვ. 24, 26, 29 და შშდ.

თავის დროზე ს. ჯანაშიამ აღნიშნა და რაშიც მკვლევრები სოციალურ შინა-არსს ხედავენ. იარაღი და მასთან ერთად ქვეყნის დაცვა თითქმისაა ხდება დაწინაურებული წრის პრივილეგია²¹. ამ შემთხვევაში ლეონტისეული ათასი მხედარი შეგვიძლია, სწორედ პრივილეგიებულთა იმ კატეგორიას მივაკუთვნოთ, რომელთა ძირითად მოვალეობასაც გარეშე თუ შინაურ მტრებთან ბრძოლა შეადგენდა. ამგვარად, თუ გავიზიარებთ ზემოთქმულს გამომდინარე წერილობითი და არქეოლოგიური მონაცემებიდან, მაშინ რეალურ ფაქტად უნდა ვაღიაროთ იბერიაში საშუალო შეძლების მრავალრიცხოვანი არისტოკრატიული ფენის არსებობაც, რომლის წარმომადგენლებსაც ხელს არაფერი შეუშლიდათ სათანადო ფუფუნებით დამარხულიყვნენ რომელიმე რეგიონის ცენტრიდან მოშორებით (თუნდაც საკუთარ სამფლობელოში), სადაც მათი არც ყოფნა, ძით უმეტეს, არც დამარხვა არ იქნებოდა აუცილებელი.

ანტიკური ხანის დროინდელი არისტოკრატიის ღრმა დიფერენცირებლობაზე უნდა მეტყველებდეს ლეონტის კიდევ ერთი ცნობა; როდესაც მეფე ფარნაჯომის ვაჟი მირვანი მამისეული ტახტის დაბრუნებას ცდილობდა, მას ქართლის ერისთავებმა მხარდაჭერაზე უარი განუცხადეს და მეფე ბარტომს მიემხრნენ „ერისთავთა ქართლისათა არა შეიწყნარეს ბრძანება მირვანისი, არამედ ყოველნი მივიდეს წინაშე ბარტომ მეფისა, ხოლო მცირედი ვინმე ქართველნი, არა წარჩინებულნი წარვიდეს და მიერთეს მირვანს“²². ამ ცნობაში ჩვენს ინტერესს იწვევს მირვანის მხარეს დამდგარ არაწარჩინებულთა მოხსენიება, რომლებშიც საზოგადოების რიგითი წევრები არ უნდა იგულისხმებოდნენ. არა გვგონია, რომ მცირე რაოდენობის „არაწარჩინებულების“ მეფობის მაძიებლის გვერდში დადგომა მემატიანისთვის იმდენად მნიშვნელოვანი ფაქტი ყოფილიყო, რომ იგი ასე საგანგებოდ აღენიშნა. ციტატში კონტექსტი თითქმის ისეთია, რომ „მცირედი ვინმე ქართველთა არაწარჩინებულობა“ საგანგებოდაა აღნიშნული ერისთავებისაგან განსხვავებულად და მათთან დასაპირისპირებლად. ერისთავებს კი, ამ უმაღლესი არისტოკრატიული ფენის წარმომადგენლებს სწორედ საშუალო ფენის, ძალაუფლება მოკლებული არისტოკრატია უნდა დაპირისპირებოდა, რომელიც თითქმის, როგორც წესი, ყველა დროისა და ეპოქაში უპირისპირდებოდა მათზე მაღლა მდგომი უმაღლესი ძალაუფლების მქონე ფენას და წარმოდგენდა ცენტრალურ ხელისუფლების დასაყრდენს. ამის დამადასტურებელი მაგალითი თვითონ ლეონტი მროველის თხზულებაშივე მოიძებნება: ფარნავაზის მომდევნო მეფეს საურმაგს აუჯანყდნენ ქართლის ერისთავები, ერისთავების წინააღმდეგ ბრძოლაში საურმაგის მოკავშირეებად გამოვიდნენ (ჩვენ მიერ უკვე მოხსენიებულნი) „ჰრომნი იგი აზნაურნი“, რომლებიც საშუალო კატეგორიის წარჩინებულებს წარმოდგენდნენ და ერისთავთა დამარცხების შემდეგ თავად დაიკავეს მათი ადგილი: საურმაგმა გამარჯვების შემდეგ „წარჩინებულ ყენა აზნაურნი“²³. ე. ი. ლეონტისეული ტერმინოლოგიით ამ კონკრეტულ შემთხვევაში „წარჩინებულობა“ — ერისთავებს და სხვა უმაღლეს არისტოკრატებს უნდა აღნიშნავდეს, ხოლო „არაწარჩინებულობა“ საშუალო და დაბალი კატეგორიისას. როგორც ვხედავთ, ორივე შემთხვევაში არისტოკრატიული კლასის ეს ორი ფენა იბრძვის ერთმანეთის წი-

21 ა. აფაქიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 109; ი. აგაგოშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 81.

22 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 31.

23 იქვე, გვ. 26.

ნააღმდეგ. როგორც საურმაგის, ასევე მირვანის გვერდში დამდგარ „არა-წარჩინებულთა“ ბრძოლა ერისთავთა. ე. ი. წარჩინებულთა“ წინააღმდეგ არის მკვეთრი და აშკარა გამოხატულება შიდა კლასობრივი ბრძოლისა და არისტოკრატიული ზედაფენის ღრმა, მკვეთრი დეფერენცირებულობისა.

ჩვენი წინაშე დასმული ამოცანის გადასაწყვეტად აუცილებლად მიგვაჩნია შევეხოთ პიტიასშთა (და არა საერთოდ წარჩინებულების) სოციალური ვინაობის საკითხს²⁴. იბერიაში არსებულმა „პიტიასშობის ინსტიტუტმა“ იმთავითვე მიიქცია მკვლევართა ყურადღება. არაერთგზის იქნა „აღნიშნული, რომ პიტიასშები წარმოადგენდნენ გაბატონებული კლასის უმაღლეს ზედაფენას და აქტიურ მონაწილეობას იღებდნენ სამეფოს მართვა-გამგებლობაში. სამეფო დაყოფილი იყო რამდენიმე სამხედრო-ადმინისტრაციულ ერთეულად — საპიტიასშოდ, სადაც უმაღლეს ხელისუფლებას პიტიასშები ახორციელებდნენ²⁵. საპიტიასშოები მოზრდილ ტერიტორიულ ერთეულებს წარმოადგენდნენ. ლეონტის მიხედვით, ფარნავაზის დროინდელ იბერიაში სულ რვა საპიტიასშო (საერისთავო) არსებობდა²⁶. ცალკეულ საპიტიასშოებში მოქცეული იყო ისეთი დიდი კუთხეები როგორებიცაა მაგალითად: კახეთი, ქვემო ქართლი, ეგრისი (დას. საქართველოს მნიშვნელოვანი ნაწილი²⁷) და სხვა. ლეონტის მიერ წარმოდგენილი სურათი სრულიად დამაჯერებელი ჩანს თუ გავიხსენებთ, რომ გვიანდელ პერიოდებშიც მსგავს ვითარებას ეხედავთ. მაგალითად ახ. წ. V საუკუნეში ქვემო ქართლის პიტიასში ვარსკენი იმდენად მძლავრი ხელისუფალია, რომ ფაქტობრივად ქართლის მეფისაგან დამოუკიდებელ საგარეო პოლიტიკას ატარებს, ასევე ძლიერ ხელისუფლად ჩანს ვარსკენის მამა არშუშაც²⁸, რაც იმის მოწმობა უნდა იყოს, რომ პიტიასშობის ინსტიტუტი საუკუნეთა მანძილზე არ კარგავდა სოციალურ საყრდენს და წამყვან არისტოკრატიულ ზედაფენას წარმოადგენდა. არ შეგვცდებით თუ ვიფიქრებთ, რომ პიტიასშები თავიანთ სამფლობელოებში უნდა დამარხულიყვნენ. ე. ი. იქ საიდანაც ისინი პოლიტი-

24 სპეციალურ ლიტერატურაში ჭერჭერობით საბოლოოდ არ არის დადგენილი ტერმინების „პიტიასშისა“ და „ერისთავის“ ინტენტურობა. თუმცა იმთავითვე მკვლევართა უმრავლესობა იმ აზრს ემხრობა, რომ „პიტიასში“ და „ერისთავი“ ანტიკური ხანის საქართველოსთვის ერთი და იგივე სოციალურა წრის წარმომადგენელთა აღმნიშვნელი ტიტულატურა იყო (იხ. გ. მელიქიშვილი, საქართველოში კლასობრივი საზოგადოებისა და სახელმწიფოს წარმოქმნის საკითხისათვის, თბ., 1955, გვ. 180). ამჟერად ამ საკითხზე ჩვენი მოსაზრებების გამოთქმისგან თავს ვიკავებთ, რადგანაც ჩვენი წერილის მიზნისთვის, წარმოვაჩინოთ ანტიკური ხანის იბერიული არისტოკრატიის დეფერენცირებული სახე, ამ საკითხის საბოლოოდ გარკვევას გადაწყვეტ მნიშვნელობას არ ვანიჭებთ. თუნდაც იმიტომ, რომ თუ რას ვუწოდებთ ცალკეულ ოლქების სათავეში მყოფ არისტოკრატებს, პიტიასშებს თუ ერისთავებს, ამ გარემოებას მათი სოციალური სტატუსის გასარკვევად არ უნდა ჰქონდეს დიდი მნიშვნელობა. ამიტომ წინამდებარე წერილში ორივე ტიტული იხმარება ერთი და იმავე შინაარსის მქონე ტერმინებად.

25 ა. აფაქიძე, გ. გობეჯიშვილი, ა. ქალანდაძე, გ. ლომთათიძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 205, გ. გობეჯიშვილი, არქეოლოგიური გათხრები საბჭოთა საქართველოში, თბ., 1952, გვ. 130—131; გ. ლომთათიძე, საქართველოს მოსახლეობის ყოფა..., გვ. 55—51 და სხვა.

26 ქართლის ცხოვრება, ტ. I, გვ. 24.

27 გ. გამყრელიძე, აზო-ფარნავაზის დროინდელი კოლხეთის ისტორიისათვის, მაცნე, ისტორიის სერია, № 3, თბ., 1985, გვ. 97.

28 ლ. ჭანაშია, ქართლი V ს. მეორე ნახევარში, ვახტანგ გორგასალი, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 92—93.

კურ-ეკონომიკურ ძალაუფლებას ახორციელებდნენ. აქედან კი გამოდის, რომ ყოველთვის მდიდრული სამარხის აღმოჩენის ადგილი კი არ უნდა წარმოადგენდეს საპიტიანშოს (ან სხვა მსხვილი ერთეულის) ცენტრს, არამედ სწორედ აღმოჩენის ადგილი უნდა გახდეს ერთ-ერთი პირობა მდიდრული სამარხის სოციალური კუთვნილების გასარკვევად. რადგანაც ჩვენ შეუძლებლად გვეჩვენება ის ფაქტი, რომ პიტიანშო, როგორც ქონებრივად ასევე სოციალურად დიდად დაწინაურებული პიროვნება დამარხულიყო ცენტრისგან მოშორებით, რომელიმე პერიფერიულ ადგილში. პიტიანშოს სამარხი უნდა იყოს იქ, სადაც საპიტიანშოს ცენტრი ივარაუდება.

Следующее сообщение о взаимоотношениях Иберии с Понтом принадлежит, как уже отмечалось, Плутарху, который сообщает нам, что в 69 г. до н. э., при приготовлениях союзника Митридата Понтийского Тиграна II к сражению с Лукуллом, к царю Армении на помощь явились «армяне и гордиены, войска мидийцев, адиабенцев, к нему пришли несметные полчища арабов, албанцы и проживающие по соседству с ними иберы, а также войска свободных племен из расположения к Тиграну или из-за даров»⁵⁷.

Согласно предположению Г. А. Меликишвили, участвовавшие в битве при Тигранокерте иберы названы среди тех, кто явился к Тиграну на поле битвы, «движимый расположением к Тиграну или желанием получить подарки». По мнению этого исследователя не исклю-

⁵⁶ Согласно соображениям акад. Г. Меликишвили, в позднеэллинистическую эпоху эта дорога не имела большого значения (см. Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 289, 290, 324 и др.). Однако находки на территории Иберии позднеэллинистических монет, проникновение которых в Восточную Грузию трудно представить без интенсивного функционирования указанной дороги и в это время, оспаривают приведенное соображение (ср.: Д. Б. Шелов, ук. соч., с. 34—35).

⁵⁷ Plut., Lucull., XXVI.

чена и некоторая политическая зависимость Иберии и Албании от Армении⁵⁸.

Так же понимает это место и Н. Ломоури, который, однако, делает при этом особый вывод: «Ведь Плутарх прямо говорит, что иберы и другие народы пришли к Тиграну на помощь «из расположения к нему или из-за даров». Здесь ясно подчеркивается собственное желание пришедших на помощь, а не обязанность, подразумеваемая политической зависимостью»⁵⁹.

Совершенно справедливо замечает Н. Ломоури, что согласно сведениям Мемнона, речь идет не о политической зависимости царя Иберии от Понта, а о союзнических взаимоотношениях⁶⁰. Симптоматично и то, что царь Иберии упоминается при этом Мемноном вместе с царем Армении в одной плоскости. Нам кажется, что после периода, отраженного в сведениях Мемнона, политическая ситуация не могла так резко измениться, чтобы Иберия оказалась в политической зависимости от Армении. Таким образом, правильным должно быть заключение Н. Ломоури: «Иберы являлись именно союзниками Армении, хотя это отнюдь не исключает ведущую роль Понта и Армении в этом союзе»⁶¹.

Иберы участвовали в сражениях против Лукулла также и в 68 г. до н. э., когда римские войска продвигались к столице Армении — Арташату. По словам Плутарха, в первых рядах союзнических войск поставлены были мардские всадники и иберы, на которых Тигран надеялся больше, чем на других, из-за их мужества. «Было выстроено против (Лукулла) множество всадников и отборных отрядов, а перед ними мардские конные стрелки и иберские копьеносцы, на которых Тигран полагался больше, чем на всех других наемников (иноземцев), вследствие их воинственности»⁶².

Г. Меликишвили считает, что в данном случае мы имели дело с наемниками⁶³.

О том, что иберские воины побывали на территории Армении, свидетельствуют как будто три тетрадрахмы Тиграна II, обнаруженные в Агаяни, о которых у нас уже шла речь выше. Кроме того, еще одна монета Тиграна, выпущенная в той же Антиохии и в тех же 83—69 гг. до н. э., найдена была в Чиатура — хранится она в отделе нумизматики Гос. музея Грузии (Ф. К. № 10359)⁶⁴. Район же Чиатура — Сачхере представлял собой в прошлом значительную часть исторической Аргвети⁶⁵, являвшейся одной из важнейших административных единиц Иберии⁶⁶.

Представляем здесь и описание чиатурской находки: В=13,31, р=23/25, ФК № 10359.

⁵⁸ Очерки истории Грузии, I, с. 501.

⁵⁹ Н. Ю. Ломоури, ук. соч., с. 183.

⁶⁰ Там же, с. 183.

⁶¹ Там же, с. 189.

⁶² Plut., Lucull., XXXI.

⁶³ Очерки истории Грузии, I, с. 501.

⁶⁴ Г. Ф. Дундуа, Монетное дело и монетное обращение..., с. 30.

⁶⁵ Дж. Надирадзе, Археологические памятники Квирильского ущелья. Тб., 1975, с. 3 (на груз. яз.).

⁶⁶ Подробнее об этом см.: Г. Г. Цкитишвили, Из исторической географии Карталинского (Иберского) царства античной эпохи (автореферат канд. дисс., Тб., 1965).

Лицевая сторона: бюст Тиграна II с армянской тиарой на голове, обращенный вправо. В центре тиары между двух орлов изображена восьмилучевая звезда.

Оборотная: изображение сидящей Тюхе в башневидной короне, обращенной вправо с пальмовой ветвью в руке. Под ней изображение купающегося человека, олицетворяющего реку Оронт. надпись: ΒΑΣΙΛΕΥΣ ΤΙΓΡΑΝΟΥ. Слева должно находиться ΔМ, справа X. В этих местах монета потерта.

Кроме того, следует подчеркнуть и то, что в Агаии были обнаружены точно такие же монеты (парфянские драхмы, римские денарии республиканского времени), какие являются характерными именно для денежной циркуляции на территории Армении. Таким образом, на основании письменных сведений и нумизматических материалов можно говорить смело о существовании в это время тесных связей между Иберией, Арменией и Понтом.

И все-таки каким путем должны были проникнуть указанные монеты в Иберию?

Весьма важный источник с точки зрения изучения торговых магистралей древнего мира представляет собой дорожная карта, составленная в IV в. н. э. римским географом Касторием (т. н. «Табула Пеутингера»), которая, как это является общепризнанным, отражает и более раннее, чем IV в. н. э., положение вещей⁶⁷. Судя по этому документу, столица Армении — Арташат тесно была связана торговым путем с Иберией. Для нас в данном случае интересен тот отрезок этого пути, который начинается у г. Арташата и протекает через следующие пункты: Дилижан, Акстаф, Казах, Рустави, Тбилиси, Мухета⁶⁸.

Между прочим, судя по сведениям древнегреческого географа и историка Страбона (приблизительно 64 г. до н. э. — 24 г. н. э.), именно по этому пути вторгся из Армении в Иберию в 65 г. до н. э. римский военачальник Гней Помпей⁶⁹. Именно по этому отрезку пути должна была проникнуть на территорию Иберии и часть монет эллинистического Востока, Малой Азии и республиканского Рима.

Однако, если судя по Мемнону и Плутарху, Иберия являлась союзницей Понта, то, согласно Аппиану, иберы уже нападают на разбитого Помпеем Митридата. Аппиан сообщает, что после поражения на четвертый день Митридат переправляется через Евфрат и вступает в Армению. Здесь он отбивается от хотенцев и иберов, которые пытаются его остановить, переправляется через реку Апсар (Апсарос), и проводит зиму в Диоскурии⁷⁰. В интерпретации этого места, как видно, прав был Н. Ломоури. Дело в том, что, когда разбитый Митридат, согласно Аппиану, переправился через верховье Евфрата, то он оказался в Хотене, лишь после чего он переправился и через реку Апсар (современный Чорохи), т. е., заключает Н. Ломоури, локализовать Хотену следует где-то между верховьями Евфрата и Чорохом⁷¹.

⁶⁷ С. Т. Еремян, Торговые пути Закавказья в эпоху сасанидов по Tabul Peutingeriana, ВДИ, 1939, № 1; Н. Ломоури, К вопросу о горговых путях Грузии. Труд Института истории им. И. В. Джавахишвили от IV, вып. I, Тб., 1958, с. 191 (на груз. яз.).

⁶⁸ Н. Ломоури, указ. соч., с. 118.

⁶⁹ Там же.

⁷⁰ Appian, Mithr, с. 101.

⁷¹ Н. Ломоури, К истории..., с. 184.

В научной литературе Хотена идентифицируется с упомянутой Страбоном Хордзеной, которая в свою очередь соответствует древним грузинским провинциям Тао и Кола⁷². Хордзenu же и вместе с нею другие области, по сведениям того же Страбона, в 90-ых годах II в. до н. э. Армения отобрала у Иберии⁷³. После этого Н. Ломоури совершенно справедливо заключает: «Надо полагать, что нападающими в данном случае были местные жители, которых можно считать в это время иберами лишь в этническом смысле, но отнюдь не по их принадлежности к Иберийскому царству»⁷⁴. О том, что это именно так, свидетельствует факт вторжения Помпея в 65 г. до н. э. в Иберию. Трудно было бы представить осуществление этой акции со стороны Помпея, если бы сразу до нее иберы выступали бы против Митридата. То же самое подтверждают и слова Плутарха: «Иберы горели желанием показать свою преданность Митридату и прогнать Помпея»⁷⁵. Однако царь иберов Артаг (по античным источникам — Артор) не сумел этого сделать и вынужден был объявить себя «другом и союзником римского народа» после того, как был разгромлен Помпеем⁷⁶. Весьма интересным фактом является и то, что в устроенном в Риме в честь Помпея триумфе, согласно Аппиану, среди самых благородных пленников и заложников фигурировали вместе со Скептухом колхов Олтаком «три иберских и два албанских предводителя»⁷⁷. Это оказалось эпилогом всех взаимоотношений Иберии с Митридатом Понтийским.

Представлена кафедрой истории Грузии Тбилинского гос. университета

⁷² Аргументацию этого положения и указания на соответствующую литературу см. у Н. Ломоури, ук. соч., с 184.

⁷³ Strabo, XI, 14, 5.

⁷⁴ Н. Ю. Ломоури, ук. соч., с. 185; Г. А. Меликишвили, К истории древней Грузии, с. 327. Автор считает, что известие Аппиана является первым свидетельством постепенной активизации Иберии в юго-западном Закавказье.

⁷⁵ Plut., Pomp., XXIV.

⁷⁶ Н. Ю. Ломоури, ук. соч., с. 185; Очерки истории Грузии, I, с. 504.

⁷⁷ App., XII, 117.

ლუიზა ჯიქია

კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა ქალთა შორის
საქართველოში სოციალიზმის მხანებლობის პერიოდში

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე კომუნისტურმა პარტიამ ყუ-
რადლება გაამახვილა მშრომელი ქალების მიმე მდგომარეობაზე და დაიწყო
მის გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება ვ. ი. ლენინი
წერდა: „...ქალის მდგომარეობის საკითხი თავიდანვე დააყენა საბჭოთა ხელი-
სუფლებამ... არც ერთ სახელმწიფოს და არც ერთ დემოკრატიულ კანონმდებ-
ლობას არ გაუკეთებია ქალისათვის იმის ნახევარიც კი, რაც გააკეთა საბჭოთა
ხელისუფლებამ თავისი არსებობის პირველსავე თვეებში“¹.

მშრომელთა დიდი ბელადი, აჯამებდა რა ქალთა შორის მუშაობის პირველ
შედეგებს, აღნიშნავდა, რომ ორი წლის განმავლობაში საბჭოთა ხელისუფლე-
ბამ ევროპის ერთ-ერთ ყველაზე ჩამორჩენილ ქვეყანაში ქალის განთავისუფ-
ლებისათვის, მამაკაცთან მისი თანასწორობისათვის იმდენი გააკეთა, რამდენიც
130 წლის მანძილზე არ გაუკეთებია მთელი მსოფლიოს ყველა მოწინავე, განა-
თლებულ, „დემოკრატიულ“ რესპუბლიკას ერთად².

უპირველეს ყოვლისა, ქალთა შორის სამუშაოდ შეიჩა მუშა ქალებიდან
პოლიტიკურად უფრო მომზადებულნი. ისინი იწვევდნენ კრებებს, ესაუბრე-
ბოდნენ მუშათა და გლეხთა ცოლებს, რომელთა ძმები და ქმრები სამოქალა-
ქო ომის სხვადასხვა ფრონტზე იბრძოდნენ. ბევრ ქალაქში დაარსდა ჯარისკაც-
თა ცოლების სპეციალური კომიტეტები.

რკპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან 1918 წლის შემოდგომაზე ჩამოყალიბ-
და მუშა და გლეხ ქალთა სრულიად რუსეთის პირველი ყრილობის საორგანიზა-
ციო ბიურო ალ. კოლონტაის ხელმძღვანელობით. ყრილობა გაიხსნა 1918 წლის
16 ნოემბერს, რომელსაც ესწრებოდა 1200 დელეგატი. ყრილობის დღის წეს-
რიგში იყო მშრომელ ქალთა ამოცანები საბჭოთა რუსეთში, ოჯახისა და კო-
მუნისტური სახელმწიფოს ურთიერთობის, სოციალური აღზრდის, სოცუზრუნ-
ველყოფის, სახალხო მეურნეობაში ქალთა ჩაბმისა და სხვა საკითხები, რო-
მელთა შესახებ მიიღეს სათანადო გადაწყვეტილებანი. შემდეგ ცენტრალური,
საგუბერნიო და სამაზრო კომიტეტებთან შეიქმნა კომისიები, რომელთა მიზა-
ნი იყო ქალთა შორის აგიტაციისა და პროპაგანდის გაშლა.

ცენტრალურ კომიტეტთან შექმნილი კომისია შედგებოდა შვიდი წევრი-
საგან ნ. კრუპსკაია, ალ. კოლონტაი და სხვ. შემდეგ ქალთა შორის მომუშავე
კომისიები შეიცვალა მუდმივი განყოფილებებით. რკპ (ბ) ცენტრალური კომი-
ტეტის ქალთა განყოფილების გამგედ დაინიშნა ი. არმანდი.

1 ვ. ი. ლენინი, თხზულებანი, ტ. 30. გვ. 27, 30-31.

2 იქვე, გვ. 127.

1919 წ. იანვარში ქალთა საგუბერნიო განყოფილებათა გამგეობის თათბირმა მოიწონა მშრომელ ქალთა შორის დაწყებული მუშაობა, რომლის ძირითადი ფორმა პირველ ხანებში იყო აგიტაცია-პროპაგანდა და ქალთა ყოფაცხოვრების გასაუმჯობესებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება. ქალთა განყოფილებები მალე შეუდგნენ სადელეგატო ინსტიტუტების ორგანიზაციას მუშა და გლეხ ქალთა კრებების მიერ არჩეული დელეგატი ქალებისაგან. პარტიამ სადელეგატო კრებები აღიარა ქალთა შორის მუშაობის ერთ-ერთ ძირითად და საუკეთესო ფორმად³.

სადელეგატო კრებები გახდა მშრომელ ქალთა აღზრდის სკოლა. ისინი იხილავდნენ საბჭოთა, პროფესიულ და პოლიტიკურ საკითხებს, ზრდიდნენ სოციალისტური წყობილების ყველა უბანზე აქტიურად მომუშავე ქალებს.

რკპ ბ) XII ყრილობამ აღნიშნა სადელეგატო კრებების, როგორც ყველაზე არსებითი აპარატის მნიშვნელობა, რომელიც პარტიას აკავშირებს უპარტიო მუშა და გლეხ ქალთა ფართო მასებთან.

დელეგატ ქალთა შორის მუშაობის თაობაზე ნ. კრუპსკაია მიუთითებდა; „...საქმე მარტო იმაში კი არ არის, რომ დელეგატი ქალები ავირჩიოთ, არამედ მთავარი ის არის, რომ ამ დელეგატ ქალებთან მუშაობა ვაწარმოოთ, მათ ისეთი სამუშაო მივცეთ, რომელზედაც ისინი აღიზრდებიან, დავეხმაროთ მათ მუშაობაში“⁴.

განსაკუთრებით რთული იყო სოფლად გლეხ დელეგატ ქალთა შორის მუშაობა, რადგან გლეხი ქალი უფრო იყო გამსჭვალული მესაკუთრული და რელიგიური ცრუმორწმუნეობით, ვიდრე მამაკაცები⁵, ძნელდებოდა ოჯახიდან, მეურნეობიდან მათი მოწყვეტა და საზოგადოებრივ საქმიანობაში ჩაბმა და მაინც ქალები აქტიურად მონაწილეობდნენ სასოფლო საბჭოებსა და გლეხკომებში. სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობაზე ფ. მახარაძემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ არსებობს ქალთა განყოფილებანი, ქალთა კომისიები, სადელეგატო კრებები, რათა ამ ორგანოების მუშაობით შემსუბუქდეს მშრომელ ქალთა „მწვავე მდგომარეობა“⁶.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების ორი კვირის შემდეგ საქართველოს მშრომელმა ქალებმა 8 მარტი მასობრივად პირველად აღნიშნეს თავისუფლად, ხოლო 1924 წ. 8 მარტს თბილისში გამართულ დემონსტრაციაში მონაწილეობდა 7 ათასი მშრომელი ქალი⁷.

საქართველოს ქალთა მოძრაობის ისტორიაში ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო 1921 წელი, როცა გაიმართა დელეგატ ქალთა პირველი რესპუბლიკური ყრილობა, რომელსაც ესწრებოდნენ: ქართველი, რუსი, სომეხი, აზერბაიჯანელი, ოსი და სხვა ეროვნების ქალები⁸.

ყრილობაზე მოხსენებით გამოვიდა საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტთან არსებული მშრომელ ქალთა განყოფილების გამგე ლ. გასვიანი, რო-

3 ი. კაჭარავა, საბჭოთა საქართველო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდში (1921—1925), თბ., 1958, გვ. 390.

4 რვა მარტი (კრებული ქალთა საერთაშორისო დღისათვის), თბ., 1927, გვ. 22.

5 ი. ჩიქავა, საქართველოს გლეხობის კომუნისტური აღზრდის შესახებ (1921—1937 წწ.), თბ., 1978, გვ. 163.

6 სრულიად საქართველოს აჭარელ და თურქ ქალთა ყრილობა (სტენოგრ. ანგარიში), თბ., 1929, გვ. 4.

7 ამიერკავკასიის მშრომელი ქალი, თბ., 1926, გვ. 9, 15.

8 იხ.: საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 564.

მელმაც გააშუქა ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის, პოლიტიკური ცოდნის გავრცელების და კულტურული მუშაობის საკითხები. მიიღეს გადაწყვეტილება ქალაქებსა და მაზრებში ქალთა განყოფილებების ჩამოყალიბების თაობაზე.

რკპ (ბ) XI ყრილობის (1922 წ. მარტი-აპრილი) რეზოლუციაში მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის შესახებ ნათქვამია: „წვირილ-ბურჟუაზიული გარემოცვის, უმუშევრობის, დეკლასირების საფრთხის ვითარებაში — ქალთა პროლეტარულ მასებს უაღრესი ყურადღებით უნდა მივუდგეთ... პროლეტარულ და გლეხ ქალთა მასაში მუშაობის სპეციალური განყოფილებანი უნდა შევინარჩუნოთ როგორც პარტიული კომიტეტების დამოუკიდებელი განყოფილებანი და გავაძლიეროთ კვალიფიკაციური მუშაეებით“⁹.

ასევე პარტიის XII და XIII ყრილობებმა ყურადღება გაამახვილეს მუშაობის გაფართოებაზე მუშა და გლეხ ქალთა ჩასაბმელად პარტიულ, საბჭოთა, პროფესიულ და კოოპერატიულ მშენებლობაში.

თბილისის პარტიული ორგანიზაციის III კონფერენციის (1922 წ. მაისი) რეზოლუციაში ხაზგასმული იყო ქალთა პროლეტარული მასებისადმი დახმარებაზე. კონფერენციამ წერილბურჟუაზიული გარემოცვისა და უმუშევრობის პირობებში მოითხოვა ქალთა განყოფილების გაძლიერება, მისი შევსება გამოცდილი მუშაეებით და შეთანხმებული მუშაობა აგიტპროპთან და პროფკავშირებთან.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ქალთა განყოფილებამ 1922 წლის მაისში გამოაქვეყნა მოწოდება მშრომელი ქალებისადმი რესპუბლიკაში პროფმოდრაობის ორგანიზების ჩატარების თაობაზე. სადაც ნათქვამია: „მიიღეთ აქტიური მონაწილეობა საბჭოთა ცხოვრების მთელ აღმშენებლობაში... გვერდით ამოუღეჭით თქვენს მეგობარ მუშა მამაკაცს...“¹⁰.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის ორგანო გაზ. „კომუნისტი“ სისტემატურად აშუქებდა ქალთა შორის მუშაობის საკითხებს. ამისათვის გამოყოფდა სპეციალურად ერთ გვერდს სახელწოდებით „საქართველოს მუშა ქალთა ფურცელი“ (პირველი ნომერი გამოვიდა 1921 წლის 6 მაისს). ამ „ფურცლის“ XII ნომერში ქალთა განყოფილების მიზნის შესახებ მითითებულია, რომ მან ხელი უნდა შეუწყოს მუშა ქალებს სწავლა-განვითარებისა და პოლიტიკური შეგნების ამაღლებაში, რომ მათ მამაკაცებთან ერთად „ხელისხელჩაკიდებული გასწიონ დიდი მიზნისაკენ — კომუნისმისაკენ“¹¹.

ქალთა განყოფილებების საქმიანობა ხელს უწყობდა ახალი, სოციალისტური საზოგადოების მშენებლობაში მშრომელ ქალთა მონაწილეობას.

სსრ კავშირის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის 1925 წლის 5 სექტემბრის ცირკულარი ეხებოდა საბჭოთა აღმშენებლობაში ქალების ჩაბმისა და საპასუხისმგებლო სამუშაოებზე მათი დაწინაურების საკითხებს და ამ საქმეში მთავარ დასაყრდენად თვლიდა ქალთა განყოფილებებსა და სადელეგატო კრებებს¹².

⁹ ს. კ. კ. ყრილობების, კონფერენციებისა და ცენტრალური კომიტეტის პლენუმების რეზოლუციებსა და გადაწყვეტილებაში, ნაწ. 1, თბ., 1954, გვ. 835—836.

¹⁰ გაზ. „კომუნისტი“, 1922, 13 მაისი.

¹¹ იქვე, 1922, 27 მაისი.

¹² ოქტომბრის რეზოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 284, აღწ. 1, ს. 206, ფურც. 1.

ქალთა შორის მუშაობის პირველი შედეგების შეჯამებას წარმოადგენდა ამიერკავკასიის მშრომელ ქალთა ყრილობა, რომელიც გაიხსნა ბაქოში 1922 წ. 26 მაისს. ყრილობამ საპატიო პრეზიდიუმში აირჩია ვ. ი. ლენინი, კლარა ცეტკინი, ს. ორჯონიკიძე, ნარიმანოვი, ალ. კოლონტაი და სხვ.

ყრილობაზე წაიკითხეს ვ. ი. ლენინისაგან მიღებული მისასალმებელი დეპეშა/„მადლობელი ვარ არჩევისათვის, ავადმყოფობის გამო არ შემოძლია ჩამოსვლა. ულიანოვი-ლენინი“. ამ დროისათვის საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ქალთა განყოფილებები აერთიანებდნენ 4 ათასამდე წევრს. ყრილობამ აღნიშნა, რომ ქალები დაადგინეს ახალი საზოგადოების მშენებლობის გზას¹³.

ყრილობის შემდეგ, 1922 წლის ნოემბერში გამოსვლას იწყებს სპეციალური ჟურნალი „ამიერკავკასიის მშრომელი ქალი“ ქართულ, აზერბაიჯანულ და სომხურ ენებზე. ჟურნალის პირველი ნომრის მოწინავე წერილში ნათქვამია „მრავალი საუკუნის მანძილზე ქართველი, სომეხი და აზერბაიჯანელი ქალი სიბნელეში იყო, დამცირებასა და შეურაცხყოფას განიცდიდა, მწარე ცრემლებს ღვრიდა და თავებდს იწყევლიდა.

და აი მოვიდა მშრომელთა ხელისუფლება, საბჭოთა წყობილება. ამიერიდან შენ განთავისუფლდი, შენ მონა აღარ ხარ, გამოდი და აშენე შენი ახალი ბედნიერი ცხოვრება“¹⁴;

ამის შემდეგ გამოიცა საქართველოს ქალთა ჟურნალი „მშრომელი ქალი“ (შემდეგში „საქართველოს ქალი“), რომელმაც ხელი შეუწყო ქალთა პოლიტიკურ გათვითცნობიერებასა და კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდას.

1923 წლის თებერვალში საქართველოს, აზერბაიჯანის და სომხეთის ქალთა სამაზრო განყოფილებების გამგეთა თათბირმა განიხილა წერა-კითხვის უცოდინარობასთან ბრძოლის საკითხი და აღნიშნა, რომ ქალთა უმრავლესობა წერა-კითხვის უცოდინარია, რაც წარმოადგენს ერთ-ერთ მთავარ დაბრკოლებას საზოგადოებრივ მუშაობაში მათი ჩაბმის გზაზე.

ნ. კრუპსკაია წერდა, რომ წერა-კითხვის უცოდინარი ქალი „ეს მარტო იმას კი არ ნიშნავს, რომ მან არ იცის წერა-კითხვა, არამედ ეს ნიშნავს იმასაც, რომ ის მოწყვეტილია ყოველგვარ საზოგადოებრივ მუშაობას, რომ ის მიჯაჭვულია ოჯახზე, რომ ის ცხოვრობს სიბნელეში, მოქცეულია სარწმუნოებისა და სხვა ცრუმორწმუნეთა გავლენის ქვეშ. სხვანაირად რომ ეთქვათ. არამც თუ საჭიროა შევისწავლოთ წერა-კითხვა, არამედ უნდა ვეცადოთ, რომ ქალები უკეთესი ცხოვრების პირობებში ჩავაყენოთ... და შემდეგ: განაგრძობდა „...იქ, სადაც წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმე რიგიანადაა დაყენებული, იქ არა მარტო წერა-კითხვას სწავლობს ქალი, არამედ ამავე დროს საზოგადო მუშაობაშიც ებმება ბევრჯერ უფრო აქტიურად“¹⁵.

სტატიაში „კულტ-საგანმანათლებლო მუშაობა გლეხ-ქალთა შორის“ გახ. „კომუნისტი“ აღნიშნავდა, რომ კარგად მოწყობილი და სწორ ნიადაგზე დაყენებული კლუბები და სამკითხველოები მნიშვნელოვან როლს შეასრულებს კულტსაგანმანათლებლო მუშაობაში, მაგრამ საჭიროა მათი სათანადო მომარაგება ლიტერატურით ამასთან უნდა ხდებოდეს წიგნების, გაზეთების კოლექ-

¹³ ნ. ბუ რ ძ ე ნ ი ძ ე, პოლიტმასობრივი მუშაობა საქართველოს ქალთა შორის, თბ., 1972, გვ. 28—29.

¹⁴ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. VII, თბ., 1976, გვ. 853.

¹⁵ ნ. კ რ უ პ ს კ ა ი ა, კულტურული მუშაობა კოლმეურნეობებში თბ., 1927, გვ. 18.

ტიური კითხვა, აქტუალურ საკითხებზე მსჯელობა, აზრის გამოთქმა, კლუბებსა და სამკითხველოებში უნდა ეწყობოდეს საერთო ხასიათის გარდა, ქალებისათვის საინტერესო ლექციები და საუბრები — ბავშვის აღზრდაზე, ავადმყოფის მოვლაზე და ა. შ. მითითებულია, რომ ქალაქში მუშა ქალები უფრო აქტიურად ებმიან საზოგადოებრივ საქმიანობაში, სოფლის ქალები კი საერთო კრებებს ნაკლებად ესწრებიან, მათში ცრუმორწმენობა უფრო ძლიერია. სამკითხველოებში უნდა იყოს წიგნები სპეციალურად ქალებისათვის. „სოფლის სამკითხველო უნდა აძლევდეს ქალებს ყველა იმას, რის მიცემაც შეუძლია, ამასთან სამკითხველოს ზელმძღვანელი უნდა იყოს ისეთი პირი, რომელიც კარგად არის ვაცნობილი ჩვენს მუშაობას ქალებს შორის და არის დაინტერესებული ამ მუშაობით, აქ უნდა ჩავაბათ ქალები...“¹⁶.

პროპაგანდისტის პირველი ამოცანაა სოფელში მისვლისას ქალთა თავმოყრა, „სოფლის კლუბები და სამკითხველოები არ უნდა იყოს მხოლოდ კულტურულ-საგანმანათლებლო ცენტრი, არამედ ის უნდა გახდეს აგრეთვე საორგანიზაციო ცენტრი. იგი უნდა იყოს ჩვენი პოლიტიკური მუშაობის დასაყრდენი პუნქტი სოფლად“¹⁷.

ფ. მაზარაძე წერილში „სოფლის გასაჭირის შესახებ“ მიუთითებდა სოფლის მოსახლეობის კულტურულ ჩამორჩენაზე. იგი აღნიშნავდა, რომ სოფლის მოსახლეობის უმრავლესობა ჯერ კიდევ წერა-კითხვის უცოდინარია — არის სოფლები, სადაც სკოლები არაა, შორეულ ადგილებს თავი რომ დავანებოთ, თბილისის მახლობლად — ტაბახმელაში სკოლა არაა, მანგლისის რაიონის 28 სოფლიდან სკოლა არის მხოლოდ 14 სოფელში და ისიც ქაღალდზე. რადგან არა აქვთ ბინები, არ ჰყავთ მასწავლებლები, არის უგზოობაც¹⁸.

საქართველოს ქალთა განყოფილებების გამგეთა III ყრილობამ (1923 წ. ოქტომბერი) მოისმინა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან არსებულ ქალთა განყოფილების გამგის მოხსენება მუშაობის მიმდინარეობისა და მორიგი ამოცანების შესახებ და ინფორმაციები ადგილებიდან,

აღინიშნა, რომ ყველა მაზრაში დაარსებულია ქალთა განყოფილებები, გამოყოფილია ქალთა ორგანიზაციები, მოქმედებენ სადელეგატო კრებები, ზოგან იმართება სარაიონო სადელეგატო კრებებიც. 1318 დელეგატი ქალიდან 500. მუშაა, 279 მოსამსახურე, დანარჩენი გლეხი¹⁹.

მუშაობა მიმდინარეობს მუშებისა და წითელ არმიელთა ცოლებში. ეროვნულ უმცირესობათა შორის, ქალთა განყოფილებები მუშაობს პროფკავშირულ ორგანიზაციებთან შეთანხმებით.

ამ დროისათვის საბჭოებში არჩეული იყო 213 ქალი, აღმასკომებსა და პროფკომებში — 169, კოოპერაციაში — 7, ყურადღება ექცეოდა დედათა და ბავშვთა დაცვას, გრძელდებოდა ბრძოლა უმუშევრობასთან. ქალთა დასაქმების მიზნით საქართველოში შეიქმნა უმუშევარი ქალებისათვის ჭრა-კერვის 22 სკოლა და სანიტარული კურსები.

16 გაზ. „კომუნისტი“, 1923, 4 თებერვალი.

17 იქვე. 1923, 8 მარტი.

18 გაზ. „კომუნისტი“, 1923, 21 ოქტომბერი.

19 იხ. იქვე, 1923, 27 ოქტომბერი.

მოქმედებდა 36 საბავშვო სახლი და 27 საბავშვო ბაღი, უსინათლოთა და უპატრონო ქალთა 2 სახლი — თბილისსა და ქუთაისში.

აღინიშნა აგრეთვე, რომ უკანასკნელი 8 თვის განმავლობაში რესპუბლიკაში მოეწყო 121 სადღეღაწო და ქალთა 508 საერთო კრება. 8 მარტისა და 1 მაისის საღმრთაწაწულ კამპანია ჩატარდა ქალების აქტიური მონაწილეობით; სამაზრო უპარტიოთა კონფერენციებს დაესწრო 1000-მდე ქალი; ყველა მაზრაში გამოყოფილია კორესპონდენტი ქალი.

ყრილობამ მიიღო გადაწყვეტილება ქალთა განყოფილებებისადმი პარტიული კომიტეტების ხელმძღვანელობის გაძლიერების თაობაზე.

1924 წლის 19 მარტს გორში ქალთა საერთო კრებაზე, რომელსაც ესწრებოდნენ დელეგატი ქალების გარდა მუშა-მოსამსახურეებიც, ერთხმად მიღებულ რეზოლუციაში ნათქვამია, რომ რელიგიის მოქმედება აჩლუნგებს მშრომელების, განსაკუთრებით ქალების გონებას. მიმართულია საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, რომელმაც საშუალება მისცა ქალებს მიეღო მონაწილეობა მამაკაცებთან ერთად საბჭოთა აღმშენებლობაში²⁰.

საქართველოს კომპარტიის (ბ) III ყრილობამ (1924 წ. მაისი) დაამტკიცა ფ. მახარაძის თეზისები სოფლად მუშაობის შესახებ. აქ ხაზგასმულია ქალთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაზე. მათი შეგნების ამაღლება და ყოფა-ცხოვრების გაუმჯობესების საკითხებზე. ახალგაზრდა ქალები მასობრივად ჩააბეს წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სამუშაოებში. წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია პირველ რიგში სწარმოებდა დელეგატებში, საბჭოს წევრებსა და ორგანიზატორ ქალთა შორის²¹.

1924 წლის 18 ნოემბერს თბილისში შეიკრიბა ქალაქის ორგანიზატორ და დელეგატთა კრების წარმომადგენლები (ესწრებოდა 280 ქალი). კრება გახსნა გიორგი სტურუამ, მოხსენებით გამოვიდა მარიამ ორახელაშვილი. აღინიშნა წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის დიდი მნიშვნელობა. მიიღეს გადაწყვეტილება, რომ 1926 წელს საქართველოში არ იყოს წერა-კითხვის უცოდინარი არც ერთი დელეგატი ქალი. ქალთა სადელეგატო კრებების ძირითადი ამოცანა იყო მუშა და გლეხ ქალთა პოლიტიკური და კულტურული აღზრდა და მათი ჩაბმა სოციალისტურ მშენებლობაში. დელეგატ ქალთა რაოდენობა იზრდებოდა. მაგალითად, 1924 წელს რესპუბლიკაში იყო 2200 დელეგატი ქალი, ხოლო 1926 წელს — 10 ათასამდე²².

დელეგატ ქალთა შორის წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციოდ მოეწყო სკოლები, მოკლე ვადიანი კურსები და სხვ.

ზუგდიდის მაზრის ქალთა განყოფილებამ გახსნა „გლეხი ქალის კუთხე“, სადაც ყოველ საღამოს 50—60-მდე ქალი მეცადინეობდა პოლიტიკური აზრების, დედობის და ბავშვობის დაცვისა და კოოპერაციულ წრეებში. ქალები აქ

20 გაზ. „კომუნისტი“, 1924, 29 მარტი.

21 თ. კაპანაძე, წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საბჭოთა საქართველოში, თბ., 1979, გვ. 57.

22 გაზ. „კომუნისტი“, 1924, 20 ნოემბერი; საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, გვ. 564.

ეცნობოდნენ ჩვენი პარტიის პოლიტიკას, აღზრდის საკითხებს და ემზადებოდნენ საზოგადოებრივ მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად. ასეთი „კუთხის“ საშუალებით სახალხო სასამართლო ამზადებდა ქალებს მსაჯულებად. „კუთხე“ ქალებს უწევდა იურიდიულ კონსულტაციას და გახდა „მშრომელი ქალის ახალი ყოფა-ცხოვრების კერა“²³.

მაზრაში მოეწყო აგრეთვე საბავშვო ბაღი. ჭრა-კერვის ორი არტელი, 5 ქოხ-სამკითხველო, ქალები ჩაეწერნენ კოოპერატივის, რემედისის, ავიაქიმიის და საჰაერო ფლოტის საზოგადოებების წევრებად. მაგრამ ქალთა განყოფილების მუშაობას აფერხებდა სუსტი მატერიალური ბაზა და კვალიფიციური ქალთა კადრების უკმარისობა²⁴.

„გლეხ-ქალთა კუთხეები“ უმთავრესად ეწყობოდა ისეთ ადგილებში. სადაც არ იყო სამკითხველოები და კლუბები. მათი მიზანი იყო ქალთა ჩამორჩენილი ნაწილის საზოგადოებრივ ცხოვრებასთან დაახლოება. „კუთხეები მორთული იყო პლაკატებით, სურათებით. „კუთხეებში“ მოქმედებდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლა, რჩევა-დარიგების ბიურო, ბავშვთა კონსულტაცია. დრამატული და სიმღერების წრეები, იმართებოდა საღამოები, გაზეთების ხმამაღალი კითხვა...²⁵.

„კუთხეებს“ ხელმძღვანელობდა სამაზრო პოლიტგანათლების მუშა და გლეხ ქალთა განყოფილება და იმყოფებოდა პოლიტგანათლების მთავარმმართველობის ხარჯზე.

დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 10 წლისთავზე თბილისში ჩატარდა რესპუბლიკის საბჭოების დეპუტატ ქალთა პირველი ყრილობა²⁶. რომელმაც შეაჯამა სოციალისტური მშენებლობაში ქალთა ჩაბმის ხაზით ჩატარებული მუშაობა, აღნიშნა მიღწევები და ნაკლოვანებები. დასახა მომავალი საქმიანობის გეგმები.

ჩვენ აქ მოვიტანთ მონაცემებს მხოლოდ ყრილობის დელეგატთა ეროვნული, პარტიული შემადგენლობისა და განათლების შესახებ. ყრილობას ესწრებოდა 781 დელეგატი: აფხაზეთიდან — 26, სამხრეთ ოსეთიდან — 5, საქალაქო საბჭოებიდან — 178, დანარჩენი — მაზრებიდან: აქედან ქართველი იყო 651, სომეხი — 54, რუსი — 28, აზერბაიჯანელი — 17, ოსი — 5, აფხაზი — 7, ებრაელი — 2, პარტიის წევრი და კანდიდატი — 164, კომკავშირელი — 79. წერა-კითხვის მცოდნე — 527, წერა-კითხვის მცირე მცოდნე — 79, უცოდინარი — 175²⁷.

აქედან ირკვევა ის საგრძნობი წარმატება, რაც კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობას ჰქონდა ქალთა შორის. მაგრამ ეს მუშაობა მაინც მოისურვებდა სოფლად, განსაკუთრებით განაპირა კუთხეებში. დაბრკოლებას ქმნიდა ზნე-ჩვეულებანი, მოსახლეობის მრავალეროვნება, კულტურული განვითარების სხვადასხვა დონე და ყოფა-ცხოვრების ისეთი ნიშნები, როგორიც იყო ჩადრი, ყალიმი, მცირეწლოვანთა გათხოვება და ა. შ. ნაკლებად ხდებოდა ქა-

23 გაზ. „კომუნისტი“, 1925, 1 თებერვალი.

24 გაზ. „კომუნისტი“, 1925, 13 ოქტომბერი.

25 გლეხ ქალთა ორგანიზატორის თანამგზავრი, თბ., 1927, გვ. 20—21.

26 ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 9.

27 იქვე, ს. 371, ფურც. 1.

ლების დაწინაურება, მცირე იყო მათი რიცხვი საბჭოებში, რაც აიხსნებოდა არა მარტო მშრომელი ქალების ჩამორჩენილობით, არამედ მამაკაცების მიზეზითაც, რომლებიც საჭირო ზომებს არ იღებდნენ „ქალების გამოსაშვებად საზოგადოებრივი ცხოვრების სარბიელზე“²⁸.

ამას თვალსაჩინოდ ადასტურებს ქუთაისის მაზრის სოფელ მუხიანში არჩევნების დროს შექმნილი მდგომარეობა. 1926 წლის თებერვალში მუხიანის სათემო საბჭოში აირჩიეს 19 დეპუტატი. მათ შორის 3 ქალი, მაგრამ ამას გლეხები პროტესტით შეხედნენ. მხოლოდ არჩევნების ხელმძღვანელთა ახსნა განმარტების შემდეგ კრება დათანხმდა ქალების გაყვანას საბჭოში²⁹.

ასეთი ფაქტი საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების მეხუთე წლისთავზე საბჭოების არჩევნების დროს და ისიც ისეთ მოწინავე მაზრაში, როგორიც ქუთაისი იყო, მიუთითებდა იმაზე, რომ პოლიტიკურ-საგანმანათლებლო მუშაობა რესპუბლიკის მოსახლეობაში ჯერ კიდევ მოისუსტებდა. მაგრამ შემდეგ მდგომარეობა იცვლება და მშრომელ ქალთა აქტივობაც იზრდება. ამას გვიჩვენებს 1926 და 1927 წლების საბჭოებში არჩევნების შედეგების შედარება. 1926 წელს საბჭოების არჩევნებში მონაწილეთა 31,8% ქალი იყო; 1927 წ. კი — 37,7%, ხოლო რესპუბლიკის თემ საბჭოებში 1926 წელს არჩეულ იქნა 2000 ქალი — დელეგატი, 1927 წელს — 2203³⁰.

დიდი დაბრკოლება ეღობებოდა ეროვნულ უმცირესობათა ქალებს. შორის მუშაობას. ამიტომ ჯერ კიდევ 1921 წლის აპრილში საქართველოს კპ (ბ) ცენტრალურ კომიტეტში შეიქმნა ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის ქვეგანყოფილება, ხოლო წლის დამლევსათვის ეროვნულ უმცირესობათა სექციები დაარსდა ახალციხის, ახალქალაქის და ბათუმის პარტიულ კომიტეტებთან³¹.

საზოგადოებრივი, პოლიტიკური, პროფესიული და სადელეგატო კრებების საქმიანობაში ეროვნულ უმცირესობათა ქალების ჩაბმის მიზნით გაიხსნა ქალთა კლუბები თავდაპირველად თბილისში, ბათუმში, ბორჩალოსა და ახალციხეში, მაგრამ მუშაობას აძნელებდა წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტებისა და კვალიფიციური კადრების ნაკლებობა, საჭირო ლიტერატურის უქონლობა, ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციების მხრივ სუსტი ხელმძღვანელობა და საქართველოს კპ (ბ) ცკ-ის ეროვნულ უმცირესობათა ქვეგანყოფილებამ გააძლიერა მუშაობა არსებული მდგომარეობის გასაუმჯობესებლად³².

საქართველოს ცაკის პრეზიდიუმმა 1928 წლის 29 დეკემბერს განიხილა ახალციხის მაზრის ქუთათი ქალებისათვის ერთი სამკითხველოსა და წერა-კითხვის უცოდინარობის 4 სალიკვიდაციო სკოლის მოწყობის საკითხი³³.

ეროვნულ უმცირესობათა ქალები სუსტად იყვნენ ჩაბმული წარმოებაში — 1927 წ. საქართველოს პროფკავშირებში გაერთიანებული 33067 ქალიდან ეროვნულ უმცირესობათა საერთო რაოდენობა შეადგენდა 44,7%. აქედან რუსები — 28,6, სომხები — 14,4, აზერბაიჯანელები — 0,3, ბერძნები — 0,8,

28 გაზ. „კომუნისტი“, 1925, 17 იანვარი.

29 გაზ. „კომუნისტი“, 1926, 16 თებერვალი.

30 ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 284, აღწ. 1, ს. 558, ფურც. 3.

31 საქართველოს კომპარტიის ისტორიის ნარკვევები, თბ., 1971, გვ. 499.

32 გაზ. „კომუნისტი“, 1928, 28 იანვარი.

33 ოქტომბრის რევოლუციის არქივი ((თბ.), ფ. 300, აღწ. 1, ს. 144, ფურც. 12.

ოსები — 0.6%, დანარჩენი კი ქართველები იყვნენ. სადელეგატო კრებებში ეროვნულ უმცირესობათა ქალების მონაწილეობაც არ იყო მყარი. მაგალითად 1926/27 წელს არჩეული იყო 1630 ქალი ეროვნულ უმცირესობიდან. ხოლო 1927 წელს მათი რიცხვი შემცირდა 98-ით³⁴.

საქართველოს ცაკთან არსებულ მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი კომისია უწევდა ყველა ეროვნების უმუშევარ ქალებს მატერიალურ დახმარებას და ხელს უწყობდა მათ შრომით მოწყობას. იგი ხსნიდა წარმოება-დაწესებულებებს, სასადილოებს, შრომის არტელებს, სახელოსნოებს, სამკერვალოებს და სხვ. ამ კომისიის მუშაობის ანგარიშიდან ირკვევა, რომ 1928 წლის განმავლობაში კომისიისათვის მიუმართავს სხვადასხვა ეროვნების 14400 ქალს (აქედან რუსი—43, % ქართველი—30, სომეხი — 18, აზერბაიჯანელი — 3, სხვა ეროვნების წარმომადგენელი — 6 %)³⁵.

კომისიამ სამუშაოზე მოწყობის შუამდგომლობა აღმოუჩინა 365 ქალს. რეგისტრაციაზე გაატარა — 253, უფასო სამედიცინო დახმარება აღმოუჩინა 327, სტაციონარში მკურნალობა ჩაუტარდა 55, კურსებზე გააგზავნა 45; იურიდიული დახმარება გაუწია 377, სასამართლო საქმის გარჩევის დროს სახელმწიფო დამცველები დაუნიშნა 114 ქალს, ცოლ-ქმარი შეარიგა 431 შემთხვევაში და ა. შ³⁶.

აჭარის ცაკთან არსებულ ქალთა კომისიას იმავე წელს დახმარებისათვის მიმართა 500 ქალმა, აქედან სამუშაოზე გაგზავნა — 100, დროებით დასაქმა — 150, რეგისტრაციაზე გაატარა სამუშაოზე მოსაწყობად — 250, უფასო მკურნალობისათვის — 200, ფულადი დახმარება აღმოუჩინა 200 ქალს³⁷.

განსაკუთრებული ყურადღება ექცეოდა ჩამორჩენილ რაიონებში — აჭარის, სამხრეთ ოსეთის, აფხაზეთის, სვანეთის, ძველი ყოფა-ცხოვრებიდან ქალების განთავისუფლების საქმეს³⁸ და ქალთა მდგომარეობის გაუმჯობესებას მთიან რაიონებში რაჭა-ლეჩხუმში, ფშავ-ხევსურეთში და სხვაგან. მაგალითად, ლეჩხუმის მაზრაში არსებულ 35, ე. ი. ყველა პარტუჯრედში სამის გარდა, გამოიყო ქალი ორგანიზატორი; სადელეგატო კრებები მოეწყო 12 პუნქტში, 1926 — 1927 წელს აირჩიეს 332 დელეგატი ქალი. აქედან ღარიბი, წერა-კითხვის უცოდინარი იყო 120, მაზრაში გახსნეს ქოხ-სამკითხველოები, წერა-კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო სკოლები, ჭრა-კერვის წრეები, საბჭოებში 1927 წ. აირჩიეს 45 ქალი, თემკომებში — 3, სამაზრო კომიტეტებში — 3³⁹.

ფ. მახარაძემ სტატიაში „დიდი ისტორიული მნიშვნელობის ფაქტი“ აჭარელ ქალთა ცხოვრებაში მომხდარი გარდატეხა შემდეგ საფეხურებად დაყო: პირველ საფეხურზე ქალთა შორის მუშაობაში პრაქტიკული ნაბიჯების გადადგმის მხრივ პარტიას და საბჭოთა ხელისუფლებას ფართო ღონისძიებანი არ განუხორციელებიათ და ძველი ადათ-წესების, ზნე-ჩვეულებათა გავლენაც დღე იყო.

34 გაზ. „კომუნისტი“, 1928, 18 ნოემბერი.

35 ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 284, აღწ. 1, ს. 955, ფურც. 2—3, 10.

36 იქვე, ფურც. 2—3.

37 იქვე, ფურც. 11.

38 ი. ჩიქავა, საქართველოს გლეხობის კომუნისტური აღზრდის შესახებ (1921—1937 წწ.), თბ., 1978, გვ. 108.

39 გაზ. „კომუნისტი“ 1927, 24 დეკემბერი.

მეორეზე. 1926 წლიდან აჭარაში იწყება პროპაგანდა ჩადრის წინააღმდეგ, მაგრამ ამ ეტაპზე პარტია და კომკავშირი ეწეოდნენ მხოლოდ მოსამზადებელ მუშაობას.

მესამე საფეხურზე, 1929 წლიდან ჩადრის ტარებასა და ქალის კარჩაკეტილ ცხოვრებას აჭარაში გამოეცხადა აშკარა ბრძოლა⁴⁰. სრულიად საქართველოს ცაკთან, აჭარის, აფხაზეთის ცაკებთან, ქუთაისის, ახალქალაქის და ახალციხის აღმასკომებთან არსებულ მშრომელ ქალთა შრომისა და ყოფა-ცხოვრების გასაუმჯობესებელი კომისიების წევრთა თათბირმა 1929 წლის 2—5 სექტემბერს ყურადღება მიაქცია ამ კომისიების მუშაობის გაძლიერებას, განსაკუთრებით ეროვნულ უმცირესობათა ქალებს შორის, მუშაობის უკეთ წარმართვის მიზნით საჭიროდ ცნეს ამ კომისიების კონტაქტის აუცილებლობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალურ კომიტეტთან მოქმედ ეროვნულ უმცირესობათა კომისიასთან⁴¹.

ეროვნულ უმცირესობათა მოსახლეობაში, კერძოდ ქალთა შორის, კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა უფრო გაფართოვდა განათლების სახალხო კომისარიატთან ეროვნულ უმცირესობათა საქმის კომიტეტის დაარსებით, რომლის შემადგენლობაში შევიდნენ სოციალური აღზრდის, პროფესიული და პოლიტიკური განათლების, ლიტერატურისა და ხელოვნების საქმეთა, საძეგნიერო, სამუზეუმო დაწესებულებათა მთავარი სამმართველოების უფროსები და პირები, რომლებიც ამ სამმართველოებში უშუალოდ ხელმძღვანელობდნენ ეროვნულ უმცირესობათა განათლებას.

საქართველოს სსრ სახკომსაბჭომ 1929 წლის 17 დეკემბერს დაამტკიცა აღნიშნული კომიტეტის დებულება. 1929 წლის 26 ნოემბერს სსრ კავშირის ცაკის სამდივნომ მოისმინა ქალთა ყოფა-ცხოვრების და შრომის პირობების გასაუმჯობესებელი კომისიების სრულიად საქავშირო მეორე თათბირის შედეგები. ყურადღება მიაქცია ადგილებზე მათი ჩუდმივი წევრების შერჩევას ეროვნულ უმცირესობათა ქალების ჩაბმას საბჭოთა მშენებლობაში, მოჯამაგირეთა შორის მუშაობას, და მიუთითა, რომ კომისიამ გაავრცელოს თავისი საქმიანობა ყველა ეროვნების მოსახლეობაში⁴².

კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა დიდ ყურადღებას უთმობდნენ ქალთა შორის მუშაობას, რადგან მშრომელ ქალთა კულტურული და პოლიტიკური განათლების დონის აუმაღლებლად შეუძლებელი იყო ახალი საზოგადოებრივი და სახელმწიფოებრივი წყობილების წარმატებით მშენებლობა⁴³.

მშრომელ ქალთა პოლიტიკური აქტივობის ზრდაზე მიგვითითებს პარტიულ, კომკავშირულ და პროფკავშირულ ორგანიზაციებში მათი მონაწილეობაც. საქართველოს პარტიულ ორგანიზაციაში 1923 წელს 11166 კომუნისტიდან 486 ქალი იყო, ხოლო 1932 წელს — 51582 კომუნისტიდან — 4573⁴⁴.

⁴⁰ ვაზ. „კომუნისტი“, 1929, 3 თებერვალი.

⁴¹ ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 284, აღწ. 1, ს. 985, ფურც. 11—12.

⁴² ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 600, აღწ. 1, ს. 2291, ფურც. 5—6.

⁴³ მ. ჯიქიის შვილი, საქართველოს მუშათა კლასისა და გლეხობის კავშირის ისტორიისათვის (1917—1925 წწ.), თბ., 1970, გვ. 216

⁴⁴ Коммунистическая партия Грузии в цифрах (1921—1970 гг.). Сборник статистических материалов, Тб., 1971, გვ. 15, 62.

1929 წელს კომკავშირში ირიცხებოდა 15983 ქალი, პროფესიულ კავშირებში 32432. სათემო საბჭოში არჩეულ 27 ათასი მშრომელიდან 16% იყო ქალი, სათემო აღმასკომებში — 2600, აქედან ქალი — 14,4%; საბჭოების სამაზრო ყრილობაზე არჩეული 3400 დელეგატიდან ქალი იყო 15,2%, ხოლო სამაზრო აღმასრულებელ კომიტეტებში არჩეული 1300 კაციდან — 11,7%⁴⁵.

1929 წლიდან დაიწყო ხელმძღვანელ სამუშაოებზე ქალების გაბედული დაწინაურება. თეკლათის (სენაკის მაზრა) თემსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს: — ფედოსია უჩანეიშვილი: გუბის (ქუთაისის მაზრა) — ასინეთ იამანიძე; ბოაღევის (შორაპნის მაზრა) — ზინა მიქაბერიძე; ზუგდიდის მაზრაში — საჯიჯაოს თემსაბჭოს თავმჯდომარედ — პარასკევა თოდუა, ხაბუმის — თებრო შოგირაძე, ხეთის — მანანა ნაყეზია, ხოლო მარო ჯალალონია აირჩიეს წალენჯიხის რაიადმასკომის თავმჯდომარის მოადგილედ. სვანეთში ფარის თემსაბჭოს თავმჯდომარედ აირჩიეს თამარ წულუკიანი, ჭუბერის — მ. ცინდელიანი; აჭარაში — ორთაბათუმის რაიონული საბჭოს თავმჯდომარედ — გული ბარამიძე, ახალციხის მაზრაში — თამარ ბაბაევა; ასევე დააწინაურეს ქალები აფხაზეთში, სამხრეთ ოსეთში და საქართველოს სხვა მაზრებში⁴⁶.

საკ. კბ (ბ) ცენტრალურმა კომიტეტმა 1930 წლის ოქტომბერში მიიღო დადგენილება ქალთა სადელეგატო კრებების გადარჩევების შესახებ. ამის მიხედვით იცვლებოდა სადელეგატო კრებების მუშაობის შინაარსი, შემოღებულ იქნა ქალთა კვარტალური კონფერენციები, ქალთა აქტივის თათბირების მოწვევა, საწარმოო თათბირებში ქალთა მონაწილეობა.

საწარმოებსა და მშენებლობაზე სადელეგატო კრებები უნდა მოწყობილიყო საწარმოო ნიშნის (საამქრო, ბრიგადა და ა. შ.), ხოლო საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში — საწარმოო — ტერიტორიული ნიშნის მიხედვით. ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში დელეგატი ქალების გადარჩევების დროს მხედველობაში მიიღებოდა ეროვნული თავისებურებანი. ქალთა შორის მომუშავეთა სექტორების პირველ რესპუბლიკურ თათბირზე 1930 წლის 12 ოქტომბერს ფ. მახარაძემ მოხსენებაში — „სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია და ქალის როლი“, მიუთითა საბჭოთა საზოგადოების მშენებლობაში ქალთა მასობრივი ჩაბმის აუცილებლობაზე და აღნიშნა, რომ პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალის ჯერ კიდევ სუსტი მონაწილეობა აიხსნება მათი ნაკლები მომზადებით. აგრეთვე ყოფა-ცხოვრების პირობებით. ქალი უნდა ჩაებას სახალხო მეურნეობის ყველა სფეროში მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში, კულტსაგანმანათლებლო მუშაობაში. თავისი წვლილი უნდა შეიტანოს საწარმოო თათბირებისა და კოლმეურნეობათა გამგეობის საქმიანობაში⁴⁷.

კულაკები იბრძოდნენ სოციალისტურ მშენებლობაში ქალთა ჩაბმის წინააღმდეგ. 1930 წლის გაზაფხულზე, მათ ისარგებლეს რესპუბლიკის ზოგიერთ რაიონში: ქალთა შორის სუსტი მუშაობით და გამოიყენეს რელიგიური აღათების ნაშთები, გლეხ ქალთა ნაწილის ჩამორჩენილობა კოლმეურნეობათა

45 იხ.: საქართველოს კომუნისტური პარტიის ისტორიის ნარკვევები, გვ. 590.

46 ოქტომბრის რევოლუციის არქივი (თბილისი), ფ. 284, აღწ. 1, ს. 1109, ფურც. 2, 4—13.

47 კომუნისტი, 1930, 9 და 17 ოქტომბერი.

წინააღმდეგ ბრძოლისათვის. კულაკები არწმუნებდნენ გლეხ ქალებს, რომ კომუნისტები მთელი საოჯახო ქონების განსაზოგადებას აპირებნო და ა. შ.⁴⁸

აღნიშნული მიზეზების გამო რესპუბლიკაში ადგილი ჰქონდა დელეგატ ქალთა რიცხვის შემცირებას, თბილისის ზოგიერთ საწარმოში სადელეგატო კრებების ჩაშლასაც კი. ამის გამო 1932 წ. 19 თებერვალს ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის სამდივნომ მიიღო დადგენილება ქალთა შორის პოლიტიკურ-მასობრივი მუშაობის გაძლიერების შესახებ და ხაზგასმით მიუთითა, რომ პოლიტიკურ-აღმზრდელობით მუშაობაში უზრუნველყოფილყო დიდფრენციული, ფაქიზი და ყურადღებიანი მიდგომა ყოფა-ცხოვრების წვრილმანებისადმი, ქალთა მშომელი მასების მოთხოვნილებათა და საჭიროებისადმი, განსაკუთრებით ნაცემცირესობათა ქალებისა და მშრომელ ქალთა უფრო ჩამორჩენილი ნაწილების მიმართ, რომელთა შორის უფრო მეტი იყო რელიგიური ადათ-ჩვეულების ნაშთები⁴⁹.

ამრიგად, სოციალიზმის საფუძვლის მშენებლობის პერიოდში მრავალი დაბრკოლების დაძლევის შედეგად საქართველოში გაიშალა ქალთა შორის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობა. რამაც უზრუნველყო მშრომელ ქალთა პოლიტიკური და შრომითი აქტივობის ამაღლება და მათი თვალსაჩინო წვლილი რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის ყველა დარგის განვითარებაში.

Л. В. ДЖИКИЯ

КУЛЬТУРНО-ПРОСВЕТИТЕЛЬНАЯ РАБОТА СРЕДИ ЖЕНЩИН В ГРУЗИИ В ПЕРИОД СТРОИТЕЛЬСТВА СОЦИАЛИЗМА

Резюме

После победы Советской власти в Грузии Коммунистическая партия и Советское правительство начали широкомасштабную работу по улучшению жизненных и правовых условий женщин.

В городах и деревнях создавались делегатские собрания, женские отделы, которые способствовали привлечению женщин-тружениц в общественную работу, в дело строительства социализма.

Широко разворачивалась культурно-просветительная работа в Грузии среди женщин, что повышало их политическую и трудовую активность и вклад в развитие всех отраслей народного хозяйства республики.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის საბჭოთა საქართველოს ისტორიის განყოფილებამ

⁴⁸ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, გვ. 628.

⁴⁹ მასობრივი მუშაობა ქალთა შორის, თბ, 1932, გვ. 12.

П. С. ТКАЧЕНКО

ГРУЗИНСКИЕ ШЕСТИДЕСЯТНИКИ

В истории революционного движения 60-х годов шиутинский кружок служил притягательной силой, ускорителем в образовании революционного подполья. Именно в 1866 году, после каракозовского выстрела, усиливается работа следственных и карательных органов по выяснению революционной деятельности в различных направлениях. Здесь исследуется перегруппировка различных революционных сил.

В середине 60-х годов наступает спад революционной волны и накали революционной ситуации, имевшей место в конце 50-х и начале 60-х годов. В этих условиях вполне ясны исторические ошибки революционных деятелей, отход от объективной оценки реальной действительности.

Революционеры конца 60-х годов стремились организовать свою партию, привлекая для этого оппозиционные силы и, прежде всего, студенчество. В этом плане важно рассмотреть политику грузинских студентов, стремившихся добиться консолидации столичного петербургского студенчества.

Заметим при этом, что опубликованные материалы, на которые мы ссылаемся, не доступны для широкого круга читателей¹.

В 1866 г. Петербургской комиссии удалось заполучить любопытную фотографию, изображавшую 21 человека. Она была взята у дворянина Кутаисской губ. Якова Инсарлова, задержанного на Динабургской станции при возвращении из Киева в Петербург, куда он ездил для сдачи экзамена в университет. 4 ноября 1866 г. Ланской доносил в III Отделение, что дело находилось в Виленской следственной комиссии и теперь препровождено вместе с фотокарточками политических преступников². На одной фотографии приведены фамилии: Хаева, Ковалевского, Дукельского, Николадзе, Петровского, Д. Гогоберидзе, Инсарлова, Шаншиева и др. Такая «случайная» находка весьма пригодилась в конце 1866 г., когда III Отделение продолжало вести наблюдение за участниками студенческого движения 1861 г. в Петербурге (а таких по указанному списку было большинство). Здесь и корреспондент «Колокола», эмигрант Николадзе, известный уже Печатник, Кипиани, участки Гельдельбергской библиотеки Ковалевский.

Конечно, по одной фотографии нельзя характеризовать революционные связи, но сам факт поездки Инсарлова не был случайным явлением.

Что касается Николадзе и других грузинских студентов, то важ-

¹ ЦГА г. Москва, ф. 16, оп. 61, № 78, 1871—1873 г. лл. 23, 24, 37.

² ЦГАОР, ф. 95, оп. 1, № 396, 1866, л. 14 и об., л. 32.

ные сведения об их деятельности содержатся в обстоятельном исследовании М. Т. Пинаева³ и докторской диссертации П. К. Ратиани⁴. В условиях резких разногласий между Герценом и «молодой эмиграцией» по вопросу об изменении программы «Колокола», в ожидании возможного побега Чернышевского из Сибири в Женеву, Элпидин, выполняя соглашение с русским подпольным центром, основал в 1866 г. новую женеvскую «вольную типографию».

В 1866 г. Элпидин с соратниками предпринимает энергичные усилия для издания на базе своей типографии нового эмигрантского журнала, способного осуществить самостоятельную политику «молодой эмиграции». В 1866 г. вышло всего два номера «Подпольного слова». В 1868 г. с 20 апреля по 15 сентября вышло семь номеров «Современности». Редактировали последний Элпидин, Мечников и Николадзе⁵. Позиция Серно-Соловьевича, Николадзе и Элпидина в отношении сочинений Чернышевского должна была соответствовать широко распространенному мнению о невинности Чернышевского⁶.

Николадзе до отъезда за границу (1861—1864 гг.) активно участвовал в петербургском революционном движении. После освобождения из-под ареста за участие в студенческих волнениях 1861 г. Николадзе сблизился с Чернышевским и проживал некоторое время на его квартире. Он сотрудничал в «Современности», «Искре», «Народном богатстве». В 1865 г., находясь в Париже, Николадзе установил связь с Герценом и Огаревым, принял их предложение сотрудничать в «Колоколе», где поместил ряд статей.

В 1866 г., в связи с выстрелом Каракозова Николадзе под псевдонимом «Никифор Г.» издал в Женеве брошюру «Правительство и новое поколение». В это же время он, вместе с М. Элпидиным, начал издание сочинений Чернышевского. Это был период, когда явно определились разногласия в среде «молодой эмиграции»⁷.

На страницах «Современности» Николадзе опубликовал две статьи: «Русская эмиграция» и «Два поколения», в которых писал о бесперспективности русской эмиграции. Это возмутило А. Серно-Соловьевича, который выступил со статьей «Никола—публицист». Изучая русскую и польскую эмиграцию 1865—1872 гг., советский историк Т. Г. Снытко писал, что Серно-Соловьевич подверг справедливой критике эмигрантские издания «Современности», «Подпольного слова» за их требования учреждения республики (вообще), улучшения благосостояния народа (вообще), за то, что они не делят понятие «народ» на классы и не выдвигают задачи классовой борьбы⁸. Арестованные в 1868 г. Ив. Пеньковский и др. часто допрашивались по поводу

³ М. Т. Пинаев. М. Ч. Элпидин — революционер, издатель и пропагандист наследия Н. Чернышевского. Ученые записки Волгоградского пединститута им. Серго-Фимовича. Вып. 21, 1967.

⁴ П. К. Ратиани. Из истории революционной деятельности грузинских шестидесятников. Автореферат докт. диссертации, Тбилиси, 1963.

² ЦГАОР, ф. 95, оп. 1, № 396, 1866, л. 14 и об., л. 32.

⁵ М. Г. Пинаев. Указ. соч., с. 19.

⁶ Там же, с. 26.

⁷ Подробнее см. Б. П. Козьмин. Из истории революционной мысли в России. М., 1961, с. 483—573.

⁸ Т. Г. Снытко. Русское народничество и польское общественное движение 1865—1881 гг. М., 1969, с. 78.

Н. Николадзе и всей его деятельности. Особенно интересовал следственную комиссию Николадзе в связи с арестом Ив. Розанова, оказавшегося ренегатом, а также в связи с миссией Ив. Бочкарева. В секретном документе III Отделения говорилось: «Элпидин, проживая уже 3 года в Женеве, выучился там типографскому делу в типографии «Пука в Пфефер...», он открыл небольшую собственную типографию, в которой вместе с Мечниковым, Николадзе и Ивановским печатал сперва разные пасквили, грязного содержания брошюры, а затем революционного направления листки «Подпольное слово» и «Современность». В последнее время Элпидин предоставил издание «Современность» Николадзе, который, впрочем, переехал на жительство в Цюрих.

Элпидин — ярый нигилист, — коммунист... Что касается лично Николадзе, то он слышит за человека умного и дельного, как отзываюся его друзья, провести наше правительство... До сих пор не обнаружено, чтобы Элпидин и Николадзе замыслили что-либо против Императорского семейства»⁹.

Ратнани относит Николадзе к активным участникам революционной эмиграции. Для определения его идейных позиций исследователь приводит следующие слова Розанова: «Это достойный сотоварищ Элпидина... Он превозносит Чернышевского, что никогда никакая страна не производила такого человека, такого таланта, как Чернышевский»¹⁰. По возвращении Н. Николадзе на родину правительство установило над ним строжайший полицейский надзор, специально были предупреждены цензоры.

К числу грузинских студентов шестидесятников следует отнести и Николая Кипиани, революционная деятельность которого впервые обнаруживается в сентябре 1868 г. во время обыска в квартире Ек. Ал. Солодовниковой — одной из учредительниц и распорядительниц «школы сельских учительниц», закрытой правительством в 1866 г. после выстрела Каракозова.

У Солодовниковой была обнаружена переписка за 1867 г. с русскими эмигрантами — И. Пеньковским, известным поэтом Н. А. Вормсом, студентом Петербургского университета Н. Д. Кипиани на имя Черкезова, с участником студенческих волнений 1861 г. и 1869 г., студентом того же университета С. В. Езерским¹¹.

Упомянутый нами В. Д. Черкезов был хорошо известен III Отделению. В письме к нему Кипиани жаловался на инертность студенчества и отсутствие в нем серьезных интересов и рассказывал о попытке петербургских студентов, уроженцев Кавказа, в целях объединения молодежи, создать тайную кассу взаимопомощи¹². Он писал: «Взгляды ваши на нашу молодежь я не вполне разделяю; мне кажется, что вы делаете много чести ей, говоря, что «в них явится готовность делать дело и решимость идти в огонь, когда раздастся голос,

⁹ Цитируя по автореферату П. К. Ратнани, с. 65.

¹⁰ Там же.

¹¹ Подробнее см. Б. П. Козьмин. — Революционное подполье в эпоху «белого террора». М., 1929, с. 11—36, 167—174.

¹² Б. П. Козьмин. Указ. соч., с. 23.

когда найдется человек, который бы вел их...». Положение нашей молодежи выражается в трех словах: не двигает мозгами. Условия, в которые она поставлена, все направлены к тому, чтобы она не двигала мозгами и удовлетворялась лекциями, бильярдной игрой, плясками»¹³. В письме к отцу от 26 января 1868 г. Н. Д. Кипиани указывал, что в Петербурге — в университете, медицинской академии, в технологическом институте и в других высших учебных заведениях найдется человек около 60-ти грузин, армян и русских, кавказцев. «Все мы дети одной земли, всем нам придется служить одному краю... между тем единства между нами нет никакого... разрозненность тормозит наше развитие»¹⁴.

Одним из средств устранения такой разрозненности должна стать касса. Касса эта, по словам Б. П. Козьмина, возникла в конце 1867 г. и просуществовала до весны 1868 г., когда ее участники разъехались на летние вакации из Петербурга. Касса, учрежденная Кипиани и его товарищами, справедливо замечает Б. П. Козьмин, была одной из попыток возрождения той корпоративной организации студенчества, которая существовала в русских университетах в первые годы царствования Александра II и которая погибла после того, как правительство в 1861 г. запретило студенческие сходки, суды, библиотеки, кассы взаимопомощи и т. д.¹⁵.

Кипиани показывал следственной комиссии: «Под организованным объединением молодежи я разумел такое положение молодежи, в каком она находилась со студенческих беспорядков 1862»¹⁶. Я полагаю, что молодежь должна составлять корпорацию и корпорация эта должна делиться на отдельные части, как это существует в германских университетах и в дерптском. Цели, которые должна бы была преследовать молодежь, были, по моему разумению, следующие: хлопотать у университетского начальства исходатайствование перед высшим начальством права иметь студентам кассы, библиотеки студенческие, право устраивать и наблюдать выборным от студентов за этими кассами, библиотеками»¹⁷.

Организаторы кассы мечтали об объединении не только петербургского, но и всего русского студенчества. В числе участников кассы, кроме студентов различных петербургских высших учебных заведений, были один студент Петровской академии в Москве и один — Харьковского университета.

Анализируя личный состав кассы, Б. П. Козьмин обратил внимание на то, что при организации ее сошлись «старинки», участвовавшие в волнениях 1861 г. (Давид Абдушелишвили, Кирилл Лордкипанидзе и Амель Челобаев), с молодежью, впоследствии принявшей участие в движении, охватившем петербургские высшие учебные заведения зимой 1863—1869 гг. (помимо Кипиани, Виссарион Джапаридзе, Николай Орбелини и Леонид Мгебров). Никто из членов кассы, кроме

¹³ Б. П. Козьмин. Указ. соч., Приложения, с. 167.

¹⁴ Там же, с. 170.

¹⁵ Б. П. Козьмин. Указ. соч., с. 23.

¹⁶ Явная ошибка. Кипиани имеет в виду беспорядки, разыгравшиеся в Петербурге в сентябре и октябре 1861 г. Примеч. Б. П. Козьмина, с. 74.

¹⁷ Б. П. Козьмин. Указ. соч., Прилож., с. 174.

¹⁸ П. К. Ратиани. Указ. раб., с. 56.

Кипиани и допрошенного в качестве свидетеля Черкезова, к следствию привлечен не был. Во время обыска у Кипиани были найдены устав и список членов тайной кассы, отчеты депутатов кружков о ее состоянии, №№ 233 и 234 «Колокола», выписки из «Полярной Звезды», русский перевод статьи Н. Г. Чернышевского, помещенный во французском издании «Колокола», рукопись статьи А. Серно-Соловьевича «Наши домашние дела», грузинский перевод «Марсельезы», перевод речи Сен-Симона «К рабочим Парижа», Писарева, Прудона¹⁸. Ведь сам Кипиани 11 сентября 1869 г. писал своим друзьям: «Ради всего святого на свете, сохрани мне «Современник...» статьи Чернышевского»¹⁹.

В этих словах ясно звучит увлеченность Кипиани демократической литературой 60-х годов.

Итак, в Петербурге в 1861—1868 гг. существовало несколько подпольных групп. Совокупность данных по делу Солодовниковой, Бочкарева и других позволила Б. П. Козьмину сделать этот вывод и заявить, что в 1868 г. русская швейцарская эмиграция не была совершенно оторвана от России, что она поддерживала сношения с какими-то революционными группами и лицами, действовавшими в пределах России и что некоторые из этих групп делали попытки связаться с эмиграцией²⁰.

Как видно, и тайная касса взаимопомощи студентов-кавказцев может быть отнесена к подобного рода подпольным кружкам. Стремление Кипиани к организованному объединению петербургского студенчества, наличие устава, кассы и списка членов ее подтверждают этот вывод.

В своей статье «Н. Г. Чернышевский» Кипиани высоко ставит статью Чернышевского «Очерки гоголевского периода русской литературы». Она привлекла его внимание количеством и значением вновь освещенных фактов, верностью и справедливостью оценки, смелостью, с какою автор опровергал литературных идолов. Кипиани писал, что когда Александр II разыгрывал еще роль «царя-освободителя», Чернышевский возвысил свой могучий голос и сквозь туман цензурных указаний инструкций задумал заинтересовать своих читателей социальными науками, так как он имел еще веру в обещания правительства и в инициативу со стороны общества¹.

Кипиани правильно подчеркивает, что, начав с полемики об общине, Чернышевский принялся изучать крестьянский вопрос во всех подробностях и особенно с полной и «суровой откровенностью» он писал в «Полемических красотах».

«Молодежь, — писал Кипиани, — не переставала читать с жадностью своего любимого публициста, создавшего простой и честный язык, который понимала эта молодежь и который был выражением ее собственных стремлений»².

¹⁹ П. К. Ратианц, с. 69.

²⁰ Б. П. Козьмин. Указ. соч., с. 114.

Вслед за «Колоколом» Кипиани смело обличает систематическое преследование Чернышевского, его семьи и затянувшийся на два года судебный процесс.

Совокупность данных о Кипиани и др. свидетельствует о заметном стремлении преодолеть изолированность петербургского студенчества, стать на путь кооперативных объединений.

Нарисованная картина была характерна не только для столичного студенчества. Под прямым влиянием антиправительственной пропаганды и агитации народников возникают очаги революционного движения в глухих отдаленных губерниях — местах ссылки.

Представлена Отделом истории, исторической науки и общественной мысли Института истории, археологии и этнографии им. И. А. Джавахишвили АН ГССР.

ლეჩხუმი XVII საუკუნის მეორე ნახევარში

საუკუნე ნახევარზე მეტი ხნის განმავლობაში მიმდინარეობდა ლეჩხუმის-თვის ბრძოლა იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს შორის. ეს ბრძოლა XVII საუკუნის შუა ხანებში დაიწყო და XIX საუკუნის დამდეგამდე გრძელდებოდა.

ლეჩხუმი ოკრიბითურთ იმერეთის სამეფოს ერთ სადროშოს წარმოადგენდა¹ და მის სათავეში იდგა სარდალი, რომელიც ამავე დროს მოურავიც იყო. სარდალ-მოურავები ლეჩხუმის ბატონებად იწოდებოდნენ. ვახუშტი ბაგრატიონი ლეჩხუმის შესახებ წერს, რომ მისი „მოსახლენი არიანო აზნაურნი და გლეხნი რამეთუ არა არსო მოსახლე, რომელსა არა ედგას კოშკი ქვიტკირისა და შენობანი ყოველნივე ქვიტკირისანი“² ლეჩხუმის ციხე-სიმაგრეთაგან „არავისგან შემუსვრილ-აღებული“ მურის ციხე³ და დეხვირის ციხე იყო ყველაზე მნიშვნელოვანი. ამ უკანასკნელის შესახებ ვახუშტი წერს, რომ „რომელსა უპყრავს იგი, მორჩილებასა მისსა არიანო სრულიად“ ლეჩხუმელნი⁴.

ლეჩხუმისათვის ბრძოლა იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს შორის, როგორც ჩანს, ლევან II დადიანის (1611—1657) დროს დაიწყო. 1656 წლის ახლო ხანებში დაწერილ ერთ შეწირულობის წიგნში, ცაგერელი ეპისკოპოსი გაბრიელ ჩიქოვანი წერს: „ასეთი დრო იყო ის ალაგიც და სრულიად ოყურეში სადადიანოდ შეიქმნებოდა“⁵ რადგანაც ლეჩხუმის ერთი სოფელი უყურეში 1656 წლისათვის უკვე „სადადიანოდ ქცეულა, უნდა ვიფიქროთ, რომ მთელი ლეჩხუმი თუ არა მისი ნაწილი მაინც ლევან II დადიანის ხევში ყოფილა გადასული. მაგრამ ლევან II დადიანის გარდაცვალებისთანავე ლეჩხუმი, როგორც ჩანს, კვლავ იმერეთის ხელში გადასულა.

1661 წელს, ოდიშის მთავარ ვამეყ, III-ის წინააღმდეგ მეომარ მეფე ვახტანგ VI-ის მხარეზე იმერელ წარჩინებულთაგან ერთ-ერთი პირველი გადავიდა ლეჩხუმის ბატონი ხოსია ლაშხიშვილი. მან „ბრძანებითა ვახტანგ მეფისათა“ ვამეყ III სვანებს მოაკვლევინა და ამით მეფე ვახტანგ VI-ის ღიდი ნდობა დაიმსახურა. მან ხოსია პირველი ვეზირად დაუნიშნა თავის 14 წლის ძეს არჩილს, რომელიც იმერეთში გაამეფა. მაგრამ, სულ მალე, იმერელმა დიდებულებმა; რომლებიც „ვერ იტანდნენ ხოსიას განდილებას მისი მათ მიმართ მედიდური

1 ვახუშტი, აღწერა სამეფოსა საქართველოსა, „ქართლის ცხოვრება“, ტ. IV, თბ., 1973, გვ. 775.

2 იქვე, გვ. 749.

3 იქვე.

4 იქვე.

5 ქართული სამართლის ძეგლები, III, გვ. 522.

და უღმობელი დამოკიდებულებისა გამო⁶. მოკლეს ის. ხოსია ლაშხიშვილ⁷. შარდენის ცნობით, მოუკლავს მისსავე აზნაურს, რომელსაც სახელად, ასევე ხოსია რქმევია⁷. ეს უკანასკნელი XVII—XVIII საუკუნეთა მიჯნაზე შედგენილი ქართული ანონიმური ქრონიკის „ცხოვრებაჲ საქართველოჲსა“-ს ცნობით. გვარად ახვლედიანი ყოფილა⁸. ეს ამბავი კი, როგორც ირკვევა, 1662 წლის მიწურულს მომხდარა⁹. ხოსია ლაშხიშვილის მკვლელს. შეთქმულებმა, დაპირებისა-მებრ ლეჩხუმის სარდალ-მოურავობა მისცეს. ამრიგად, 1662 წლის მიწურული-დან ლეჩხუმის ბატონი ხოსია ახვლედიანი ყოფილა. ერთ უთარილო საბუთში, რომელსაც ჩვენ 1662—1665 წლებით ვათარილებთ¹⁰. ნათქვამია, „ახლა ლეჩხუმის ბატონი ხოსია ახვლედიანი არისო“¹¹ ხოსია იმერეთის სამეფოში ერთ-ერთი ყველაზე გავლენიანი დიდებული გახდა. ამიტომაც რომ მას სახლთა-ცეს სეხნია ჩხეიძის, რაჭის ერისთავ შოშიტას. გენათელ ეპისკოპოს გედეონ ლორთქიფანიძისა და ჭყონდიდელ ეპისკოპოსის გაბრიელ ჩიქვანის-იმერეთის სამეფოს ამ წამდელი მბრძანებლების გვერდით ვხედავთ მოწმედ მეფე ბაგრატ IV-ის მიერ 1665 წელს გაბოზებულ ერთ სიგელში¹².

დარეჯან დედოფლის მიერ ტახტიდან ჩამოგდებული მეფე ბაგრატ IV ხოსია ახვლედიანმა შეიფარა. უეჭველია, ეს იყო მიზეზი დარეჯანის მიერ ხოსიასათვის მამულების ჩამორთმევისა¹³. ხოსია ახვლედიანი სეხნია ჩხეიძესთან და გედეონ ლორთქიფანიძესთან ერთად სათავეში ჩაუდგა თავკერძა დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულებას. როგორც ჩანს, წინასწარ შემუშავებული გეგმის მიხედვით მოქმედებდა ხოსია ახვლედიანი. როცა დარეჯან დედოფლის ნდობის მოპოვებას ცდილობდა. მან მიაღწია მიზანს. „თურქების გამგზავრების შემდეგ მან დედოფალს მისწერა... და აცნობა, რომ... თუ დედოფალი იკისრებს [ვალდებულებას] დაუბრუნოს მას ფაშას წყალობა, თუ დაუბრუნებს მიწებს. რომელიც დედოფალმა ჩამოართვა და მისცემს აგრეთვე ბაგრატის კარის დიდი ვეზირის მიწებსაც, იგი გადასცემს მას მთავარს (ე. ი. ბაგრატ მეფეს — ა. ტ). ცოლითურთ. დარეჯანი მას ყველა სურვილის შესრულებას შეჰპირდა“¹⁴. ხოსია ახვლედიანი დედოფალთან გამოცხადდა. დედოფალმა ის იშვილა ძუძუზე კბილის დადგმის წესით¹⁵, რაც ხოსიასადმი უსაზღვრო ნდობის გამოცხადება იყო. ხოსიამაც ისარგებლა ამით და მალე სიცოცხლეს გამოასალმა თავისი. დედობილი. იმერეთის სამეფოს ტახტი კვლავ ბაგრატ IV-მ დაიკავა.

⁶ ჟან შარდენის მოგზაურობა, თბ., 1975, გვ. 241.

⁷ იქვე. გვ. 241.

⁸ ცხოვრება საქართველოჲსა. გამოსაცემად მოამზადა გ. ალასანიამ, თბ., 1986, გვ. 116; ა. ტუღუშო, ვახუშტის ერთი ცნობის გამო „ისტორია და გეოგრაფია სკოლაში“, 1986, № 3, გვ. 74.

⁹ ა. ტუღუშო, დემეტრე გურიელის მეფობის თარიღი. საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის მოამბე, 1983, ტ. 111, № 1, გვ. 166.

¹⁰ რადგან ამ საბუთის გამმოძებნეო გაბრიელ ჩიქვანი აქ მხოლოდ ცაგერელად იხსენიებს თავის თავს და ჭყონდიდლობაზე არაფერს ამბობს, ეს საბუთი 1665 წელზე გვიან ვერ დაიწერებოდა, ვინაიდან ის სწორედ ამ წელს იხსენიება პირველად ჭყონდიდელად. არც 1662 წელზე ადრეა ეს საბუთი შედგენილი, რადგან მასში ლეჩხუმის ბატონად ხოსია ახვლედიანა დასახელებული.

¹¹ ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, თბ., 1921, გვ. 65, ქართული სამართლის ძეგლები, გამოსცა ი. დოლიძემ, IV, თბ., 1972, გვ. 124.

¹² შ. ბურჯანიძე, ისტორიული დოკუმენტები... წ. I, თბ., 1959, გვ. 36.

¹³ ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 245—246.

¹⁴ იქვე.

ეს ამბები, დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულების ერთ-ერთი თავგაქცის გედონ ლორთქიფანიძის ცნობით, 1668 წელს მომხდარა¹⁵.

მადლიერი ბაგრატ IV, ცხადია, ხოსია ახვლედიანს წყალობდა, რაც, როგორც ჩანს, არ მოსწონდათ დიდგვაროვანებს. აზნაურ ახვლედიანის ესოდენი აღზევებით ისინი თავს შეურაცყოფილად გრძნობდნენ და თავიდან მოიშორეს კიდევ. ხოსიას მკვლელობის ერთ-ერთი თავგაქცეი დედოფლის წინააღმდეგ შეთქმულებაში მისივე თანამებრძოლი სახლთუხუცესი სეხნია ჩხეიძე ყოფილა. შარდენის ცნობით, ხოსია ახვლედიანის მკვლელები ჩხარის ბრძოლაში დაღუპულან. ჩხარის ბრძოლა კი, ვახუშტის მიხედვით, ბაგრატ IV-ის კვლავ გაძევების წელსვე მომხდარა¹⁶. მაშასადამე თვითონ ხოსია ახვლედიანიც 1668 წელს მოუკლავთ.

1668 წლის მიწურულს ბაგრატ მეფემ მეორე ელჩობა გაგზავნა რუსეთის მეფესთან გენათელ გედონ ლორთქიფანიძისა და დიმიტრი-ეზეკიელი არეშიძის მეთაურობით¹⁷. ელჩობის შემადგენლობაში იყო სვიმონ დეკანოზი — ლეჩხუმის სარდლის დიმიტრის წარმომადგენელი, რომელსაც თავისი ბატონის წერილი მიჰქონდა რუსეთის მეფესთან¹⁸. ამ წერილში დიმიტრი სარდალი რეძანოვის შვილად იხსენიებს თავის თავს. ამავე წერილიდანვე ირკვევა, რომ ის ყოფილა სარდალი — „სულ ლეჩხუმისა და სვანეთისა, ჭყვისის ციხისა და ქალაქისა მქონებელი“¹⁹.

შეიძლება გვეფიქრა, რომ ეს დიმიტრი ხოსია ახვლედიანის შემდეგი ბატონაო ლეჩხუმისა, მაგრამ, როგორც ჩანს, საქმე სულ სხვანაირადაა, ამაში გვარწმუნებს თვითონ მისი წერილის შინაარსი.

„...სულა მთის ალაგები და ნაპირები ჩვენს ხელთ არის და ჩვენი საქმე ესრეთ ყურად მიიღონ: დიდი და მძიმე სატვირთავი საქმე აღგვედვა. ყოველთა ქრისტეს მეუფისა სჯულის მებრძოლთა წინა აღუდგეით, ყიზილბაში ჩამოვიდა და ეს ქვეყანა დაიჭირა. ღვთითა და მაგათის ბედნიერებითა ამ ქვეყნიდან... გარდავაგდეთ, იმავე ქვეყანას ჩვენი მემკვიდრე ბატონი... მეფე ბაგრატ გავაბატონე. ახლა ურუმნი მოვიდნენ, იმერეთი ააოხრეს, ხატჯვარნი შეურაცყეს, ღვთითა წინ აღუდგეით და ჩვენი ქვეყანა ასრე გავაბაგრეთ, რომე ჩვენი ბატონიც და სულა მისი ყმანი, ცოლ-შვილითა ჩვენ შევიზიზნეთ და რაც საქართველოშიდ პატიოსანი ხატჯვარი იყო და ნაწილები ყველა შე გადავარჩინე, და —...საქართველოში აგარიანთ წინა აღმდგომ/ა/ ჩემს მეტი არავის შეუძლიან...“

როგორც ვხედავთ, დიმიტრი სარდლის საქმიანობა ზედმიწევნით ჰგავს ხოსია ახვლედიანისას, რაც, ცხადია, მათს იგივობას გვაფიქრებინებს. ამ აზრს გვიძლიერებს ელჩ დიმიტრი-ეზეკიელ არეშიძის შემდეგი სიტყვები: „სამეფოს ახლა სარდალი დიმიტრი ფლობს, ბაგრატი თვალმდაობრილია, ისინი (ელჩები — ა.ტ.) თვით მან, დიმიტრიმ გაგზავნა დიდ სახელმწიფოსთან და არა მეფემ...“²¹.

¹⁵ ჯ. ო დ ი შ ე ლ ი, მცირე ქრონიკება, თბ., 1968, გვ. 73.

¹⁶ ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა... გვ. 440.

¹⁷ თ. ტ ა ვ ა ძ ე, საქართველო და რუსეთ-ირანის პოლიტიკური ურთიერთობა XVII უკუნის მეორე ნახევარში, თბ., 1977, გვ. 123.

¹⁸ იქვე, გვ. 123.

¹⁹ Броссе М., Переписки на иностранных языках грузинских царей Российскими государями от 1639 по 1770 г., СПб., 1861, гв. 88.

²⁰ იქვე, გვ. 87.

²¹ ЦГАДА, ф. 110/1, ф. 1169, № 2. л. 58; 1677, № 1, л. 28.

ხოსია ახვლედიანისა და დიმიტრი სარდლის იგივეობაზე უთითებს ის გარემოებაც, რომ ამ ელჩების ხელით ბაგრატ მეფის მიერ რუსეთის მეფე ალექსისტან გაგზავნილ წერილში ჩამოთვლილი მეფის კარისკაცებსა და თავადებს შორის არ იხსენიება დიმიტრი სარდალი, სამაგიეროდ იხსენიება „დიდი ბაიარი... სარდალი ხოსია“²².

უზომოდ აღზევებული აზნაური ხოსია ახვლედიანი, როგორც უკვე აღინიშნა, 1668 წელსვე გამოასალმეს სიცოცხლეს შურით, აღესილმა იმერელმა დიდებულებმა.

თუ ვინ გახდა ხოსიას შემდეგ ლეჩხუმის სარდალ-მოურავი, ამაზე წყაროები ღუმან, მაგრამ ამის დადგენა არაპირდაპირი გზით მაინც ხდება შესაძლებელი.

1672 წელს, როდესაც ჟან შარდენი სამეგრელოში მოგზაურობდა, დასავლეთ საქართველოს თურქები შემოესივნენ ჰასან-ფაშას სარდლობით. მათ გიორგი გურიელიც ახლდა თავისი რაზმით. ახალციხის ფაშას სამეგრელოში ლევან II დადიანის შვილიშვილის გამთავრება სურდა. ლევან III რუხის ციხეში ჩაიკეტა, ხოლო მისი ვეზირი კაცია, სვანეთში გაიქცა, რათა იქიდან მეგრძოლები ჩამოეყვანა და ალყაშემორტყმულ რუხის ციხეს მიშველებოდა²³. შარდენთან მოხსენიებული ვეზირი კაცია, იგივე გაბრიელ ჭყონდიდელის ძმა კაცია ჩიქვანია. ჯუზეპე ძამპი, რომელმაც რამდენიმე წელი სამეგრელოში გაატარა, 1672 წელს წერდა, რომ მეფის მინისტრმა კაცია ჩიქვანმა მთავრობა ჩაიგდო ხელთ და ბევრი უსამართლობა ჩაიდინა²⁴. „ეს კაცია — წერს ვახუშტი — იყო გორდელი მდაბალი აზნაური, რომლისა მამა სუანეთის ტურთითა თვისთა ზიდვიდა თაფლს. და გამოიზრდებოდა“²⁵. კაცია ჩიქვანი იმერთა მეფის კარზე დაწინაურებულა. საბუთში, რომელიც 1634—1639 წლებით თარიღდება, მოწმდება დასახელებული მეფის ბოქაულთ უხუცესი კაცია²⁷, — რომელიც, ჩვენი აზრით, კაცია ჩიქვანია, ის ჭყონდიდის ტაძრის ფრესკაზეა გამოსახული, ამ ფრესკის წარწერაში ნათქვამია რომ, კაცია ჩიქვანი არისო, დიდისა ხელმწიფისა და დადიანის ვაზირი“, „ლეჩხუმისა და საინასარიძოსა და სალიპარტიანის პატრონი“, „იმერეთისა და ოდიშის თავი და სარდალი“²⁷.

კაცია რომ ლეჩხუმის მფლობელი და იმერეთის მეფის სარდალი იყო კარგად ჩანს პეტრე ლიტვინოვის წერილიდანაც, რომელიც 1805 წლით თარიღდება²⁸.

ვახუშტის თხზულებიდან საეცებით გარკვევით ჩანს, რომ სანამ ოდიშის ვაზირი, სარდალი და სილაპარტიანოს პატრონი გახდებოდა, კაცია ჩიქვანი

22 ე. „ცისკარი“, 1869, № 7, გვ. 100—101.

23 ჟან შარდენის მოგზაურობა, გვ. 247.

24 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის თბ., 1902, სა-მეფოსა საქართველოსა, გვ. 204.

25 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 842.

26 ამ საბუთს აკად. ი. დოლიძე 1626—1639 წლებით თარიღებს, [ქართული სამართლის ძეგლები, IV, გვ. 75], ჩვენ კი 1634—1639 წლებით, რადგან ლევან II დადიანის მიერ გაბოქმულ ამ სიგელში მოწმდება დასახელებული „მეფის მდივანი მამუკა“, რომელიც უპიკველად მამუკა თავაქარაშვილია. ეს უკანასკნელი კი ლევან II-ს 1634 წელს ჩაუვარდა ტყვედ და ამის შემდეგ ის ოდიშის მთავრის კარზე მოღვაწიებდა.

27 ე. თაყაიშვილი, არხეოლოგიური მოგზაურობანი და შენიშვნანი, წ. II, ტფ., 1914, გვ. 123.

28 Акты, II, Тифл., 1868, გვ. 504.

ლექსების ბატონი იყო, რადგანაც კაცია 1672 წელს უკვე ოდიშის ვაზირად იხსენიებოდა, ის რამდენადმე ადრე უნდა გამხდარიყო ლექსების სარდალ-მოურავი, ხოსია ახვლედიანის მკვლელობიდან (1668 წლის მიწურული) კაცია ჩიქვანის ოდიშის კარზე გამოჩენამდე იმდენად მცირე დროა, რომ სრული უფლება გვაქვს ხოსიას მოკვდინებისთანავე ლექსებში კაცია ჩიქვანის გაბატონება დავუშვათ.

ამრიგად, 1668 წლის მიწურულს, ლექსების სარდალ-მოურავი კაცია ჩიქვანი უნდა გამხდარიყო.

კაცია ჩიქვანის დაწინაურებას დიდად შეუწყო ხელი მისმა ძმამ დასავლეთ საქართველოს ერთ-ერთმა ყველაზე გავლენიანმა საეკლესიო მოღვაწემ გაბრიელ ჩიქვანმა²⁹. ის 1651 წელს იხსენიება პირველად ცაგერელ ეპისკოპოსად, 1661—65 წლებს შორის გაბრიელმა ჰყონდიდის საეპისკოპოსო ტახტიც დაიკავა, 1675 წლის შემდეგ ხანებში კი ბედილობაც დაისაკუთრა³⁰.

უნიჭო და მალემრწმენი ლევან III დადიანი (1661—1681) თავისი წინამორბედი მთავრების ლევან II-ისა და ვამეყ III-ის პოლიტიკურ გზას ადგა — სურდა იმერეთისათვის ლექსების წართმევა და ეს გარემოება გაბრიელ ჰყონდიდელმა თავისი მიზნებისათვის გამოიყენა. ვახუშტის ცნობით, გაბრიელ ჰყონდიდელმა “მოიყვანა ძმა თვისი კაცია და აზრახა ლევანს მიცემად სალიპარტიანოსი, რამეთუ ამისგან დაიპყროს ლექსებიცა ლევან დადიანმან”³¹.

ლევან III დადიანი უყოყმანოდ დათანხმდა. ლექსების ბატონი კაცია ჩიქვანი, სალიპარტილიანოს მფლობელიც, ლიპარტიანიც გახდა; ლექსები კი ოდიშის სამთავროს შემადგენლობაში მოექცა. ლევან III დადიანი მთლიანად კაცია ჩიქვანის გავლენის ქვეშ მოექცა. კაცია მალე ოდიშის მთავრის ვეზირიც გახდა და სახლთუხუცესიცა (სახლის უფროსიცა) „არისო ამის მოწმე და შუამავალი... ჩვენი სახლის უფროსი და ვეზირი ლიპარტიანი კაცია“ — წერს ლევან III ერთ-ერთ სიგელში, რომელიც 1673 წლით თარიღდება³².

კაცია ჩიქვანი ოდიშის სამთავროს ნამდვილი მბრძანებელი შეიქნა, ლევან III მისი სურვილისამებრ მოქმედებდა. ამ დროს სამეგრელოში მცხოვრები იტალიელი მოწესე ჯუზეპე ძამპი, წერილში, რომელსაც თარიღად 1672 წელი უზის, წერდა, რომ მეფის ვეზირმა კაცია ჩიქვანმა მთავრობა ჩაიგდო ხელში³³. მართალია, კაცია სამთავრო ტახტს არასოდეს დაუფლებია, მაგრამ მთავრის უფლებები სინამდვილეში მის ხელთ რომ იყო ეს ცხადზე ცხადია.

ლევან III დადიანის გარდაცვალების (1681 წ. დამდეგი) შემდეგ კაცია ჩიქვანი კიდევ უფრო გაძლიერდა. ახლა უკვე არავის ეპუებოდა „ოდიში იყო, უპატრონოდ და კაცია ჩიქვანი იყოო თავი და გამგე მათი“ — გვაუწყებს ვახუშტი. მისი ცნობით, კაცია უწყალოდ ელეტდა თავადებს, რომლებიც მისი (ამ უგვარო აზნაურის) მბრძანებლობას არ კადრულობდნენ. „ამან მოსრნა მრავალნი შემძლებელნი და წარჩინებულნი ოდიშისანი“³⁴.

29 ო. სოხელია, ნარკვევები ფეოდალური ხანის დასავლეთ საქართველოს სოციალ-პოლიტიკური ისტორიიდან, თბ., 1973, გვ. 315.

30 ა. ტულუში, XVII—XVIII საუკუნეთა ჰყონდიდელ ეპისკოპოსთა სია, კრ. „ეგრი-სი“, 1988.

31 ვახუშტი, აღწერა... გვ. 842.

32 ს. კაკაბაძე, დასავლეთ საქართველოს საეკლესიო საბუთები, I, გვ. 75.

33 მ. თამარაშვილი, ისტორია კათოლიკობისა ქართველთა შორის, გვ. 204.

34 ვახუშტი, აღწერა..., გვ. 845—846.

ამით კაცია ჩიქვანი ოდიშის სამთავროს ტახტისაკენ მიმავალ გზას კვალავდა თავისთვის თუ არა თავის შვილისათვის მაინც. კაცია ჩიქვანი, ვახუშტის მიხედვით, გიორგი გურიელის იმერეთში მეფობის დროს გარდაიცვალა. ეს უკანასკნელი კი იმერეთის სამეფო ტახტს 1681 წელს დაეუფლა³⁵ და 1693 წლის ზაფხულში დაპყრობა ის³⁶. ამრიგად, კაცია ჩიქვანის გარდაცვალების თარიღად დაახლოებით 1682 წელი შეგვიძლია მივიღოთ.

კაციას გარდაცვალების შემდეგ ოდიშის გამგებელი მისი ძე გიორგი ჩიქვანი გახდა, რომელმაც მემკვიდრეობით მიიღო როგორც ლეჩხუმი ასევე სალიპარტიანო და ამიტომაც წყაროებში ლიპარტიანად არის მოხსენებული.

გიორგი ჩიქვანმა მამის ხერხებით განაგრძო ტახტისაკენ მიმავალ გზის კვალი. „მოკუდა კაცია ჩიქვანი და დაიპყრა ლიპარტიანობა ძემან კაციასამან გიორგიმ უმეტეს მამისა თვისა, და სრვიდა უწყლოდ და ჰყიდაო ტყუელ ოდიშართა“ — გვაუწყებს ვახუშტი³⁷.

ოდიშის ტახტისათვის ბრძოლაში გიორგი ჩიქვანს ძლიერი მეტოქე გამოუჩნდა გურიის მთავრის გიორგი გურიელის სახით. ამ უკანასკნელმა, სიცოცხლეს გამოასალმა თავისი სიძე. მანუჩარქიმამუკა დადიანი (დაიბ. 1664 წ.) რადგან ის იყო არა მარტო ოდიშის სამთავროს კანონიერი, პირდაპირი მემკვიდრე (მთავარ ლევან III-ის შვილი), არამედ იმერეთის სამეფო ტახტის არაპირდაპირი მემკვიდრეც. გიორგი გურიელს კი თვითონ სურდა ოდიშსა და იმერეთში გაბატონება. მან, დროებით, მართლაც, შეძლო ჯერ ოდიშის, შემდეგ კი იმერეთის ტახტის დაპყრობა (1681 წელს) მაგრამ 1683 წლის ზაფხულში ის ჩამოგდებულ იქნა როგორც ერთი, ასევე მეორე ტახტიდან. იმერეთში ალექსანდრე IV გაჰყვდა, ოდიშში ლევან IV დადიანი გამთავრდა. პირველი მათგანი მეფე ბაგრატ IV-ის უკანონო შვილი იყო, ხოლო მეორე ლევან III დადიანისა.

იმერეთის მეფეები არასოდეს არ სცნობდნენ ლეჩხუმს ოდიშისად. როგორც ჩანს, ალექსანდრე IV-ემ ჩიქვანს (ლიპარტიანს) გამეფებისთანავე ჩამოართვა ლეჩხუმი და ამითი გადაიმტერა კიდეც იგი. გიორგი ჩიქვანი, რომელსაც დიდი წვლილი მიუძღოდა უზნეო გიორგი გურიელის ოდიშ-იმერეთიდან გაძევების საქმეში³⁸ სულ მალე ამ უკანასკნელს ამოუდგა მხარში მეფე ალექსანდრეს წინააღმდეგ ბრძოლაში, რომელსაც იმერეთის ისეთი დიდებულებიც გაჰყვდნენ, როგორიც იყვნენ შოშიტა რაჭის ერისთავი, ბექან ლორთქიფანიძე და სხვები. ლეჩხუმლებიც გიორგი ჩიქვანს გაჰყვნენ. ბრძოლა მეფე ალექსანდრესა და გიორგი გურიელს შორის მოხდა ჩოკიტს, 1684 წელს და მეფის ვამარჯვებით დამთავრდა, გიორგი გურიელი და შოშიტა რაჭის ერისთავი მოკლეს, გიორგი ჩიქვანი (ლიპარტიელი) ოდიშში გაიქცა³⁹.

1688 წელს, როცა ნამეფარი არჩილი გველისთავს მეფე ალექსანდრეს შეება „ლეჩხუმელნი იყვნენ ალექსანდრეს კერძოდ“, გიორგი ლიპარტიანი კი

35 ქ. ო დ ი შ ე ლ ი, მცირე ქრონიკები, გვ. 58.

36 თ. ტ ი ვ ა ძ ე, იერუსალიმის პატრიარქის დოსითეოსის წერილი საქართველოს შესახებ, კრ.: „ქართული წყაროთმცოდნეობა“, III, თბ., 1971, გვ. 253.

37 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 845—846.

38 თ. ტ ი ვ ა ძ ე, დასახ. ნაშრომი გვ. 253.

39 ვ ა ხ უ შ ტ ი, აღწერა..., გვ. 847.

არჩილის ბანაკში იყო⁴⁰. ასე რომ 1683 წლიდან 1688 წლამდე ლექსები იმერეთის მეფეს ემორჩილებოდა. სამწუხაროდ, არ ვიცით თუ ვინ იყო ამ დროს ლექსების სარდალ-მოურავი.

გველისთავთან გამართულ ბრძოლაშიც ალექსანდრე IV-ემ გაიმარჯვა. ამის შემდეგ გიორგი ჩიქვანმა შეცვალა პოლიტიკა. ის ალექსანდრე მეფის მხარეზე გადავიდა და სანაცვლოდ მეფემ მას „მისცა თავობა ლექსებისა“⁴¹. ეს ამბავი დაახლოებით 1689 წელს უნდა მომხდარიყო.

გიორგი ლიპარტიანმა, როგორც ეს მისი მსგავსი ყველა მედროვისაგან იყო მოსალოდნელი სულ მალე უღალატა ალექსანდრე მეფეს. მართალია, თავდაპირველად ლიპარტიანი აღარ სცნობდა არჩილის მეფობას იმერეთში, რადგან ეს უკანასკნელი, როგორც ჩანს, თავის მხრივ ლექსებს არა სცნობდა გიორგი ლიპარტიანისად, მაგრამ, გოდოგენის ბრძოლის (1690 წლის 20 დეკემბერი) შემდეგ ის გამარჯვებულის, არჩილ მეფის მხარეზე გადავიდა. თუმცა არც არჩილთან „მეგობრობა“ გაგრძელებულა დიდხანს. როცა არჩილ მეფე ლიპარტიანთან ერთად „გარმოდგა ციხესა ქუთათისს“, რომელშიც თურქთა ციხიონი იდგა, ყველაზე საშიშ დროს, გიორგი ლიპარტიანმა მას ლექსები მოსთხოვა, სამუდამო ერთგულების სანაცვლოდ. მართალია არჩილმა აღუთქვა ლექსების მიცემა, მაგრამ ლიპარტიანი მიხვდა რომ მეფე ატყუებდა. ამიტომ, მან თურქ მეციხოვნეებს, რომლებიც უკვე „ქლანთა ხარშვიდან და სკამდნენ“, ხორავი შუთუზაგნა, რითაც არჩილ მეფეს ხელი შეუშალა აეღო ქუთათის ციხე. თვითონ კი აიყარა და ოდიშს წავიდა⁴² ძლიერი მოკავშირის დაკარგვა არჩილს ძვირად დაუჯდა. იმავე 1691 წელს მან ტახტი დაკარგა და ქართლში გაიქცა. იმერეთში ისევ ალექსანდრე IV გამეფდა. ამ უკანასკნელს, ლექსები კვლავ გიორგი ლიპარტიანისათვის გადაუცია. ვახუშტის სიტყვით, 90-იანი წლების დამდეგს ისე გაძლიერებულია გიორგი ლიპარტიანი, რომ „აღარა ინება ლევან დადიანს“ და ის იძულებული გახდა თურქეთში გადახვეწილიყო. (1691 წელს), სადაც გარდაიცვალა კიდევ 1694 წელს.

გიორგი ლიპარტიანის ხელში იყო ლექსები გიორგი აბაშიძის იმერეთში განმგებლობისა (1691—1702) და მეფობის წლებშიც (1703—1707). გიორგი აბაშიძე იყო ის ერთადერთი კაცი, რომლისთვისაც არასოდეს უღალატა გიორგი ლიპარტიანს. მეტიც, ვახუშტის ცნობით, ისინი ყოფილან „მეგობარნი მტკიცენი“.

სვიმონ მეფის ზეობის ხანაში (1699—1701 წლები) ლექსებელთა ნაწილი გიორგი ლიპარტიანს ეურჩებოდა, მის ბატონობას არ ცნობდა. ეს მან თავის მეგობარს გიორგი აბაშიძეს აცნობა, ამ უკანასკნელმა, მიუხედავად დიდი თოვლისა, ლექსები დალაშქრა და კვლავ დაუმორჩილა ლიპარტიანს⁴³.

ზემოთ განხილული მასალის გათვალისწინებით XVII საუკუნის მეორე ნახევრის ლექსების სარდალ-მოურავთა სია ასეთია:

1. ხოსია I (ლაშხიშვილი) — ? — 1662.
2. ხოსია II (ახვლედიანი) — 1662 — 1668.
3. კაცია I (ჩიქვანი) — 1668—1682.

⁴⁰ ვახუშტი, აღწერა..., გვ. 851.

⁴¹ იქვე.

⁴² იქვე, გვ. 854.

⁴³ იქვე, გვ. 861.

4. გიორგი — I (ჩიქოვანი) — 1682 — 1683.
5. უცნობი პირი 1683—1689.
6. გიორგი I (ჩიქოვანი) 1689—1690.
7. უცნობი პირი 1690—1691.
8. გიორგი I (ჩიქოვანი) — 1691—1699.

ამრიგად, XVII საუკუნის მეორე ნახევარში ლეჩხუმი მეტწილად ოდიშის სამთავროს საზღვრებში ყოფილა მოქცეული. ლეჩხუმისათვის ბრძოლა იმერეთის სამეფოსა და ოდიშის სამთავროს შორის მთელი მომდევნო საუკუნის განმავლობაში გრძელდებოდა და XIX საუკუნის დამდეგს დადიანების გამარჯვებით დამთავრდა.

А. Г. ТУГУШИ

ЛЕЧХУМИ ВО ВТОРОЙ ПОЛОВИНЕ XVII ВЕКА

Р е з ю м е

В статье рассматривается политическая история одной из сеньорий Западной Грузии — Лечхумского моуравства. Установлена хронология правителей (Сардал-моуравов) Лечхуми второй половины XVII века.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
აკადემიკოსმა ს. ჭიჭიამ

მფარველობა-ბატონობისა და ლაქვემდებარების აღმნიშვნელი აღრეფომდალური ხანის სოციალური ტერმინები

უფალი. მფარველობა-ბატონობის აღმნიშვნელი ერთ-ერთი უძველესი ტერმინია „უფალი“. ეს სიტყვა ქართულ-ზანური ენობრივი ერთობის დროიდან მოდის. მისი ძირია **up* — „ფლობა“ (ქართულში: *up* — „ფლობა“, მეგრულში *p* — „ფლობა“, ვინმეს მიმართ, ვინმესთვის რაიმედ ყოფნა)¹. ზ. ალექსიძე და გ. მაჭავარიანი — უფ — ძირიდან უ-ელემენტს გამოყოფენ, როგორც ისტორიულ პრეფიქსს და ძველ ქართულ ძირად — ფ-ს მიიჩნევენ².

ივ. ჭავჭავაძის ალნიშნავს, რომ „პატრონი“ X ს-დან შემოდის სპარებაში, მანამდე მსგავსი მნიშვნელობით „უფალი“ იხმარებოდა. „ყმა“, მისი აზრით, მაშინ სოციალური ცნების აღმნიშვნელი ტერმინი არ ყოფილა. პატრონ-ყმობის წინამორბედი უფალ-ყმობაც არსად ჩანს³.

მცხეთური ხელნაწერის „მეფეთა წიგნებში“ (I მფ. 20. 38 მუხლი) „უფალი.. „ყრმის“ პატრონია: „აკრიბნა ყრმამან ისარნი იგი და მოართუნა უფალსა თვსსა“⁴. ებრაულ პარალელურ ტექსტში „უფალს“ შეესატყვისება: **וְיָ:**

— უფალი, პატრონი; ბერძნულში: ბ *χῆρος* — უფალი, პატრონი; სომხურში: *տէր* — უფალი, პატრონი. „ყრმის“ შესატყვისობანია ებრაულ ტექსტში: **וְיָ** — მსახური, ახალგაზრდა; ბერძნულში: ბ *παῖς* — ბავშვი, ახალგაზრდა, მონა; სომხურში: *մանուկ* — ბავშვი, ახალგაზრდა. ლეონტი მროველთან „უფალი“ გვხვდება არა პატრონის, არამედ მფარველის მნიშვნელობით. ეგრისის მფლობელი ქუჯი, როდესაც მას სურს გამოხატოს საკუთარი დაქვემდებარება ფარნავაზის მიმართ, ასე მიმართავს მას: „შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“⁵. ამრიგად, ქუჯი თავს ფარნავაზის ვასალად („მონად“) აღიარებს.

ანალოგიური მნიშვნელობით გვხვდება „უფალი“ ჭიჭინაშვილთან. ვახტანგ გორგასალი, სურს რა აღნიშნოს სპარსთა მეფის მიმართ თავისი დაქვემდებარება. მიმართავს მას: „მამად და უფლად გხადო შენ“⁶.

სომხურიდან ქართულად ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებაში „აღსრულებად საჰაისის“ ვხვდებით „უფალს მამკუენენთა“ — სომხეთის სპაჰეტს⁷. „უფალი“ ამ შემთხვევაში საგვარეულოს მპყრობელი, მეთაური არის.

¹ Г. А. Климов, *Этимологический словарь картвельских языков*, М., 1964, გვ. 186.

² ზ. ალექსიძე, გ. მაჭავარიანი, უძველესი ქართული სოციალური ტერმინები, ოჩე (საუბუეცესო//საუფროსო), თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, ტ. 127, 1968, გვ. 397—398.

³ ივ. ჭავჭავაძის, ქართული სამართლის ისტორია (წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე), თხზულებანი, ტ. VII, თბ., 1984, გვ. 58.

⁴ მცხეთური ხელნაწერი (მეფეთა I, II, III, IV, ნეშტთა I, II, ეზრას I, II, III წიგნები), გამოსაცემად მოამზადა ელ. დოჩანაშვილმა, თბ., 1982, გვ. 73.

⁵ ქართლის ცხოვრება, ს. ყაუხჩიშვილის გამოცემა, I, თბ., 1955, გვ. 22.

⁶ იქვე, გვ. 181.

⁷ ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, ილია აბულაძის გამოცემა, თბ., 1944, გვ. 81.

აგიოგრაფიულ თხზულებაში „ცხოვრებაჲ სერაპიონ ზარზმელისაჲ“ ვხვდებით „უფალს“ ძარლუას სოფელი ერისკაცისა, რომელიც იყო „საქმარ და მსრბოლ გზათა შორათ“. ეს კაცი აღიკვეცა ბერად მონასტერში. მისი თანასოფელები აღაშფოთა მისმა საქციელმა და როდესაც მას გადაწყვეტილება ვერ შეაცვლევინეს, ყოველივე მის უფალს მოახსენეს. მას დაედევნენ, მაგრამ კაცმა თავი მონასტერს შეაფარა და მღევარი ველარაფერს გახდა⁸. იბადება კითხვა, რატომ აღუდგა წინ სოფელი ძარლუელი ერისკაცის გადაწყვეტილებას? ჩანს, თემი ვალდებული იყო, თავისი უფლისათვის მიეცა ერთი ერისკაცი, რათა მას მალემსრბოლის მოვალეობა შეესრულებინა. ამ კაცის მონასტერში დამკვიდრებასთან ერთად ჩნდებოდა აუცილებლობა თემიდან ახალი წევრის გამოყოფისა ამ მოვალეობის შესასრულებლად. ამიტომ გაუწია სოფელმა ასეთი ძლიერი წინააღმდეგობა ერისკაცის გადაწყვეტილებას. ზემოთქმულის საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ნახსენები „უფალი“ ამ შემთხვევაში უფალია არა მარტო მის სამსახურში მყოფი „მალემსრბოლისა“, არამედ მთელი სოფლის თემისა.

„გრიგოლ ხანტელის ცხოვრებაში“ მოხსენებული მირიან აზნაურის „კაცები“, რომელთაც შენიშნეს მირიანის „ადგილის“ მახლობლად მიმავალი თევდორე და ქრისტეფორე, მირიანისადმი დაქვემდებარებული მეთემეები უნდა იყვნენ. ამ „კაცთა“ შესახებ ნათქვამია, რომ მათ ბერების გამოჩენა სსსრ-ფოდ „აუწყეს უფალსა თესსა“⁹.

ძველ ქართულში „უფალი“, როგორც ბატონი, პატრონი, შეიძლება იყოს ქმარი ცოლისათვის¹⁰.

საზოგადოდ. „უფალი“ ადრეფეოდალურ საქართველოში გავრცელებული მიმართებაა ზემდგომთან საუბრისას¹¹.

ამრიგად, „უფალი“, როდესაც ამ ტერმინით აღნიშნული პირი ვინმეს პატრონი ან მფარველია, სოციალურ შინაარსს იძენს და მფარველობა-პატრონობის აღმნიშვნელ ცნებად იქცევა.

„უფლის“ სოციალური ინსტიტუტი გულისხმობს „უფლის“ მიმართ დაქვემდებარებული სოციალური ინსტიტუტის არსებობას. ასეთად ადრეფეოდალურ ხანაში გვევლინება „მონის“ ინსტიტუტი. ტერმინი „მონის“ ერთ-ერთი გავრცელებული შინაარსია ვასალი, დაქვემდებარებული პირი. მსგავსი მნიშვნელობა ჰქონდა ადრეფეოდალურ ეპოქაში ტერმინს „ყრმა“. უნდა აღინიშნოს, რომ „მონა“ უფრო ხშირად იხმარებოდა ვასალის მნიშვნელობით ვიდრე „ყრმა“.

ამრიგად, შეიძლება ითქვას, რომ ადრეფეოდალურ ხანაში არსებობდა უფალ-მონობა (უფალ-ყრმობა). ბატონის, მფარველის აღსანიშნავად იხმარებოდა ტერმინი უფალი. ხოლო მფარველობაში სამსახურში მყოფი აღინიშნებოდა ტერმინებით „მონა“ ან „ყრმა“¹².

ადრეფეოდალურ ხანაში ერთმანეთის გვერდით არსებობდა კიდევ რამდენიმე ცნება, რომელიც იჩენდა ტენდენციას სოციალურ ტერმინად გადაქცევა-

⁸ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, თბ., 1969, გვ. 344.

⁹ იქვე, გვ. 270.

¹⁰ იქვე, გვ. 259, მცხეთური ხელნაწერი, გვ. 33.

¹¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 270, მცხეთური ხელნაწერი, გვ. 81.

¹² შდრ. გ. შამუღია, პატრონულობა, თბ., 1987, გვ. 29—62.

სა. ასეთებია, მამამძღუძე-ძუძუელის, მამა-შვილის ინსტიტუტები. „მამამძღუძე-ცა“ და მამაც“ მფარველისა და გამზრდელის, უფროსის შინაარსს ატარებდა და, ამდენად, ისინი შესაძლოა ნახმარი ყოფილიყო ბატონის. პატრონის აღსანიშნავად, თუმცა-ღა ამის აღმნიშვნელ ძირითად ტერმინად „უფალი“ იხმარებოდა. „ძუძუელი“ და „შვილი“ უმცროსის, აღსაზრდელის შინაარსის გამო დაქვემდებარებული პირის აღსანიშნავად გვხვდება ხოლმე, მაგრამ ძირითად ტერმინებად დაქვემდებარებული პირის აღსანიშნავად „მონა“ და „ყრმა“ იხმარებოდა. უნდა აღინიშნოს, რომ ტერმინი „შვილი“ საქართველოს მთის ზოლში გვიანდელი მასალის მონაცემებით რიგით მეთემეს, „ხატის შვილს“ ეწოდებოდა.

ადრეფეოდალური ხანისათვის დამახასიათებელია ერთი და იმავე სოციალური ინსტიტუტის აღსანიშნავად რამდენიმე ტერმინის ხმარება. ამ დროისათვის ეს ინსტიტუტები ჯერ კიდევ ჩამოყალიბებული არაა და ამდენად, ჯერაც არაა ნათელი, მსგავსი ტერმინებიდან შემდგომში რომელი მოიპოვებს ჩამოყალიბებული ინსტიტუტის აღნიშვნის უპირატესობას.

დედოფალი. „უფლის“ მდებრობითი ფორმაა „დედოფალი“. „დედოფალი“ ადრეფეოდალური ხანის ორიგინალურ და ნათარგმნ ძეგლებში, ისევე, როგორც „უფალი“, მფარველობა-ბატონობის აღმნიშვნელი ტერმინია და აღნიშნავს მეფის მეუღლეს. მეფის დედას ან დას და აგრეთვე, წარჩინებული წოდების ქალს. რომელიც უფალია (მპყრობელია).

„დედოფალია“ ნანა, მეფე მირიანის მეუღლე „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში¹³.

„დედოფალნი“ არიან გიორგი წყირის თხზულებაში ბაგრატ აფხაზთა მეფის ოჯახის წევრი ქალები: ბაგრატის დედა, და და მეუღლე მარამი¹⁴.

„დედოფალის“ გვერდით გვხვდება პარალელური ფორმა „დედუფალი“, რომელიც უფრო ადრინდელი ფორმა უნდა იყოს „დედოფალთან“ შედარებით.

„დედუფალი“ ეწოდება აშოტ კურაპალატის მეუღლეს „გრიგოლ ხანტელის ცხოვრებაში“ და მირიან მეფის მეუღლე ნანას „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში¹⁵.

„დედუფალი“ ხელმწიფე ქალის აღსანიშნავად ხშირად გვხვდება სომხურიდან ქართულად ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში¹⁶.

„დედოფალი“ წარჩინებული „უფალი“ ქალის აღსანიშნავად მრავლად გვხვდება ძველ ქართულ მწერლობაში: „დედოფალი“ არის შუშანიკი „შუშანიკის მარტილობაში“ და ნერსე ერისმთავრის დედა „აბო ტფილელის წამებაში“¹⁷.

ლეონტი მროველთან და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში¹⁸. წმინდა ნინოს შესახებ „დედოფალია“ ნათქვამი მისი დიდებულების აღსანიშნავად¹⁸. ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ რიფსიმე „მეფეთა ნათესავი“ არის „დედოფალი“¹⁹.

¹³ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 89.

¹⁴ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, თბ., 1967, გვ. 135—136.

¹⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 296, 118.

¹⁶ ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს-ში, გვ. 11, 12, 23.

¹⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 12, 14, 59.

¹⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 114, 115, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 158.

¹⁹ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 80.

ლეონტი მროველთან „დედოფალნი“ და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში „დედოფალნი ქართლისა“ წმინდა ნინოს ქადაგების ერთგული წარჩინებული ქალები არიან²⁰.

„გრიგოლ ხანტელის ცხოვრებაში“ „დედოფალი“ ეწოდება მიწის მფლობელის მეუღლეს²¹.

შეიძლება ითქვას, რომ „დედოფალი“, ისევე როგორც „უფალი“, მფარველობა-ბატონობის აღმნიშვნელი ტერმინია. იგი მიემართება როგორც ხელმწიფე ქალებს, ისევე წარჩინებული წოდების წარმომადგენლებსაც.

მცხეთურ ხელნაწერში „დედოფალი“ გვხვდება სოციალური შინაარსის გარეშეც. „დედოფალი სახლისა“ (III მეფ. 17, 17)²² სახლის პატრონი ქალია. იგი თვითონ აგროვებს შეშას თავისი სახლისათვის. უბრალო დიასახლისაა. ამაზევე მიუთითებს „დედოფლის“ შესატყვისობანი უცხოურ ტექსტებში: ებრაულში: *רַבָּעָה* — პატრონი, ბატონი ქალი; ბერძნულში: *ἡ ἀρχαία* — ბატონი, მფლობელი ქალი; სომხურში *սիկին* — უფალი ქალი.

ყრმა. ტერმინი „ყრმა“ ადრეფეოდალური ხანის ქართულ საისტორიო მწერლობაში. აგიოგრაფიულ ძეგლებში და ნათარგმნ თხზულებებში. ხშირ შემთხვევაში აღნიშნავს ბავშვს სქესის განუზღვრელად, ბიჭს, ახალგაზრდას.

„მარტვლობაჲ ევსტათი მცხეთელისაჲ“-ში და „მოქცევაჲ ქართლისაჲ“-ში ეხვდებით გამოთქმას „დედები და ყრმები“ ქალებისა და ბავშვების მნიშვნელობით²³. ასეთივე მნიშვნელობა აქვს ამ გამოთქმას ლეონტი მროველთანაც²⁴. „ყრმა“ მცირეწლოვანს აღნიშნავს მცხეთური ხელნაწერის „მეფეთა წიგნებში“²⁵.

„ყრმის“- ბავშვის, ახალგაზრდის მნიშვნელობით ხმარების სხვა მაგალითებიც მრავლად მოიპოვება ადრეფეოდალური ხანის წერილობით ძეგლებში. დროთა განმავლობაში ტერმინს „ყრმა“ სოციალური ელფერიც მიეცა და დაქვემდებარებული პირის — მოსამსახურის, მსახურის ფეოდალური ხანის „მონის“ შესატყვისობად იქცა.

ტერმინი „ყრმის“ მნიშვნელობის შესახებ ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, რომ „უახნოთა ანუ არათავისუფალთა ჯგუფში“, „არსად V—VIII სს.-თა ძეგლებში ყრმათა ხსენება არ არის და სიტყვა „ყრმა“ ამ ხანებში მხოლოდ ბავშვს აღნიშნავდა. „ყრმა“ ან „ყმა“, მეცნიერის აზრით, წოდების აღმნიშვნელ ტერმინად არც VIII—IX სს.-თა ძეგლებში გვხვდება. მაგრამ ამავე დროს ამ ხანაში საქართველოში მონების შესახებ ცნობები ჯერ მეტად იშვიათი ხდება, ხოლო მერე სრულებით ქრება²⁶.

6. ბერძენიშვილის აზრით, ყმები თავისუფალი მიწათმოქმედები იყვნენ. თავდაპირველად პატრონი და ყმა ორივე მოლაშქრე იყო. შემდეგ, როდესაც

20 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 126, ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 104.

21 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 292.

22 მცხეთური ხელნაწერი, გვ. 179.

23 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 40, 104, 151.

24 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 18.

25 მცხეთური ხელნაწერი, გვ. 35, 202.

26 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი), თხზულებანი, ტ. VI, თბ., 1982, გვ. 175.

გლეხობასაც დაევალა ლაშქრობა და მეორე მხრივ კი ყმები (თავისუფალი მათათმომკმედები) დაიბეგრნენ, მოისპო განსხვავება ამ ორ ფენას შორის და ყმები გაგლეხდნენ. ამავე დროს ყმათა ნაწილი გააზნაურდა. შემდგომში კი ყმა ვიწრო მნიშვნელობით შემორჩა მოლაშქრეს²⁷.

გ. ჯამბურიას აზრით, ყმათა ცალკე სოციალური ფენა არ არსებობდა. ყმა ყოველ ცალკეულ შემთხვევაში საზოგადოების რომელიმე ფენას ან წოდებას აღნიშნავდა. გ. ჯამბურია აღნიშნავს, რომ ყმა თავდაპირველად ბავშვის, ახალგაზრდის მნიშვნელობით იხმარებოდა, მაგრამ ადრევე მიუღია სოციალური ელფერი. ასეა სახარების ტექსტებში, „შუშანიკის წამებაში“, „ვეფხისტყაოსანში“. ამ ძეგლებში „ყრმა“ სოციალური მნიშვნელობით აღნიშნავს მონას, მოსამსახურეს, მსახურს, დაქვემდებარებულ პირს — „ვეფხისტყაოსანში“²⁸.

მართლაც, ადრეფეოდალური წერილობითი ძეგლების ანალიზის საფუძველზე. შესაძლოა იმის მტკიცება, რომ ტერმინს „ყრმა“ ადრეფეოდალურ ხანაში უკვე მიუღია სოციალური შინაარსი. ეს ტერმინი შინამოსამსახურის, მნიშვნელობით გვხვდება აგიოგრაფიულ თხზულებებში „მარტვლობა შუშანიკისი“ და „ცხოვრება სერაპიონ ზარზმელისაჲ“. ბიბლიის ტექსტებში.

„ყრმის“ მნიშვნელობის ტრანსფორმაცია ასე აქვს გააზრებული გ. აკოფაშვილს: „ყრმა (ახალგაზრდა) ადვილად მიიღებდა მოსამსახურის აზრს, რადგან კარზე მსახურებად მოზარდებს, ახალგაზრდებს იყენებდნენ. ეს ანალოგიურია შემდეგ დროინდელი „ბიჭის“, „გოგოს“ ხმარებისა. მოსამსახურის მნიშვნელობით დამოუკიდებლად ამ „ბიჭის“ თუ „გოგოს“ ასაკისა²⁹.

„ყრმის მნიშვნელობის გაფართოების სურათს ა. ბოგვერაძე სხვაგვარად გვისახავს. „ყრმა“, როგორც მცირეწლოვანი საჭიროებდა გამზრდელსა და მამას და ამდენად, უკვე გადატანით, სოციალური აზრით, შეერქვა იმას. ვინც „უფალზე“ იყო დამოკიდებული ანუ მაშინდელი საზოგადოების თვალსაზრისით გამზრდელი ანუ მამა ჰყავდა³⁰.

გ. მამულია, აგრეთვე, მიიჩნევს, რომ ტერმინი „ყრმის“ სოციალური ბუნება უასაკობიდან მომდინარეობს. „ყრმობის“ წლოვანებაში მყოფს ვალდებულებანი არ გააჩნდა და, ამდენად, უფლებებიც არ ექნებოდა. იგი იურიდიულ პირად არ ითვლებოდა საზოგადოებაში³¹.

ჩვენი აზრით, ყრმა (ბავშვი, ახალგაზრდა) შინამოსამსახურის, მოსამსახურის აღმნიშვნელ ტერმინად იქცა იმიტომ, რომ სიტყვა „ყრმა“ აზრობრივად თავიდანვე შეიცავდა სიმცირის ცნებას და ამდენად, როდესაც საზოგადოების განვითარებამ წარმოშვა აუცილებლობა დამცირებული ფენის აღნიშვნისა, სიტყვა „ყრმა“ ბუნებრივად იქცა სოციალური შინაარსის მქონე ტერმინად. შედარებისათვის საყურადღებოა, რომ სიტყვა „ხუცესი“ ერთდროულად აღ-

27 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, ტ. VI, თბ., 1974, გვ. 76—80.

28 გ. ჯამბურია, ბატონყმობის საკითხისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1979, № 4, გვ. 174—175.

29 აკოფაშვილი, ყმა, მსახური, ტაძრული (ისტორიულ-ტერმინოლოგიური ძიებანი), მაცნე, ისტორიის სერია, 1981, № 2, გვ. 134.

30 ა. ბოგვერაძე, ქართლის პოლიტიკური და სოციალურ-ეკონომიკური განვითარება IV—VIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 213.

31 გ. მამულია, ბატონყმობა, გვ. 58.

ნიშნავდა „მოხუცს“ და „უფროსს“ ე. ი. უფროსს ასაკით და სოციალური მდგომარეობით.

„ყრმა“ დაქვემდებარების აღმნიშვნელი ძველი ქართული ცნებაა. ეს ტერმინი აღნიშნავდა არა მარტო მოსამსახურეს და შინამოსამსახურეს, არამედ იხმარებოდა ზოგადი დაქვემდებარების გამოსახატავადაც, რასაც ამ ხანაში ძირითადად ტერმინი „მონა“ აღნიშნავდა.

იაკობ ცურტაველი ვარსკენ პიტიახშის მიერ მის დასაძახებლად გამოვზავნილ პირს „ყრმას“ უწოდებს: „მოვიდა ყრმაჲ ერთი და თქუა: იაკობ მანდა არსა“³². „ყრმა“ ამ შემთხვევაში პიტიახშის შინამოსამსახურე უნდა იყოს.

„ყრმა“ შინამოსამსახურის თუ მსახურის მნიშვნელობით ხშირად გვხვდება მცხეთური ბიბლიის „მეფეთა წიგნებში“. უფლისწული იონათანი დავითს ეუბნება: „მივაგლინო ყრმა ჩემი, და ვრქეა ყრმისა მას, ვითარმედ, მომართვენი ისარნი ჩემნი, რომელ შევსტყორცენ!“ (I მფ. 20,21)³³. ორივე შემთხვევაში „ყრმის“ შესატყვისობებია: ებრაულში: **רַעַב** — ბიჭი, მსახური; ბერძნულში: **δ παιδης** — ბიჭი, ახალგაზრდა მსახური; სომხურში: **ყაითახსაკ** — ბავშვი, ახალგაზრდა. ამავე „ყრმის“ შესახებ I მფ. 20, 38 მუხლში წერია: „აკრიბნა ყრმამან ისარნი იგი და მოართუნა უფალსა თჳსსა“³⁴. აქ „ყრმას“ შესებადმება: ებრაულში: **רַעַב** — ბიჭი, მსახური; ბერძნულში: **δ παις** — ბავშვი, ახალგაზრდა მონა; სომხურში: **მანოსკ** — ბავშვი, ახალგაზრდა.

„ყრმა“ მსახურის მნიშვნელობით გვხვდება IV მფ. 3, 11 მუხლში, სადაც წერია: „და თქუა ერთმან ვინმე ყრმამან მეფისა ისრაჴლისამან“³⁵. „ყრმის“ შესატყვისობანია: ებრაულში: **רַעַב** — მონა, მსახური; ბერძნულში: **δ παις** — ბავშვი, ახალგაზრდა მონა; სომხურში: **მანოსკ** — ყრმა. ის, რომ „ყრმა“ ეკუთვნის მეფეს, მის დაქვემდებარებაზე მიუთითებს. „ყრმა“ აქაც შინამოსამსახურეა.

„ყრმის“ მსახურის (შინამოსამსახურის) შინაარსით ხმარების მავალითები მოიპოვება მცხეთური ბიბლიის მეფეთა წიგნებში: I მფ. 21, 4; 21, 5; 21, 14; 30, 17; III მფ. 14, 3; 18, 43; 19, 3; IV მფ. 6, 15; 6, 17 მუხლებში.

ივ. ჭავჭავიძე თვლიდა, რომ საქართველოში I—VII სს-ში მხოლოდ მონობა იყო, VII—IX სს-ში გარდამავალი ხანაა, ხოლო X—XIII სს-ში პატრონყმობაა. „პატრონყმობის“ პერიოდში „ყრმის“ მნიშვნელობის შესახებ ივ. ჭავჭავიძე წერს: „როგორც პატრონი მესაკუთრესაცა და მეფესაც ეწოდებოდა, თავის მხრივ „ყმა“-ც ქვეშევრდომსაც ჰნიშნავდა, თუნდაც ეს ქვეშევრდომი დიდებული აზნაური ან მოხელე ყოფილიყო“. ყველა „ყრმის“ მოვალეობას პატრონისადმი „მსახურება“ შეადგენდა. ამ ტერმინის ვიწრო მნიშვნელობას ივ. ჭავჭავიძე „გლეხთან“ აიგივებდა³⁶.

ივ. ჭავჭავიძე აღნიშნავს, რომ პატრონი X ს-დან შემოდის ხმარებაში,

³² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 18.

³³ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 72.

³⁴ , გვ. 73.

³⁵ იქვე, გვ. 197.

³⁶ ივ. ჭავჭავიძე, ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი, მეორე), გვ. 171, 228—239, 258.

მანამდე „პატრონის“ მსგავსი მნიშვნელობით „უფალი“ იხმარებოდა, მაგრამ — ყმა“ მაშინ სოციალურ ცნებას არ აღნიშნავდა. პატრონყმობის მოსალოდნელი წინამორბედი უფალ-ყმობაც არსადა ჩანს³⁷.

მ. ბერძნიშვილი გრიგოლ ბაკურიანის ტიპიკონის მიხედვით (შედგენილია 1084 წელს) „ყმის“ შესახებ ამბობს, რომ ესაა აზნაური—მსხვილი ფეოდალის წინაშე სამსახურის მოვალე³⁸.

გ. აკოფაშვილი აღნიშნავს, რომ ბიბლიაში, შუშანიკის წამებაში, სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში „ყრმა“ — მოსამსახურის, ფეოდალური ხანის მონის მნიშვნელობით გვხვდება. ფეოდალურ ურთიერთობათა განვითარებასთან ერთად „ყმის“ ცნება ფართოვდება, ვასალის მნიშვნელობას იტევს და თანდათან ფეოდალზეც ვრცელდება, რამდენადაც იგი ზემდგომზე დამოკიდებულებაში ექცევა. გ. აკოფაშვილი გვაძლევს ტერმინი „ყრმის“ მნიშვნელობათა განვითარების შემდეგ სურათს: ბავშვი-მსახური-ვასალი-მეომარი (რაინდი ანუ მოყმე) — გლეხობა³⁹.

გ. მამულია „ყრმის“ სოციალური ინსტიტუტის შესახებ წერს, რომ ქართლის (იბერიის) სამეფოში ყრმა-მონები ეწოდებოდათ არათავისუფალ მსახურებს — სეფეკაცებს. IV—V სს-ში პატრიარქალურ „სახლთა“ დაშლის შედეგად ჩამოყალიბდა „წვრილი ერიდან“ გამოსულ თავისუფალ მსახურთა სოციალური ფენა. არაკეთილშობილ თავისუფალ მსახურთა ეს ფენა ეკუთვნოდა საზოგადოების უაზნოთა ნაწილს. გ. მამულიას თქმით, უაზნოებში შემავალი მსახური „ყრმად“ იწოდებოდა. მკვლევარი აღნიშნავს, რომ „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოხსენებული „ყრმა“, რომელსაც გიორგი ჩორჩანელი „კი არ უბრძანებს, არამედ „მოუწოდებს“ და „ძმობითაც“ მიმართავს, ეს ყრმა არა ყრმა-მონა, ანუ არათავისუფალი ვასალი, არამედ არაკეთილშობილი თავისუფალი უნდა ყოფილიყო“⁴⁰.

მცხეთური ხელნაწერის „მეფეთა წიგნებში“ მოიპოვება მაგალითები, სადაც „ყრმა“ ზოგადად დაქვემდებარებული პირის აღსანიშნავად იხმარება. ჩანს, ამ ტერმინს ადრევე მიუღია ეს შინაარსი. ქვემოთ განხილულ მაგალითებში „ყრმას“ „მონა“ ენაცვლება. ასევეა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაშიც“: იმის გასაგებად თუ ვინ დაანთო ცეცხლი მის ტყეში მთავარი გიორგი ჩორჩანელი აგზავნის „ყრმას“. ამ „ყრმის“ შესახებ იქვე, „მონათგანიც“ არის ნახმარი. შიკრიკად ბერებთან შემდგომშიც „ყრმათაგანი“ მიავლინა მთავარმა⁴¹. ის, რომ „მონას“ „ყრმა“ ენაცვლება, მიუთითებს იმაზე, რომ ეს უკანასკნელი დაქვემდებარებული პირის აღმნიშვნელი ტერმინი ადრევე გამხდარა. საფიქრებელია, რომ „მონა“ ასეთი შინაარსით უფრო ხშირად იხმარებოდა.

„ყრმა“ მცხეთურ ხელნაწერში ეწოდება სიბას, რომელზეც „მეფეთა წიგნებში“ ნათქვამი არის, რომ დავით მეფესთან მივიდა: „სიბა, ყრმა იგი სახლისა

37 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია (წიგნი მეორე, ნაკვეთი მეორე), გვ. 58.

38 მ. ბერძნიშვილი, ქართულ-ბიზანტიური სოციალური ტერმინოლოგიიდან, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1977, № 1, გვ. 60.

39 გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 134—135, 137.

40 გ. მამულია, პატრონყმობა, გვ. 137—138.

41 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 325—327.

42 მცხეთური ხელნაწერი, გვ. 126.

მის საულისი, ათხუთმეტით ძითურთ და ოცით მონით“ (II მეფ. 19, 17)⁴². „ყრმის“ შესატყვისობანია: ებრაულ ტექსტში: **ר יז** ბიჭი, მსახური; ბერძნულში: **δ παιδῆριον** — ბიჭი, ახალგაზრდა, მონა; სომხურში: **սատահի** — ყრმა. გარდა ოცი მონისა სიბას გააჩნია სამკვიდრებელი. II მეფ. 9, 12 მუხლში აღნიშნულია: „ყოველი სამკვდრებელი სიბასი ჰმონებდა მემფიბოსტეს“⁴³. მეფე პირდება სიბას მემფიბოსტეს ქონებას, როდესაც მემფიბოსტე დავითს განუდკა (II მეფ. 16, 4)⁴⁴. სიბა არის მემფიბოსტეს ეზოსმოდღარი. იგი რჩება მზრუნველად მემფიბოსტეს „მონაგებისა და სახლისა“. როცა იგი დავითს იერუსალიმში მიჰყავს (II მეფ. 9,9)⁴⁵. სიბას დავითი (მეფე) ავალებს: „იქმოდე ქუეყანასა ძით და მონით შენითურთ და დაუკრიბე უფალსა შენსა ნაყოფი, უქმოდე მას უნჯსა და დაუკრებდ“ (II მეფ. 9, 10)⁴⁶. სიბას შესახებ ამავე თავში ნახმარია „მსახური“: „სახლისაგან საულისა დაშთომილ იყო მსახური ერთი და სახელი მისი სიბა“ (II მეფ. 9,2)⁴⁷. „მსახურის“ უცხოური შესატყვისობანია: ებრაულ ტექსტში: **ר יז** — მონა, მსახური; ბერძნულში: **δ παις** — ბავშვი, ახალგაზრდა მონა; სომხურში: **սատահ** — ყრმა.

II მეფ. 9,9 მუხლში სიბას შესახებ „მონა“-ც არის ნათქვამი: „მოუწოდა დავით მეფემან სიბას, მონასა მას საულისა“. ამ შემთხვევაში „მონის“ შესატყვისობებია: ებრაულ ტექსტში: **ר יז** — ბიჭი, მსახური; ბერძნულში: **δ παιδῆριον** — ბავშვი, ახალგაზრდა მონა; სომხურში: **սատահ** — მონა, მსახური.

სიბა მსახურია, რომელიც ამ შემთხვევაში ეზოსმოდღარის ფუნქციას ასრულებს. მას „მსახური“ ეწოდება კიდევ II მეფ. 9,2 მუხლში. მის შესახებ ტერმინები „ყრმა“ და „მონა“ დაქვემდებარებული პირის მნიშვნელობით არას ნახმარი.

ტერმინი „ყრმის“ ანალოგიური ხმარების მაგალითია III მეფ. მე-20 თავში. აქ ნახსენები „ყრმები სოფლისა მის მთავართა“ მსახურები უნდა იყვნენ, რომელთაც როგორც დაქვემდებარებულ პირებს „ყრმები“ ეწოდებათ: წინასწარმეტყველი ეუბნება აქაბ ისრაელის მეფეს, რომ მტერს დაუმორჩილებს მას ღმერთი და კითხვაზე ვისი მეოხებით, პასუხობს: „ყრმებითა სოფლისა მის მთავართათა“ (III მეფ. 20, 14)⁴⁸. ამ შემთხვევაში „ყრმის“ შესატყვისობებია: ებრაულ ტექსტში: **ר יז** — ბიჭი, მსახური; ბერძნულში: **δ παιδῆριον** — ბავშვი, ახალგაზრდა მონა; სომხურში: **սատահ** — ყრმა. იგივე „ყრმათა“ შესახებ მომდევნო მუხლში წერია „შენ აღრაცენ მონანი იგი მთავართანი“ (III მეფ. 20, 15)⁴⁹. უცხოური შესატყვისობებია: ებრაულ ტექსტში: **ר יז** ბიჭი, მსახური; ბერძნულში: **δ παιδῆριον** — ბავშვი, ახალგაზრდა მონა; სომხურში: **սատահ** — მონა, მსახური.

⁴³ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 107.

⁴⁴ იქვე, გვ. 120.

⁴⁵ იქვე, გვ. 106.

⁴⁶ იქვე, გვ. 106.

⁴⁷ იქვე, გვ. 106.

⁴⁸ იქვე, გვ. 185.

⁴⁹ იქვე, გვ. 185.

ამრიგად, „ყრმა“ თავდაპირველად აღნიშნავდა ბავშვს, მცირეს. ფეოდალური საზოგადოების განვითარებასთან ერთად გაჩნდა აუცილებლობა დამცრობილი ფენის აღნიშვნისა, რომლის აღმნიშვნელ ერთ-ერთ ტერმინად ჩამოყალიბდა „ყრმა“. ტერმინი „ყრმა“ ადრეფეოდალურ ეპოქაში აღნიშნავდა შინამოსამსახურეს ან მოსამსახურეს და ამავე დროს დაქვემდებარებული პირის აღსანიშნავად იხმარებოდა „მონის“ პარალელურად.

მონა, მხევალი. ივ. ჯავახიშვილი „მონა-მკეველთა“ შესახებ წერს, რომ V—VII სს-ში მონა-მხევლები სოციალური ცხოვრებისა და უაზნოთა ჯგუფის უმდაბლეს საფეხურზე იდგნენ. ისინი აზნაურთა გარდა დაბალი წოდებების წარმომადგენლებსაც ყავდათ (მაგალითად, ხელოსნებს). ივ. ჯავახიშვილის აზრით, როგორც ეთქვით, „ყრმა“ სოციალური მნიშვნელობით IX ს-მდე არ გვხვდება. იგი აღნიშნავს, რომ I—VII სს-ში საქართველოში „მხოლოდ მონობა იყო“⁵⁰.

ს. ჯანაშიას თქმით, „აზნაურები, წვრილი ერი, გლეხები, მონები წარმოდგენდნენ ძირითად წოდებრივ კატეგორიებს ქართლის მოსახლეობისა მეზუთე საუკუნის მეორე ნახევარში“⁵¹. ს. ჯანაშია თვლიდა, რომ ამ დროს ყმა-გლეხობაც არსებობდა მცირე რაოდენობით. მაგრამ წყაროებს მათი მოხსენიება არ შემოუნახავთ. სამაგიეროდ, წყაროები ხშირად აღნიშნავენ საზოგადოების ფსკერზე მოთავსებულ „მონა-მკეველებს“⁵².

„მონის“ კლასობრივი მდგომარეობის შესახებ გ. მელიქიშვილი წერს, რომ „მონა“ უუფლებო, უსაზღვროდ მორჩილი პირის აღმნიშვნელია. ბიბლიაში „მონის“ შესატყვისი „წარა“ ყველაზე გავრცელებული ტერმინია სომხურში „მონის“ ცნების აღსანიშნავად. ბიბლიის მიხედვით ამ სიტყვის მნიშვნელობებია: შინამოსამსახურე, თავისუფალი კაცი, რომელიც სახელმწიფო ვალდებულებებს იხდის. მონის, რომელიც არათავისუფალია, ფულზე ყიდვა შეიძლება. „მონა“ უძველეს ორიგინალურ ძეგლებში აღნიშნავს „მსახურს“. ამიტომ, ბიბლიის თარგმანებში „მონას“ ცვლის „მსახური“ ან „ყრმა“. ადრეფეოდალურ ეპოქაში „მონები“ შინამოსამსახურეთა ფუნქციას ასრულებდნენ⁵³.

„მონის“ შრომა მიწათმოქმედებაში შეზღუდული იყო. „მონებს“ ძირითადად ხელოსნობაში, მშენებლობაში იყენებდნენ. მონა-მხევლები შეიძლება ყოლოდათ არა მარტო მეფეებს, ზედაფენის წარმომადგენლებს, არამედ, რიგით თავისუფლებსაც⁵⁴.

„მონის“ ეტიმოლოგიისათვის ასახელებენ ძვ. სპარსულ *maniya*-ს — მონები, რომლებსაც სამეურნეო საქმიანობაში იყენებდნენ (უცხოელი ტყვეები), რაც, თითქოს უკავშირდება ა-ს — საცხოვრებელი, სახლი. მონის ეტიმოლოგიისათვის საინტერესოა აგრეთვე ტერმინი „მნოა“ — ძველბერძნული დამორჩილებული მოსახლეობა. ეს სიტყვაც წარმოშობით, აგრეთვე, „სახლს“ უკავშირდება⁵⁵.

50 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია (წიგნი პირველი), გვ. 174—176.

51 ს. ჯანაშია, საქართველო აღმნიშვნელი ფეოდალიზაციის გზაზე, შრ., I, თბ., 1949, გვ. 273.

52 იქვე, გვ. 273.

53 გ. მელიქიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 609—611.

54 იქვე, გვ. 612—620.

55 იქვე, გვ. 611.

ქ. ჩხატარაიშვილი ნაშრომში „ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში“ ტერმინი „მონის“ შესახებ აღნიშნავს, რომ „მონა“ ნიშნავდა სახლეულს, შინაურს, მსახურს ე. ი. პატრიარქალურ საოჯახო მონას“ გვაროვნულ-თემური წყობილების ეტაპზე. წინაფეოდალურ ხანაში, მკვლევრის თქმით, „მონა“ — მსახურია, არათავისუფალთა კლასის ზედაფენაა, რომელსაც პირადი სამსახური და ლაშქრობა ევალებოდა. იგი დაკავშირებულია მიწათმოქმედ მასასთან, გლეხობასთან⁵⁶.

ს. კაკაბაძეს „მონის“ ეტიმოლოგიისათვის საყურადღებოდ ძველსპარსულ „მანია“ მიაჩნდა. მისი აზრით, „მანიას“ შესატყვისი ადგილობრივი ტერმინი უნდა ყოფილიყო შინაური და სახ-ური (მ-სახ-ური)⁵⁷. მკვლევრის თქმით, „მონობა“ ქართლში იგივე იყო, რაც, დასავლეთ ევროპაში *servitium* ე. ი. ვასალიტეტი. „მონა“ ვასალის აღმნიშვნელი ცნება იყო ადრეფეოდალურ საქართველოში. ს. კაკაბაძის აზრით, V ს-ში იბერიაში არსებობდა „მონა-მსახურთა“ კლასი, რომელიც უკვე დიფერენცირებულია და „მსახური“ ამ კლასის პრივილეგირებული წრის აღმნიშვნელ ტერმინად ქცეულა. ხოლო მეორე წრე არის არაპრივილეგირებულ მდებობათა — გლეხთა წრე⁵⁸.

„მონა-მკევალი“ ადრეფეოდალურ წყაროებში ლეონტი მროველთან, ჯუანშერთან. ორიგინალურ და ნათარგმნ აგიოგრაფიულ მწერლობაში გვხვდება ორი მნიშვნელობით. ზოგადი შინაარსით ხმარებისას „მონა-მკევალი“ აღნიშნავს დაქვემდებარებულ პირს. მომდევნო დროის ტერმინოლოგიით, რომ ეთქვამთ ვასალს. ვიწრო მნიშვნელობით ხმარებისას კი „მონა-მკევალი“ უუფლებო, ფულზე ნაყიდი ადამიანია.

აგიოგრაფიულ ძეგლში „ცხოვრებაჲ შიოხისი და ევაგრესი“ „მონა“ ქვეშევრდომს აღნიშნავს. მთავარმა ევაგრემ „დღესა ერთსა ჰრქუა შვილთა თჳსთა და მონათა: განვიდეთ ნადირობად“⁵⁹.

„მონები“ ბარბაროზი ბუბაქარის ქვეშევრდომები არიან თხზულებაში „ცხოვრებაჲ დავით გარეჯელისაჲ“⁶⁰.

ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ ჰაოსმა თავის შვიდ ძმას მოუწოდა აღარ მიეცათ ხარკი ნებროთისთვის: „ვიყვენეთ არა ვისა მონა“. „მონა“ აქაც ქვეშევრდომი. დაქვემდებარებული პირია⁶¹.

ქუჩის, ეგრისის ერისთავს, სურს რა გამოხატოს თავისი დამოკიდებულება ფარნავაზის მიმართ, იგი ეუბნება მას: „შენ ხარ უფალი ჩუენი და მე ვარ მონა შენი“⁶². ჩანს რომ, ამ ხანაში „მონა“ იხმარებოდა დამოკიდებულის, ქვეშევრდომის მნიშვნელობით.

56 ქ. ჩხატარაიშვილი, ნარკვევები სამხედრო საქმის ისტორიიდან ფეოდალურ საქართველოში, თბ., 1979, გვ. 47.

57 ს. კაკაბაძე, ქართული სახელმწიფოებრიობის გენეზისის საკითხები, საისტორიო მოამბე, წ. I, თბ., 1924, გვ. 88—89.

58 იქვე, გვ. 111—112.

59 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 219.

60 იქვე, გვ. 236.

61 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 6.

62 იქვე, გვ. 22.

მსგავს მაგალითს ვხვდებით მცხეთურ ბიბლიაში. IV მფ. 24, 1 მუხლში აღნიშნულია, რომ იოაკიმი „მონა“ ბაბილონის მეფე ნაბუქოდონოსორისა. იოაკიმი ეგვიპტის ფარაონია. ამიტომ ცხადია, რომ „იყო... იოაკიმ მონა სამ წელ“⁶³ — ნიშნავს, რომ იგი სამ წელიწადს ემორჩილებოდა ბაბილონის მეფეს.

„მონანი მეფისა“ მეფის ქვეშევრდომი ხალხია I მფ. 18,22 მუხლში⁶⁴. „მონის“ შესატყვისობანია: ებრაულში: **נָכַח** — მსახური, მონა; ბერძნულში: **δ παῖς** — მონა, მსახური; სომხურში: **սյր** — კაცი.

საუბრისას „მონას“ უწოდებდნენ თავის თავს დაქვემდებარების, დამორჩილების აღსანიშნავად. ასეა „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“⁶⁵.

მცხეთურ ბიბლიაში მდიდარი კაცის ცოლი აბგეა უწოდებს თავს „მკეველს“ დაეითან საუბრისას და ამგვარად ხაზს უსვამს თავის მორჩილებას მის მიმართ⁶⁶.

ამრიგად, „მონა“ ადრეფეოდალურ ხანაში დაქვემდებარებული პირის აღმნიშვნელი ტერმინია. ასეთი მნიშვნელობით ხმარება უფრო ხშირია, ვიდრე მეორე — უუფლებო პირის მნიშვნელობით. შეიძლება ითქვას, რომ პატრონ-ყმობის წინამორბედი დამოკიდებულება დაქვემდებარებულ პირსა და ზემდგომს შორის ადრეფეოდალურ ხანაში არსებობდა უფალ-მონობის სახით.

უუფლებო პირის მნიშვნელობით „მონა“ ადრეფეოდალური ხანის წერილობით ძეგლებში იშვიათად გვხვდება.

აგიოგრაფიულ ძეგლში „მარტულობა გობრონისი“ არაბი ამირა თავაზობს გობრონს მიწიერ სიკეთეს, დიდებას, წარჩინებულ მდგომარეობას და ქონებას. აქ კარვებთან, აქლემებთან, საჭურველთან, ტაძართან ერთად „მონებიც“ იხსენიება. ცხადია, მონები პირად თავისუფლებას მოკლებული ადამიანები არიან⁶⁷.

ჯუანშერი მოგვითხრობს, რომ ვახტანგ გორგასალმა უძღვნა ხოსროს დიდ-ძალი საუნჯე, მასთან ერთად კი „მკეველი ათასი და მონა ხუთასი“⁶⁸.

მცხეთურ ბიბლიაში IV მფ. 5,26 მუხლში ნათქვამია, თუ რისი ყიდვა შეიძლება ვერცხლით. აქ სამოსლის, ზეთისხილის, ვენახების, ძროხების და ცხვრების შემდეგ წერია: „მონები და მკეველები“⁶⁹. მონის შესატყვისია: ებრაულში: **נָכַח** — მსახური, მონა; ბერძნულში: **δ παῖς** — ახალგაზრდა მონა; სომხურში: **ծառայ** — მსახური, მონა.

„მკეველს“ შესატყვისება: ებრაულში: **מִקְנֵה** — მსახური ქალი; ბერძნულში: **ἡ παιδίσκη** — ახალგაზრდა

ქალი, ახალგაზრდა მონა ქალი; სომხურში: **սղսխին** — მხეველი.

„მონება“ ადრეფეოდალურ წერილობით წყაროებში აღნიშნავს ქვეშევრდომის ან დამორჩილებული პირის დამოკიდებულებას დამპყრობლის ან ხელისუფლის მიმართ.

⁶³ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 239.

⁶⁴ იქვე, გვ. 68.

⁶⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 331.

⁶⁶ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 81.

⁶⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 181.

⁶⁸ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 182.

⁶⁹ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 203

ამრიგად, ტერმინი „მონა“ ადრეფეოდალურ ხანაში იხმარებოდა დაქვემდებარებული პირის აღსანიშნავად და აგრეთვე, აღნიშნავდა უუფლებო, ფულის ნაყიდ ადამიანს.

მსახური. მოკლედ განვიხილოთ ტერმინი „მსახურის“ შესახებ გამოთქმული მოსაზრებანი ქართულ ისტორიოგრაფიაში.

ივ. ჯავახიშვილის აზრით, მსახურთა ცალკე წოდებრივი ჯგუფი IV—VII სს-ში ჩამოყალიბდა. მაგრამ ეს ფენა აზნაურებივით ერთგვაროვანი და თანასწორუფლებიანი არაა. მსახური სასყიდლით ან სხვა რაიმე გასამრჩელოთი სხვას ემსახურებოდა. მსახურები ჰყავდათ მეფეს, მთავრებს, აზნაურებს, მსახურთა საქმიანობას ხლება, შიკრიკობა და სხვა ამგვარი სამსახური შეადგენდა. მთავრის „წინაშე მდგომელნი და ტაძრეულნი“ — მსახურთა უმაღლესი ფენა იყო⁷⁰.

ს. ჯანაშია თვლიდა, რომ მსახური და ტაძრეული წარმოადგენდა ერთ-ერთ სოციალურ კატეგორიას. ეს ფენები წარმოიშვა VII—VIII სს-ში წვრილი ერიდან და გააზატებულ მონათაგან. მსახურები ასრულებდნენ სამსახურს მეფის ან წარჩინებულის კარზე. მსახურები თავიანთ უფალს ომშიაც მიჰყვებოდნენ. „მსახურობა“ — გარდამავალი საფეხურია წვრილ ერსა და წარჩინებულთა ანუ აზნაურთა შორის. ალბათ, „ტაძრეული“ „მსახურზე“ მაღლა იდგა. ს. ჯანაშიას აზრით, „სახლიდან“ არის წარმომდგარი ტერმინი „მსახური“⁷¹.

გ. ჯამბურია აღნიშნავს, რომ „მსახური“ — ფეოდალური საზოგადოების მნიშვნელოვანი ფენა არსებობს V ს-დან. იგი ბაგრატის სამართლის წიგნში (გ. ჯამბურია, ამ შეკვლას IX ს-ით ათარიღებს) ამ ფენის მოუხსენებლობას ხსნის იმით, რომ „მსახური“ IX ს-ისათვის ისე არაა დაწინაურებული, რომ იგი გლეხისაგან გამოყონ და მას ცალკე სისხლი დაუწესონ“⁷².

გ. აკოფაშვილი ფიქრობს, რომ მსახურთა დასი ყალიბდება ადრეფეოდალურ ეპოქაში, როგორც თავისუფალი ისე არათავისუფალი ელემენტებისაგან და ამ დროს მასში გამოყოფილი უნდა იყოს სამი ჯგუფი: 1. შედარებით მაღალ ადმინისტრაციულ-სამეურნეო თანამდებობაზე დასაქმებული მსახურები; 2. საშუალო რაზმის წევრები; 3. დაბალი, უმთავრესად სამეურნეო და საყოფაცხოვრებო სფეროში მომსახურე პერსონალი (ესენია შინამოსამსახურეები).

გ. აკოფაშვილი გვაძლევს „მსახურის“ ეტიმოლოგიას: „მსახური“ წარმოდგა „სახლი“-დან — მ-სახლური, ანუ შინაური, მოსამსახურე. ფეოდალურ ხანაში ასე ეწოდებოდა ადამიანს, რომელიც ფეოდალურ „სახლს“ ემსახურებოდა“⁷³.

კ. კახაძე აღნიშნავს, რომ დასავლეთ საქართველოს სოციალურ სტრუქტურასა და ფეოდალურ ჯარში მნიშვნელოვანი ადგილი ეკავა მსახურების ფენას, რომელიც წარმოიშვა ქვეყნის ფეოდალიზაციის პროცესში. თავისუფალ მწარმოებელთაგან („ერის კაცები“) განსხვავებით „მსახურები“ იყვნენ ფეოდალურ დამოკიდებულებაში და ჯარის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენდნენ. „მსა-

70 ივ. ჯავახიშვილი, ქართული სამართლის ისტორია (წიგნი მეორე), გვ. 203—204.

71 ს. ჯანაშია, დასახ. ნაშრომი, გვ. 278—279.

72 გ. ჯამბურია, დასახ. ნაშრომი, გვ. 184.

73 გ. აკოფაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 139, 140.

ხურები“ დამოკიდებულნი ხდებოდნენ მეფის ან ფეოდალისაგან სამსახურისათვის მიწის ნაკვეთის მიღების გზით⁷⁴.

ზ. რატიანი სტატიაში „მსახურთა კლასობრივი ვინაობის გაგებისათვის“, აღნიშნავს, რომ ტერმინი „მსახური“ ქართულ წერილობით წყაროებში ორი ძირითადი მნიშვნელობით იხმარება: 1. მსახური შეიძლება იყოს ყველა, ვანურჩეველად მისი სოციალური სახისა, ეინც კი რაიმე სამსახურს ასრულებს; 2. ტერმინი „მსახური“ ვიწრო გაგებით ცალკე სოციალური კატეგორიის აღმნიშვნელი სიტყვაა. ისევე როგორც ტერმინები გლეხი, აზნაური, ვაჭარი და სხვ. მკვლევარი განასხვავებს მსახურთა ორ კატეგორიას მსახურად მსახურსა და მსახურად გლეხს (ბეჭა-აღბულას სამართლის წიგნის მიხედვით). მსახურად მსახურება მემკვიდრეობით გადადის. როგორც აზნაურობა და დიდებულობა. მსახურად მსახურებს ჰყავთ ყმები და მწარმოებლები არ არიან. აგრეთვე, მათი წოდება მემკვიდრეობითია. მსახურად გლეხი მხოლოდ თვითონ არის ბატონთან მსახურად, ხოლო მისი ოჯახის სხვა წევრები უბრალო ყმა გლეხებია. ზ. რატიანი ასკვნის, რომ მსახურთა წოდება ეკუთვნოდა გაბატონებულ კლასს, როგორც აზნაურთა წოდება, ოღონდ უფრო დაბლა იდგა მასზე. მსახურთა წოდების ძირითადი საქმიანობა იყო ყოველგვარი სამეურნეო სამსახური ბატონის კარზე. ზემოთქმულს მკვლევარი ათარიღებს: „ყოველივე ნათქვამი ეხება საქართველოს V—XIV საუკუნეების სოციალურ აღნაგობას“⁷⁵.

მ. სანაძის დაკვირვებით, V—X სს-ში „მსახური“ იხმარება საერთოდ ყოველნაირი პირადი დაქვემდებარების აღსანიშნავად. ყველა ვინც ვინმეს მიმართ რაიმე სამსახურს ასრულებს — მსახურია. თუმცა, „მსახურის — სინონიმად „მონასაღ“ ვხვდებით, „მონისაგან“ განსხვავებით, რომელიც არათავისუფალია, „მსახური“ ყოველთვის პირადად თავისუფალი ადამიანია⁷⁶.

„მსახური“ სოციალურ მნიშვნელობას იძენს XI—XII სს-ში. ამ ხანაში ხდება უგლეხო აზნაურთა გადასვლა გლეხობაში ე. ი. თავისუფლების დაკარგვა. თუმცა მათი სამსახური პატრონის მიმართ აზნაურულია: ხლება, ლაშქრობა, პურის ჭამა⁷⁷.

ა. ბოგვერაძე IV—VIII სს-ში „მსახურს“ მიიჩნევს გარდამავალ ადგილზე მყოფად წარჩინებულთა და „ერის“ მწარმოებელ ნაწილს შორის. მსახურებს იყენებდნენ სამეურნეო-ადმინისტრაციულ უბნებზე და, ამრიგად, ისინი მწარმოებელი კლასის ექსპლუატაციის უშუალო მონაწილეები არიან⁷⁸.

„მსახურებს“ მ. ლორთქიფანიძე IX—X სს-ებში განიხილავს, როგორც მეფის ან დიდებული აზნაურის სამსახურში მყოფ თავისუფალ ადამიანებს. „მსახურთა“ ნაწილი შემდგომში აზნაურდება, უდიდესი რიცხვი კი თანდათან

⁷⁴ К. Кахадзе, Социально-политическая структура и военная организация Западной Грузии в XIII—XVIII вв., автореферат диссертации на соискание учёной степени кандидата исторических наук, Тб., 1982 гв. 18-19.

⁷⁵ ზ. რატიანი, მსახურთა კლასობრივი ვინაობის გაგებისათვის, „მაცნე“, ისტორიის სერია, 1974, № 3, გვ. 139—140.

⁷⁶ მ. სანაძე, გლეხობა დასავლეთ საქართველოში XV—XVIII საუკუნეებში, თბ., 1979, გვ. 53.

⁷⁷ მ. სანაძე, დასახ. ნაშრომი, გვ. 40—41.

⁷⁸ ა. ბოგვერაძე, ეკონომიური და სოციალური ვითარება IV—V საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში, ადრეფეოდალურ სოციალურ-ეკონომიურ ურთიერთობათა გაბატონება, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 149—151.

მწარმოებელთა რიგებში ექცევა. ეს პროცესი მთელი ადრეფეოდალიზმის ხანას გასდევს⁷⁹.

ადრეფეოდალური ხანის ქართულ წერილობით ძეგლებში ლეონტი მროველსა და ჟუანშერის თხზულებებში, ძველ ქართულ და სომხურიდან ნათარგმნ აგიოგრაფიულ თხზულებებში, ბიბლიის ძველ ქართულ თარგმანებში ტერმინი „მსახური“ სავსებით ჩამოყალიბებული სახით გვევლინება.

ზოგადად „მსახური“ აღნიშნავს ყველას ვინც რაიმე სამსახურს ასრულებს. ჟუანშერთან „მსახურნი“ სტეფანოზ ქართლის მთავრის ქვეშევრდომები არიან⁸⁰. „მსახურნი“ მეფესა მთელ ხალხს აღნიშნავს მცხეთურ ბიბლიაში (III მფ. 1. 40 მუხლში): „მსახურნი იგი მეფისანი სცემდეს ნესტუსა“⁸¹. „მსახურებს“ ებრაულ და ბერძნულ პარალელურ ადგილებში შეესატყვისება: **קֹדֶשׁ, כֹּהֲנִים** — მთელი ხალხი. ხოლო სომხურ ტექსტში ეს მუხლი არ არის.

ქართველმა მთარგმნელმა, ჩანს იგულისხმა, რომ „მთელი ხალხი“ მეფის ქვეშევრდომები ანუ „მსახურნი მეფისანი“ არიან და ამიტომ დაწერა „მსახურნი მეფისანი“ „მთელი ხალხის“ მაგიერ.

ღმერთის მსახური — მისი თაყვანისმცემელია⁸². მეფე „კეთილად მსახური ეკლესიათათვის“ — კეთილად მოღვაწე ხელისუფალი არის⁸³. „მსახური ზადენისა“ კერპის ქურუმია ლეონტი მროველთან⁸⁴.

ადრეფეოდალურ ხანაში არსებობდა „მსახურთა“ ორი განსხვავებული წრე: შინამოსამსახურენი და სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატის წევრები. მსახურთა უმდაბლესი წრეა შინამოსამსახურეები (პატრონის სახლის მეურნეობაში დასაქმებული პირნი), მათ შორის მამაკაცთა გვერდით ქალებიც გვხვდებიან, ხშირად ისინი პატრონის კარზე არიან გაზრდილნი, თუმცა როგორც წესი პირად დამოუკიდებლობას მოკლებული არ არიან. ამ წრის წარმომადგენლები წყაროებში შემდეგ მოვალეობათა შემსრულებლები ჩანან: შინამოსამსახურე, მხევალი, ნელსაცხებელთა მკეთებელი, მეჩინიბე, შიკრიკი. მალემსრბოლი (თუმცა იქნებოდნენ სხვა წვრილი სამუშაოების მკეთებელი მსახურებიც (მაგალითად, მზარეული).

დაბალი რანგის მსახურთა ფენა ფართოდ არის წარმოდგენილი ქართულ წერილობით წყაროებში.

იოანე საბანის ძის გმირი ჰაბო „შეეყო მსახურად“ ნერსე ქართლის ერისთავს. იგი იყო „კელოვან, კეთილად შემზავებელ სუნელთა მათ საცხებელთა და სწავლულ იყო მწიგნობრობითა სარკინოზთაჲთა“⁸⁵.

გიორგი მთაწმინდელი მოგვითხრობს, რომ ათონის მონასტრის საჯორეში ბერები იყვნენ მეჭორეებად „და ორნი ერისაგანნი ჰყვიან მსახურად და მხუეტელად“⁸⁶. ეს „მსახურნი“ ისევე როგორც ჰაბო, ცხადია, გარკვეულ გასამრჯე-

79 მ. ლორთქიფანიძე, ცვლილებები ეკონომიურ და სოციალურ ცხოვრებაში IX—X საუკუნეებში, საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 365.

80 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 226.

81 მცხეთური ხელნაწერი, გვ. 141.

82 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 322; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 87.

83 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 249; 272.

84 ქართლის ცხოვრება, I, გვ. 77.

85 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 56.

86 ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, II, გვ. 82.

ლოს იღებდნენ თავისი სამსახურისათვის, ისინი პირადად თავისუფალი ადამიანები იყვნენ.

მსახურებს ხშირად გზავნიან სხვადასხვა დავალებებით. შიკრიკის ფუნქციას ასრულებს გაბრიელ დაფანჩულის „მსახური“, რომელსაც აშოტ კურაპალატის წერილი მიაქვს გრიგოლ ხანცთელთან⁸⁷. მსახური უნდა იყოს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ მოხსენიებული ერისკაცი, რომელიც, სანამ ბერად აღიკვეცებოდა მისი პატრონის ნება-სურვილის გარეშე, იყო „საქმარ და მსრბოლ გზათა შორათ“. ამ კაცმა ბერად აღკვეცისას დიდი თანხა შესწირა მონასტერს ეკლესიის ასაშენებლად. როდესაც ეს გაიგო მისმა უფალმა დევნა უყო მას, რათა ხელი შეეშალა ეკლესიაში შესვლაში. მაგრამ კაცმა შეასწორა მონასტერში და მისმა უფალმა კელარაფერი გააწყობა⁸⁸.

მსახურნი მალემსრბოლთა ფუნქციების შემსრულებლები ჩანან მცხეთურ ბიბლიაშიც (I მფ. 11, 17 მუხლში)⁸⁹. აქ „მსახურებს“ უცხო ტექსტებში შესატყვის ადგილებში მალემსრბოლნი შეესატყვისება: ებრაულში: **מִשְׁכָּרִים**

— მორბენლები; ბერძნულში: **οἱ παρατρέχοντες** — მორბენლები; სომხურში: **սուրհանդակ** — მალემსრბოლი. ჩანს, ქართველმა მთარგმნელმა უცხო ტექსტებში არსებული მალემსრბოლის ნაცვლად „მსახური“ იხმარა. იმიტომ, რომ ქართულ სინამდვილეში მალემსრბოლის, შიკრიკის ფუნქცია სწორედ მსახურებს ეკისრათ⁹⁰.

მსახურები აზიან როგორც მამაკაცები ისე ქალებიც. გრიგოლ ხანძთელმა ჯეროვნად მოაწყობა თავისი დედისა და მის მსახურთა ცხოვრება: „მსახურსა ვისმე დედაკაცსა დედისა თვისისასა ქმარი უსუა. და ბასილი, მამაა ხანცთელი. მისგან იშუა“⁹¹. წმინდა ნინოს დედა პატრიარქმა მისცა მსახურად უძლურთა. თვით ნინო კი ორ წელიწადს ემსახურებოდა ნიაფორს, სომეხ დედაბერს დვინიდან⁹².

სომხურიდან ნათარგმნ აგიოგრაფიულ ძეგლში „წამებაჲ წმიდისა დედოფლისა სანდუხტისი“ იხსენიებიან სომეხთა მეფის ასულის. სანდუხტისა „მსახურები“. მათგან შეიტყო მან ქრისტიანული მოძღვრების შესახებ. ეს „მსახურნი“ სანდუხტის მოახლე ქალები უნდა იყვნენ⁹³.

მსახურთა დაწინაურებული ფენაა სამხედრო-ადმინისტრაციული აპარატის წევრები. მათ შორის ყველაზე მეტი უფლებებით სარგებლობს „ეზოპ-მოძღვარი“, რომელიც მეფის ან ამა თუ იმ ფეოდალის სახლის ზედამხედველია. ხელისუფლების საპოლიციო ფუნქციათა შესრულებაც „მსახურებს“ ევალებათ. ესენი აპატიმრებენ ხელისუფლებისათვის არასასურველ პირებს, დარაჯობენ მათ პატიმრობისას და ჯალათებადაც ჩანან.

მემფიბოსთეს „მსახური“ სიბას შესახებ ტერმინ „ყრმასთან“ დაკავშირებით ზემოთ გვექონდა საუბარი. სიბა ვალდებულია უხელმძღვანელოს თავისი

⁸⁷ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 261.

⁸⁸ იქვე, გვ. 344.

⁸⁹ მცხეთური ხელნაწერი, გვ. 76.

⁹⁰ იხ. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 203—204.

⁹¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 278.

⁹² იქვე, გვ. 110.

⁹³ ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა, IX—X სს-ში, გვ. 3.

უფლის მეურნეობას. მემფიბოსტეს ორგულობის შემთხვევაში მეფე პირდება სიბას, რომ მისცემს მას მისი უფლის ქონებას. სიბა „ეზოსმოძღვრის“ ფუნქციებს ასრულებს მემფიბოსტეს კარზე.

აღნიშნულ შემთხვევას ერთგვარად ეხმაურება „იზიდბოზიდის მარტვილობაში“ დაცული მაგალითი, როდესაც „მსახური მეფისა“ მეფის ეზოსმოძღვარია და იქვე მის სინონიმად „მთავარი“ იხმარება⁹⁴. „მსახურს მეფისა“ შეესატყვისება სომხურ ტექსტში: *սպասար* *արքა* — მოურავი მეფისა.

„ეზოსმოძღვრის“ გარდა გვხვდებიან სხვა დაწინაურებული მსახურებიც. ერთ-ერთ მათგანს თხზულებაში „ცხოვრება და წამება კოსტანტისი ქართველისაი“ მისი „უფალი“ ფეოდალი ყოველწლიურად სამი ათას ვერცხლს აძლევს საქველმოქმედო მიზნებისათვის⁹⁵.

„მსახურები“ ადრეფეოდალურ ხანაში საპოლიციო ფუნქციათა შემსრულებელნი არიან. შუშანიკის საპყრობილეში დაცვა ევალება „მსახურს“. ეს მსახური, როგორც ირკვევა, პიტიანშის კარზეა გაზრდილი⁹⁶.

აგიოგრაფიულ ძეგლში „მარტვლობა ევსტათი მცხეთელისაი“ სპარსელი მარზპანის მსახური აწამებენ ცეცხლთაყვანისმცემლობის უარყოფელ სპარსელებს, მათ შორის ევსტათისაც⁹⁷. შემდეგ მსახურებს მიჰყავთ ევსტათი საპყრობილეში და იქ თავს ჰკვეთენ მას⁹⁸.

იოანე საბანას ძის თხზულებაში მოთხრობილია, რომ ჰაბო შეიპყრეს არაბი ამირას მსახურებმა. ჰაბოს საპყრობილეშიც მსახურები დარაჯობენ. ამირას ბრძანებით მათ საპყრობილიდან გამოიყვანეს ჰაბო და სიკვდილით დასაჯეს⁹⁹.

ლეონტი მროველი მოგვითხრობს, რომ მეფის „მსახურებმა“ გამძვინვარებული ბრბოსაგან იხსნეს აბიათარ მღვდელი¹⁰⁰.

ამრიგად, ადრეფეოდალურ ხანაში ქართული წყაროების მიხედვით, მსახურთა ფენა საესეებით ჩამოყალიბებულია. ამ ფენის დაბალ საფეხურზე დგანან სამეურნეო სფეროში დასაქმებული მსახურები, ისინი თავისუფალნი არიან და თავიანთი უფლისაგან იღებენ გასამრჩელოს. მსახურები ჰყავთ როგორც საერო, ისე სასულიერო პირებს. დაწინაურებულია სამხედრო-ადმინისტრაციული სამსახურის აღმასრულებელ „მსახურთა“ ფენა. ამ წრის უმაღლესი წარმომადგენელია „ეზოსმოძღვარი“. ხელისუფლებისათვის არასასურველ პირთა დევნა, შეპყრობა, დარაჯობა და სიკვდილით დასჯა, წესრიგის დაცვა, ევალებათ ხელისუფლების სამსახურში ჩამდგარ „მსახურებს“.

„მსახურები“ უმრავლეს შემთხვევაში ნებაყოფლობით ემსახურებიან თავიანთ უფალთ. ამავე დროს „სერაპიონ ზარზმელის ცხოვრებაში“ ნახსენები ერისკაცი ნებაყოფლობით არ არის „მსახური“. თემი ვალდებულია თავის უფალს გამოუყოს თავისი რიგებიდან „მსრბოლი გზათა შორთა“. აღნიშნული სამსახურის შემსრულებელ ერისკაცს, თუმცა იგი პირადად თავისუფალია და გასამრჩელოსაც იღებს, თემი მაინც წინ აღუდგება მონასტერში შედგომისას,

⁹⁴ ქართული და სომხური ლიტერატურული ურთიერთობა IX—X სს.-ში, გვ. 119.

⁹⁵ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 166.

⁹⁶ იქვე, გვ. 17—18.

⁹⁷ იქვე, გვ. 33.

⁹⁸ იქვე, გვ. 44—45.

⁹⁹ იქვე, გვ. 64, 71.

¹⁰⁰ ქართლის ცხოვრება, I, გვ. 102.

რადგანაც არ სურს თავისი რიგებიდან მალემსობოლად ახალი წევრი გამოკ-
ყოს¹⁰¹.

მსახურიდან ნაწარმოები „მსახურება“ ქართულ ორიგინალურ ძეგლებში
თაყვანის ცემას, სამსახურის გაწევას ან დამორჩილებული პირის სამსახურს
აღნიშნავს¹⁰².

ამრიგად, ჩვენს ნაშრომში შესწავლილია მნიშვნელობა და განსხვავება-
მსგავსება ადრეფეოდალური ეპოქის დაქვემდებარების და მფარველობა-ბა-
ტონობის აღმნიშვნელი სოციალურ-პოლიტიკური ტერმინებისა: ყრმა, მსახუ-
რი, მონა-მკევალი, უფალი, დედოფალი.

ჩვენი მასალის მიხედვით. ტერმინ „ყრმა“ აქვს შემდეგი მნიშვნელობანი:
1. ბავშვი, ახალგაზრდა, 2. შინამოსამსახურე, 3. დაქვემდებარებული პირი
(მომდევნო ხანის ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ — ვასალი).

მსახური“ აღნიშნავს: 1. ყველას. ვინც რაიმე სამსახურს ასრულებს,
2. კერძოდ კი ჩანს პიროვნებად, რომელიც რაიმე საზღაურის ფასად ეწევა:
ა) სამოხელეო ან საპოლიციო სამსახურს, ბ) ასრულებს სხვადასხვა დავალე-
ბებს, დასაქმებულია მეურნეობაში.

„მონა“ გულისხმობს დაქვემდებარებულ პირს, კერძოდ კი, უუფლებო.
ფულით ნაყიდ ადამიანს.

ტერმინი „ყრმა“ შინამოსამსახურის მნიშვნელობით ხმარებისას ერთგვა-
რად ემთხვევა „მსახურის“ მნიშვნელობას, როდესაც მსახური სამეურნეო
სფეროში დაკავებული პირია. მაგრამ მათ შორის არსებითი სხვაობაა: შინა-
მოსამსახურე „ყრმა“ თავისუფლებას მოკლებული პირი უნდა იყოს, როდესაც
„მსახური“ პირადად თავისუფალია.

ზოგადი შინაარსით ხმარებისას „ყრმა“ და „მონა“ ემთხვევა ერთმანეთს,
როდესაც ისინი დაქვემდებარებული პირის აღსანიშნავად იხმარება. თუმცა
დაქვემდებარებული პირის აღმნიშვნელად „ყრმაზე“ ხშირად იხმარებოდა
„მონა“.

ვიწრო გაგებით ხმარებისას „ყრმა“ და „მონა“ ორივე არათავისუფალია.
ოღონდ „მონა“ „ყრმაზე“ უფრო დაბლა იდგა, რადგან მისი ყიდვა-გაყიდვაა
შესაძლებელი. მსახური მათგან განსხვავებით უცილობლად პირადად თავისუ-
ფალია. როდესაც „უფალი“ ან „დედოფალი“ ვინმეს პატრონი ან მფარველი
არის, ეს ტერმინები სოციალურ შინაარსს იძენენ და მფარველობა-ბატონო-
ბის აღმნიშვნელი ცნებები ხდებიან. „უფალი“ ან „დედოფალი“ ამავე დროს
რაიმეს მფლობელსაც აღნიშნავდა.

ტერმინები „უფალი“ და „დედოფალი“, როდესაც ვინმეს პატრონს ან
მფარველს აღნიშნავენ უპირისპირდებიან „მონას“ და „ყრმას“, მაშინ როცა
ეს ტერმინები დაქვემდებარებულ პირს აღნიშნავენ.

„უფლის“ ინსტიტუტი მფარველობისა და მფლობელობის აღმნიშვნელი
სოციალური ინსტიტუტი იყო ადრეფეოდალურ საქართველოში. ამდენად,
„ყრმათა“, „მონა-მკევალთა“ და „მსახურთა“ მფარველის და პატრონის აღმნი-
შვნელი ტერმინი არის უფალი.

¹⁰¹ ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, 344.

¹⁰² ძველი ქართული აგიოგრაფიული ლიტერატურის ძეგლები, I, გვ. 107, 109; II, გვ.
75; ქართლის ცხოვრება, I, გვ. 25, 72, 75.

ამიტომ უფალ-მონობის (უფალ-ყრმობის) სოციალური ინსტიტუტი ბუნებრივ წინამორბედად მიგვაჩნია ფეოდალური ეპოქის პატრონ-ყმობის ინსტიტუტისა.

А. З. САРДЖВЕЛАДЗЕ

ГРУЗИНСКИЕ РАННЕФЕОДАЛЬНЫЕ СОЦИАЛЬНЫЕ ТЕРМИНЫ, ОБОЗНАЧАЮЩИЕ ПОКРОВИТЕЛЬСТВО-ГОСПОДСТВО И ПОДЧИНЕНИЕ

Резюме

В статье на основании данных раннефеодальных грузинских переводных (ветхозаветные книги, переведенные с армянского агиографические произведения) и оригинальных памятников («Картлис цховреба», агиографическая литература) исследуется значение таких социальных терминов, как *upali*, *dedopali*, *qgma*, *mona*, *mxevali*, *msaxuri*. Установление разных аспектов их употребления дает определенный материал для суждения о месте обозначаемых ими социально-политических институтов в системе социально-экономических отношений грузинского общества раннефеодальной эпохи.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის საზ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის ძველი ისტორიის განყოფილებამ

ზურაბ ჯაფარიძე

მცხეთის XI საუკუნის საბუთისა და სვატიცხოვლის მუნიციპალიტეტის თარიღისათვის

მცხეთის XI ს. საბუთი, რომელსაც პირობითად „მელქისედეკის დაწერილი“ ეწოდება¹, მნიშვნელოვანი წყაროა ამ ეპოქის საქართველოს ისტორიის შესასწავლად. საბუთი წარმოადგენს მელქისედეკ კათოლიკოს-პატრიარქის (1010—1033) ანდერძს. სადაც გაერთიანებულია მისივე ადრე შედგენილი ანგარიში თავისი მოღვაწეობის შესახებ. ანდერძის დაწერა და მასთან ანგარიშის გაერთიანება მომხდარა 1031—1033 წლებში. სამეცნიერო ლიტერატურაში ამგვარი დათარიღება დასაბუთებულია იმით, რომ საბუთის დამამტკიცებელმა ბაგრატ IV კურაპალატმა ეს ბიზანტიური ტიტული მიიღო მხოლოდ 1031 ;, ხოლო 1033 წლიდან მელქისედეკი კათოლიკოსი აღარაა².

მთლიან საბუთს თარიღი არა აქვს. თარიღი უზის მხოლოდ ანგარიშს, ე. ი. თარიღი ზის მთლიანი საბუთის შუაში, რაც ერთი შეხედვით თითქოს უჩვეულოა, მაგრამ ეს მიუთითებს იმაზე, რომ როგორც აღვნიშნეთ, აქ გაერთიანებულია სხვადასხვა დროს შედგენილი საბუთები; ამ საბუთების გაერთიანების დროს კი ადრინდელი საბუთის თარიღი უცვლელად დაუტოვებიათ თავის ადგილას.

რაც შეეხება იმ თარიღს, რომელიც ანგარიშს უზის. იგი თითქოს ეჭვს არ უნდა იწვევდეს, რადგან. ჩვენამდე მოღწეულ პირებში (XII და XVII სს.) ეს თარიღი სრულიად გარკვევით იკითხება: „ქრონიკონი იყო სმ“ ე. ი. 1020 წ. მაგრამ, მიუხედავად ამისა, ამ თარიღმა მკვლევართა შორის აზრთა სხვაობა გამოიწვია. ამ თარიღის სისწორეში ეჭვის შეტანა გამოიწვია იმ გარემოებამ, რომ აქ მოხსენებულია ბიზანტიის კეისარი რომანოზ III არგვიროსი, რომელიც, როგორც ცნობილია, 1028 წ. გამეფდა.

ამის გამო, ზოგიერთმა მკვლევარმა სცადა საბუთის თარიღის შესწორება და მისი გადატანა 1028 წ. შემდგომ ხანაში. დანარჩენებმა კი თარიღად მიიღეს 1020 წ., თუმცა ვერ ახსნეს აქ არსებული წინააღმდეგობა.

მ. ბროსე იღებდა ამ თარიღს — 1020 წ., მაგრამ ამავე დროს აეჭვებდა რომანოზის მოხსენება და ვარაუდობდა, რომ, შესაძლოა, თარიღს აკლდეს ერთეულების აღმნიშვნელი ასო³.

დ. ჩუბინაშვილი მთლიან საბუთს 1060 წლით ათარიღებდა⁴. ეს თარიღი

¹ ქართული ისტორიული საბუთების კორპუსი, I, შეადგინეს და გამოსაცემად მოამზადეს თ. ენუქიძემ, ვ. სილოგავამ, ნ. შოშიაშვილმა, თბ., 1984, გვ. 20.

² ნ. ბეკაძე-ნიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, თბ., 1967, გვ. 242—244.

³ M. Brosset, Histoire de la Georgie, part 1—2, SPb., 1849—1857, გვ. 302.

⁴ დ. ჩუბინაშვილი, ქართული ქრესტომათია..., ნაწ. პირველი, ს. პ. ბურლი, 1863, გვ. 208.

მან შემდეგნაირად მიიღო: საბუთის ბოლოს, დამტკიცებებში არის შემდეგი დაქარაგმებული ადგილი: „მეცა, გლახაკსა, უღირსსა, რეცა სახელით კ'დამ-მტკიცებია ქ' მტკიცე ყუაენ ბრძანება მათი...“⁵ რომელსაც დ. ჩუბინაშვილი ასე კითხულობდა: „მეცა, გლახაკსა, უღირსსა, რეცა სახელით კ' (კვირიკე) და-მმტკიცებია, ქრონიკონსა პ. მტკიცე ჰყაენ ბრძანება მათი...“⁶ შენიშვნაში კი ამბობს: „უნდა სპ. წაშლილია სიძველისაგან“⁷. როგორც ვხედავთ, დ. ჩუბინა-შვილმა დაქარაგმებული ადგილი ქ' წაიკითხა, როგორც ქრონიკონი პ, და რადგან პ (80), როგორც თარიღი, არაფრის მთქმელია, ამიტომ ჩათვალა, რომ აქ იქნებოდა ს-ანი, რომელიც სიძველისაგან წაშლილია. ასე მიიღო მან ქრონი-კონი სპ (280)—1060 წ., რომელიც მთლიანი საბუთის თარიღად მიიჩნია.

დ. ჩუბინაშვილის ეს დათარიღება არ არის გაზიარებული⁸ და არც ჩვენ მიგვაჩნია სწორად. ქ' უნდა წავიკითხოთ არა როგორც ქრონიკონი პ, არამედ — „ქართლისა პატრიარქსა“, ასე ესმის ეს ადგილი XVII ს. პირის გადამწო-რსა⁹. ამ ადგილს ჩვენ ასე ვკითხულობთ: „მეცა, გლახაკსა, უღირსსა, რეცა სა-ხელით კ(ათოლიკოსსა) დამმტკიცებია ქ(ართლისა) პ(ატრიარქსა), მტკიცე ყუაენ ბრძანება მათი...“¹⁰.

რაც შეეხება ქრონიკონ სმ-ს (1020 წ.), რომელიც ანგარიშს უზის, დ. ჩუ-ბინაშვილი მის შესახებ შენიშვნაში ამბობს: „აქ აკლია რამთონიმე ასო რიც-ხვისა, როგორც ჰქანს“¹¹. ე. ი. პატივცემულ მეცნიერსაც აეჭვებდა 1020 წ. სისწორე, საფიქრებელია, იმავე მიზეზის გამო, რის გამოც სხვა მკვლევრებს.

დ. ბაქრაძე საბუთის თარიღად თვლიდა 1040 წელს¹². იგი აღნიშნავს, რომ საბუთს უზის ქორონიკონი 260 (1040 წ.) და არა 240 (1020 წ.), როგორც ამას თვლიდა მ. ბროსე. დ. ბაქრაძე წერს: „საბუთს უზის ქორონიკონი სა-260. შეცდომა წარმოდგა იქიდან, რომ ა (ე) მიიღეს ასო მ-ანად — 40.“¹³ ამრიგად, დ. ბაქრაძეს საბუთის ამ ნაწილის თარიღად მიაჩნდა 1040 წ.

თ. ჟორდანიამ საბუთის თარიღად მისი პირველი გამოცემის დროს მიიჩნია 1040 წ¹⁴. მეორე გამოცემაში კი, როდესაც მან იპოვა საბუთის ორი პირი (XI^ი და XVII სს.), თარიღად გადაჭრით აღიარა 1020 წ.: „ორსავე პირს ქრონიკონი უზის სმ (1020) და აქედამ ცხადია, რომ დ. ჩუბინაშვილი, ბაქრაძე და ბროსე შემცდარნი ყოფილან, როდესაც მათ ეს სიგელი მიაწერეს 1040 წ.“¹⁵.

ა. ნატროშვილის აზრით, გუჯარი დაწერილია ქორონიკონს 240 (1020)¹⁶.

5 სცა, 1448—5018.ა.

6 დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი.

7 იქვე.

8 ბ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 233.

9 სცა, 1448—5018.ბ

10 ბ. ბერძენიშვილი და კორპუსის შემდგენლები ამ ქარაგმას ასე ხსნიან: „მეცა, გლახაკსა, უღირსსა, რეცა სახელით კ(ათოლიკოსსა), დამმტკიცებია. ქ(რისტე) პ(ირ) მტკიცე ყუაენ ბრძანება მათი“ (კორპუსი, I, გვ. 30).

11 დ. ჩუბინაშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 206.

12 Д. Бакрадзе, Статьи по истории и древностям Грузии, СПб, 1887, гв. 24.

13 იქვე.

14 თ. ჟორდანი, ქრონიკები, I, ტფ., 1892, გვ. 181.

15 იქვე, II, ტფ., 1897, გვ. 31.

16 А. Натроев, Мшхет и его собор Свети-Цховели, Тиф. 1900, гв. 218.

სარგის კაკაბაძეც თვლიდა, რომ საბუთის თარიღია 1020 წ.:¹⁷ „მაგრამ ეს თარიღი ეხება სიგელის მხოლოდ მთავარ ნაწილს.“¹⁸

ივ. ჯავახიშვილი ფიქრობდა, რომ ეს თარიღი ეკუთვნის მთლიან საბუთს და ამიტომ ის მიუღებლად მიაჩნდა: „1020 წ. დაწერილობის წელიწადად მიჩნევის მთელ შეუსაბამობას... შემდეგი გარემოებაც ამჟღავნებს. მელქიზედეკს თავისი საბუთის ბოლოს ნათქვამი აქვს: „ღვით დიდებულნო, ძლიერო ბაგრატ აფხაზთა მეფეო და ნებითა ღვთისათა ყოვლისა აღმოსავლეთისა კურაპალატო და ძლიერო მეფე კვრიკე... ესე დაწერილი და განგებული სულისა ჩემისათვის ქელითა თქვენითა დამიმტკიცეთო—“ო. კათალიკოზის ეს თხოვნა ორსავე ამ მეფეს აუსრულებია კიდევაც. ამ ცნობითგან ცხადი ხდება, რომ ბაგრატ და კვრიკე მეფეები მელქიზედეკ კათალიკოზის თანამედროვენი უნდა ყოფილიყვნენ. ხოლო ცნობილია, რომ საქართველოში 1020 წ. მეფედ ბაგრატი არ ყოფილა, არამედ გიორგი I. ამიტომ, თუ ამ საბუთში ბაგრატ III იგულისხმება. არას გზით იგი 1014 წ. მერმინდელი არ შეიძლება იყოს, ხოლო თუ ბაგრატ IV არის ნაგულისხმები. შეუძლებელია 1028 წ. აღრინდელი იყოს. ამგვარად, სრულიად უცილობელია, რომ ამ საბუთის თარიღად 1020 წ. მიჩნევა არას გზით არ შეიძლება და ამ შემთხვევაში სწორედ თ. ჟორდანიას ცდებოდა და მელქიზედეკ კათალიკოზის ამ დაწერილობის თარიღად სმ (260) ქრონიკონი, ანუ 1040 წ. უფრო დასაჯერებელია, ვიდრე მე-XII და მეXVII სს-ის გარდა ნაწერში დაცული 240 ქრონიკონი, ანუ 1020 წ.“¹⁹

როგორც მოყვანილი ადგილიდან ჩანს, ივ. ჯავახიშვილს ანგარიშზე დასმული თარიღი მიაჩნდა მთლიანი საბუთის თარიღად. მაგრამ კარგად არის ცნობილი, რომ თარიღი 1020 წ. ეკუთვნის მხოლოდ ანგარიშს. ბაგრატ IV კურაპალატისა და კვრიკეს დამტკიცებები კი ეკუთვნის მთლიან საბუთს, რომელიც დაწერილია დაახლოებით 1031—1033 წლებში და სადაც ეს ანგარიშიც არის შესული თავის ძველი თარიღით — 1020 წ. ამრიგად, ის წიანდამდეგობა, რასაც ივ. ჯავახიშვილი ვარაუდობს, აქ არ არის.

ივ. ჯავახიშვილის მეორე არგუმენტი 1020 წ. წინააღმდეგ არის რომანოზ III-ის (1028—1034) მოხსენიება: „მელქიზედეკ კათალიკოზის „დაწერილი“, რომელშიც რომანოზ მეფის ნაბოძვარი იხსენიება. არას გზით არ შეიძლება 1028 წელზე უწინარეს ყოფილიყო დაწერილი. ამიტომ, იმისდა მიუხედავად, რომ ამ საბუთის გარდანაწერში ქრონიკონად 240 სწერია, ეს თარიღი, 1020 წ., უეჭველია, მცდარია და დედანში არ შეიძლება ასეთი თარიღი ყოფილიყო“²⁰.

საბუთის თარიღს შეეხო ნ. ბერძენიშვილიც²¹. მას მიუღებლად მიაჩნდა 1020 წ. რომანოზ III-ის მოხსენიების გამო. იგი ფიქრობდა, რომ ქრონიკონ სმ-ს ერთეულების აღმნიშვნელი ასო აკლია: „ასეთი ასო მხოლოდ თ-ანი შეიძლება ყოფილიყო... ერთად ერთი გამოსავალი ამ თარიღის გადასარჩენად

17 ს. კაკაბაძე, როდესაც არის აშენებული სვეტიცხოვლის ტაძარი, საისტორიო კრებული, წ. I, ტფ., 1928, გვ. 100—101.

18 ს. კაკაბაძე, კიდევ სვეტიცხოვლის აშენების დათარიღების შესახებ, საისტორიო კრებული, წ. IV, ტფ., 1929, გვ. 114.

19 ივ. ჯავახიშვილი, მელქიზედეკ კათალიკოზის დაწერილი, საქართველოს ეკონომიკური ისტორია, ტფ., 1930, გვ. 100.

20 იქვე.

21 ნ. ბერძენიშვილი, მცხეთის საბუთი XI საუკუნისა, საქართველოს მუზეუმის ნოაბე, ტ. VI, 1929—1930: მისივე, საქართველოს ისტორიის საკითხები, IV, 1967, გვ. 217.

არის მისი შესწორება სმთ ქრონიკონად-(1029 წ.), ე. ი. აღიარება, რომ XII ს-ის პირის გადმოწერმა შეცდომა დაუშვა თარიღის რიცხვითს გადმოცემაში.

თუ მხედველობაში მივიღებთ, — განაგრძობს მკვლევარი, — რომ ძეგლის ტექსტის აწინდელი აგებულების მიხედვით ეს ქრონიკონი სრულიად არ არის უადგილოდ მოთავსებული, მაშინ ზემოთ ნაჩვენები „ერთადერთი გამოსავალი ამ თარიღის გადასარჩენად“ შეიძლება ერთადერთ მისაღებ მოსაზრებადაც ვაღიაროთ.

ამავე დროს, ვფიქრობთ, შეუძლებელია ეს ქრონიკონი მთელ ძეგლს ეხეზოდეს²².

ამგვარად, ნ. ბერძენიშვილს მიაჩნდა, რომ ქრონიკონ სმ-ს ერთეულების აღმნიშვნელი ასო აკლია და ასეთი ასო მხოლოდ თ-ანი შეიძლება ყოფილიყო.

არც კ. კეკელიძე იღებდა საბუთის თარიღად 1020 წ.: „მართლაც, როგორ შეიძლებოდა 1020 წელს დაწერილიყო ძეგლი, რომელშიაც მოხსენიებულნი არიან ბიზანტიის იმპერატორი რომანოზ არგვიროსი, რომელიც 1028 წლის ბოლოს გამეფდა, ბაგრატ IV კურაპალატი, რომელიც გამეფდა 1027 წელს, ხოლო კურაპალატობა 1031 წელს მიიღო? ამ შეუსაბამობამ არევე-დარევა გამოიწვია მკვლევართა შორის... როდესაც ლაპარაკია პირველი ნაწილის დათარიღების შესახებ, საკითხი ეჭვმიუტანლად სდ ქორონიკონის, ე. ი. — 1040 წლის სასარგებლოდ გადაწყდება, თუ მხედველობაში ერთს პალეოგრაფიულ მოვლენას მივიღებთ. სწორედ XI საუკუნეში ჩვენში ყოფილა ისეთი კალიგრაფიული სკოლა, რომელიც ნუსხა-ხუცურ დამწერლობაში მ და ჯ ასოებს თითქმის ერთიდაიმავე ნიშნით ა (თავაწეული მხედრული ა-ს მსგავსი) გამოსახავდა... ანდერძის ქართული გადმწერი ჩვეულებრივს სიტყვებში, თუ დამწერლობით ვერა, აზრით ადვილად გაარჩევა მ და ჯ ასოებს, მაგრამ ქორონიკონის აღნიშვნის შემთხვევაში უკვე ეს შეუძლებელი იქნებოდა. ასე რომ ქორონიკონი სდ მას შეეძლო წაეკითხა, როგორც სმ, ამ ნიშნავზე მოხდა დოკუმენტის წარყენა, რამაც ამდენი გაუგებრობა დაბადა სამეცნიერო ლიტერატურაში“²³.

ამრიგად, კ. კეკელიძე საბუთის პირველი ნაწილის თარიღად მიიჩნევს ქორონიკონ სდ-ის, ე. ი. 1040 წ.

ი. დოლიძემ, რომელმაც საბუთი დაბეჭდა ძირითადად ნ. ბერძენიშვილის მიხედვით, საბუთის ძველი ნაწილის თარიღადაც ნ. ბერძენიშვილის თარიღი მიიღო — 1029 წ²⁴.

ა. შანიძეს საბუთის თარიღად 1020 წ. მიაჩნდა²⁵. თ. ყორანაიას შესატყვის წერს: „თუ ძეგლი წინათ მას, ბროსე-ჩუბინაშვილ-ბაქრაძესთან ერთად, 1040 წელს დაწერილი ეგონა, მეორე გამოცემაში ეს შეცდომა გაასწორა და დაწერის თარიღი ოცი წლით უკან დახია“²⁶. როგორც ვხედავთ, ა. შანიძეს შეცდომად მიაჩნია საბუთის 1040 წლით დათარიღება და თარიღად იღებს 1020 წელს.

22 ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 235, 239.

23 კ. კეკელიძე, მცხეთის დოკუმენტი XI საუკუნისა..., ეტიუდები ძველი ქართული ლიტერატურის ისტორიიდან, I, თბ., 1956, გვ. 239, 240—241.

24 ქართული სამართლის ძეგლები, III, თბ., 1970, გვ. 18.

25 ა. შანიძე, ოქროფორტიკა, საბჭოთა ხელოვნება, 1970, № 8, გვ. 49.

26 იქვე.

საურმაგ კაკაბაძე თვლიდა. რომ საბუთში მოცემული 1020 წ. უნდა მივიღოთ „დაწერილის“ თარიღად²⁷. როგორც მკვლევარი აღნიშნავს, ძირითადი წინააღმდეგობა საბუთის 1020 წლით დათარიღებისთვის, არის ბერძენთა მეფის რომანოზის მოხსენიება. იგი არ ეთანხმება დანარჩენ მკვლევართ, რომელთაც აქ მოხსენიებული რომანოზი მიაჩნიათ რომანოზ III-დ (1028—1034). ის ფიქრობს, რომ საბუთში მოხსენიებულა რომანოზ II (959—963) და მისი აქ მოხსენიება ხელს არ უშლის საბუთის დათარიღებას 1020 წლით. საურმაგ კაკაბაძე ვარაუდობს, რომ რომანოზ II-მ საბუთში ნახსენები ნივთი უბოძა არა მელქისედეკს, არამედ, მის წინარე კათალიკოსს²⁸. ამის საბუთად ს. კაკაბაძეს მიაჩნია ის ფაქტი, რომ მელქისედეკი რომანოზის ბოძებულობის შესახებ ხმარობს „ნაბოძვარს“. მაშინ, როცა სხვაგან, ანალოგიურ სიტუაციაში ამბობს პიბოძა²⁹.

საურმაგ კაკაბაძეს ეს მოსაზრება გაზიარებულია საბუთის უკანასკნელ გამოცემაში³⁰, სადაც ვკითხულობთ: „მელქისედეკის აღრიღელი საბუთისათვის ეს თარიღი (1020 წ.) სწორია და არ საჭიროებს 1029 წლით შესწორებას, ან 1028 წ. შემდეგ გადატანას; რომანოზ კეისრის მოხსენიება არ ქმნის ამის აუცილებლობას, რადგან. როგორც მართებულად შენიშნავს ს. კაკაბაძე, აქ, როგორც ჩანს, იგულისხმება არა რომანოზ III არგიროსი (1028—1034), არამედ რომანოზ II (959—963)“³¹.

როგორც ვნახეთ. მეცნიერები სხვადასხვანირად ათარიღებენ საბუთის ამ ნაწილს.

ჩვენ ვფიქრობთ. რომ სწორია მკვლევართა ის ნაწილი, რომელსაც ანგარიშის თარიღად მიაჩნია 1020 წ. რაც შეეხება იმ წინააღმდეგობას, რომელსაც რომანოზ III-ის აქ მოხსენიება ქმნის, ვფიქრობთ, ამის ახსნა სხვაგვარად არის საჭირო. ეს სცადა კიდევ საურმაგ კაკაბაძემ, რომლის მოსაზრება გაიზიარეს „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ შემდგენლებმა. მაგრამ ჩვენ ვერ დავეთანხმებით პატივცემულ მკვლევარებს იმაში, რომ თითქოს შესაძლებელია საბუთში მოხსენიებული რომანოზის მიჩნევა რომანოზ II-დ (959—963). რომლის მეფობის წლები არ ემთხვევა მელქისედეკის კათალიკოსობის წლებს (1010—1033). და, ამდენად, მელქისედეკი მისგან ძღვენს ვერ მიიღებდა. ხოლო თუ რომანოზ II-მ მელქისედეკის წინარე კათალიკოსს უბრძანა საბუთში ნახსენები ნივთი, როგორც ამას საურმაგ კაკაბაძე ფიქრობს, მაშინ მელქისედეკი ვერ შეწირავდა მას სვეტიცხოველს, ვინაიდან ეს ნივთი სხვისი საკუთრება იქნებოდა. მელქისედეკს კი ანგარიშში ჩამოთვლილი აქვს მხოლოდ თავისი პირადი ღვაწლი და დამსახურება სვეტიცხოვლის წინაშე. ამიტომ საბუთში ნახსენები რომანოზი უნდა მივიჩნიოთ რომანოზ III-დ (1028—1034). ასევე მიაჩნია ივ. ჯავახიშვილს, რომელიც საბუთში მოხსენიებული კეისრების შესახებ წერს: „რაკი ბიზანტიის ამ კეისრებისაგან მელქიზედეკ კათალიკოზს ეს ნივთები პირადად მიუღია. ცხადია, რომ ყველანი მისი თანამედროვენი და ერთმანეთის მომდევნო მეფეები უნდა ყოფილიყვნენ. ამიტომ უეჭველია, აქ

²⁷ С. С. К а к а б а д з е, Грузинские документы IX—XV вв. М., 1982, გვ. 27.

²⁸ იქვე.

²⁹ იქვე, გვ. 26.

³⁰ კორპუსი, I, გვ. 20.

³¹ იქვე, გვ. 21.

ბასილი II ბულგაროქტონოსი (976—1025), კონსტანტინე VIII (1026—1028) და რომანოზ III (1028—1034) კეისრები უნდა იგულისხმებოდნენ³².

ასევე, ნ. ბერძენიშვილსაც მიაჩნია, რომ საბუთში მოხსენიებული რომანოზი არის მელქისედეკის თანამედროვე. იგი წერს: „როცა ის ლაპარაკობს, რომ მან შესძინა ეკლესიას «ბერძენთა მეფისა რომანოზის ნაბოძვარი შესამოსელი ოქროქსოფლი ა» და სხვა, ან «ბაგრატ კურაპალატისა ნაბოძვარი დიდი სკარამანი ა», ეს იმას ნიშნავს, რომ კეისარ რომანოზს და ბაგრატ კურაპალატს მელქისედეკისათვის პირადად უბოძებიათ მოხსენიებული ნივთები (აქ ტერმინი: «ნაბოძვარიც» ამასვე გვაფიქრებინებს). ამიტომ შეუძლებელია რომანოზ კეისარში სხვა მეფე დაეინახათ გარდა რომანოზ არგვროსისა, რომელიც გამეფდა 1028 წლის 28 ნოემბრის შემდეგ დღეებში³³.

გარდა ამისა, საბუთში მოხსენიებული რომანოზის მიჩნევა რომანოზ II-დ წინააღმდეგობას ვერ მოხსნიდა. საქმე ის არის, რომ აქვე მოხსენიებულია ბიზანტიის მეორე იმპერატორი კონსტანტინე: „და დაუსუენე ხატი ოქროსაჲ, რომელი მიბოძა კონსტანტი ბერძენთა მეფემან“³⁴. რა თქმა უნდა, ეს იმპერატორიც ისევე, როგორც რომანოზი, მელქისედეკის თანამედროვეა, ე. ი. ის არის კონსტანტინე VIII (1025—1028), რომლის მოხსენებაც ისეთივე წინააღმდეგობას ქმნის, როგორიც რომანოზისა.

ჩვენი აზრით, ის ადგილები, სადაც კონსტანტინე VIII (1025—1028) და რომანოზ III (1028—1034) არიან მოხსენიებული, 1020 წ. საბუთში ჩამატებული უნდა იყოს გვიან. ეს შეიძლება ასე წარმოვიდგინოთ: მელქისედეკ კათოლიკოსმა თავისი მოღვაწეობის ანგარიში შეადგინა 1020 წ. და საბუთს აღნიშნული თარიღიც დაუსვა. ბუნებრივია, აქ არ იქნებოდნენ მოხსენიებული ბიზანტიის კეისრები კონსტანტინე VIII და რომანოზ III.

რასაკვირველია, მელქისედეკს, როგორც კათოლიკოსს, ევალებოდა ამ საბუთის შედგენის შემდეგაც ეზრუნა სვეტიცხოვლისთვის ქონების შესაძენად და, როგორც საბუთიდან ჩანს, მას კიდევაც შეუწირავს ტაძრისთვის ბიზანტიის კეისრებისაგან ნაბოძები ნივთები „ხატი ოქროსაჲ“ და „შესამოსელი ოქროქსოფლი“. ბუნებრივია, ქართლის კათოლიკოსმა ეს ძღვენი ბიზანტიის კეისრებისაგან მიიღო მათი ზეობის ხანაში — 1025 წლიდან 1033 წლამდე — თავის გარდაცვალებამდე.

1031—1033 წლებში კი მელქისედეკი წერს ანდერძს, სადაც შედის 1020 წ. შედგენილი საბუთიც, თუმცა, როგორც ნ. ბერძენიშვილი აღნიშნავს, „შედის არა მექანიკურად და სრულიად უცვლელად, არამედ შეცვლილი, თუმცა არც ისე საფუძვლიანად, რომ მისი კვალი ვერ შევამჩნიოთ“³⁵.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ ანდერძის დაწერის დროს, როდესაც ანდერძი გაერთიანდა ძველ საბუთთან, მელქისედეკმა 1020 წ. „დაწერილში“ შეიტანა ცნობები ბიზანტიის კეისრებისაგან ნაბოძები ნივთების შეწირვის შესახებ. დასაშვებია აგრეთვე, რომ ამ ცნობების შეტანა 1020 წ. საბუთში მოხდა უშუალოდ ნივთების ბოძების შემდეგ.

³² ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 100.

³³ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 235.

³⁴ კორპუსი, I, გვ. 23.

³⁵ ნ. ბერძენიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 242.

ბუნებრივია, რომ ეს ცნობები შევიდა 1020 წ. საბუთში, სადაც აღწერილია მელქისედეკის ღვაწლი სვეტიცხოვლის წინაშე და არა ანდერძში, სადაც ლაპარაკია მელქისედეკის სულის სამსახურის დაწესებაზე. ე. ი. ამ საბუთის გამაერთიანებელმა საბუთის თარიღი 1020 წ. უცვლელი დატოვა და იგი შეავსო მომდევნო დროის ამბებით, რადგან ისინი თემატურად ამ ადგილს შეესაბამებოდნენ. არ არის გამორიცხული, რომ სხვა გვიანდელი (1033 წლამდე) ცნობებიც იყოს შეტანილი 1020 წ. საბუთში, თუმცა კერძოდ რომელი, ამას დადგენა არ ხერხდება.

ამრიგად, ჩვენი აზრით, 1020 წ. მისაღებია საბუთის ამ ნაწილის თარიღად. რაც შეეხება იმ ადგილებს, სადაც მოხსენიებული არიან ბიზანტიის კეისრები კონსტანტინე VIII (1025—1028) და რომანოზ III (1028—1033), ისინი ამ საბუთში ჩამატებული უნდა იყოს გვიან.

1020 წლის საბუთში მელქისედეკი სვეტიცხოვლის შესახებ ამბობს: „და შევამკევ ყოვლითავე სამკაულობითა, გარეთითა ბჭითა და გარეშემო სტოითა მოქმნითა და ზედადაბურვითა³⁶. როგორც ვხედავთ, ამ საბუთის შემდგენის დროს სვეტიცხოვლის მშენებლობა დამთავრებულია. ამიტომ საბუთის თარიღის მიხედვით თარიღდება მშენებლობის დამთავრებაც.

სამეცნიერო ლიტერატურაში მიღებულია საბუთის ნ. ბერძენიშვილისეული დათარიღება — 1029 წ. (იხ. ზემოთ ნ. ბერძენიშვილის დათარიღება), რომელიც ი. დოლიძემაც გაიზიარა (იხ. ზემოთ ი. დოლიძის დათარიღება)³⁷. შესაბამისად, სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრების თარიღად მიჩნეულია იგივე 1029 წ³⁸.

თუ ჩვენი მოსაზრება საბუთის ძველი ნაწილის თარიღის შესახებ სწორია და მის თარიღად მივიღებთ 1020 წ., მაშინ სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრების თარიღადაც უნდა მივიღოთ 1020 წ.

აქ შეიძლება დაიბადოს კითხვა: რა ვიცით. რომ თვით ცნობა სვეტიცხოვლის მშენებლობის შესახებ გვიანდელი ჩამატებული არ არის 1020 წლის საბუთში ისევე, როგორც ცნობები ბიზანტიის კეისრებს ბოძებულობის შესახებ? მაგრამ ასეთი ვარაუდი საფუძველს მოკლებულია. რადგან ამ საბუთის შედგენა დაკავშირებულია სწორედ სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრებასა და მელქისედეკის მიერ მის „შემკობასთან“. დაუშვებელია ვიფიქროთ, რომ მელქისედეკმა ჯერ მორთო და „შეამკო“ ტაძარი, შემდეგ კი დაამთავრა მისი მშენებლობა.

ამრიგად, ჩვენი აზრით, საბუთის ამ ნაწილის თარიღია 1020 წ. და, შესაბამისად, სვეტიცხოვლის მშენებლობის დამთავრებაც უნდა დათარიღდეს იმავე 1020 წლით და არა 1029 წლით, როგორც ეს დღეს არის მიღებული.

36 კორპუსი, I, გვ. 22.

37 მართალია, საურმაგ კაკაბაძემ (1982 წ.) და „ქართული ისტორიული საბუთების კორპუსის“ (1984 წ.) შემდგენლებმა ეს საბუთი 1020 წლით დათარიღეს, მაგრამ, როგორც აღვნიშნეთ, მათი საბუთიანობა დამაჯერებლად არ გვეჩვენება.

38 საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. III, თბ., 1979, გვ. 480; ქართული საბჭოთა ენციკლოპედია, ტ. 9, 1985, გვ. 315.

З. Г. ДЖАМБУРИЯ

О ДАТИРОВКЕ МЦХЕТСКОГО ДОКУМЕНТА XI ВЕКА И
СТРОИТЕЛЬСТВЕ СВЕТИЦХОВЕЛИ

Резюме

В статье рассматривается вопрос о датировке уникального памятника грузинской дипломатики — мцхетского документа XI века, в котором объединены документы, составленные в разное время. Из них только первый имеет дату. Об этой дате существует разногласие, вызванное тем, что хронология упомянутого здесь византийского императора Романа III (1028—1034 гг.) не соответствует дате документа -- 1020 г. Поэтому некоторые исследователи отодвигают дату на 1029 г., а некоторые приняли данную дату, но не смогли или не пытались объяснить существующее противоречие.

Цель статьи доказать правильности имеющейся в документе даты. Автор считает, что сведения о Романе III (1028—1034), а также о Константине VIII (1025—1028) в документ 1020 года внесены позднее, и поэтому нет необходимости менять имеющуюся в документе дату.

Соответственно, строительство Светицховели, о котором говорится в этом документе, надо датировать 1020 годом, а не 1029-ым, как это принято сейчас.

წარმოდგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ივ. ჯავახიშვილის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის
ინსტიტუტის საქართველოს ისტორიულ ძეგლთა ნუსხის და სა-
მეცნიერო ინფორმაციის განყოფილებაში

ვერტრანა, თრაბათონა და „ცხოვრება ვახტანგ გორგასლისა“

წინამდებარე ნაშრომი წარმოადგენს ქართული წყაროს მიხედვით ცნობილი ირანული მითის რეკონსტრუქციის ცდას, რომლის პერსონაჟი, ღვთაებრივი წარმოშობის გმირი, ებრძვის და ამარცხებს ქტონიურ სამყაროსთან დაკავშირებულ ურჩხულს. ამგვარი ცდა პირველი როდია ქართულ ისტორიოგრაფიაში¹, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას ერთ გარემოებას: როდესაც სპეციალისტები ეხებიან ავესტური ღვთაება ვერტრანას მიმართებას ამგვარ მითთან, მათ წინაშე წამოიჭრება შემდეგი პრობლემა: ავესტა აღნიშნულ ღვთაებას წარმოაჩენს როგორც გამარჯვების გენიას. მრისხანე ძალას. ამავე დროს ინდრა ვრიტრაჰანის ტიპის მითი არ შეინარჩუნა მაზდეანურმა რელიგიამ. ვინაიდან ძირითადი მომენტი ზარათუშტრას ქადაგებათა ემყარება აპურა მაზდას პრიორიტეტს შესაქმეს პროცესში და, აქედან გამომდინარე ვერტრანა არ არის ურჩხულის მკვლელი—მისი ფუნქცია განისაზღვრა როგორც „მეომარი სიმართლისათვის“². ზოგიერთი ვარაუდის მიხედვით იყო დრო, როდესაც ირანულ ცნობიერებას უნდა სცოდნოდა კოსმიური დაბრკოლება, რომელიც ძლეულ იქნა ღრაკონის სახით³. მიუხედავად იმისა, რომ ვერტრანას ჩამოშორდა მთელი მისი კოსმიური ქმედება, მისი კულტი მაინც ძალზე პოპულარული იყო III—II საუკუნეებშიც ჩვ. წ-მდე. თავისი პრესტიჟი მას არც მოგვიანებით დაუკარგავს არისტოკრატიულ წრეებში: სასანურ ირანში არაერთი უფლისწული ატარებდა მის სახელს. ვერტრანას ავესტური კონცეფცია უცვლელად გაგრძელდა ფალაურ ტრადიციაში⁴. მისი სახელი ერქვა ზოროასტრელთა ერთ-

¹ ვერტრანას კულტის ანარეკლს „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებაში“ ხელავენ ნ. მარი, პ. ინგოროყვა, გ. ახვლედიანი და ალ. აბდლაძე იხ. Н. Я. Марр, *Боги языческой Грузии по древне-грузинским источникам*, СПб. 1901, გვ. 10; პ. ინგოროყვა, *თხზულებათა კრებული*, ტ. IV, თბ., 1978, გვ. 264—265; გ. ახვლედიანი, ჭუანჭავის, „ვახტანგ გორგასლის ცხოვრებას“ ფოლკლორული წყაროები, „მაცნე“ ისტორიის სერია. 1979, № 1, გვ. 124—133; მოვსეს ხორენაცი, *სომხეთის ისტორია*, ძველი სომხურიდან თარგმნა, შესავალი და შენიშვნები დაურთო ალ. აბდლაძემ, თბ., 1984, იხ. შესავალი, გვ. 28—50.

² E. Benveniste — L. Renou, *Vrtra et Vrthra*, Paris, 1934, გვ. 1—3; *Dictionnaire des Mythologie et des Religions des sociétés Traditionnelles et du Monde Antique sous la direction des Yves Bonnefoi*, Paris, 1981, Verethragna.

³ J. Duchesne-Guillemin, *La religion de l'Iran ancien*, Paris, 1962, გვ. 178.

⁴ „არდა ვირაფ ნამაქს“ V თავში სხვა იაზატებთან ერთად ფიგურირებს ვარჰრან იაზატი, როგორც მღარველი სული. მისი ეპითეტია amāvand (ძლიერი). იხ. M. Haug, *Glossary and Index of the Pahlavi Text of the Book of Arda-Viraf*, Osnabrück, 1979, გვ. 227; „ბუნდაჰისი“ მიხედვით ვარჰამი ღვთაებრივ არსებათა მედროშეა «Varhran yazad drafš-dar d menōkan yazdān kas hač ave pērōzgartar nist ka hamvār drafš pad perozgarīh i yazdān dard», იხ. Bundahišn, ed. Anklesaria, გვ. 170.

8. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1988, № 1

ერთ საკრალურ ცეცხლს⁵. ამიტომ სარწმუნოა სტ. ვიკანდერის დაკვირვება, რომ ზოროასტრელთა საღვთო წიგნი თუმცა აშკარად გაურბის მიაწეროს რო- ჰელიმე ღვთაებას დრაკონის მოკვლა, მაგრამ მოგვიტხრობს ეროვნულ ვიბრატა შესახებ, რომლებიც არიან ურჩხულთა მძლეველები⁶.

XIV აშტი (Bahrām Yašt) საინტერესო ანომალია გახლავთ არამარ- ტო ავესტაში, არამედ საერთოდ მაზდაიზმში: იგულისხმება ევრჯთრაგნას თა- ნმომღევრული ინკარნაციები ანუ ავატარები: ქარი (§2), ხარი (§7), ცხენი (§8), აქლემი (§11), ტახი (§15), თხუთმეტი წლის ჭაბუკი (§17), ზიტი W'ryn'y (არწივისებრთა ოჯახიდან. მას თარგმნიან როგორც Faucon, Lämmerschlagel და ა. შ. §17), ვერძი (§23), თხა (§25). რაინდი (§27). ეს ათი ავატარა-ინკარნა- ცია უსიცოცხლო, აბსტრაქტულ წარმოდგენებად არ დარჩენილან ირანელთა ცნობიერებაში. მათ აღიქვამდნენ როგორც მოძრავ. ხმოვან, ელვარე სურათებს. ამგვარი დამოკიდებულება თავისთავად შორს იდგა თეოლოგიური სქემატიზ- მისაგან და სპეკულაციურობისაგან. ჭეშმარიტად პოეტური სტილი, რომელიც რამოდენიმე პასაჟში ვლინდება. მიანიშნებს მის დიდ სიძველეზე⁷.

თუ ძირითად ასპექტებში თვალს მივადევნებთ მსგავს პერსონაჟებს. უთუოდ შევამჩნიებთ ირანულ სინამდვილეში გარკვეული არქეტიპის დანაწევრების ფაქტს. მითრას მისტერიაში გვხვდება საკულტო ომი ურჩხულთან, რომლის დროსაც ღვთაება კომბლით კლავს მას. კვრგსსპას მოწინააღმდეგე არის აჟი სრუვარა — რქოსანი გველი. ტიშტრიჰა (სირიუსი) ებრძვის აპაოშას. გვალვის დემონს.

ურჩხულის მკვლელობა ჯგუფში აგრეთვე უმთავრესი ადგილი უკავია თრა- ეტაონა ათვიმას ძეს (ფალ. ჭრუტუნ, ახალსპ. ჭერდუნ)⁸. იგი ვედური ტრა- ტას იდენტური⁹. აჟი დაპაკა (ცეცხლოვანი გველი) დაამხოვს დიშა ხშაეტას და დაატყვევებს მის ღებს არნავახს და ჩაპავახს. თრაეტაონა ევედრება არღვი

⁵ M. Boyce, On the sacred Fires of the Zoroastrianism, BSOAS, vol. XXXI, I, 1968 გვ. 58. 'ზუნდაჰიშნის' ტრადიციით ჭვარპრანის ცეცხლს აუცილებლად მეფე აარსედა იხ. Bundahišn, ed Anklesaria, გვ. 127-128.

⁶ St. Wikander, Vayu, Lund, 1941, გვ. 133.

⁷ ა. ქრისტენსენის მოსაზრებით XIV აშტი განეკუთვნება იმ დროს, როდესაც ავესტას საკრალური ენა ცოცხალი იყო და თავისუფლად გამოიყენებოდა — IV ს. ჩვ. წ-მდე. იხ. A. Christensen, Etudes sur le Zoroastrisme de la perse antique, Kobenhavn, 1928, გვ. 7.

⁸ შ. მაიერპოფერის აზრით, მართებული არ არის სახელი თრაეტაონას დაკავშირება ვედ. ტრიტასთან; თრაეტაონა უნდა დავეუკავშიროთ ტრიტას შემცველ სახელებს, რომლებთანაც კავშირშია ვედ. ტრაიტანა. იხ. M. Mayerhofer, Iranische Personennamenbuch, Bd. I, Die Awestischen Namen, Wien, 1977, § 312.

⁹ სტ. ვიკანდერი ინდრას, ტრიტას, თრიტას და თრაეტაონას განეკუთვნებს არიულ ან ინდო-გერმანულ ღვთაებათა განსაზღვრულ ჯგუფს. ტრიტა-თრაეტაონა გამოირჩევიან მათ შორის, რამდენადაც ისინი ხსნიან ეტიმოლოგიურ კომბინაციათა ფანტასტიურ შესაძლებლო- ბას იხ. St. Wikander, Der arische Männerbund, Lund, 1938, გვ. 80-81; თრიტა- თრაეტაონას იგივეობის შესახებ იხ. В. Н. Топоров, Авест. Orita, ☉ Graētaona, др- инд. Trita и др. и их индоевропейские истоки. Annali Della Facolta' Di Lingue E Litte- rature Straniere Di Ca'Foscari, Paideia, XVI, 3, 1977 (Serie Orientale, 8), გვ. 45- В. Н. Топоров, Об отражении одного индоевропейского мифа в древнеармянской традиции q¹ 1977, №3, გვ. 93.

სურა ანაჰიტას რათა მისცეს ძალა „სამთავიანი და სამხახიანი“ დემონის დასა-
მარცხებლად და ორივე ქალის დასახსნელად¹⁰. ამას მოსდევს ავი დაჰაკას და-
მარცხება და დების გამოხსნა. საშუალო სპარსული ტრადიციით თრაეტონა
სამყაროს გაუნაწილებს თავის სამ ვაჟს: ერიჩს წილად ხვდება რელიგია და
მართლმსაჯულება (იგი უმცროსი ვაჟია), ტრზს—საომარი საქმე, საღმს—სიმ-
დიდრე¹¹.

ინდურ და ირანულ სქემებში, როგორც რელიგიური ელემენტი, წინა
პლანზე გამოდის საკულტო ომი ურჩხულთან და ნაყოფიერების კულტი¹².

უპიროვნო მომენტები

პიროვნული მომენტები

1. გვალვა

1. ურჩხულის ბატონობა

2. ციხის აღება

2. ურჩხულის დაძლევა

3. წყალთა გამოხსნა

3. ქალთა გამოხსნა

4. წვიმის წამოსვლა

4. წმინდა ქორწინება

ვეშაპებთან მებრძოლი გმირია აგრეთვე სომხური ღვთაება ვაჰაგნი. მისა
ეპითეტია *višapak'al* (ვეშაპთა მომსვრელი). სახელი „ვაჰაგანი“ ეტიმოლო-
გიურად უკავშირდება ვერჯთრაგანას (ჰაუბშმანი, ბენვენისტი, ლაფანციანი)¹³.
გაურკვეველია მისი კულტის შემოღების დრო სომხეთში, თუმცა მას სიძვე-
ლეზე მოწმობს ის დიდება, რომლითაც მისი სახელია გარემოსილი. ვაჰაგნის
ტაძარი მდებარეობდა ტარონის ოლქში (*vahevanean mehan*), რომლის
ქურუმებიც ითვლებოდნენ მის შთამომავლებად (*vahnun*)¹⁴ ტაძარში თავყავს
სცემდნენ მის მეუღლეს ასტილეს და ანაიტს. ვაჰაგნი მესამე ვაჟია მეფე ტიგ-

¹⁰ იხ. *Yt. V, 34*; ფირდოუსისთან დარჩა არნავაჰ, ჩაჰავაჰ შეიცვალა ფორმით შაჰრინაზ. ავი დაჰაკა უკავშირებს მათ მატრიმონიალურ გეგმებს. მათი ამგვარი დანიშნულება თითქოს სარეკლამო თეოდორ ბარ კონაის ცნობაში: იგი (ზორასტრი) ამბობდა, რომ მიწა ახალგაზრდა ქალწული იყო, რომელიც დანიშნული იყო პარისაზე (ე. ი. თურანის იმპერატორ აფრასიაზე). იხ. *E. Benveniste, Le témoignage de Theodor bar Kōnay sur le Zoroastrisme, MO, vol XXVI—XXVII, 1932, 1933, გვ. 192.*

¹¹ *M. Molé, Le partage du Mond dans la tradition Iranienne; JA, t. 240, 1952, გვ. 455—463.*

¹² *G. Widengren, Die Religionen Irans, Stuttgart, 1965, გვ. 42.*

¹³ სახელი *Vahagn* მიღებულია *Vereθrayna*-ს ევოლუციის შედეგად: პართულ ეპოქაში *hr* შეიცვალა *hr-*ით—*Varhrayn*. აქედან წარმოიშვა *Varhagn* და სომხ. *Vahagn*. შემდგომში მივიღეთ ფაღ. *Vārhran* და მანდ. *Vahrān*. გვაქვს პარალელური ფორმები *an/am* აფსლავტში: სომხ. *Vahram*, ფაღ. *Vahrām* სპარსულ-ფაღაური *Bahrām*. იხ. *H. Hübschmann, Armenische Grammatik, Hildesheim, 1962, გვ. 76*; *E. Benveniste—L. Renou* დასახ. ნაშრომი, გვ. 76. გრ. ლაფანციანი ვარაუდობდა, რომ ეს სახელი სომხებმა ისესხეს პართულ ეპოქაში ფორმი-
დან *Vareθrayna* იხ. *Гр. Капанцян, Малоазийские боги у армян, «Историко-лингвистические работы» т. I, Ереван, გვ. 318—319.*

¹⁴ ვაჰაგნის ირანულობის საკითხი ექვეყნება დაყენებული რიგ მკვლევართა მიერ. ე. ბენვენისტის დაკვირვებით, რაც უფრო ეშორებოდა ირანს, თანდათან გვექმნება წარმოდგენა, რომ ვაჰაგნის სახელს მიღმა საქმე. გვაქვს ლოკალურ ღვთაებასთან, რომელთან მიმართებაშიც ირანული ლეგენდა კულტი ასიმილირებულია. იხ. *E. Benveniste—L. Renou*, დასახ. ნაშრომი, გვ. 76; სტ. ვიკანდერის დასკვნით, სომხებმა თავიანთი სულის შესაბამისად გარდაქმნეს უცხო ღმერთები: ირანულ ვერჯთრაგანას და სომხურ ვაჰაგნს (რომლის სახელიც მხოლოდ სამოსელია რომელიღაც მცირეზოურ-სომხური ღვთაებისა), თითქმის არაფერი აქვთ საერთო. იხ. *St. Wikander, Feuerpiester in Kleinasien und Iran, Lund, 1944, გვ. 95.*

რანისა, ბაბისა და ტირანის შემდეგ. მოსეს ხორენაცის ცნობით, მას ქართველთა ქვეყანაში თავისი ზომის ქანდაკება დაუდგეს და თაყვანს სცემდნენ¹⁵.

თრანეთონა-ტრიტა-ვაჰაგნი ეშვებიან ქვესკნელში, სადაც „ცხოველი“ წყლების ძიებაში შებრძოლება უწყვეტ ურჩხულთან. ამ ტიპის პერსონაჟები უკავშირდებიან კოსმოსის მესამე ზონას — ქვესკნელს, როგორც აღნიშნავს ტოპოროვი¹⁶. შესაბამისად კოსმოლოგიურ ტრიადას ასეთი სახე ექნება: ზეცა-მიწა-ქვესკნელი. სამყაროების ასეთი განლაგება გვხვდება ცნობილ ლექსში, რომელშიც ასახულია ვაჰაგნის დაბადება. ლექსს განაკუთვნიებენ ინდოევროპული პოეტური ტექნიკის საუკეთესო ნიმუშთა რიცხვს. მისი შინაარსი, კომპოზიცია, პოეტური ეტიმოლოგია და სემანტიკა ორიენტირებულია სამპიროვნების იდეაზე: (ზეცა — მიწა — ზღვა = ქვესკნელი)¹⁷.

2. ხორბალთან დაკავშირებული, საქართველოში გავრცელებული ლექსიკური მასალის ანალიზი საშუალებას იძლევა თვალი გაავადევნოთ ხორბლის სხვადასხვა სახელწოდების წარმოშობას როგორც შედარებით ქრონოლოგიურ ასპექტში, ისე მეურნეობის განვითარების გარკვეულ საფეხურებთან შესატყვისობაში. საქართველოში ტრიტიკუმების უძველესი სახელწოდება უნდა ყოფილიყო ბალახეულის აღმნიშვნელი ზოგადი ტერმინი — დიარ. რომელიც, ალბათ, ხორბლის სახელადაც უნდა ეხმარათ იმ შორეულ წარსულში. როცა ადამიანი იწყებდა მარცვლეული მცენარის საკვებად გამოყენებას და ჯერ კიდევ არ აღიქვამდა მას სხვა ბალახეულისაგან დიფერენცირებულად. მოგვიანოდ სიტყვამ — დიარ შეინარჩუნა რა ბალახეულის ზოგადი მნიშვნელობა, გაიფართოვა შინაარსი და იგი უკვე შეესატყვისებოდა არა მარტო მცენარეს, არამედ ხორბლისაგან გამომცხვარ ჭურსაც და პურობასაც.

სამიწათმოქმედო კულტურის საწყის ეტაპზე სიტყვას — დიარ ხორბლის გვარის მნიშვნელობით უნდა ჩანაცვლებოდა აგროტერმინი — ყანა. ეს უკანასკნელი, თავის მხრივ, სხვადასხვა დროს და სხვადასხვა კუთხეში ხორბლის გვარის მნიშვნელობით შეცვლილ იქნა სახელწოდებებით: იფქლი, დიკა, წმინდა, პური. ამ აგრეთვე უძველესი ტერმინების (რომელთაც ჰქონდათ სხვა სემანტიკური დატვირთვა) წარმოშობა კი თანამიმდევრულადაა დაკავშირებული სამეურნეო ყოფის განვითარების იმ საფეხურებთან, როცა ჩვენში მომხდარა ხორბლის გვარის სახეობრივი დიფერენციაცია (იფქლი — ჩვენში ხორბლეულის გავრცელების ყველა არეში), საგაზაფხულო კულტურათა შემოღება-დამკვიდრება (დიკა — რაიონებში, სადაც მხოლოდ საგაზაფხულო კულტურები მოჰყავთ) და შერეული თესვის პრაქტიკის შემოღება (წმინდა — შერეული ნათესების გავრცელების არეში). ამ ტერმინებს, თავის მხრივ, დაუპირისპირდა ზოგადქართული, ასევე ძველთა-ძველი სახელწოდება — პური, რომელსაც თანამედროვე სალიტერატურო ქართულში, ვითარცა ტრიტიკუმის გვარის აღმნიშვნელი, ჩაენაცვლა ოდითგანვე მარცვლის შესატყვისად ნახმარი სახელი — ხორბალი (ამასთან, ამ უკანასკნელმა ყოფაში ბოლო დრომდე შეინარჩუნა თავდაპირველი, ანუ მარცვლის მნიშვნელობაც).

3. ხალხური ხატოვანი აზროვნების საინტერესო ნიმუშებია მარცვლეულის მოსავალთან დაკავშირებული, სიტყვის შინაარსის ზუსტად ამსახველი ტერმინები. საიდანაც ჩანს, რომ მოსავალი ესაა მძიმე შრომის შედეგი (ჭირნახელა, ნამუშევარი), ესაა ოჯახის შეძლება-ბარაქიანობის, სიმდიდრე-დოვლათიანობისა და, შესატყვისად, ყოველივე სიკეთის წყარო და საფუძველი (კეთილი). სახელწოდებამ — სულადი — კი იტვირთა საესეებით მატერიალური შინაარსი და ამ ფაქტით ხაზი გაესვა ხალხის ყოფაში მატერიალური საწყისის განმსახვრეელ როლს.

Н. А. БРЕГАДЗЕ

О СВЯЗАННОЙ С ПШЕНИЦЕЙ ЛЕКСИКЕ. VII («хорбали», «диар», «кетили», «сулади» по этнографическим материалам)

Изучение ряда грузинских названий пшеницы показало, что в них отразилась не только основная видовая дифференциация рода тритикум, но и все богатство и многообразие сортов и вариаций этого злака, их характерные свойства и морфологические особенности, а также указание на очаг их происхождения, место формирования и эволюции, регионы и пути распространения, глубокое эмпирическое знание биологической природы растения и связанные с циклом его развития фенологические наблюдения.

Имеется также возможность проследить возникновение связанных с пшеницей отдельных терминов как в сравнительном хронологическом аспекте, так и в соответствии с отдельными ступенями развития хозяйственного быта. Так, древнейшим грузинским названием пшеницы, вероятно, был термин, означающий вообще траву — «диар», который должен был быть употреблен и применительно к пшенице в том далеком прошлом, когда человек только начинал осваивать зерновые злаки в качестве съедобных растений и все еще не воспринимал их дифференцированно от остальных травянистых. Позже расширяется содержание слова «диар» и оно уже соответствует не только растению (траве), но и испеченному пшеничному хлебу.

На начальной ступени земледельческой культуры на смену слову «диар» в значении названия рода пшеницы должен был прийти агротермин «кана». Этот последний, со своей стороны, в разное время и в различных районах тоже в значении имени рода тритикума был заменен названиями: «ипкли», «дика», «цминда», «пури». Возникновение этих, тоже древнейших терминов, имеющих и другие значения, последовательно связано с теми ступенями развития хозяйственного быта, когда в Грузии имели место видовая дифференциация пшеницы («ипкли» — во всех районах распространения пшеницы), внедрение в культуру яровых сортов («дика» — там, где сеятся лишь яровые злаки) и смешанных посевов («цминда» — в районе культивирования смешанных семян). С этими терминами, со своей стороны, было сопоставлено общегрузинское, тоже древнейшее название «пури», вместо которого в значении имени рода тритикум в современном литературном языке употребляется слово «хорбали», в древности соответствующее зерну, а в быту и по сей день сохраняющее это свое первоначальное значение.

Интересными примерами народного образного мышления являются названия урожая зерновых — «чирнахули», «намушевари» — точно отражающие суть явления, подчеркивая, что урожай — это результат нелегкого труда. Особого внимания заслуживают слова, тоже соответствующие урожаю хлебов — «кетили» и «сулади» — выявляющие оценку, данную земледельцами зерновым. В слове «кетили» (добро) отразилось значение злаков как источника изобилия, богатства, достатка и всякого добра. Словом же «сулади» (производным от «сули» — «душа, но в данном случае соответствующим вполне материальному понятию) как бы подчеркивается определяющая роль материального начала в быту народа.

ნოქალაქევის „მისარონის“ ეკლესია

ნაქალაქევის ნაქალაქარის შიდაციხეს ანუ აკროპოლისს, მთის თხემი აქვს მოკავებული. შიდაციხის გეგმა სამკუთხედს უახლოვდება. იგი გარშემორტყმულია სქელი გალავნით, რომელსაც სამხრეთით ორი მცირე კარი აქვს. ციტადელის ჩრდილო-დასავლეთის კუთხეში ქალაქის მთავარი კოშკია აღმართული. აღმოსავლეთის ბოლო მონაკვეთი უფრო მომცრო კოშკს აქვს მოკავებული. კიდევ ერთი, მაგრამ ძალზე პატარა ზომის კოშკი, მდებარეობს მათ შუა და მიღებულია ჩრდილო გალავანზე. ციტადელის სამხრეთის გალავანი ქალაქის შემოღმარგველ კედლებშია მოქცეული, ამიტომ კარებიც ამ ხაზზეა განლაგებული. ერთი მათგანი მოთავსებულია სამხრეთის — გალავნის დასავლეთის ბოლოსკენ, ხოლო მეორე — აღმოსავლეთისკენ.

ციტადელის ტერიტორიაზე, გარდა საშუალო ზომის დარბაზული ეკლესიისა სხვა ნაგებობის კვალიც არ ჩანს. ეკლესიას ციტადელის ცენტრალური ნაწილი უკავია. იგი, როგორც ჩვეულებრივ მიღებული იყო, ციხის გარნიზონსა და სხვა შიგ მყოფთათვის იყო განკუთვნილი. ამაზე მიუთითებს მისი სიმცირეც და ისიც, რომ ციხის ქვედა ნაწილში კიდევ იყო სხვა ეკლესია, რომელიც თავისუფლად დააკმაყოფილებდა ქალაქის მოსახლეობის მოთხოვნილებას.

ციტადელის ეკლესია „მისარონის“ სახელითაა ცნობილი. ეთნოგრაფ ს. მაკალათიას ცნობით, ძველად, თებერვალში დიდმარხვის დაწყებამდე, მეგრელები იხდიდნენ „მირსობის“ დღესასწაულს. ამ დღისათვის ისინი ასუქებდნენ ღორს, რომელსაც „ომირსე“ ეწოდებოდა და ხუთშაბათს დღეს კლავდნენ. ეს დღესასწაული უფრო კარგად ყოფილა დაცული მთიან სამეგრელოში. სადაც იმართებოდა ხატობა, რომელსაც „ჭეგე ანუ ჭგეგე მისარონი“ ეწოდებოდა¹. მისივე აზრით, ამ მეგრულ წარმართულ მირსას ან მისარონის კულტს² გენეტიკური კავშირი ჰქონდა ირანულ „მიპირთან“ და რომაულ „მიტრასთან“.

შემდეგში, ქრისტიანობის ეპოქაში. ღვთაება მითრას კულტი თანდათანობით შეცვალა წმ. გიორგიმ, მაგრამ ძველ სამეგრელოში მან შეინარჩუნა „ჭეგე-მისარონის“ (წმ. გიორგი-მითრას) სახელწოდება³. განსახილველი ეკლესიაც „მისარონის“ ანუ წმინდა გიორგის კულტს ემსახურებოდა.

1 ს. მაკალათია, სამეგრელოს სტორია და ეთნოგრაფია, თბ., 1941, გვ. 302—307.

2 ჭეგე, ჭგეგე ნიშნავს წმინდანს (ზოგჯერ იხმარება წმინდა გიორგის მნიშვნელობით. ამ საკითხზე არსებობს ვრცელი ლიტერატურა: ივ. ჭავჭავაძის შვილი, ქართველი ერის ისტორია, წ. I, თბ., 1951, გვ. 47; ვ. ბარდაველიძე, სვანურ ხალხურ ღვთაებათა კალენდარი, I, ტფ., 1939, გვ. 107—206. И. Кипшидзе, Грамматика мингрельского (инверского) языка, СПб, 1914, გვ. 194—195; კ. კახიანი, ა. სოხაძე, ქართველთა წარმართული რელიგიის ერთი საკითხის შესახებ, „მაცნე“, ისტორიის, არქეოლოგიის, ეთნოგრაფიისა და ხელოვნების ისტორიის სერია, 3, 1972, გვ. 183—186.

3 ს. მაკალათია, დასახ. ნაშრომი, გვ. 307.

„მისარონის“ ეკლესია პირველად მოხსენიებული აქვს ცნობილ შვეიცარელ მოგზაურს დიუბუა დე მონპერეს თავის მესამე წიგნში⁴, სადაც საგანგებოდ აღნიშნავს მის განსაკუთრებულ სიძველეს და გვაძლევს ეკლესიის გეგმას. გ. ჩუბინაშვილის აზრით⁵, გეგმას არა აქვს პრეტენზია სიზუსტის, იგი მხოლოდ საერთო წარმოდგენას იძლევა.

ამ ეკლესიაზე, როგორც მარტივი არქიტექტურული ფორმების მქონე ძეგლზე, ნაგებზე «из дикого камня», წერს მურავიოვი⁶.

1928 წელს სტატიაში «К вопросу о Нокалакеви», რომელიც ნოქალაქევის არქეოლოგიური გათხრების წინ დაიწერა, გ. ჩუბინაშვილი ნოქალაქევის სხვა ძეგლებთან ერთად აღწერს „ჩიხაზე“ მდგარ პატარა ეკლესიასაც. Посреди этого крепостного района стоит небольшая церковка, выведенная снаружи из крупных, грубо тесанных каменных квадров. Внутренние квадры кладки представляют собой крупные клинья примерно до 40 см. глубиной, кладка каковых держится взаимной пригонкой, а не раствором. Свод конхи выведен правильными рядами кладки. Имеются остатки кровли из плоской глиняной черепицы. Таким образом, методы строения этой церкви простого зального типа говорят о ее глубокой древности.»⁷

ექსპედიციის ჩასვლისას (1973 წ.) მისარონის ეკლესია ისე იყო დაფარული ხეებითა და სუროთი, რომ თითქმის არაფერი არ ჩანდა (სურ. 3). საჭირო იყო მისი გაწმენდა. ამას გარდა, ძალზე ცუდ მდგომარეობაში იყო კედლები, რომლებიც სასწრაფოდ ითხოვდნენ გამაგრებას. ამ სამუშაოებს თითქმის ორი საექსპედიციო სეზონი დასჭირდა. ეკლესიის ჰამხრეთის ნაწილს მთლიანად რკინა-ბეტონის საფუძველი გაუყეთდა. მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი ეკლესიის აზომვა-ფიქსაცია და სარესტავრაციო მომზადება.

მისარონის ეკლესია საშუალო ზომის დარბაზული ნაგებობაა (6,05×9,2 მ). ეკლესიის დარბაზი. აფსიდიანად მოქცეულია გარე სწორკუთხედში (სურ. 1. 2). დარბაზული შენობების უმრავლესობის მსგავსად აქაც არავითარი სათაფისი არაა გამოყოფილი. საკურთხეველის აფსიდი ნახევარწრიულია. იგი იატაკის დონიდან ორი საფეხურიტაა აწეული. ქვედა საფეხური მთლიანადაა, ხოლო ზედა მხოლოდ შუაშია შემორჩენილი. საკურთხეველის აღმოსავლეთის მონაკვეთი ცენტრში განგრეული დაგვხვდა (სურ. 4), დარჩენილი იყო ნაწილობრივ სარკმლის სამხრეთის მხარე.

განსაკუთრებით ყურადღებას იქცევს ბრწყინვალედ ნაგები კონქი (სურ. 4). მისი თლილი ქვები ერთმანეთთან კარგადაა მორგებული და წყობის იშვიათი სიფაქიზით გამოირჩევა. კონქის ქვები ეკლესიის ინტერიერისა და ფასადების ქვებისაგან განსხვავდება. ეს გასაგებიცაა, რადგან აქ შენობას საპასუხისმგებლო კონსტრუქციასთან გვაქვს საქმე. კონქის თლის თითოეული ქვა წყობის რიგების შესაფერისია. კონქის სფერო დაწყობილია თლილი ქვის რიგებით. რიგების ზომები თანდათანობით მცირდება და ბოლოს ცენტრში თლის კლი-

⁴ Dubois de Montpereux, Voyage autour du Caucase, ტ. III, Paris, 1939, გვ. 59.

⁵ Г. Н. Чубинашвили, К вопросу о Нокалакеви, Вопросы истории искусства. Тб., 1970.

⁶ Муравьев, Грузия и Армения, ч. III, СПб. 1848, გვ. 273.

⁷ Г. И. Чубинашвили, დასახ. ნაშრომი, გვ. 96.

ტით მთავრდება. კლიტის ქვები ღრმად შედის კონქში და წრეები ფაქტობრივად მისგან კონცენტრულად ლაგდება.

საკურთხეველი თავისი კონქით დაბალი და განიერია (სურ. 2). კონქის თალსა და დარბაზის კამარას შორის იქმნება მაღალი შუბლო. რადგან დარბაზის კამარა გაცილებით მაღლაა აწეული.

საკურთხეველის ორივე მხარეს გეგმაში ტრაპეციალურ ორი პატარა ნიშაა.

ეკლესიას ჰქონია ქვის კანკელი, რომლის ცუდად შემონახული ნაშთი იატაკზე ახლაც ჩანს. კონქის თალის ძირის დონეზე კედელში, ორივე მხარეს მდებარეობს თითო ხვრელობი, რომელიც კანკელის ზედა კოჭის ჩასამაგრებელ ბუდე უნდა იყოს.

ეკლესიის დარბაზი მართკუთხა ფორმისაა (სურ. 1). მისი სივრცის გადაწყვეტაში არავითარი დეკორატიული ელემენტი არ არის გამოყენებული, პროპორციები კი სასიამოვნო შთაბეჭდილებას ახდენს. ამას ხელს უწყობს ისიც, რომ დარბაზის სივრცე არ არის დაყოფილი საბჯენი თალებით, რაც მისი სივრცის მთლიანობის შეგრძნებას აძლიერებს. დარბაზის კამარა მთლიანად ჩაქცეული იყო. გვერდით კედლებზე შერჩენილი იყო მხოლოდ მისი საწყისი. შირიმის ქვით ნაგები სამ-სამი რიგი, ეს ნაშთი კამარას ცილინდრულ ფორმაზე მიუთითებდა. როგორც ეტყობა, მშენებელი ოსტატი კარგად ერკვეოდა ქვის თვისებებში. ეკლესიის კედლები ნაგებია ადგილობრივი კარქვით, რომელიც ამ ადგილებში ბლომდაა. კამარაზე გამოყენებულია მტკიცე და მსუბუქი შირიმის ქვა.

ეკლესიის დარბაზს შიგნიდან ქვის სწორკუთხა ჩამოსაჯდომი შემოუყვება. ეკლესია განათებულია სამი პატარა ზომის სარკმლით. ერთი სარკმელი დასავლეთით, კარის ზემოთაა გაჭრილი, მეორე სამხრეთით, ხოლო მესამე საკურთხეველის ცენტრშია. ეს უკანასკნელი ნაწილობრივ იყო შემორჩენილი. სარკმლები სწორი გადახურვით, შიგნიდან გაგანიერებულია. მათი ქვედა თარო ორსაფეხურიანია. ყველა ეს სარკმელი სხვადასხვა დონეზე მდებარეობს (სურ. 2).


ეკლესიას კარი დასავლეთით და ჩრდილოეთით აქვს. პატარა ეკლესიებს არ ახასიათებთ ჩრდილოეთის კარი. იგი განსაკუთრებულ შემთხვევაში კეთდება. კერძოდ მისარონის ეკლესიის სამხრეთით კლდოვანი ფერდობი იწყება და ამიტომ ამ მხარეს კარი არ გაკეთდებოდა. ამის გამო ეკლესიის გვერდითი კარი ჩრდილოეთით გაჭრეს, საიდანაც შედარებით ადვილი მისადგომი იყო. ჩრდილოეთის კარი განგრეული დაგვხვდა. იგი მოგვიანებით უშნო წყობით ამოუქოლავთ. როცა ეს წყობა მოვსხენით, ქვედა ორივე მხარეს შერჩენილი თითო რიგით ადვილად გაირკვა მისი სიგანე.

ეკლესიის ორივე კარა სწორი, უშვერილო გვერდება აქვს, როგორც ეს, ჩვეულებრივ გვხვდება სხვა ადრე შუა საუკუნეების ეკლესიებში. დასავლეთ საქართველოს დღემდე გამოვლენილ ყველა ბაზილიკაში მხოლოდ ასეთ გადაწყვეტას ვხედავთ (ნოქალაქევის ორივე ბაზილიკა⁸, ბიჭვინთა⁹, ციხისძირი¹⁰,


⁸ ჰ. ზაქარაია, ნოქალაქევი 1973—1977 წლებში ჩატარებული სამუშაოების საერთო ანგარიში, ნოქალაქევი-არქეოპოლისი, წ. I, თბ., 1981., სურ. 9, 12.

⁹ ი. ციციშვილი, ბიჭვინთის საკულტო ნაგებობათა კომპლექსი, „დიდი ბიტიუნტი“, II, თბ., 1976, სურ. 11.


¹⁰ В. А. Леквинадзе. О постройках Юстиниана в Западной Грузии. Византийский временник, т. 34, 1973, гл. 177, сур. 5.



სურ. 1. ნოქალაქევი. ეკლესია „მისარონი“. გეგმა და ფასადები



სურ. 2. ნოქალაქევი. ეკლესია „მისარონი“. განკვეთები



სურ. 3. ნოქალაქევი. ეკლესია „მისარონი“. ხედი ჩრდილო-დასავლეთიდან



სურ. 4. ნოქალაქევი. ეკლესია „მისარონი“. კონქი

განთიადი¹¹, ვაშნარი¹² და სხვა). იგივე სურათია აღმოსავლეთ საქართველოს V—VII სს. საეკლესიო ნაგებობებში (ძველი შუამთა¹³, ვაზისუბნის ბაზილიკა¹⁴, სანაგირე¹⁵, ბოლნისის სიონი¹⁶, ქვემო ბოლნისის სამეკლესიანი ბაზილიკა¹⁷ და სხვა). დასავლეთის კარს ფასადის მხრიდან არქიტრაული გადახურვა აქვს, განმტვირთავი თალით, ხოლო შიგნიდან თაღოვანია.

ეკლესიის შიდა კედლებზე, ნაღესობა არ არის, მაგრამ კონქის მიმდებარე ჩრდილო კედელზე შეიმჩნევა მოხატულობის კვალი. ალბათ, ეკლესია გვიან საუკუნეებში მოხატეს, მაგრამ მოხატულობამ აქამდე ვერ მოაღწია (ეკლესია ხომ ბოლო საუკუნეების განმავლობაში სახურავის გარეშე იდგა).

ეკლესიის საკმაოდ სქელი კედლები ორივე მხარეს ზედაპირმოსწორებული ქვითაა შემოსილი. ქვებს შორის კირის ხსნარი ბევრგან გამოფიტულია. როგორც იმ ეპოქაში მიღებული იყო, აქაც ხსნარში მკვრივად ჩასაჯდომად თითოეული ქვა ცერადაა ჩათვლილი და ისეა მიწყობილი (სურ. 6). რომ ნაკერებში ჩნდება ღარები. საპირედ ნახმარი თლილი ქვები ერთი ზომისა არ არის. წყობაში დაცულია ჰორიზონტალურობა, მაგრამ რიგები სხვადასხვა სიმაღლისაა. შედარებით დიდი ზომის ქვის რიგები მცირეა. მათ სიცოცხლე შეაქვთ ერთფეროვან წყობაში. ეკლესიის კუთხეები უკეთ თლილი და შედარებით დიდი ქვებითაა ამოყვანილი. დიდი ზომის ქვები ნახმარია აგრეთვე ცოკოლსა და მის მიმდებარე ფენაში და ღიობების ირგვლივ.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ეკლესია მთლიანად დაფარული იყო მცენარეებით (სურ. 3). იგი მცენარეებისაგან გაიწმინდა და გაითხარა შიგნით და გარეთ. აღმოჩნდა, რომ ნიადაგს გამოფიტვას, ეკლესიის სამხრეთის მხარე ცოტათი გვერდზე გაუცურებია. ამას გამოუწვევია აღმოსავლეთისა და დასავლეთის კედლების შუაზე გაპობა (სურ. 3, 4, 5). დასავლეთის კედლის შუა მონაკვეთზე ზემოდან ორი ნაპრალი გაჩენილა. ერთი ნაპრალი კარის არქიტრავს მარჯვნიდან უვლის, მეორე — მარცხნიდან. არქიტრავი კი თავისი განმტვირთავი თალით უცვლელი დარჩენილა (მშენებლობის მაღალი დონე. მისი კონსტრუქციული გათვლითაც დასტურდება, არქიტრავის ზემოთ გამტვირთავი თალის მოწყობით). დასავლეთის კედელში ნაპრალები ზემოდან ქვემოთკენ ვიწროვდება, აღმოსავლეთით კი პირიქითაა. დასავლეთით კარის გვერდებიდან დაწყებული ნაპრალი ზემოთ ათ სანტიმეტრს აღწევს. ასევეა აღმოსავლეთითაც: კონქის ზედა ჰორიზონტიდან დაწყებული ნაპრალი კარს 12—15 სანტიმეტრის სიგანეს აღწევდა.

რესტავრატორებმა დასავლეთის კედლის სწორი ზედაპირი შიგნით და გარეთ შედარებით ადვილად აღადგინეს, მაგრამ აღმოსავლეთით შიგნით რთული სამუშაო იყო ჩასატარებელი. ძველი კონქის ბრწყინვალე წყობას უნდა შეხამებოდა შევსება. უნდა ითქვას, რომ რესტავრატორებმა ამ საქმესაც კარგად გაართვეს თავი.

¹¹ В. А. Леквинадзе, *დასახ. ნაშრომი*, გვ. 8.

¹² В. А. Леквинадзе, *Материалы по монументальному строительству в Лазике*, მუზეუმის მოამბე, XXII—В, Тб.: 1961, სურ. 9, 10.

¹³ Г. Н. Чубинашвили, *Арх. Кахетин*, Тб. 1953, გვ. 45.

¹⁴ იქვე, გვ. 79.

¹⁵ იქვე, გვ. 123.

¹⁶ Г. Н. Чубинашвили, *Болниси*, Тб., 1940, გვ. 8.

¹⁷ Г. Н. Чубинашвили, *Церковь близ селения Квемо Болниси, Вопросы истории искусства*, т. I, გვ. 104.

კონქის ნაპრალის ამოვსება უშუალოდ დაკავშირებული იყო აფსიდის სარკმელთან. როგორც აღვნიშნეთ, განგრეულ სარკმელს შერჩენილი ჰქონდა ქვედა პორიზონტალური მონაკვეთი და სამხრეთის გვერდი კედლის მცირე ნაწილით. მაგრამ ეს იძლეოდა დაქანებული ხაზის აღდგენის საშუალებას მხოლოდ ცალმხარეს. სარკმლის ხერხელების სიგანე მიახლოებით დადგინდა იქვე არსებული დასავლეთისა და სამხრეთის სარკმლების მიხედვით. იგივე სარკმლები და აფსიდის საერთო პროპორციები დავგეხმარა სარკმლის სიმაღლის და გადახურვის ფორმის დადგენაშიც (სურ. 2).

ჩრდილოეთის კარის აღდგენა მოხდა არსებულზე დაყრდნობით და დასავლეთის კარის ანალოგიით. იმ განსხვავებით, რომ მას გარედან არ გაუყვებოდა განმეტვრთავი თაღი. რადგან აღგილზე ასეთის მონაცემი არ იყო და არც უნდა ყოფილიყო. საქმე ისაა, რომ დასავლეთის კარის დაწოლას ემატება ფრონტონის სიმძიმეც. ცხადია, დატვირთვა აქ მეტია და განმეტვრთავი თაღიც აუცილებელი იყო, ჩრდილოეთით ასეთი დატვირთვა არ იყო და ამიტომ განმეტვრთავი თაღიც არ იყო საჭირო.

კონქი შემორჩენილი იყო მთლიანად, ხოლო მის სახურავზე დარჩენილი კრამიტებიდან აღსდგა მხოლოდ ერთი გვერდებზე (ზომები: 37,3X28X4,5)¹⁸.

არსებული ფრაგმენტების მეშვეობით გაირკვა, რომ დარბაზი და მისი კონქი გადახურული იყო ცალ-ცალკე, სხვადასხვა დონეზე, ორფერდა სახურავით. ეკლესიის ორივე დონის სახურავებს ერთნაირი ქანობები ჰქონდათ.

ეკლესიის კარნიზიდან ფრაგმენტიც კი არ შემორჩა. აღდგენის დროს ვიხელმძღვანელო ანალოგიებით. როგორც ადრექრისტიანულ ქართულ ძეგლებზე გვხვდება, აქაც სწორკუთხა კარნიზი იქნებოდა. რესტავრაციის დროს გაკეთდა სწორედ ასეთი კარნიზი. იყო თუ არა მისი ზედაპირი მხატვრულად დამუშავებული, ისე როგორც ეს იყო ზოგიერთ ადრეულ ძეგლზე (ბოლნისი¹⁹; ურბნისი²⁰) ამის თქმა არ შეიძლება.

ეკლესია, როგორც აღვნიშნეთ, სადაა, მორთულობის გარეშე, თუ არ მივიღებთ მხედველობაში დასავლეთის კარის არქიტრაზე მარტივად ამოკვეთილ ოთხკუთხედს, დიაგონალურად გადამკვეთი ხაზებით²¹.

ძეგლის ანალიზის დაწყებისთანავე უნდა აღვნიშნოთ, რომ იგი პირველი შეხედვისთანავე თავისი სიმარტივით და დახვეწილი ფორმით, ადრეული პერიოდის ნაგებობის შთაბეჭდილებას ტოვებს.

პირველ რიგში შევხებით კონქის წყობას. რომელიც, როგორც ვთქვით, გამოირჩევა თავისი სიფაქიზითა და მშენებლობის მაღალი დონით. ასეთ წყობას მხოლოდ ადრეულ ხანაში შეიძლება შევხვდეთ.

მისარონის ეკლესიის კონქის თაღსა და დარბაზის კამარას შორის მაღალი შუბლი, დამახასიათებელია მხოლოდ და მხოლოდ ადრეული ხანი! ზოგიერთი, ძეგლისათვის, კერძოდ, მაღალი შუბლი აქვთ: კაწარეთის სამებას²²,

¹⁸ კრამიტი ინახება საქ. სახ. მუზეუმის შუა საუკუნეების არქეოლოგიის განყოფილების ნოქალაქევის ფონდში.


¹⁹ Г. Н. Чубинашвили, Болниси, Тб., 1940, გვ. 39.

²⁰ З. ზაქარაია, ნაქალაქარ ურბნისის ხუროთმოძღვრება, თბ., 1965, გვ. 124—125.

²¹ კვადრატის შიგნით ჭვარდინი ხაზები შეიძლება „ხრიზმის“ (ქრისტეს სიმბოლოს) გამოსახულებად მივიჩნიოთ, თუ ეს ასეა, მაშინ შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ოსტატი არ იყო „ხრიზმის“ გამოსახვაში გამოცდილი.

²² Г. Н. Чубинашвили, Архитектура Кахетии, გვ. 56.

ახმეტის ღვთაებას²³, შილდის სიონს²⁴, ურბნისის ბაზილიკას²⁵, თბილისის ანჩისხატს²⁶, რკონის ბაზილიკას²⁷ და სხვა, ამათგან კაწარეთის სამეფას, ახმეტას, თბილისის ანჩისხატს²⁸ და შილდას საეპრთხეველის აფსიდის ზევით სივარყელე აქვთ²⁹. მოუხედავად იმისა, რომ მისარონის აფსიდი შევრილი არ არის, კონქის თავზე სივარყელე აქ არ არის, რადგან დარბაზი და მისი კონქი გადახურულია ცალ-ცალკე, სხვადასხვა დონეზე. ასეთივე შუბლი გვხვდება აგრეთვე ბოდბეს წმ. ნინოს ბაზილიკაში³⁰, ქართლის ადრეული დროის ძეგლებიდან კი აკაურთაში³¹, რომელთაც კონქის ზემოთ არა აქვთ სივარყელე, მაგრამ ეს აიხსნება მათი შევრილათსიდიანობით და ჩვენ პირდაპირ პარალელად არ გამო-



სურ. 5 ნოქალაქევი. ეკლესია „მისარონი“. დასავლეთ ფასადიდან.

²³ Г. Н. Ц у б и н а ш в и л и, Архитектура Кахетии, გვ. 21.

²⁴ იქვე, გვ. 63.

²⁵ ბ. ზ ა ქ ა რ ა ი ა, ნაქალაქარი ურბნისის არქიტექტურა, გვ. 114.

²⁶ რ. გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი, ანჩისხატის რესტავრაცია, „ძეგლის მეგობარი“, თბ., 1966, № 7, გვ. 37.

²⁷ ი. გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი, ანჩისხატის ბაზილიკა, კვლევითი სამუშაოების სამეცნიერო-ანგარიში, 1959, სპეც. სსს არქივი.

²⁸ რ. გ ვ ე რ დ წ ი თ ე ლ ი, „განა ასეთი უნდა იყოს ძეგლის მეცნიერული დაცვა?, „ძეგლის მეგობარი“, № 34, 1974, გვ. 73—80.

²⁹ Архитектура Кахетии, გვ. 63.

³⁰ იქვე, გვ. 83.

³¹ ლ. რ ჩ ე ლ ი შ ვ ი ლ ი, ქართული არქიტექტურის სამი უცნობი ძეგლი, „ქართული ხელოვნება“, წ. 11, თბ., 1948, გვ. 27.

გვადგება. ასევე პირდაპირ პარალელად ვერ მოვიყვანთ სანაგირესა³² და თიანეთის სიონს³³, რადგან შედარებით გვიანი პერიოდისაა, ყველა ეს ძეგლი V — ბოლოსა და VII ს. დასაწყისის მონაკვეთში თავსდება, გარდა სანაგირესა და თიანეთის სიონისა (VIII—IX სს). თუმცა ამ ძეგლების აგების დროც არ სცალდება ადრეფეოდალურ ხანას.

ღარბაზის გადახურვისას არ არის გამოყენებული საბჯენი თაღები. გადახურვის ასეთი პრინციპი ადრეული პერიოდის ძეგლებისათვისაა დამახასიათებელი. ასეთ გადახურვას ვხვდებით ქვემო ბოლნისში³⁴, აკაურთაში³⁵, აკვარებაში³⁶, ოლთისში, (თრიალეთში³⁷), თეთრიწყაროში³⁸ და სხვაგან.

როგორც ნ. ჩუბინაშვილი და რ. შმერლინგი თრიალეთის ძეგლების, ოლთისისა და თეთრიწყაროს განხილვისას აღნიშნავენ: «Скупой на декоративные приемы строитель не нашел нужным нагружать здание конструктивно ненужными элементами. В зрелом средневековье эта суровая лаконичность забыта. Всякая, даже маленькая зальная церковь лишенная какого-либо отпечатка индивидуальности, включает подпружную арку свода в числе естественных и привычных элементов своей архитектуры».³⁹

მისარონის ეკლესიის სამივე სარკმელი პატარაა, ამიტომ შიდა სივრცე მცირედაა განათებული, რაც ქრისტიანობის გავრცელების ადრეული ხანის ეკლესიებისთვისაა დამახასიათებელი (თეთრიწყაროს, ოლთის, აკაურთა, აკვანება, ქვემო ბოლნისი).

მისარონის სარკმლები ჰორიზონტალური გადახურვითაა. სარკმელი შიგნით განივრდება. მათი ქვედა თარო ორსაფეხურიანია. შიგნით გაგანიერებულ სარკმლებს ვხვდებით ადრეული ხანის ეკლესიებში: აკვარება, ოლთისი, თეთრიწყარო, ზედაზენი⁴⁰, კლიკისჯვარი⁴¹, მცხეთის ჯვარი, წრომი და სხვა.

სარკმლების ჰორიზონტალურად გადახურვის შესახებ ნ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს: «Плоская перемычка окна изнутри (и даже по фасаду) известна в архитектуре древней эпохи, тому примеры памятники Картли и Кахетии, которые этот конструктивный прием, несомненно, заимствуют у народного строительства»⁴².

იგივე შეგვიძლია ვთქვათ საფეხურიანი სარკმლების შესახებ, რომელიც

³² გ. ნ. ჩუბინაშვილი, Арх. Кахетии, გვ. 127.

³³ ი. ციციშვილი, ქართული არქიტექტურის ისტორია, თბ., 1955, გვ. 49, ტაბ. XVII, სურ. 8. გ. ნ. ჩუბინაშვილი, Арх. Кахетии გვ. 63.

³⁴ გ. ნ. ჩუბინაშვილი, Церковь близ селения Квемо Болниси, Вопросы истории искусства, т. I, გვ. 104.

³⁵ ლ. რჩეულიშვილი, ქართული ხუროთმოძღვრების სამი უცნობი ძეგლი, ქართული ხელოვნება, წ. II, 1948, გვ. 28.

³⁶ იქვე, გვ. 34.

³⁷ გ. ნ. ჩუბინაშვილი და Р. Шмерлинг, დასახ. ნაშრომი, გვ. 48.

³⁸ იქვე, გვ. 55.

³⁹ იქვე, გვ. 51.

⁴⁰ გ. ნ. ჩუბინაშვილი, Зедазени, Кликис-джвари, Гриара, ქართული ხელოვნება, ტ. 7. 1971 წ., გვ. 33, სურ. 1.

⁴¹ იქვე, გვ. 41, სურ. 2.

⁴² იქვე, გვ. 33.

ასევე, ადრეულ პერიოდში გვხვდება (ზედაზენი, კლიცისჯვარი). ასეთივე სარკმელს ვხვდებით მცხეთის ჯვარში⁴³ და წრომშიც⁴⁴ კი.

ეკლესიის ორივე კარს სწორი, ერთხაზოვანი გვერდები აქვს. როგორც დასავლეთ, ისე აღმოსავლეთ საქართველოს V—VII სს. საეკლესიო ნაგებობებში. მხოლოდ ასეთ გადაწყვეტას ვხვდებით (ბოლნისი, წრომი, ჯვარი და სხვა). მისარონის ორი კარიდან შემორჩენილია დასავლეთისა. იგი არქიტრავეითაა გადახურული, შიგნიდან თაღოვანია ფასადის მხრიდან არქიტრავეზე განმტკიცებული პატარა თაღი.

განმტკიცებული თაღის ორი სახე არსებობს. ერთი — ლუნეტი და მეორე — განმტკიცებული ჰორიზონტული ნაპრალი. პირველის მაგალითს იძლევა ბოლნისი (ჩრდილოეთის ორივე კარი), ანჩისხატი და აკაურთა; მეორეს — ბოლნისი (სამხრეთის კარი) და ნოქალაქევის ქალაქის კვადროვანი გალავანი. როგორც ეტყობა, ნოქალაქევის მშენებლებმა განმტკიცებული თაღის ორივე სახე კარგად იცოდნენ, რადგან ერთი გამოყენებულია კვადროვან გალავანში და მეორე — მისარონზე.

არქიტრავის ზევით განმტკიცებული თაღის წარმოშობაზე გ. ჩუბინაშვილთან „ბოლნისში“ ვკითხულობთ: „Примеры ее мы имеем. однако, уже во II веке нашей эры в дохристианских памятниках Сирии. В последующие века мы встречаем их в христианских храмах помимо сирийских и палестинских построек, также в Малой Азии и Месопотамии. Всюду здесь арки подымаются под сплошной каменной балкой перемычки, как и в Болнисском Сионе. Кроме того, отмечается, что такое устройство характерно было и для архитектуры Северной Африки (Алжира), где арка полуциркулярная. Наличие такого приема в алжирских раннехристианских храмах считается заимствованной из Сирии“.⁴⁵

მოყვანილი მაგალითები გვიჩვენებს, რომ საერთოდ ასეთი ფორმის კარის გამოყენების ქრონოლოგიური ჩარჩოა II—VII საუკუნეები, ხოლო საქართველოში V—VI საუკუნეების მიჯნა (ბოლნისი, აკაურთა). აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ისინი გამოიყენებოდნენ მხოლოდ ნაგებობათა ქვის კვადრებით შენების დროს.

მიუხედავად იმისა, რომ დარბაზული ეკლესიის ტიპი, არასოდეს არ ყოფილა წამყვანი, იგი ძალზე სიცოცხლისუნარიანი აღმოჩნდა, რადგან მცირე ზომის ეკლესია ყველგან და ყოველთვის საჭირო იყო.

ეკლესიის საკმაოდ სქელი კედლები და მისი წყობის თავისებურება (ცერად ჩათლილი ქვები). აფსიდის მაღალი შუბლი, დარბაზი საბჯენი თაღების გარეშე. სარკმელთა სიმცირე, არქიტრავის ზემოთ განმტკიცებული თაღი და ბოლოს მორთულობის სამცირეც. უძველესი ეკლესიების დამახასიათებელია.

ეკლესიის არქიტექტურულ-შედარებითა ანალიზმა გვიჩვენა, რომ განსახილველი ძეგლი, ნოქალაქევის მისარონი, V ს-ის ბოლო — VI ს-ის დასაწყისით თარიღდება.

ჩვენი აზრით, იმავე პერიოდზე მიუთითებს ეგრისის სამეფოს პოლიტიკური მდგომარეობის მაღალი დონე. დროის ეს მონაკვეთი სამეფოსათვის აღმავე-

⁴³ Г. Н. Чубинашвили, Памятники типа Джвари, Тб., 1948, рис. 4,5.

⁴⁴ Г. Н. Чубинашвили, Цроми, М., 1969, გვ. 35.

⁴⁵ Г. Н. Чубинашвили, Болнис, გვ. 141—142.

ლობის პერიოდად ითვლება, ხოლო მას შემდეგ რაც ბიზანტიაში გამეფდა იუსტინიანე დიდი (527 წ.) იწყება ხანგრძლივი ომები ბიზანტიასა და ირანს შორის, რომელიც ფაქტობრივად ეგრისში ჰეგემონიისთვის ხდებოდა. ამ ხანგრძლივმა ომებმა ეგრისის სამეფო დაასუსტა და ამის შემდეგ დიდი მშენებლობა იქ არცაა მოსალოდნელი⁴⁶.

ნოქალაქევის მისარონის ეკლესია, იმითაცაა საყურადღებო, რომ იგი ჭერჭერობით ერთადერთი დათარიღებული ადრეული დარბაზული ეკლესიაა დასავლეთ საქართველოში.

Т. В. КАПАНАДЗЕ

НОКАЛАКЕВСКАЯ ЦЕРКОВЬ «МИСАРОНИ»

Резюме

Предметом исследования является церковь Нокалакевского акрополя «Мисарони».

Церковь небольших размеров, зального типа, имеет прекрасно сложенный свод конхи. Кладка выведена из крупных грубоотесанных каменных квадратов, имеет высокий лоб, свод зала без подпружных арок — все эти черты строения характерны для ранней эпохи.

Церковь датируется концом V — началом VI века.

წარმოადგინა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის
ს. ჭანაშაის სახ. სახელმწიფო მუზეუმმა

⁴⁶ საქართველოს ისტორიის ნარკვევები, ტ. II, თბ., 1973, გვ. 249—268; 5. ლომოური, ნოქალაქევი-არქეოპოლისი-ციხეგოჯი, „ნოქალაქევი-არქეოპოლისი“, I, გვ. 19—20.

⁴⁷ ეკლესიის ანაზოები შესრულებულია არქ. მ. ანდრიაძის მიერ.

11. „მაცნე“, ისტორიის სერია, 1988, № 1

**ქამთაღმწერალი. ასწლოვანი მათიანე. ტექსტი გამოსაცემად
მოამზადა, გამოკვლევა. ზენიშვანი და ლექსიკონი დაურთო რეპაზ
კიკნაძემ — თბ.: მეცნიერება, 1987. — 264 გვ.**

საქართველოს ისტორიის წყაროებს შორის უპირველესი ადგილი, ბუნებრივად, ქართულ მასალებს უკავიათ. მათგან კი განსაკუთრებულია ისტორიოგრაფიული დანიშნულების მქონე ძეგლთა მნიშვნელობა. ასეთებს განეკუთვნებიან ძველქართულ მატანეთა კრებულ „ქართლის ცხოვრებაში“ შესული თხზულებები. სწორედ ამ ძეგლების შესწავლა მათში დაცული ინფორმაციის ისტორიული კვლევის პრაქტიკაში ფართოდ შემოსატანად წარმოადგენს დღეისათვის ქართველ წყარომცოდნეთა საგანგებო საზრუნავს.

ამ რთული ამოცანის გადაჭრის გზაზე უმნიშვნელოვანესი მომენტია „ქართლის ცხოვრებაში“ თხზულებათა ხელახალი პუბლიკაცია. საქმე ისაა, რომ რამდენიმე ათეული წლის წინანდელი გამოცემები, ჯერ ერთი, უკვე ბიბლიოგრაფიულ იშვიათობებადაა ქცეული, მეორეც, წყაროებს ბაზისადმო ისტორიული მეცნიერების მიერ დღეისათვის წაყენებულ გაზრდილ მოთხოვნებს ისინი ვეღარ ან მხოლოდ ნაწილობრივ აკმაყოფილებენ. კრებილი ტექსტების დადგენა ვარკვეულ შემთხვევებზე ეტყობა გულახტმობს ტექსტოლოგიურ კვლევაში, ამავე დროს, თვის მხრად, ხელს უწყობს თხზულებათა შემდგომ წყარომცოდნეობით შესწავლას.

აღნიშნულის გათვალისწინებით გასაგებია ისტორიის მეცნიერებათა დოქტორის რ. კიკნაძის მიერ „ქართლის ცხოვრებაში“ ერთ-ერთი ყველაზე თვალსაჩინო ძეგლის XIV ს. ანონიმი ავტორის (ქამთაღმწერლის) ერთსაუკუოვანი ისტორიის შემცველი თხზულების ხელახალი პუბლიკაციის მნიშვნელობა. წიგნი გამოსულია საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიისთან არსებული საქართველოს ისტორიის წყაროების კომისიის „ქართული საისტორიო მწერლობის ძეგლების“ სერიით (სერის რედაქტორი რ. კიკნაძე) და წარმოადგენს იმ გვეგზომიერი მუშაობის ნაწილს, რომელსაც 70-იანი წლების შუა ხანებიდან (აღნიშნული კომისიის დაარსებამდე) დღემდე აწარმოებენ ქართველი წყარომცოდნენი საქართველოს ისტორიის რეკონსტრუქციისათვის უმნიშვნელოვანესი მასალების შესწავლის თუ გამოქვეყნების საქმეში.

ქამთაღმწერლის თხზულების რ. კიკნაძისეული პუბლიკაცია ძირითადად „ქართლის

ცხოვრების“ ძველი რედაქციის ნუსხებს ემყარება. ამასთან ტექსტის დასადგენად გამოყენებულია ვახტანგის რედაქციის ნუსხების ჩვენებანიც. საკონტროლო მასალად მკვლევარი „შველებს აგრეთვე XVII ს. ისტორიკოსის ფ. გორგიჯანიძის „საქართველოს ცხოვრების“ შესაბამის ნაწილს, რომელიც, როგორც ირკვევა, რაც შემთხვევაში ქამთაღმწერლის თხზულების დღეისათვის ჩვენს ხელთ არსებულ ნუსხებზე უფრო სრულყოფილ ხელნაწერს ეყრდნობა. მრავალი ნუსხის ჩვენებთა შეჯერებით, ისტორიული ვითარების ანალიზით აუ აზრობრივ-ლოგიკური მსჯელობათა გზით მკვლევარი ადგენს კრებიულ ტექსტს, რომელშიც დასაბუთებულადაა განწირებული, აღდგენილი და განმარტებული თხზულების არაერთი დამახინჯებული, ნაკლები თუ ბუნდოვანი ადგილი. ამგვარი კორექტივები შესაძლოს ხდის ძეგლის შინაარსის სრულყოფილ აღქმას, განუზომლად ზრდის მის საინფორმაციო შესაძლებლობებს.

ტექსტოლოგიურ ძიებათა შესახებ აღნიშნულია შენიშვნებში. აქვეა მათთებულა ის ნაშრომებიც, რომლებშიც მკითხველს შეუძლია დაწვრილებით გაეცნოს ამა თუ იმ კორექტივის შეტანის მტკიცებუ საბუთიანობას. ამ ნაშრომებისათვის (იხ. მავალითად, რ. კიკნაძე, საქართველოს ისტორიის წყარომცოდნეობის საკითხები, I. თბ., 1982) თვალს გადაელება გვარწმუნებს, რომ განსახილველ პუბლიკაციის ქამთაღმწერლის ტექსტზე მკვლევრის ხანგრძლივი მუშაობა უძლოდა წინ, რომ თითოეული ფრაზა ახლა რომ ლაღად და ბუნებრივად იკითხება „ასწლოვან მათიანეში“, დაკვირვებულ ტექსტოლოგიურ ძიებათა საგანი იყო.

აღნიშნულთან ერთად ტექსტისათვის დაართულ შენიშვნებში მოცემულია მრავალი სხვა მასალა, რომელიც აუცილებელია თხზულების შინაარსის გაგებასათვის. პუბლიკაციის ამ კომენტარების გარდა ერთვის ლექსიკონიც, კერძოდ, ქამთაღმწერლის მიერ გამოყენებულ აღმოსავლურ სიტყვათა განმარტებანი.

საგანგებო აღნიშვნის ღირსია სარეცენზიო წიგნის შესავალი. მასში მკვლევარი უპირველესად ატრიბუციის პრობლემაზე ჩერდება. იგი მიდის იმ დასკვნამდე, რომ დღეს ჩვენს ხელთ არსებული მასალით ავტორის ვინაობის

დადგენა შეუძლებელია. ამიტომ იზიარებს სპეციალურ ლიტერატურაში უკვე დამკვიდრებულ პრაქტიკას ანონიმის ეპითეტად მოხსენიებისა. თხზულების პირობითი სათაურის ძიებისას რ. კიკნაძის არჩევანი ჩერდება თავის დროზე თ. ჯორდანის მიერ შემოთავაზებულ „ასწლოვან მატთანზე“, რადგან თვლის, რომ ეს სხარტი სახელწოდება რეალური ვითარების ამსახველია.

ამის შემდგომ ეპითეტადმწერლის „ასწლოვანი მატთან“ განიხილება ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით. რ. კიკნაძე საგანგებოდ ჩერდება ეპითეტადმწერლის, როგორც ისტორიკოსის, სახელმძღვანელო პრინციპებზე, განსაუთრებული მსგელობის საგნად აქცევს იგი დებულებას „ეპითეტადმწერლობა კემპარიტის მერყეულება არს და არა თულახმა ვისიმე“. ამასთან მკვლევარი დამაჯერებლად გვიჩვენებს, რომ აღნიშნულ ხანაში ქართული ისტორიული აზრის განვითარების მაღალი დონე გამოსკვივის არა მარტო ობიექტურობის პრინციპის აღიარებაში, არამედ იმაშიც, რომ მემატთანე მოვლენებს შორის მიზეზ-შედეგობრივ კავშირებს ეძებს, აწარმოებს თავისებურ წყარომცოდნეობით კრიტიკას, გამოიწვევს რა „ზღაპარს“ სინამდვილისაგან.

მემატთანის დამოკიდებულება წყაროებისადმი, მათზე მუშაობის პრინციპები კარგად ისახება წყაროთა მითითების წესში. შესავალში ამ კუთხითაც დაწვრილებითაა განხილული „ასწლოვანი მატთანე“ და კონკრეტულ ფაქტებზე დაყრდნობით დადგენილია მასში წყაროებზე მითითების კანონზომიერება. კერძოდ, გარკვეულია, რომ ეპითეტადმწერელი მითითებას სხვადასხვა თხზულებაზე აკეთებს ხან იმ მიზეზით, რომ უბრალოდ სურს გვაუწყოს თუ რომელია ამა თუ იმ ცნობის წყარო, ხან იმისათვის, რათა მკითხველს თავად შეაძლებინოს მისი ნათქვამის შემოწმება, ხანაც იმიტომ, რომ წყაროს მონაცემებს არ იზიარებს.

შუა საუკუნეების თხზულების შინაარსის სრულყოფილი გაგებისათვის აუცილებელია არა მარტო ტექსტის დადგენა, არამედ იმ ეპოქის კულტურის ენის ცოდნაც, რომლის პროდუქტსაც ეს ძეგლი წარმოადგენს. წყარომცოდნეობითი კვლევის ერთ-ერთი სირთულე, მაგალითად, რიცხვობრივი მონაცემების ინტერპრეტაციაში მდგომარეობს. საკიროა გათვალისწინებულ იქნას, რომ შუა საუკუნეებში რიცხვებს რაოდენობრივი მნიშვნელობის გარდა, ჰქონდათ სიმბოლური დატვირთვა. რ. კიკნაძე ამზე საგანგებოდ ამახვილებს მკითხველის ყურადღებას. მიუთითებს, რომ „ასწლოვან მატთანეში“ მართალია საგრძნობლად შემცირებულია, მაგრამ მთლიანად მაინც არ არის

გამქრალი საკრალური რიცხვები. მაგალითისათვის იგი განიხილავს რამდენიმე შემთხვევას, სადაც რიცხვი შეიძლება ქრონოლოგიის თვალსაზრისით, როგორც ეს სხვა წყაროებთან ჩანს, რეალურ ვითარებას არ ასახავს.

ჩერდება რ. კიკნაძე თხზულებაში შემჩნეულ ანაქრონიზმებზეც. აქ იგი ყურადღებას აქცევს იმ გარემოებას, რომ ეპითეტადმწერლის ანაქრონიზმებს აქვთ თავისებურება, კერძოდ, გვხვდება მოვლენათა დროში გადასმა ერთმანეთისათვის ადგილის შენაცვლებით. ამასთან დაკავშირებით მეცნიერი იხსენებს სპეციალურ ლიტერატურაში გამოთქმულ თვალსაზრისს შუასაუკუნეობრივ ისტორიულ თხზულებებში კომპოზიციის კანონების მოქმედების შესახებ, რომელთა შედეგადაც მოვლენების დაგუფება ზოგჯერ ხდება არა ქრონოლოგიური, არამედ აზრობრივ-ლოგიკური პრინციპით. ამის გათვალისწინებით მკვლევარი სვამს კითხვას — ეპითეტადმწერლის ლაფსუსების მიზეზი ამ რიგის კანონთა მოქმედების შედეგი ხომ არ არის? — და წამოჭრის ქართული შუასაუკუნეობრივი ისტორიოგრაფიის კომპოზიციის თვალსაზრისით შესწავლის პრობლემა.

შესავალში ნაჩვენებია ეპითეტადმწერლის როგორც ისტორიკოსის და მწერლის მრავალი სხვა თავისებურებაც. კერძოდ, აღნიშნულია მოვლენების ახსნისას მისი პროვინციულობა. ამასთან წარმოჩენილია მემატთანის უნარი გამოყენებული ნაირგვარი მასალის შინაარსობრივ და სტილისტურ ერთიანობაში მოყვანისა, მისი სწრაფვა შუა საუკუნეების სტერეოტიპების პირობებში ისტორიულ პერსონაჟთა ინდივიდუალობით აღბეჭდილი პორტრეტების ხატვისა და ა. შ.

შესავლის ის ნაწილი, სადაც „ასწლოვანი მატთანე“ ისტორიოგრაფიული თვალსაზრისით არის განხილული, რა თქმა უნდა, დამოუკიდებელი მეცნიერული ინტერესის მქონეა და მას ქართული ისტორიული აზრის განვითარების ისტორიის შესასწავლად აქვს მნიშვნელობა უპირველესად. მაგრამ განსახილველ წიგნშიც ამგვარი ძიებანი სავესებით თავის ადგილზეა, რადგან მემატთანის სამუშაო ლაბორატორიის დაწვერულებითი ჩვენება რ. კიკნაძე მკითხველს ტექსტში ორიენტაციას უადვილებს და უქმნის საფუძველს მისი შინაარსის სრულყოფილი გაგებისათვის.

რუსულ და ინგლისურ ენებზე დართულ რეზიუმეებშიც ნათლადაა გამოკვეთილი შესავლის ლაბორატორიული — მიუხედავად არახელსაყრელი პოლიტიკური ვითარებისა (მონღოლთა ბატონობა) XIV საუკუნეში ქართული ისტორიული აზრი განვითარების მაღალ დონე-

ზეა. ნაშრომი აღებულია სახელთა საძიებლოთაც. გამოცემულია მაღალ პოლიგრაფიულ დონეზე.

სარეცენზიო შრომაში ყველაფერი რაციონალურად არის გათვლილი. იგი დახვეწილია შინაარსობრივად და სტილისტურად. აქ არ შეგხვდებათ არცერთი სხვათაშორის ნათქვამი სიტყვა, არავითარი ზედმეტი ინფორმაცია. მკვლევარ არ ტეირთავს მკითხველის ყურადღებას კონკრეტული ისტორიული პრობლემების გაშუქებით. ტექსტისათვის დართულ კომენტარებს, შესავალსაც იგი უმორჩილებს ერთ მიზანს — გამოცემული თხზულება, როგორც წყარო, გახადოს ზედმისაწვდომი სპეციალისტისათვის.

ძეგლის პუბლიკაციისას ეს მკაცრად მოფიქრებული პოზიცია, რა თქმა უნდა, შემთხვევითი არაა. სარეცენზიო ნაშრომს წინ უძღოდა მისი ავტორის არამარტო კონკრეტული ტექსტოლოგიური ძეგლანი, არამედ წყაროთა გამოცემის მეთოდის საკითხების თეორიული კვლევა. სანტერესთა აღინიშნოს, რომ კენადეს წყაროთა პუბლიკაცია წყაროთმცოდნეობის საგნის დეფინიციაში აქვს შეტანილი (იხ. მისი, „წყაროთმცოდნეობათი კვლე-

ვა ივ. ჭავჭავაძის სახ. ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტში“. — მაძნე, ისტორიის სერია, 1984, № 2, გვ. 159) განიხილავს რა მას წყაროთმცოდნეობის გამოყენებით, პრაქტიკულ ფუნქციად. სპეციალურ ნაშრომში („წერალობითი ისტორიული წყაროების გამოცემის მეთოდის ზოგიერთი საკითხი“ — ქართული წყაროთმცოდნეობა VI, თბ., 1985) მეცნიერ საგანგებოდ ჩერდება ძეგლების გამოცემის თითოეულ მომენტზე, იქნება ეს გამოსაცემი წყაროს და პუბლიკაციას სახეობის შერჩევა, შესავალი წერილის შინაარსი თუ სხვა.

აი, მოკლედ იმ საკითხთა შესახებ, რომელსაც ეპოთაღმწერლის „ასწლოვანი მათი-ანის“ ახალი გამოცემა აღძრავს. სასახარტლო ფაქტია, რომ „ქართლის ცხოვრების“ თხზულებათა ხელახალი პუბლიკაცია საქართველოს წყაროების კომისიამ ღრმად შინაარსიანი და პროფესიონალიზმის თვალსაზრისით სანამუშოო წიგნთ დაიწყო.

ზ. ძივიშვილი
ა. ჩხარტიშვილი

И. Ш. МЕНТЕШАШВИЛИ

ИСТОРИЯ АНГЛИИ В ОСВЕЩЕНИИ СОВРЕМЕННОЙ АНГЛИЙСКОЙ ИСТОРИОГРАФИИ

Каждый народ, каждое государство при наличии общих, закономерных для общечеловеческой цивилизации явлений и сторон, одновременно является носителем множества специфических особенностей, которые выступают в различных сферах жизни и деятельности народов и государств. Хозяйственная жизнь, общественное устройство, политическая система, господствующая идеология — все сопровождается множеством отличительных особенностей, которые являются как бы визитной карточкой любого народа на попрше всемирной истории. Возможно, именно это и послужило причиной для изречения Гегеля о том, что «даже платоновская республика... по существу ничего не изображает, как природу греческой нравственности»¹.

Среди всех государств наиболее своеобразной, при наличии специфических, отличительных особенностей, пожалуй, всегда выступала Англия. Будучи неотъемлемой составной частью европейской цивилизации, Англия в то же время вызывала и вызывает удивление остальных европейцев, которые оказывались лицом к лицу с этой страной, воспринимают ее как абсолютно иной мир, полную противоположность континентальной Европе. В этом единство мнений складывалось у многих людей, которые представляют разные эпохи, общественные формации, страны и народы².

¹ Гегель. Философия права, соч., т. VII, М.-Л., 1934, с. 14.

² Еще Монтескье в 1739 г., посетив Англию, отметил: «Я в стране, которая со-

С учетом этих многочисленных особенностей, вскрывая степень их проявления в хозяйственной, общественной, политической и духовной жизни Англии написана книга „The English World. History. Character and People“ 1982. 268 Bibl. 259—261. (Английский мир. История, характер и народ). Вышедшая из под-пера группы авторов, под редакцией ректора «Куинз колледж»-а (а в Оксфордском университете Роберта Блейка), книга состоит из предисловия, пяти глав и библиографии. Отправной точкой повествования авторы сделали высказывание У. Черчилля о том, что Англия курьезная страна, и мало кто из иностранцев способен ее постигнуть. (с. 25). Указывая, что Англия несомненно является составной частью европейской цивилизации, авторы в то же время подчеркивают весьма заметные различия между англичанами и жителями континента в области общественного, культурного и политического наследия. Основой тому, пишут они, является географическое расположение Англии, ее островное положение, которое во многом определило историю и этнопсихологию английского народа. Еще с детства англичанину как бы подсознательно прививается мысль, что он отделен, отгорожен от остальных «иностранцев» водным барьером, что способствовало утверждению в сознании англичан чувства безопасности, переходящего в ощущение некоторого превосходства над остальными народами. Будучи длительное время отгороженными от иноземного вторжения и предоставленные возможности спокойного быта и развития, англичане привили себе склонность к последовательному градиционализму в то время, когда население континента, неоднократно объято пламенем войны, находилось в абсолютно иных условиях развития. Именно эти условия, их специфика, пишут авторы, воспитали в англичанах качества, которые присущи их национальной психологии, в частности эгоизм, самоуверенность, нетерпимость к посторонним, показное богатство, независимость, социальная мобильность, склонность к комфорту и незыблемая вера в священные принципы частной собственности (с. 8).

Географическому расположению Англии авторы придают большое значение и в деле отношения английского общества к войне, военному делу и военным. Хотя и Англия неоднократно подвергалась вторжениям римлян, англосаксов, норвежцев, датчан и нормандцев, однако ей не приходилось испытывать по-настоящему больших и длительных войн. Наподобие тридцатилетней войны, которая опустошила континент. Война Роз и гражданская война были отделены друг от друга большими промежутками времени, в течение которых континентальные страны потрясались продолжительными военными действиями (с. 29). Подобная оценка заслуживает внимания, и в английской историографии содержится указание, что война Роз не принесла Англии больших опустошений и разрушений³.

сем не похожа на остальную Европу» см. А. Токвиль. Старый порядок и революция. М., 1905, с. 99. Англия, ее отличие от континентальной Европы описали и К. Чапека, что «красной нитью проходит по его «Английским письмам»; см. К. Чапек. Избранное, М., 1950. Разительно отличающейся от всей остальной Европы предстает Англия и в книге царского дипломата барона Гейкинга. См. А. Гейкинг. Англия, ее государственный, общественный и экономический строй. Спб., 1909. На многие отличительные черты английского характера указывают советские журналисты. В. Осипов и В. Овчинников в книгах «Британия глазами русского». М., 1977 и «Корни дуба». М., 1980.

³ Д. Грин. История английского народа, т. 2. М., 1897, с. 11.

Островное положение страны, по мнению авторов, обусловило и другие характерные черты английского духа. Огражденное от континента водным пространством, общество со временем прониклось уверенностью в собственной безопасности, вследствие чего сформировалось особое отношение как к военным учреждениям и организациям, так и к военным вообще (с. 29). Вплоть до XX века в Англии отрицали необходимость существования постоянной армии и пренебрегали ею. Верховенство или правление военных ни коим образом не отвечало интересам общества, о чем свидетельствует крайняя непопулярность правления «генерал-майоров» времен протектората. В течение двух последующих столетий армия не пользовалась расположением общества. Выражение «он пошел в солдаты» звучало чуть ли не как обвинение (с. 30).

Подобное положение дел берет начало с эпохи феодализма и неоднократно подчеркивается в английской историографии. Еще со времен первых Плантагенетов, в частности, в годы правления Генри II, население получило право откупаться от выполнения воинских повинностей, и королевская власть стала прибегать к услугам наемников⁴. Немаловажную роль в снижении воинственного духа английского общества сыграла и трансформация английской знати. Как указывают авторы книги, потеря английскими королями своих владений во Франции в 1453 г. придала иной характер английской знати — лишившись военной функции, она превратилась всего лишь в привилегированное сословие (с. 37). Такая своеобразная демилитаризация знати, являвшейся опорой военной организации феодального общества, не могла не придать более штатский характер всему обществу. Подрыв военной мощи знати произошел при первых Тюдорах, отказавшихся держать постоянную армию⁵. Еще в XV веке англичане относились к профессиональным солдатам с большим недоверием⁶, и служба в армии в невоенное время рассматривалось средними классами и трудящимися как позорное занятие⁷.

Следует признать, правомерность высказывания авторов о том, что вышеуказанные особенности оказали определенное влияние и на политические институты страны. Хотя Англия и не всегда была великой, первоурядной державой, однако, пишут авторы, ее всегда трудно было покорить. Последнее завоевание, которое Англия испытала на себе, было осуществлено Уильямом Завоевателем в 1066 году. С тех пор ни один завоеватель не ступал на английскую землю, что укрепило в народе чувство безопасности. Именно оно, считают авторы, вместе с либертарным индивидуализмом, послужило причиной возникновения т. н. системы «ограниченного правительства», в то время как в других странах Европы наличие постоянной военной опасности и многочисленных войн создали благоприятные условия для развития абсолютизма, представлявшего собой самую реальную силу, могущую сплотить общество на борьбу с иноземными захватчиками (с. 28).

Преноднося в качестве объекта своего исследования характерные для Англии явления и их роль в истории страны, авторы далеки от мысли рассматривать их в качестве чего-либо изначального. Они указывают, что в эпоху развитого средневековья (high medieval) национальные, специфические особенности не слишком сказывались на жиз-

⁴ Г. Дельбрюк. История военного искусства, т. III, М., 1933, с. 94.

⁵ Дж. Тревелиян. Социальная история Англии, М., 1959, с. 149, 145.

⁶ Там же, с. 145.

⁷ Дж. Тревелиян. Ук. раб., с. 579—580.

ни английского общества. Англичанин, проживавший в 1300 году, как общественный индивид не очень-то отличался от жителя континента. И если, по словам авторов, Англия XIII в. была могущественной державой, короли которой из династии Плантагенетов имели обширные владения во Франции, то в дальнейшем, утрачивая свою политическую мощь, Англия преобразовалась в отличающееся от других государство — монархию Тюдоров. Именно в эпоху Тюдоров укореняются особенности современной английской нации (с. 58).

Именно с последней четверти XV века и начинают авторы рассмотрение специфических сторон английского общества. Богатство государства и склонность к индивидуализму — черты, которые, по мнению авторов, обращали на себя внимание иностранцев, посетивших Англию в XV в. На склоне в Англии больших богатств указывал в 1497 году венецианский посол Андреа Тревизано. Он же подчеркивал склонность англичан к ношению изящной одежды, комфорту, изысканному питанию. По всей вероятности, самомнение, самоуверенность, гордость и даже хвастовство были столь присущи англичанам того времени, что они не остались вне поля зрения венецианского посла. Особо выделял он также такие качества англичан, как презрение к иностранцам и недоверие к соотечественникам. Венцианца крайне удивляло то обстоятельство, что англичане, в отличие от его соотечественников, избегали общения друг с другом разного рода общественных и частных дел (с. 25). Последнее свойство, пожалуй, следует объяснить не только ныне известным свойством англичан не вторгаться в частную жизнь друг друга, но и исторической ситуацией вышеупомянутого времени. По всей вероятности, подобное обстоятельство было вызвано тем, что при первых Тюдорах была установлена широкая сеть шпионажа и тайной слежки⁸.

Исключительно важную роль в формировании специфических черт английской нации и английского общества в целом авторы придают социальной мобильности. Это свойство, его зародыш они видят в исходной клетке социального организма — семье.

